

# ავტორის სტილი დაცულია

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

განათლების მეცნიერებები

ლელა აბდუშელიშვილი


ზეპირი საკომუნიკაციო უნარების განვითარება ზრდასრულებში უცხოური ენის  
სწავლების პროცესში

განათლების მეცნიერებების დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად წარმოდგენილი

## დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ასოცირებული პროფესორი იზაბელა პეტრიაშვილი



2013

## შინაარსი

გვ

<b>შესავალი</b>	<b>5</b>
<b>თავი I. ზრდასრულთა განათლების მიმოხილვა საქართველოსა და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში</b>	<b>10</b>
1.1. ზრდასრულთა განათლების ძირითადი მახასიათებლები	10
1.2. UNESCO-ს როლი ზრდასრულთა განათლების განვითარებაში	19
1.3. ზრდასრულთა განათლების მდგომარეობა საქართველოში	26
1.4. ზრდასრულთა განათლების მიზნები, სტრატეგიები, კომპეტენციები და ამოცანები	32
1.5. ზრდასრულ შემსწავლელთა საკვანძო კომპეტენციები	35
1.6. ზრდასრულთა სწავლების მეთოდები და ორგანიზაციის ფორმები	45
<b>თავი II. უცხო ენის შესწავლის პედაგოგიური და მეთოდური ასპექტები</b>	<b>47</b>
2.1. პოპულარული მოსაზრებები და კომენტარები უცხო ენის შესწავლის შესახებ	50
2.2. უცხო ენის შემსწავლელთა დამახასიათებელი თვისებები	55
<b>თავი III. კომუნიკაციის საფუძვლები და მისი როლი საზოგადოებაში</b>	<b>58</b>
3.1. ეფექტური კომუნიკაციის არსი	58
3.2. კომუნიკაციის ფორმები და სახეები	62
3.3. კომუნიკაციის მიზნები და მიზეზები	62
3.4. კომუნიკაციის როლი საზოგადოებაში	63

<b>თავი IV. უცხო ენის სწავლება კომუნიკაციური მეთოდით</b>	<b>65</b>
4.1. ზოგადი მიმოხილვა	65
4.2. კომუნიკაციური მეთოდის არსი და მნიშვნელობა	66
4.3. უცხო ენის კომუნიკაციური მეთოდით სწავლების მირითადი ასპექტები	69
4.4. მუშაობა წყვილებში და ჯგუფურად	73
4.5. ენობერივი ამოცანის როლი ზრდასრულთა ზეპირი საკომუნიკაციო უნარის განვითარებაში	85
4.6. როლური თამაშები, როგორც ზრდასრული შემსწავლელის უცხო ენაზე სასაუბრო უნარ-ჩვევის განვითარების ეფექტური საშუალება	92
4.7. კამათი, დებატები, დისკუსია	102
4.8. ქეისები/პრაქტიკული მაგალითები/კონკრეტული შემთხვევები	109
4.9. აქტიური მოსმენა და მისი როლი უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის პროცესში	117
4.10. უცხო ენის გაკვეთილის კომუნიკაციური მეთოდით ჩატარების მნიშვნელოვანიასპექტები	122
4.11. უცხო ენის შესწავლის პროცესში საჭირო კომპეტენციები	125
4.12. შემსწავლელის მიერ უცხო ენის შესწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიები	128
4.13. საკომუნიკაციო სტრატეგიის როლი უცხო ენის შესწავლის პროცესში	131
4.14. მოტივაციის როლი უცხო ენაზე კომუნიკაციური უნარების განვითარება-გაუმჯობესებაში	139
4.15. როგორ ვმართოთ კომუნიკაციური გაკვეთილი	141
4.16. ზრდასრულთა საკომუნიკაციო უნარ-ჩვევის გაუმჯობესება-განვითარება	145

4.17. კომუნიკაციური გაპვეთილის ეტაპები და სასაუბრო უნარის გამომუშავება თითოეულ ეტაპზე	148
4.18. შეცდომების გასწორება და მათი როლი უცხო ენაზე კომუნიკაციის პროცესში	151
4.19. უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარების განვითარება ბეჭედობის გამოყენებით	152
<b>თავი V. ჩატარებული კვლევა, მისი შედეგები, დასკვნა და რეკომენდაციები</b>	<b>157</b>
<b>დანართები</b>	<b>183</b>
<b>ბიბლიოგრაფია</b>	<b>185</b>

## შესავალი

თანამედროვე ეპოქაში ინფორმაცია, კომუნიკაცია და კომუნიკაციური ტექნოლოგიები უაღრესად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, მრავალი კვლევა-ძიება ტარდება და გაძლიერებული ინტერესი შეიმჩნევა კომუნიკაციისადმი და ეს დარგი ცალკე მიმართულებადაც კი განვითარდა. ბუნებრივია ის ფაქტიც, რომ კომუნიკაციის პრინციპები და მეცნიერული ამოცანები ლინგვისტიკისა და ენათა სფეროში გამოჩნდა და შეცვალა ტრადიციული ენათმეცნიერების მიღების. დასრულდა ის პერიოდი, როდესაც უცხო ენის სწავლების პროცესში მხოლოდ გრამატიკული წესების დაზეპირება-დაზუთხვა ხდებოდა და დამკვიდრდა კომუნიკაციური ლინგვისტიკა.

აღსანიშნავია, რომ კომუნიკაციის როლი და მნიშვნელობა თითქმის ყველა სფეროში ცხადად აისახა – ფილოსოფია, ენათმეცნიერება, რიტორიკა, ფსიქოლოგია და ა.შ. ამას მოწმობს ისეთი დარგების ინტენსიური განვითარება, როგორიცაა, ფსიქოლინგვისტიკა, ტექსტის ლინგვისტიკა, ლინგვო-კულტურულობია, მედიალინგვისტიკა და სხვა.

კომუნიკაციის სახეობებს შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვერბალურ-სიტყვებით გამოხატულ კომუნიკაციას. იგი მნიშვნელოვანია ზოგადად ჯანსაღი ურთიერთობების წარმოებისათვის, ამათუმ ბიზნესისა თუ ჯგუფის განვითარებისათვის და მას ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში გადამწყვეტი ადგილი უკავია.

ვერბალური კომუნიკაციების მნიშვნელობა ქართული განათლების სისტემის უკროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირების პროცესში კიდევ უფრო საგრძნობია, რადგან ევროპული საგანმანათლებლო სტანდარტის ხეთ უმთავრეს კომპეტენციას შორის მეორე ადგილზე კომუნიკაციის კომპეტენცია დგას, რაც იმას მოწმობს, რომ კომუნიკაციის გარეშე ვერც ერთ სფეროში ვერ იქნება შესაძლებელი შესაბამისი წარმატების მიღწევა.

უცხოური ენის სწავლების პროცესში ამ კომპეტენციის განვითარება უპირველესი ამოცანაა, ვინაიდან ადამიანი ენას კომუნიკაციისათვის იყენებს და, შესაბამისად, მას სჭირდება ისეთი უნარებისა და მიღების დახვეწა-განვითარება, რომლებიც მას საშუალებას მისცემს ეფექტურად იმოქმედოს უცხო ენოვან გარემოში.

აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ზრდასრულთათვის, რადგან ისინი ისეთ გარემოში მოღვაწეობენ, სადაც აზრის მკაფიოდ გამოთქმა, შეტყობინების გადაცემა და მიღება, არგუმენტის ჩამოყალიბება, დაგა-კამათი და კრიტიკული აზროვნება მათი წარმატების განმსაზღვრელია.

უოგელივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ნათელია, რომ ჩვენს მიერ არჩეული საკვლევი თემა - ზეპირი საკომუნიკაციო უნარების განვითარება ზრდასრულებში უცხოური ენის სწავლების პროცესში - ძალზედ აქტუალურია თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში. ასევე, იგი არცთუისე ღრმადაა ნაკვლევი ქართულ რეალობაში. ნაშრომის აქტუალობა საქართველოში მიმდინარე განათლების რეფორმას ეხმიანება. თანამედროვე სკოლებში, უმაღლეს თუ პროფესიულ სასწავლებლებში, კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხო ენის სწავლებას ძალიან დიდი უურადღება ეთმობა, იგი სახელმწიფო დონეზე უმთავრეს პრიორიტეტად მიიჩნევა, განათლების სამინისტროს ეგიდით უცხოელი პედაგოგებიც კი მოიწვიეს, რათა ქართველ მოსწავლეებს შეეძლოთ უცხო ენის ბუნებრივად მატარებლებთან პირისპირ კომუნიკაცია და ამით ენის უფრო საფუძვლიანად და ხარისხიანად შესწავლა. შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებები სრულიად ახალი და განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დგანან. მათ უნდა დააკმაყოფილონ თანამედროვე მოთხოვნები და გამოზარდონ ისეთი თაობები, რომლებიც თავისუფლად და ეფექტურად შეძლებენ კომუნიკაციას ნებისმიერ გარემოში.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანია ზრდასრულთა უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარების განვითარების ისეთი მეთოდებისა და სტრატეგიების შემუშავება, რომელთა გამოყენებისას უცხო ენის საკომუნიკაციო უნარების

განვითარება ზრდასრულებში მაქსიმალურად უფექტური იქნება. კვლევის ამოცანები მოიცავს დასავლურ საგანმანათლებლო სისტემაში არსებული პრაქტიკული თუ თეორიული მასალების მოძიებას, მათ შეძლებისდაგვარად, საქართველოს სინამდვილეზე მორგებას, ექსპერიმენტირებასა და გარკვეული რეკომენდაციების შემუშავებას, რომლებიც უცხო ენის სწავლებისა და ამ სფეროს განვითარების საქმეში თავის მცირედ წვილს შეიტანენ.

კვლევის მეთოდები: თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა – კითხვარი და დაკვირვება/ექსპერიმენტი.

კვლევის სამიზნე ჯგუფი: ზრდასრული სტუდენტები, მასწავლებლები, ექსპერტები.

კვლევის საგანი: კომუნიკაციური უნარების სწავლების პროცესი.

კვლევის ობიექტი: ზრდასრული სტუდენტი.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული დირექტულება: კვლევას და თავად კვლევის საგანს მეთოდოლოგიურ საფუძვლად უდევს უცხო ენის შესწავლის კომუნიკაციური მიღებობა, რომლის მიზანია უცხო ენის სწავლება ისე, რომ მოსაუბრებმა შეძლონ ერთმანეთთან კავშირის დამყარება და აზრის გაგებინება. შევისწავლეთ დასავლური გამოცდილება და იგი შესაბამისად მოვარგეთ ქართულ რეალობას სხვადასხვა მეთოდის შემუშავებით. კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის შედეგად ჩვენს მიერ შეიქმნა მრავალი საგანმანათლებლო კურსი, რომლებიც წარმატებით დაინერგა სხვადასხვა ზრდასრულთა საგანმანათლებლო დაწესებულებებში. კერძოდ, საქმიანი კომუნიკაცია კავკასიის უნივერსიტეტის სამართლისა და ბიზნესის საბაკალავრო და სამაგისტრო ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, ზოგადი ინგლისურის კურსი გარემოს დაცვის სამინისტროს თანამშრომლებისათვის, დარგობრივი უცხო ენა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტებისათვის.

პირველ თავში მოცემულია ზრდასრულთა განათლების დეტალური მიმოხილვა საქართველოსა და მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, ზრდასრულთა განათლების მიზნები, სტრატეგიები და ამოცანები. ასევე, ზრდასრულთა სწავლების მეთოდები და ორგანიზაციის ფორმები. მეორე თავი მოიცავს უცხო ენის შესწავლის პედაგოგიურ და მეთოდურ ასპექტებს. მესამე თავი განიხილავს კომუნიკაციის საფუძვლებსა და მის როლს საზოგადოებაში. მეოთხე თავში მოცემულია დეტალური ინფორმაცია უცხო ენის სწავლების კომუნიკაციურ მეთოდზე და დაწვრილებითაა განხილული სხვადასხვა მნიშვნელოვანი კომპონენტები, კერძოდ, ენობრივი ამოცანა, როლური თამაშები, დებატები, კამათი და დისკუსია, პრაქტიკული მაგალითები/ქეისები და ასეთი ტიპის აქტივობების ზეგავლენა ზრდასრულთა ზეპირი საკომუნიკაციო უნარის განვითარებაზე. აქვე ვეხებით აქტიურ მოსმენას და მის როლს უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის პროცესში, უცხო ენის გაკვეთილის კომუნიკაციური მეთოდით ჩატარების მნიშვნელოვან ასპექტებს, იმ კომპეტენციებს, რომლებიც საჭიროა უცხო ენის შესწავლისას, სტრატეგიებს, რომლებსაც შემსწავლელი იყენებს შესწავლის პროცესში, მოტივაციის როლს და კომუნიკაციური გაკვეთილის მართვას. ამავე თავში მოცემულია ის ეტაპები, რომლებსაც შეიცავს კომუნიკაციური გაკვეთილი და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოვამუშაოთ სასაუბრო უნარი თითოეულ ეტაპზე. მიმოხილულია ინფორმაცია შეცდომების გასწორებაზე და მათ როლზე უცხო ენაზე კომუნიკაციის პროცესში. ასევე, ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე ტექნოლოგიების (ვიდეო, კომპიუტერი, ინტერნეტი) როლზე უცხო ენის შესწავლისას. მეხუთე თავი მთლიანად ეხება ჩატარებულ კვლევას და მის დეტალურ აღწერას. დასკვნაში კი შეჯამებულია კვლევის შედეგები და რეკომენდაციები. ნაშრომს ბოლოს თან ერთვის კვლევის პროცესში გამოყენებული კვლევისათვის შედგენილი კითხვარები და ბიბლიოგრაფია.

შეგვეადეთ განგვეხილა უცხო ენის სწავლების ის პროცესი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში დანერგვის ეტაპზეა. კერძოდ, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენება უცხო ენის სწავლების პროცესში. ასევე, ცალკეულ თავებში დაგვენახა ის ელექტრონური, რომლებიც გასათვალისწინებელია

აღნიშნულ პროცესში. ვთვლით, რომ წარმოდგენილი ნაშრომი სასიკეთოდ წადგება პედაგოგებს, რომლებსაც სურთ თანამედროვე ეპოქაში წარმატებით მოღვაწეობა, არსებულ გამოწვევებზე შესაბამისი რეაგირება და სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვა და ყველა სხვა ამ საკითხით დაინტერესებულ პირს.

პედაგის მასალები ეტაპობრივად განხილულია ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ სამ სტატიასა და საკონფერენციო მასალებში.

## თავი I

### ზრდასრულთა განათლების ზოგადი მიმოხილვა საქართველოსა და მსოფლიოს წაყვან ქვეყნებში

ძნელია კატეგორიულად იმის თქმა, თუ სად და როდიდან იღებს სათავეს ზრდასრულთა განათლება ევროპაში. დიდ ბრიტანეთში 1790 წლიდან ზრდასრულთა საკვირაო სკოლები არსებობდა, ხოლო მე-19 საუკუნეში მსხვილ სამრეწველო საწარმოებში შექმნილმა მშრომელთა მოძრაობებმა მუშებისათვის წერა-კითხვის სწავლებას ჩაუყარეს საფუძველი და ამას ორგანიზებული ფორმა და ხასიათი მისცეს. იქნებ ეს გაცილებით უფრო ადრე მოხდა, როცა ბერძენი ფილოსოფოსი თემისტიოსი ფაზისის (დღევანდელი ფოთის) მახლობლად არსებულ რიტორიკის სკოლაში სხვადასხვა დისციპლინებს “გრამატიკული სწავლებით” ეუფლებოდა, დღეს კი მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს სკოლა ზრდასრულთა განათლების მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენდა.

#### 1.1 ზრდასრულთა განათლების ძირითადი მახასიათებლები.

ზრდასრულთა განათლების რამდენიმე განმარტება არსებობს. მათგან ყველაზე გავრცელებულია შემდეგი: “ზრდასრულთა სწავლებისა და სწავლის სისტემა” (99, 11). ზრდასრულთა განათლება ასევე განიხილება, როგორც “საბაზო განათლების მქონე ზრდასრულ ასაკს მიღწეულ პირთა განათლება” (99,11).

ზრდასრულთა განათლება - ანდრაგოგიკა, წარმოიშვა მე-19 საუკუნის გერმანიაში, სადაც მუშათა მოძრაობის საგანმანათლებლო პროგრამები განსხვავდებოდა ბავშვებისა და სკოლის მოსწავლეების პროგრამებისაგან. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ანდრაგოგიკა დაუკავშირდა ზრდასრულთა განათლების პროფესიონალიზაციას, როგორც ევროპაში, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებში. დღესდღეობით, ტერმინი ანდრაგოგიკა გამოიყენება პოლონეთში, გერმანიაში, ნიდერლანდებში, ჩეხეთში, რუსეთში, იუგოსლავიაში და სხვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და გულისხმობს იმას, რასაც ბრიტანეთი და აშშ უწოდებს ზრდასრულთა განათლებას.

ზრდასრულთა განათლება, როგორც მეცნიერება მეოცე საუკუნის ოციან წლებში ჩამოყალიბდა. ამავე საუკუნის შუა წლებამდე ზრდასრულთა განათლების სპეციალისტები ძირითადად ფსიქოლოგიისა და განათლების ფსიქოლოგიის პლევებს ეყრდნობოდნენ, რათა უკეთესად შეესწავლათ ზრდასრულთა განათლება. ძირითადად, ეს პლევები ბიჭევიორისტული იყო და ხშირად ზრდასრულთა სწავლების შესახებ დასკვნები კეთდებოდა ბავშვებზე ჩატარებული ან იმ პლევებიდან, სადაც ბავშვებიც და ზრდასრულებიც ერთსა და იმავე გარემოებებში იმყოფებოდნენ. მაგრამ, სულ მალე გაჩნდა ამ ორი ასაკობრივი ჯგუფის ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამოკვეთის საჭიროება. შესაბამისად, ჩამოყალიბდა ახალი მიმდინარეობა – ანდრაგოგიკა.

1968 წელს მალკოლმ ნოულსმა შემოგვათავაზა ზრდასრულთა სწავლების “ახალი ეტიკეტი და ტექნოლოგია”, რათა მომხდარიყო მისი გამიჯვნა ზრდასრულ ასაკამდე მიღწეული ადამიანების ჯგუფისაგან. ანდრაგოგიკის ევროპული ცნება, რომელსაც ნოულსი განმარტავს, როგორც “ხელოვნებას და მეცნიერებას, რომელიც ეხმარება ზრდასრულებს ისტავლონ” (47, 43) შეადარეს პედაგოგიკას, რომელიც არის ხელოვნება და მეცნიერება, რომელიც ხელს უწყობს ბავშვებს სწავლაში.

ზრდასრულთა განათლების სხვა სამიზნე ჯგუფების განათლებისაგან ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ ზრდასრულებს გააჩნიათ გარკვეული დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება, რამაც მათ შესაძლოა ხელი შეუწყოს ან შეუშალოს ახალი ცოდნის შეძენაში. გარდა ამისა, უმეტესწილად, ზრდასრულები საკუთარი ნება-სურვილით ერთვებიან ამ პროცესში, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ისინი გაცილებით მეტად მონდომებულნი არიან ცოდნის შესაძენად. ზრდასრულები ხშირად საკუთარ ცოდნას პრაქტიკულად იყენებენ, რათა უფრო ეფექტურად ისტავლონ. შესაბამისად, მათ უნდა ჰქონდეთ გარკვეული გარანტია იმისა, რომ დაგროვილ ცოდნას გამოიყენებენ საკუთარი მიზნების მიღწევაში.

ანდრაგოგიკის პრინციპების მიხედვით, ზრდასრული შემსწავლელი არის ისეთი შემსწავლელი, რომელსაც შეუძლია:

- დამოუკიდებლად სწავლა
- დააგროვა გარკვეული ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც მდიდარი რესურსია სწავლისათვის
- სწავლობს იმისათვის, რომ შეიცვალოს სოციალური როლი
- ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე და მიღებული ცოდნის დაუყოვნებლივ გამოყენებისაპერ ისწრაფვის
- სწავლის გაგრძელება საკუთარი სურვილით სურს

ნოულსმა შემოგვთავაზა პროგრამის დაგეგმვის ისეთი მოდელი, რომელიც ზრდასრულებთან მუშაობას უფრო ადვილს ხდის. ამ კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლებთან საგანმანათლებლო აქტივობების წარმოებისას საჭიროა საიმედო და დაცული გარემოს შექმნა, სადაც მათ პატივისცემით, გაგებით და სერიოზულად ეპყრობიან. ამას ისიც ემატება, რომ ვინაიდან ზრდასრულები თავიანთ ცხოვრებას დამოუკიდებლად მართავენ, მათ უკეთესად შეუძლიათ დაგეგმონ საკუთარი სწავლა. ზრდასრულთათვის განათლების მიცემისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მათი ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარების ასპექტები. შეინიშნება ტენდენცია, რომ ზრდასრულთა ასაკი ხანგრძლივი პერიოდია, რომლის განმავლობაში ხშირად ეცემა სწავლის უნარის დონე, არის წარმატება და წარუმატებლობა, რაც მათზე სერიოზულ ზეგავლენას ახდენს და იწვევს ცვლილებებს. ამდენად, ფსიქოლოგიური ასპექტების გათვალისწინება აუცილებელია, რადგან ეს უკავშირდება მათ მიერ მასალის ათვისების უნარსა და ხარისხს.

მეოცე საუკუნის 70-80-იან წლებში ანდრაგოგიკის, როგორც ზრდასრულთა შესწავლის თეორიის საფუძვლიანობის შესახებ დიდი მითქმა-მოთქმა და დისკუსია

მიმდინარეობდა. თავდაპირველად, კამათი ეხებოდა იმას შეიძლებოდა თუ არა ანდრაგოგიკა მიჩნეული ყოფილიყო ზრდასრულთა სწავლების “თეორიად”. დავენპორტ და დავენპორტს მიაჩნიათ, რომ ანდრაგოგიკა არის “ზრდასრულთა განათლებისა და სწავლების, ზრდასრულთა სწავლების ტექნოლოგიის თეორია, ზრდასრულთა განათლების მეთოდი, ტექნიკა და ვარაუდთა მთელი ერთიანობა” (23, 157). კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ის საკითხი საერთოდ იყო თუ არა თეორია, ეს იქნებ მხოლოდ საუკეთესო პრაქტიკის პრინციპი იყო ან უბრალოდ აღწერდა ზრდასრულ შემსწავლელს.

ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ ზრდასრული შემსწავლელი ძლიერ დამოკიდებულია მასწავლებელზე მაშინ, როცა ზოგიერთი მცირებლოვანი შემსწავლელი სრულიად დამოუკიდებელია და თვითონ მართავს თავის სასწავლო პროცესს. იგივე შეიძლება ითქვას მოტივაციაზეც. ზოგი ზრდასრული შინაგანად მოტივირებულია რაიმე შეისწავლოს. ზოგისთვის კი მოტივაცია განპირობებულია გარე ფაქტორებით. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი გადიან სხვადასხვა სასწავლო კურსებს იმისათვის, რომ შეინარჩუნონ სამუშაო ან გადავიდნენ უფრო მაღალ თანამდებობრივ პოზიციაზე.

ნოულსი საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გადაეხედა ანდრაგოგიკის მიერ შესასწავლი საკითხებისათვის. 1970-80-იან წლებამდე იგი ანდრაგოგიკას განიხილავს პედაგოგიკის საპირისპიროდ. შემდგომ პერიოდში კი იგი მათ ერთ დონეზე ათავსებს. ნოულსმა აღიარა ის ფაქტი, რომ ეს ორივე მიდგომა როგორც ბავშვებს, ისე ზრდასრულებს შეეფერებოდა კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე. მაგალითად, ზრდასრული, რომელმაც არაფერი არ იცის ამათუიმ საკითხის შესახებ, უფრო მეტადაა დამოკიდებული მასწავლებელზე. მეორეს მხრივ, ბავშვები, რომლებიც ბუნებრივად ცნობისმოყვარენი არიან, სკოლაში დამოუკიდებლები იქნებიან. შედეგად დადგინდა, რომ ანდრაგოგიკისათვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია ის გარემო, სადაც სწავლა მიმდინარეობს და არა თვით შემსწავლელი.

ნოულსი, პოლტონი და სუანსონი (1998) ანდრაგოგიკის 6 მნიშვნელოვან ელემენტს განიხილავთ:

- 1) ზრდასრულმა შემსწავლელმა უნდა იცოდეს რატომ სწავლობს: ზოგადი პედაგოგიური მიღებობა გულისხმობს, რომ შემსწავლელმა უნდა ისწავლოს ის, რასაც ასწავლიან. ზრდასრულს კი კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული რატომ სწავლობს და რა სარგებელს მიიღებს საბოლოო ჯამში.
- 2) ზრდასრულ შემსწავლელს არ მოსწონს ისეთი სასწავლო გარემო, რომელშიც მას თავს ახვავენ აზრებს. მასწავლებელმა ზრდასრული შემსწავლელი თვითმართვადი უნდა გახადოს და სწავლაზე პასუხისმგებლობა ააღებინოს.
- 3) ზრდასრული შემსწავლელისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წინა გამოცდილებას. მათ უნდათ გამოიყენონ ყველაფერი, რაც იციან და მოითხოვენ ამის აღიარებას.
- 4) ზრდასრული შემსწავლელი გამოთქვამს მზადყოფნას ისწავლოს: ზრდასრული შემსწავლელი მონდომებულია ისწავლოს, როდესაც მას ესაჭიროება ნასწავლი გამოიყენოს ცხოვრებაში პრობლემებისა და სირთულეების გადასაღაბავად.
- 5) ზრდასრული შემსწავლელი ორიენტირებულია სწავლაზე: მას სურს დაინახოს, თუ როგორ იყენებს ის ცხოვრებაში იმას, რაც ისწავლა. ამიტომ, სასურველია გარკვეული მოქნილობა მათთან მუშაობისას.
- 6) ზრდასრული შემსწავლელი მოტივირებულია ისწავლოს: ზრდასრულ შემსწავლელს მრავალი ფაქტორი ამოძრავებს იმისათვის, რომ ისწავლოს - სამსახურებრივი მიზნები, პირადი გეგმები და ა.შ.

ანდრაგოგიკამ განათლების სპეციალისტებს დაანახა, რომ განმანათლებლებმა ზრდასრული შემსწავლელები განათლების რაც შეიძლება მეტ ასპექტში უნდა ჩაახედონ და შეუქმნან ის გარემო, რომელშიც ისინი შეძლებენ უფრო ეფექტურად სწავლას.

1990 წლის შემდეგ ანდრაგოგიკის მკვლევარები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი ჯგუფი ახდენდა ამ ცნების ანალიზს და შეისწავლიდა, თუ როგორ გამოიყენებოდა იგი მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში. მეორე კი, აკრიტიკებდა ანდრაგოგიკას, რადგან იგი საჭირო ყურადღებას არ აქცევდა იმ გარემოს, სადაც სწავლება მიმდინარეობდა.

ანდრაგოგიკა კარგად შეესაბამება დემოკრატიულად ორინეტირებულ საზოგადოებას. იგი არის სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შეისწავლის ყველაფერს, რაც დაკაგშირებულია ისეთ სწავლებასა და სწავლასთან, რომელიც ზრდასრულებს მაქსიმალურად ჰუმანურებს ხდის. გარდა ამისა, ანდრაგოგიკა ფსიქოლოგიური და სოციალური ცოდნის ტექნოლოგიური გამოყენებაა და არა “ზრდასრულთა განათლების სისტემის მეცნიერება.

ზრდასრულთა განათლების მდგომარეობის აღწერა ევროპის მრავალი წამყვანი ქვეყნის მაგალითზე შეიძლება, მაგრამ ჩვენ ავირჩიეთ მაკედონია და ისრაელი, ვინაიდან მაკედონია თავის დროზე იუგოსლავიის შემადგენელი ნაწილი იყო, ისევე, როგორც საქართველო ეკუთვნოდა საბჭოთა კავშირს, ხოლო ისრაელმა თავისი არსებობის მანძილზე მრავალი ცვლილებები და ძვრები გადაიტანა და დღესდღეობით განათლების მხრვის ერთ-ერთი სანიმუშო მაგალითია.

იუგოსლავიის დაშლის შემდეგ მისი თითქმის ყველა ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფო განიცდიდა გამოცდილებისა და ინფრასტრუქტურის ნაკლებობას ყველა სფეროში. ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკებს შორის, მაკედონიამ განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიიღო, რადგან წარმოება და ეკონომიკა ძლიერ იყო დამოკიდებული მეზობელი ქვეყნების საწარმოებთან ურთიერთობაზე. განათლების სფეროში არ გაპეთებულა სერიოზული რეფორმები, რის შედეგადაც ძველი სისტემები არ შეცვლილა.

მაკედონიაში განათლების დონე საკმაოდ მაღალი იყო. საშუალო სკოლის სისტემა კარგად იყო განვითარებული, წიგნიერების დონე დაახლოებით 94 % უდრიდა. დამოუკიდებლობის შემდეგ კი სისტემა საერთოდ დაირღვა. საშუალო და

დაწყებით სკოლებში ხშირად მშობლები იხდიდნენ სასწავლო რესურსებისა და მასალების ფულს. სამაგისტრო პროგრამებზე თითქმის არავინ აგრძელებდა სწავლას, რადგან ისინი ძალიან ძვირი იყო. ყოფილი იუგოსლავის შემადგენლობაში კვლევისა და მეცნიერების სფეროში მაკედონია ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა იყო ანდრაგოგიკის კუთხით. გარდა ამისა, მას უდიდესი ტრადიცია გააჩნია ისეთი დაწესებულებებისა და ინსტიტუტების შექმნა-დაარსებაში, რომლებიც ზრდასრულებს სთავაზობენ საგანმანათლებლო პროგრამებს.

დღესდღეობით მაკედონიაში ზრდასრულთა განათლების მდგომარეობა ასეთია: შრომის ბაზარი დიდ მოთხოვნებს უქენებს ზრდასრულებს, შეინიშნება უმუშევრობის მაღალი დონე და მუშაქებს არ გააჩნიათ კარგად განვითარებული უნარ-ჩვევები. რეგიონალურ დონეზე განვითარება ასე თუ ისე მაღალ დონეზეა, მაგრამ მას მაინც შესაბამისი ყურადღება ესაჭიროება. ზრდასრულთა განათლების ძირითად მომწოდებლებად ითვლებიან სამთავრობო უწყებები, საშუალო და დაწყებითი სკოლები, კერძო სასწავლო დაწესებულებებისა და უნივერსიტეტების ფაკულტეტების მიერ ორგანიზებული კურსები, საერთაშორისო პროგრამები. ამას ემატება პროფესიონალური და არა-სამთავრობო სექტორი.

მაკედონიაში განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმები არ ჩატარებულა და იგი ძველი სისტემის ასლია, რაც ახალი ბაზრის მოთხოვნებს არ აქმაყოფილებს. ხალხს ზრდასრულთა განათლების ისეთი სისტემა ესაჭიროება, რომელიც მათ დანაკლისს შეუვსებს და მოამზადებს უკეთესი სამუშაო პირობებისათვის. განათლების სამინისტროს ერთ-ერთი კონკრეტული მიზანია შექმნას კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავს ზრდასრულ შემსწავლელთა და განათლების მომწოდებელთა სტატუსს, სასწავლო პროგრამას, დაფინანსებას და შრომის ბაზარზე შესვლას.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ზრდასრულთა განათლების საკითხი აქტუალური გახდა თანამედროვე რეალობაში, რამაც თავის მხრივ მოითხოვა მისი რეგულირების საჭიროება. UNESCO-მ შეიმუშავა გარკვეული

მითითებები და რეკომენდაციები ზრდასრულთა განათლების განვითარებისათვის, პერძოდ:

- იგი პრიორიტეტულია სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე კონცეფციის კონტექსტში
- იგი გვთავაზობს პროფესიული განვითარებისა და პირადი უნარ-ჩვევების დახვეწის შესაძლებლობას
- სასწავლო პროგრამები და მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს ზრდასრულთა განათლების მოთხოვნებს და ითვალისწინებდეს შემსწავლელთა მიერ უკვე დაგროვილ გამოცდილებას
- ყველას სქესის, ასაკისა და ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად თანაბრად უნდა შეეძლოს განათლების მიღება
- მან უნდა უზრუნველყოს განსაკუთრებულ საჭიროებათა მქონე ჯგუფები დამატებითი შესაძლებლობებით
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტრადიციული მეთოდებისა და სასწავლო პროგრამების განვითარებას და პროფესიული უნარ-ჩვევების ათვისებას
- სკოლებმა, საგანმანათლებლო დაწესებულებებებმა და სამრეწველო სფერომ აქტიურად უნდა ითანამშრომლონ
- ფორმალური თუ არა-ფორმალური საგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა უზრუნველყოფნები ეფექტურ ერთიან სისტემას

როდესაც ზრდასრულთა განათლებას მიმოვინავთ მსოფლიოში, არ შეიძლება არ ვახსენოთ ისრაელის გამოცდილება, სადაც ზრდასრულთა განათლების განვითარება გამოძახილი იყო იმ სოციალური ცვლილებებისა და მკრებისა, რომლებიც მოჰყვა ისრაელის, როგორც სახელმწიფოს, ჩამოყალიბებას:

1. ეკონომიკისა და ტექნოლოგიების სფეროში მნიშვნელოვანი ცვლილებები
  2. ინფორმაციის დემოკრატიზაცია
  3. ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება
  4. ეკონომიკური კეთილდღეობა/აღმავლობა, რომელსაც დადგით მხარეებთან ერთად მოჰყვა სოციალური ცვლილებები
  5. მშვიდობის პროცესი და მისი მნიშვნელობა ისრაელის საზოგადოებისათვის
  6. ემიგრაცია
  7. ისეთი საზოგადოების დაარსება, რომელიც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და მიმართულებას ეძებს
- ისრაელში ზრდასრულთა განათლების მიზნებია:
1. ინფორმაციისა და ცოდნის გადაცემა
  2. ებრაული ენისა და კულტურის სწავლება
  3. პროფესიული ტრეინინგის უზრუნველყოფა
  4. მულტი-კულტურულ საზოგადოებაში სწავლების უნარ-ჩვევებისა და მეთოდების უზრუნველყოფა
  5. ზრდასრული შემსწავლელების პედაგოგებისათვის შესაბამისი მეთოდოლოგიის შესწავლა

ამ მიზნების მიღწევა გააძლიერებს ზრდასრულთა ცხოვრების ხარისხს და განათლების დონის კიდევ უფრო ამაღლებით დაეხმარება მათ საზოგადოებაში უკეთესი ადგილი დაიმკვიდრონ.

ისრაელში ზრდასრულთა განათლებისათვის საჭირო ღონისძიებები უკავშირდება მოსახლეობის სხვადასხვა სექტორების საჭიროებებს და მიზნად ისახავს მათი მოთხოვნებისა და მიზნების დაკმაყოფილებას.

ზრდასრულთა განათლების ფარგლებში ზრდასრულ შემსწავლელს ეძლევა შესაძლებლობა განავითაროს მისი უნარ-ჩვევები და შეიძინოს მეტი ცოდნა ისეთ გარემოში, სადაც მას პატივს სცემენ და აფასებენ. ისრაელის შემთხვევაში, მშვიდობა და მშვიდობიან გარემოში ცხოვრება კიდევ ერთი კომპონენტია, რომელიც ემატება განათლების მიღება-განვითარებას. შესაბამისად, ზრდასრულთა განათლების სპეციალისტების ამოცანა კიდევ უფრო გართულებულია: მათ ერთის მხრივ, უნდა შექმნან ერთიანი ბაზა მრავალფეროვანი ერისთვის და ისურგონ შიდა მშვიდობა. ამასთანავე, მათ დიალოგი უნდა აწარმოონ მეზობელ ქვეყნებთან, რათა პატივი სცენ განსხვავებებს და ეს ყველაფერი შეძლონ კულტურის, რელიგიის, ლიტერატურისა და სხვა სფეროების შესახებ ცოდნის შეძენით. ერთი სიტყვით, მხოლოდ განათლების განვითარებით და მჯიდრო კავშირების შექმნით თუ იქნება შესაძლებელი ერთად შეხმატებილებული ცხოვრება.

## 1.2. UNESCO-ს როლი ზრდასრულთა განათლების განვითარებაში

ზრდასრულთა განათლების მიმოხილვისას, არ შეიძლება არ გახსენოთ UNESCO და მისი ზრდასრულთა განთლებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციები, რომლებიც სრულად წარმოაჩნენ ზრდასრულთა განათლებას და რა კონკრეტული შედეგები მოჰყვა მათ. ეს კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორ განვითარდა ზრდასრულთა განათლების სფერო და რა სახით მოვიდა იგი ჩვენამდე დღეს.

UNESCO ზრდასრულთა განათლებას მოიზარებს საგანმანათლებლო კუთხით, როგორც ერთიანის და უწყვეტის ერთ ნაწილს. თავდაპირველად, იგი არც თუ ისე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ზრდასრულთა განათლებას. ეს სფერო გაგებული იყო, როგორც პუმანიტარული, პოლიტიკური და სოციალური დეფიციტების დასაძლევი საშუალება და განვითარებად ქვეყნებში სოციალური და

ეკონომიკური კრიზისული სიტუაციების გათვალისწინებით, მიმართული იყო წერა-კითხვის გავრცელებისა და საბაზისო განათლებისაკენ. ამდენად, 80-იან წლებში თითქმის სრული იდენტიფიკაცია ხდებოდა წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრასა და ზრდასრულთა განათლებას შორის.

1949 წლის 19 -25 ივნისს “ჰელსინგორის საერთაშორისო სახალხო კოლეჯში” გაიმართა UNESCO-ს ზრდასრულთა განათლების პირველი მსოფლიო კონფერენცია. განხილვები დაყოფილი იყო ზრდასრულთა განათლების საგნის ცალკეული მახასიათებლების მიხედვით. კერძოდ, მიზნები, საგანი, ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების პრობლემები, მეთოდები, საეთრთაშორისო თანამშრომლობა ზრდასრულთა განათლების სფეროში.

ჰელსინგორის კონფერენცია იმით განსხვავდება მისი წინამორბედი კონფერენციებისაგან, რომ ისინი თავდაპირველად ზრდასრულთა განათლებას მეცნიერებად არ მიიჩნევდნენ. გარდა ამისა, ზრდასრულთა განათლება საერთოდ ცალკე სფეროდ არ გამოყოფილა. მათი მიზანი იყო ისეთი კრიზისული ფენომენისათვის მიეხედათ, რომელთა დაძლევაც შეუძლია გამოყენებით და პრაქტიკაზე მიბმულ ზრდასრულთა განათლებას. ჰელსინგორის შედეგად დაარსდა UNESCO-ს პედაგოგიკის ინსტიტუტი პამბურგში 1952 წელს და მისი პირველი სხდომა პროგრამულ ხასიათს ატარებდა: “ზრდასრულთა განათლება, როგორც სოციალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობის განვითარების საშუალება”.

თუ UNESCO-ს პირველმა მსოფლიო კონფერენციამ ჰელსინგორში თავის თავს “ზრდასრულთა განათლება” უწოდა, მონრეალის კონფერენციას, რომელიც თითქმის 11 წლის შემდეგ მონრეალში, მაკ ჯილის უნივერსიტეტში ჩატარდა 1960 წლის 22 აგვისტო-2 სექტემბერს, უკვე დაურქვა “ზრდასრულთა განათლება ცვალებად მსოფლიოში”. ამით, ხაზი გაესვა იმას, რომ აღნიშნულ მსოფლიო კონფერენციას კონკრეტულად კრიზისული პრობლემებისა და ფენომენების განხილვა სურდა, რომელთა დაძლევა ზოგადი განათლების მეშვეობით შეიძლებოდა. მეორე მსოფლიო კონფერენციამაც ისეთი სახელი აირჩია, რომელიც იმ დროის სულისკვეთებას გამოხატავდა.

მონრეალის დეკლარაციაში მოცემულია მთელი რიგი შესაძლებლობები, რომლებიც ზრდასრულთა განათლებას შეეძლო მიეცა ცალკეული ადამიანებისა და საზოგადოებისათვის.

მონრეალის კონფერენციაზე მნიშვნელოვნად გაყდერდა ისეთი სადისკუსიო თემები, რომლების დღესაც საკმაოდ აქტუალურია:

- ტექნოლოგიური ცვლილებები და ზრდასრულთა პროფესიული განათლება
- პროფესიული განათლების ლიბერალიზაცია
- მსოფლიოს მორალური და მორიშორება
- მსოფლიოს დეევროპეიზაცია
- ომის იდეის მოძველება

თითქმის იმავდროულად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის “აღზრდისა და განათლების გერმანიის კომისიაში” გამოაქვეყნა თავისი დასკვნა “გერმანიის ზრდასრულთა განათლების მდგომარეობა და ამოცანები” და ანალოგიურ გზას დაადგა. იმ დროს ზრდასრულთა განათლების ვალდებულება იყო ისეთი ამოცანათა პროფილი გამოეკვეთა, სადაც იგი საკუთარი პროფესიონალობით კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას უზრუნველყოფდა და, ამავე დროს, ახალ მედიასამყაროსთან დისკუსიებში მედიატორის როლს შეასრულებდა. ჰელსინგორის UNESCO-ს კონფერენციისათვის უკვე არსებობდა ზრდასრულთა განათლების მდიდარი ინგლისური და ამერიკული გამოცდილება და, რაც მთავარია, რეალობასთან სიახლოვე.

ამრიგად, UNESCO-ს მსოფლიო კონფერენციები თავიანთი დროის სულისკვეთებას გამოხატავენ და, ამავე დროს, მიგვანიშნებენ იმაზე, თუ როგორ უნდა და შეიძლება არსებობდეს მსოფლიო. თავისი საერთაშორისო მნიშვნელობით ნიშანდობლივია ტოკიოს (1972) კონფერენცია, რომლის შედეგადაც შეიქმნა

რეკომენდაციები ზრდასრულთა განათლების განვითარების შესახებ და ჰამბურგის (1997) კონფერენცია თავისი მომავლის დღის წესრიგით, რომლის წინაშეც დგას კაცობრიობა ოცდამეერთე საუკუნის ზღურბლზე.

ჰელსინგორის პირველ მსოფლიო კონფერენციას (1949 წლის 19-25 ივლისი) ახლდა სხვადასხვა სიძნელეები, რომელთა გამო, დღევანდელი გადასახედიდან, მას საკმაოდ კრიტიკულად ახასიათებდნენ. მაგალითად, ზრდასრულთა განათლება ჯერ კიდევ არ იყო აღიარებული ეროვნული საგანმანათლებლო კონტექსტის გათვალისწინებით და მნიშვნელოვნად მიზანზე ორიენტირებული (გამოყენებითი) განათლების ინგლისური და ამერიკული გაგების საფუძველზე იყო განსაზღვრული. ასევე, გაისმოდა საფუძვლიანი ჩივილი, რომ მსოფლიო კონფერენცია ძირითადად ზრდასრულთა განათლების დასავლეთ ევროპის რეგიონალურ კონფერენციად რჩებოდა. ამის სტატისტიკური დასტურიც კი არსებობს: 79 დელეგატიდან და დამკვირვებლიდან, 54 იყო 14 ევროპული ქვეყნიდან და 14 ჩრდილოეთ ამერიკიდან. 11 დელეგატი დანარჩენი მსოფლიოდან. გაგიპტე თავისი 1 დელეგატით იყო ერთადერთი ქვეყანა, რომელიც აფრიკის კონტინენტს წარმოადგენდა, ხოლო მთელი ლათინური ამერიკიდან იყო მხოლოდ ერთი დელეგატი. აზიას წარმოადგენდა სამი წევრი. აღმოსავლეთ ევროპიდან და საბჭოთა კავშირიდან კი საერთოდ არავინ არ ესწრებოდა.

ჰელსინგორის კონფერენციები მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო საერთაშორისო თანამშრომლობისა და კონსულტაციების სფეროში ზრდასრულთა განათლების სპეციფიკურ სფეროში. კონფერენციის შემდეგ ზოგიერთმა დელეგატმა და დამკვირვებელმა მოახერხა და ხელი შეუწყო თავიანთ მშობლიურ ქვეყნებში ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობის შეფასებაში ცვლილებების შეტანას.

დისკუსიები დაყოფილი იყო ზრდასრულთა განათლების საგნის ცალკეული მახასიათებლების მიხედვით.

პერძოდ:

- მიზნები
- ინსტიტუტები და ორგანიზაციის პრობლემები
- მეთოდები
- საერთაშორისო თანამშრომლობა ზრდასრულთა განათლების სფეროში

ამ კონფერენციას ის წარმატებული შედეგი მოჰყვა, რომ მის შემდეგ დაარსდა UNESCO-ს პედაგოგიკის ინსტიტუტი (ჰამბურგი 1952) და მისი პირველი სხდომა პროგრამულ სახელს ატარებდა: ზრდასრულთა განათლება, როგორც სოციალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობის განვითარების საშუალება.

UNESCO-ს მეორე მსოფლიო კონფერენცია ჩატარდა კანადაში, მონრეალში 11 წლის შემდეგ, 1960 წლის 22 აგვისტო – 2 სექტემბერი. იგი პირველისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ მას პქონდა უფრო ფართე გეოგრაფიული დაფარვა, ბიოგრაფიული ავტორიტეტები, უფრო კარგად იყო ორგანიზებული და მიმდინარეობდა პარალელური კონფერენციები რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე. ეს ზრდასრულთა განათლების აღმავლობის პერიოდი იყო, გაიზარდა მისი აღიარების დონე, მათ შორის, სახელმწიფო განათლების პოლიტიკის დონეზე. სახელიც ისეთი შეირჩა – “ზრდასრულთა განათლება ცვალებად სამყაროში”, რომ ჩანდა, იგი მთლიანად დროის სულისკვეთებას გამოხატავდა.

მონრეალის კონფერენციაზე წინა პლანზე წამოიწია ისეთი სადისკუსიო თემები, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა:

- პროფესიული განათლების ლიბერალიზაცია
- ტექნოლოგიური ცვლილებები და ზრდასრულთა პროფესიული განათლება
- მსოფლიოს მორალური დაშორიშორება
- მსოფლიოს დეევროპეიზაცია

- ომის იდეის მოძველება

ამრიგად, მეორე კონფერენციაზე უკვე დაიბადა მესამე კონფერენციის თემა: “ზრდასრულთა განათლების მდგომარეობა მსოფლიოს მასშტაბით”. იგი ჩატარდა ტოკიოში, 1972 წლის 25 ივლისი – 7 აგვისტოს და მრავალი ასპექტით განსხვავდებოდა მისი წინამორბედისაგან. მას პირველად ჰქონდა ფორმალიზებული სახე, არჩევნები და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები და კონცეფციის სამთავრობო ხასიათი უფრო მეტად იყო რეგლამენტირებული, ზრდასრულთა განათლების ცალკეულ წარმომადგენლებს დამკირვებლის სტატუსი ჰქონდათ და არ შეეძლოთ გადაწყვეტილების მიღებაში ჩართვა. თემა: “ზრდასრულთა განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონტექსტში”. წინ წამოიწია პროგრამა “განათლებული საზოგადოების გზაზე”. ზრდასრულთა განათლების მახასიათებლებად მიჩნეული იქნა: ცვლადი კონცეფციები, კანონმდებლობა, დაფინანსება, პერსონალი, ინსტიტუტები, მეთოდები და ტექნიკები, კვლევები ზრდასრულთა განათლებაში, საერთაშორისო თანამშრომლობა. ამ მიღგომით შესაძლებელი გახდა კონფერენციის თემასთან რეალურად მიახლოება და, ამავდროულად, ძალა მიეცა ოპტიმისტურ დაშვებას, რომ ასეთ აღწერაზე შესაძლებელი იყო ზრდასრულთა განათლების მომავალი სტრატეგიის სურათის დაფუძნება. კონფერენციის ბოლოს შემუშავდა განათლების მდგომარეობისა და მომავლის პერსპექტივების შესახებ დეკლარაციის ანგარიშის პროექტი, რომელიც UNESCO-მ მოგვიანებით, 1976 წელს შემდეგი სათაურით გამოაქვეყნა: “რეკომენდაციები ზრდასრულთა განათლების განვითარებისათვის”.

მეოთხე კონფერენცია ჩატარდა პარიზში 1985 წლის 19-29 მარტს სათაურით “ზრდასრულთა განათლების განვითარება: ასპექტები და ტენდენციები”. ხაზი გაესვა განვითარებადი ქვეყნების მუდმივად მზარდ გავლენას. დისკუსიებში საფუძვლიანადა იქნა განხილული ცვლილებები ზრდასრულთა განათლების სფეროში. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ზრდასრულთა განათლების ფუნქციას ტექნოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებით, ახალი ძალისხმევის საჭიროებას წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრაში, ინტეგრაციასა და

რეინტეგრაციას, სამუშაოსგან განთავისუფლებას უწყვეტი განათლების მიღების მიზნით. კონფერენციამ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი “სწავლის უფლების აღიარებას”. UNESCO-ს კონფერენციების ისტორიაში პარიზული კონფერენცია არც თუ ისე კარგად ორგანიზებული და წარმატებული აღმოჩნდა.

მეხუთე კონფერენცია გაიმართა ჰამბურგში (1997 წლის 14-18 ივნისს). მის ბოლოს მიღებული იქნა ორი დოკუმენტი: “ჰამბურგის დეკალარაცია” და “მომავლის დღის წესრიგი”. აქ პირველად გაუდერდა ის აზრი, რომ სხდომათა მუშაობის შედეგებიდან ზრდასრულთა/უწყვეტი განათლების დღევანდელი მდგომარეობა პირველად შეიძლებოდა წაკითხულიყო 21-ე საუკუნის გათვალისწინებით.

თემები შემდეგნაირად განაწილდა:

- ზრდასრულთა სწავლა და დემოკრატია: 21-ე საუკუნის გამოწვევები
- ზრდასრულთა სწავლის პირობებისა და ხარისხის გაუმჯობესება
- წერა-კითხვის და საბაზისო განათლების საყოველთაო უფლების უზრუნველყოფა
- ზრდასრულთა სწავლა და გენდერული თანასწორობა
- ზრდასრულთა სწავლა და ცვლილებები შრომის სამყაროში
- ზრდასრულთა სწავლა გარემოს, ჯანმრთელობისა და მოსახლეობასთან მიმართებაში
- ზრდასრულთა სწავლა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფები
- ზრდასრულთა სწავლის ეკონომიკური პირობები
- საერთაშორისო თანამშრომლობა და სოლიდარობის გაძლიერება

ტოკიო და ჰამბურგი აშკარად სხვადასხვა დიდ ნახტომებს წარმოადგენენ ეპოქების გასაყარზე.

ამრიგად, UNESCO-ს კონფერენციების თემატიკისა და როლის მიმოხილვა მიზნად ისახავდა იმ პრობლემატიკის გაცნობას, რომელიც დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია ზრდასრულთა განათლების სფეროში.

### 1.3 ზრდასრულთა განათლების მდგომარეობა საქართველოში

ჩვენი პვლევის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესოდ მიგვაჩნია ზრდასრულთა განათლების მხრივ საქართველოში არსებული მდგომარეობის მიმოხილვა.

ზრდასრულთა განათლების დასაბამი ძველი საქართველოდან მოდის. მაგალითად, მე-4 საუკუნეში ფაზისის მახლობლად არსებობდა რიტორიკის სკოლა. XI-XII საუკუნეებში ზრდასრულთა სწავლება საქართველოში ძირითადად ეკლესია-მონასტრებთან წარმოებდა და მას მიზნად ჰქონდა პრაქტიკული საქმიანობა. კერძოდ, მწიგნობარი ბერ-მონაზვნის, ეკლესიის მსახურის აღზრდა, ისევე, როგორც ეს ხდებოდა ქრისტიანულ სამყაროში საერთოდ.

ამავე პერიოდში ყალიბდება ხელოსანთა ამქრული, პროფესიონალური გაერთიანება. თბილისში, რომელიც ხელოსნური წარმოების მსხვილ ცენტრად იქცა, იმ დროისათვის არსებული ხელოსნობის ყველა სახეობა ყოფილა გავრცელებული. ხელოსნური აღზრდა წმინდა პრაქტიკული მიზნებით იყო განპირობებული და ზნეობრივი აღზრდის გარკვეულ ელემენტებსაც შეიცავდა. ხელოსანთა გარკვეულ ჯგუფს კი, რომელიც წიგნთან დაკავშირებულ საქმიანობას ეწეოდა, გონიერი აღზრდასთან ჰქონდა საქმე. ეს ჯგუფი ძირითადად საეკლესიო წრეში მზადდებოდა და ხელოსნობასთან ერთად წერა-კითხვას, გრამატიკას და საერთოდ, ქართულ მწიგნობრობას სწავლობდა.

ზრდასრულთა განათლებამ, როგორც განათლების ცალკე სფერომ, საქართველოში XIX საუკუნის 60-80-იან წლებში იჩინა თავი და თანდათან პოპულარობაც მოიპოვა. ამის წინაპირობები იყო ბატონ-ყმობის მოსპობა და

კაპიტალიზმის პირველი ჩანასახის გამოჩენა ქვეყანაში; ქართული ინტელიგენციის მიერ ევროპაში მიღებული განათლება; რუსი დემოკრატების ზეგავლენა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ქართული გაზეთების გვერდებზე ჩნდებოდა სტატიები და ჩანაწერები, რომლებიც ზრდასრულთა განათლებას ეძღვნებოდა. ამ მხრივ გამოირჩეოდა ცნობილი ქართველი მწერლების ნაშრომები: ეგნატე ნინოშვილის “როგორი განათლება გვჭირდება” (1893 წ) და იაკობ გოგებაშვილის “როგორ გავაუმჯობესოთ კავკასიური სახალხო სკოლა” (1903 წ). აქ საუბარია აუდიტორიის ასაკობრივ თავისებურებებზე, სასწავლო პროცესებისადმი შემოქმედებით დამოკიდებულებაზე, საკვირაო სკოლებზე და ა.შ.

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, ქართველი განმანათლებლები ამ პერიოდში მსჯელობდნენ ზრდასრულთა განათლების მეცნიერულ ხასიათსა და მის ხელმისაწვდომობაზე, სახალხო უნივერსიტეტების ორგანიზაციულ მხარეზე. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ სახალხო უნივერსიტეტებში საგნის სწავლებას მკაცრად გამოკვეთილი სამეცნიერო-პედაგოგიური მიმართულება უნდა ჰქონდოდა.

XX საუკუნის 20-40-იან წლებში, საბჭოთა პერიოდის დასაწყისში, ზრდასრულთა განათლება ძირითადად მშრომელთა შორის წერა-კითხვის უცოდინრობის აღმოფხვრას ემსახურებოდა. 1921 წლის 4 ივლისს გამოიცა საქართველოს რევუმის დეკრეტი, რომლის მიხედვით, 14-დან 50 წლის ასაკის უგელა ის ადამიანი, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, ვალდებული იყო, ესწავლა. ამ მიზნით სახალხო უნივერსიტეტები გაიხსნა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორში, ჭიათურაში, ფოთში, სენაკში, ზუგდიდში, ხონში, თელავში, სიღნაღსა და ახალციხეში.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ზრდასრულთა საგანმანათლებლო ორგანიზაციები ძირითადად ფართო პროპაგანდული და სამხედრო-პატრიოტული სწავლების აღგილად იქცა.

ომის შემდგომ პერიოდში გაჩნდა კულტურულ-საგანმანათლებლო და მეცნიერულ-პოლიტიკური განათლების ცენტრების ქსელი, რომელიც შემდგომში საზოგადოება “ცოდნად” ჩამოყალიბდა. ეს ქსელი სახელმწიფო შეკვეთაზე იყო აგებული და განათლებისადმი ინდივიდუალურ და შემოქმედებით მიღების არ ითვალისწინებდა.

XX საუკუნის 60-80-იან წლებში საზოგადოება “ცოდნის” სახალხო უნივერსიტეტების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა (139-დან 502-მდე) და ათიათასობით ადამიანი გახდა მათი მსმენელი. ლექციებს გამუდმებით პოლიტიკური ელფერი დაკკრავდა და მათზე დასწრება საგალდებულო ხასიათს ატარებდა. საზოგადოება “ცოდნას” პროპაგანდისტული მიზანი პქნდა და მსმენელთა მომზადების ხარისხი არ შეესაბამებოდა დროის მოთხოვნებს. საბჭოთა პერიოდის ზრდასრულთა განათლების სისტემა სოციალისტური შრომის პრინციპებზე იყო ორიენტირებული, საბაზო ეკონომიკის თავისებურებებს არ ითვალისწინებდა და თემატიკაც ხშირად მეორდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ზრდასრულთა განათლების სისტემა საბჭოთა პერიოდში არ შედგა.

პოსტსაბჭოთა სივრცეში ქართველმა ფილოსოფოსმა მერაბ მამარდაშვილმა უურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ადამიანს უნდა გააჩნდეს სურვილი ისწრაფოდეს მწვერვალისაკენ და გამუდმებით უნდა ცდილობდეს საკუთარი თავის სრულყოფას, რათა არ იქნეს სოციალურად იზოლირებული.

მამარდაშვილის თეორიული ნაშრომების როლი ზრდასრულთა განათლების განვითარებაში მეტად მნიშვნელოვანია და მას საქართველოშიც გაუჩნდნენ მიმდევრები – გ.ჯიბლაძე, ლ. ჩიკვაიძე და სხვ.

2005 წლის კვლევის მონაცემების მიხედვით, ზრდასრულთა განათლება დედაქალაქში მცხოვრებთათვის უფრო მეტად ხელმისაწვდომია, ვიდრე რეგიონში მცხოვრებთათვის. ეს იმით აიხსნება, რომ დედაქალაქსა და დიდ ქალაქებში სასწავლო დაწესებულებების მეტი რაოდენობაა.

დღეისათვის საქართველოში ზრდასრულთა განათლების ორგანიზაციების შემოთავაზება საკმაოდ ერთგვაროვნად გამოიყერება. მაგალითად, დაწესებულებათა დახლოებით მესამედი კლიენტებს სთავაზობს კურსებს კომპიუტერსა და უცხო ენებში. ტრეინინგის უზრუნველყოფელი ორგანიზაციები აქტიურად თანამშრომლობენ როგორც დამსაქმებლებთან, ისე მსგავსი პროფილის ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია უმცირესობების ინტეგრაცია განათლების გზით. ამ კუთხით კარგ ინიციატივას იჩენს არასამთავრობო სექტორი. წამოიწყეს მრავალი პროექტი, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მულტი-ეთნიკურ სამცხე-ჯავახეთში ზრდასრულთა განათლების ცენტრები გაიხსნა და მათი საგანმანათლებლო მომსახურებით უამრავმა ადამიანმა ისარგებლა.

ზრდასრულთა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოში ჯერ-ჯერობით არ არის გატარებული ძირეული ცვლილებები. თუმცა, მიმდინარეობს ცალკეული აქტივობები: პროგრამების შექმნაში ჩართულები არიან ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები და დამსაქმებლები. პროფესიული გადამზადების ცენტრები აქტიურად ამზადებენ მსმენელებს, შეფასება გამოყენებულია პროგრამების გადასამუშავებლად.

2008 წელს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა შეიმუშავა სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები ცენტრის მიერვე განსაზღვრული მიმართულებების საფუძველზე: შედეგზე ორიენტირებული სწავლება, შრომის ბაზრის მოთხოვნების ასახვა, სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის ხელშეწყობა, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა, ორიენტაცია პრაქტიკაზე, სახელობო პროგრამების შედგენა პროფესიული სტანდარტების საფუძველზე; სტანდარტებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაში მონაწილეობას იღებენ დამსაქმებლები და ექსპერტები, რაც შრომის ბაზრის მოთხოვნებს ითვალისწინებს.

ცალკეულ პროფესიულ ცენტრებში დანერგილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რაც ხელს უწყობს სწავლებისა და სასწავლო პროგრამების ხარისხის შენარჩუნებას. თუმცა, ეს სისტემა განვითარების საწყის ეტაპზეა.

თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციების გასავითარებლად, ტრადიციული მეთოდების გარდა, საჭიროა ახალი ტიპის საგანმანათლებლო სტრატეგიებისა და მიღომების დანერგვა. განსაკუთრებით საჭიროა პედაგოგის გადამზადება შემდეგი მიმართულებებით: ზრდასრულთა განათლების ორგანიზება, სწავლებისა და შევასების თანამედროვე მიღომები საკლასო გარემოსა და პრაქტიკის ადგილზე.

მართალია, ამას მასობრივი სახე არ აქვს, მაგრამ არის ცალკეული პროგრამები, რომლებსაც ახორციელებენ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით. პროგრამები ორიენტირებულია ზრდასრულთა განათლების სფეროში თანამედროვე ტენდენციებისა და სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გაცნობაზე, მენტორობასა და ზრდასრულთა განათლების სფეროს ანალიზზე.

ზრდასრულთა განათლება ჯერ-ჯერობით არ არის განხილული ცალკე პროფესიად საქართველოში და უმაღლესი დაწესებულებები არ უშენებენ ამგვარი პგალიფიკაციით კურსდამთავრებულებს.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის ზრდასრულთა განათლების VI მსოფლიო კონფერენციაში, რომელიც UNESCO-ს ეგიდით ბრაზილიაში გაიმართა, საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა ქვეყანამ პირველად მიიღო მონაწილეობა. ამ შეხვედრისათვის მომზადდა ეროვნული ანგარიში, რომელშიც მაქსიმალურად გათვალისწინებული იყო UNESCO-ს უწყვეტი განათლების ინსტიტუტის რეკომენდაციები და საფუძველი ჩაეყარა საქმაოდ ფართო დიალოგს სახელმწიფო სტრუქტურებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს, მკვლევარებს, განათლების მენეჯერებსა და სხვა დაინტერესებულ პირთა შორის,

რათა ქვეყნის შიგნით ზრდასრულთა განათლების სფეროში მიმდინარე ტენდენციები მაქსიმალურად ასახულიყო. ეს უდიდესი წინ გადადგმული ნაბიჯია.

საქართველოში ზრდასრულთა განათლების სფეროს განვითარებისათვის კარგი წინაპირობაა შექმნილი. მოსახლეობას გათავისებული აქვს ის ფაქტი, რომ საჭიროა ახალ გარემო პირობებთან უკეთესი ადაპტაცია და შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის ამაღლება. გარდა ამისა, სტრუქტურულმა ცვლილებებმა ეროვნულ ეკონომიკაში წარმოშვა მზარდი მოთხოვნა ზრდასრულთა პროფესიული გადამზადების მოკლევადიან პროგრამებზე. ზრდასრულთა განათლებაზე მოთხოვნის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობენ დამსაქმებლები, რომლებიც დაინტერესებული არიან თანამშრომელთა კვალიფიკაციის ზრდით და მათ უწყვეტ განათლებაში ჩართულობით. შესაბამისად, თანამედროვე ზრდასრულთა განათლებაში მრავალი სხვადასხვა მიმართულება შეინიშნება, უნივერსიტეტებსა და კოლეჯებში შემოიღეს საღამოს პროგრამები, კურსები კრედიტის გარეშე, დისტანციური სწავლების პროგრამები. გარდა ამისა, სხვადასხვა კერძო ორგანიზაციები, პროფესიურები და დაწესებულებები თავიანთ მუშაკებს აქტიურად რთავენ პროფესიული განვითარების კურსებსა თუ სემინარებში უნარ-ჩვევების უფრო მეტად დახვეწისა და განვითარებისათვის. ასევე, იქმნება საზოგადოებრივი ცენტრები, პოლიტიკური და ეკონომიკური ასოციაციები, სხვადასხვა წრეები და ჯგუფები, რაც გარკვეულ წილად ზრდასრულთა განათლების ცენტრებად შეგვიძლია აღვიქვათ.

ზრდასრულთა განათლების ისტორიის შესწავლით ნათელი ხდება, რამდენად იზრდება საზოგადოების ინტერესი ზრდასრულთა განათლებისადმი სხვადასხვა ქვეყნებში სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცვლილებების პერიოდში. ცხოვრებისათვის აქტუალური ცოდნის დეფიციტს ასეთ დროს საზოგადოების უკელა ფენაში განიცდიან ხოლმე. სწორედ ამ დეფიციტის აღმოფხვრა წარმოადგენს ზრდასრულთა განათლების მიზანს.

ამდენად, ზრდასრულთა განათლების ეს მცირე მიმოხილვა ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია იგი

მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და რაოდენ წამყვანი ადგილი უკავია მას ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს, განათლების სისტემისა და პროცესის განვითარებაში.

#### **1.4 ზრდასრულთა განათლების მიზნები, სტრატეგიები, კომპეტენციები და ამოცანები**

21-ე საუკუნეში წარმატება ცონდაზე დაფუძნებული ეკონომიკის გარეშე წარმოუდგენელია. გლობალური ეკონომიკა ცვლის შრომის ბაზრის მოთხოვნებს მოედს მსოფლიოში. ამავდროულად, იზრდება მოთხოვნები რიგით მოქალაქეთა მიმართაც – მათ განსაკუთრებული ცოდნა და უნარები მოეთხოვებათ ყოველდღიური ფუნქციის შესრულებისათვის. არსებული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ზრდასრულთა განათლების კარგად განვითარებული სისტემა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარებას. სკანდინავიის ქვეყნები, გერმანია და ირლანდია ამის ნათელი მაგალითია.

ეკონომიკური ზრდის პერსპექტივაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ახალი ტექნოლოგიების განვითარება. ზრდასრულთა განათლებას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ადამიანური რესურსების განვითარებაში. ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკისათვის საშუალო და უფრო მაღალი ასაკის მოსახლეობის რიცხვის ზრდის პირობებში მათვის მოქნილი საგანმანათლებლო სქემების შექმნას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება.

#### **ზრდასრულთა განათლების მიზნები**

საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაციასა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის 2009 წლის 28 იანვარს ხელმოწერილი ურთიერთობანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე შემუშავდა “ზრდასრულთა განათლების სტრატეგია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონტექსტში”.

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის იდეას ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის პროგრამა, საქართველოს მთავრობის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები. გარდა ამისა, იგი განმტკიცებულია განათლების სისტემის მარეგულირებელი ჩარჩო კანონმდებლობით, სადაც ხაზგასმულია სოციალური ინკლუზიისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მნიშვნელობა.

აღნიშნული სტრატეგია პასუხობს როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო მოთხოვნებს. საქართველოში ზრდასრულთა განათლების მთავარი მიზანია საგანმანათლებლო აქტივობაში მოსახლეობის მონაწილეობის გაზრდა საზოგადოების, შრომის ბაზრისა და მათი პიროვნული საჭიროებებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის და სამისოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

ზრდასრულთა განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობით. ზრდასრულთა განათლებაში მოსახლეობის ჩართულობის ზრდა გულისხმობს მაღალი ხარისხის განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდას, რაც თავის მხრივ, ნიშნავს, რომ არ უნდა არსებობდეს განათლების მიღების გეოგრაფიული, ფინანსური თუ პროგრამული ბარიერები.

სტრატეგიის ძირითადი პრინციპია ზრდასრულთა განათლების მოქნილი სქემების ჩამოყალიბების გზით ხელი შეუწყოს:

- 1) თანამდეროვე სწრაფცვალებად საზოგადოებაში ინდივიდის კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და სოციალურ ინკლუზიას
- 2) შრომის ბაზარზე ორიენტაციასა და, შესაბამისად, ეკონომიკის განვითარებას
- 3) სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებას - განათლებული პიროვნების ჩამოყალიბებას

## **სტრატეგიის ძირითადი ამოცანები**

- ზრდასრულთა განათლების ინფრასტრუქტურის განვითარება
- ზრდასრულთა განათლების მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება
- ზრდასრულთა განათლების საკანონმდებლო პაზის შექმნა
- ზრდასრულთა განათლების დაფინანსების ეფექტური სისტემის შემუშავება და დანერგვა
- ზრდასრულთა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბება

## **ზრდასრულთა განათლების ძირითადი ინდიკატორები**

- მოსახლეობის ჩართულობა ზრდასრულთა განათლებაში
- ზრდასრულთა განათლების მიმღებთა რაოდენობა, მათი დასაქმებისა და კარიერული წინსვლის მაჩვენებლები
- მსმენელთა კმაყოფილება
- სოციალური პარტნიორების კმაყოფილება
- ზრდასრულთა განათლების პროგანდერთა რაოდენობის დინამიკა და გეოგრაფიული გადანაწილება
- შინამეურნეობების, სახელმწიფოსა და სოციალური პარტნიორების წილი ზრდასრულთა განათლების დაფინანსებაში

ეოვალივე ზემოთ თქმული მოწმობს იმას, რომ ზრდასრულთა განათლება საკმაოდ მნიშვნელოვანი მიმართულებაა განათლების სფეროში და მას შესაბამისი განვითარება სჭირდება.

## **15. ზრდასრულ შემსწავლელთა საკვანძო კომპეტენციები**

იმისათვის, რომ ზრდასრულთა სწავლების სექტორში შესაძლებელი გახდეს სხვადასხვა მიმართულებების გადაღახვა და დაძლევა, აუცილებელია დადგინდეს საერთო ელემენტები იმ საქმიანობაში, რომლითაც დაკავებული არიან ზრდასრული შემსწავლელები და ის კომპეტენციები, რომლებიც სჭირდება ამ საქმიანობის შესრულებას.

ეგრო-კავშირის წევრმა ქვეყნებმა ეს საჭიროება აღიარეს და, შესაბამისად, ეგრო-კომისიამ ჩაატარა და გამოაქვეყნა კვლევა ზრდასრულ შემსწავლელთა კომპეტენციების შესახებ, რომლებიც ეხმარება ზრდასრულებს შეასრულონ ესათუის კონკრეტული ამოცანა კონკრეტულ სიტუაციაში და, შესაბამისად, მიაღწიონ გარკვეულ შედეგს. კომპეტენციათა ეს განმარტება ეყრდნობა იმ კომპეტენციებს, რომლებიც მოცემული და გამოყენებულია ეგროპული ჩარჩოს საკვანძო კომპეტენციების დოკუმენტში მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის.

2000 წლის მარტში ლისაბონში შეკრებილმა ეგროპულმა საბჭომ აღიარა, რომ ეგროპა დგას გლობალიზაციის გამოწვევისა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ზრდის წინაშე. ხაზი გაესვა იმას, რომ თითოეული მოქალაქე აღჭურვილი უნდა ყოფილიყო ახალ ინფორმაციულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის და მუშაობისათვის აუცილებელი უნარებით. ეგროპულ ჩარჩოს უნდა განესაზღვრა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის საჭირო ახალი საბაზისო უნარ-ჩვევები: საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიები, უცხო ენები, ტექნოლოგიური კულტურა, მეწარმეობა და სოციალური უნარ-ჩვევები”.

2000 წელს ოფიციალურად იქნა განცხადებული, რომ სწორედ ადამიანია ეგროპის შემდგომი ზრდისა და დასაქმების ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობა, რაც შემდგომაც არაერთხელ აღინიშნა. ეს საკითხი კიდევ აქტუალური გახდა უკანასკნელ ხანს. კერძოდ, იგი მოცემულია ლისაბონის სტრატეგიაში და 2005 წლის ეგროპული საბჭოს მიერ გამოქვეყნებულ მოწოდებაში განათლების სფეროს

და უნარ-ჩვევების განვითარებისათვის ინვესტიციების გაზრდისაკენ, კვლავ გამეორდა და ჩამოყალიბდა 2002 წლის ბარსელონის საბჭოს მიერ მიღებულ სამუშაო პროგრამაში “განათლება და წერთხა 2010”, რომელიც გაქდერდა შემდგომი მოქმედებისაკენ მოწოდების სახით “საბაზისო უნარ-ჩვევების ოსტატობის გასაუმჯობესებლად” და განათლებაში ეგროპული განზომილების გასაძლიერებლად.

საერთაშორისო დონეზე არსებული კვლევების თანახმად, “კომპეტენცია” განისაზღვრება, როგორც ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების კომბინაცია, რომლებიც მიეკუთვნება შესაბამის სიტუაციას. “საკვანძო კონკეტენციები” კი ის კომპეტენციებია, რომლებიც ხელს უწყობენ პიროვნულ სრულყოფას, სოციალურ ჩართულობას, აქტიურ მოქალაქეობას და დასაქმებას.

ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარება პიროვნულ, საზოგადოებრივ და პროფესიულ სფეროებში მოთხოვნებს უზრდის საკვანძო კომპეტენციებს. ინფორმაციისა და მომსახურების მიღების გზები სულ მუდამ ცვლილებებს განიცდის. იზრდება ინტრესი სოციალური ურთიერთგანვითარების და განვითარებადი დემოკრატიული მოქალაქეობის მიმართ. ყოველივე ეს ითხოვს ადამიანთა ინფორმირებულობას, დაინტერესებასა და აქტიურობას. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ ყველაფრისათვის საჭირო ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები სულ მუდამ იცვლება.

პრაქტიკაში უკვე აღიარებული საუკეთესო მაგალითების მიუხედავად, საკვანძო კომპეტენციების გაგება იშვიათად ერგება ყველა ასაკის მოქალაქეთა სწავლის საჭიროებებს. შესაბამისად, საკვანძო კომპეტენციების დოკუმენტს ენიჭება მნიშვნელოვანი ღირებულება. რეკომენდაციები ხელს შეუწყობენ წევრი სახელმწიფოების მისწრაფებას მოახდინონ საკვანძო კომპეტენციათა სრული ინტეგრირება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სტრატეგიებსა და ინფრასტრუქტურებში.

ევროპავშირის პარლამენტისა და საბჭოს რეკომენდაციებში საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის ნათქვამია, რომ:

“წევრმა სახელმწიფოებმა:

- 1) ყველა ახალგაზრდა უნდა უზრუნველყონ დაწყებითი განათლებითა და წვრთნით, რაც მათ საშულებას მისცემს იმ დონემდე განავითარონ თავიანთი საკვანძო კომპეტენციები, ისე “შეიარაღდნენ” ზრდასრული ცხოვრებისათვის, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ჰქონდეთ საფუძველი შემდგომი განათლებისა და მუშაობისათვის
- 3) ზრდასრულებს აქვთ უნარი განავითარონ და გაანალიზონ თავიანთი საკვანძო კომპეტენციები მთელი ცხოვრების მანძილზე და რომ განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იქნებიან ის სამიზნე ჯგუფები, რომლებიც ნაციონალური, რეგიონალური და/ან ადგილობრივი კონტექსტიდან გამომდინარე მიჩნეულნი არიან პრიორიტეტულებად
- 5) ზრდასრულთა განათლებისა და წვრთნის უზრუნველყოფა ყოველი მოქალაქისათვის დასაქმებისა და რეალურ პოლიტიკასთან, ასევე, სხვა პოლიტიკურ პრიორიტეტებთან კავშირში, რომლებიც ახალგაზრდის სოციალურ პარტნიორებსა თუ სხვა დაინტერესებული მხარეების ურთიერთობას ეხება
- 6) ევროპული ჩარჩო – “საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის” გამოიყენონ, როგორც სარეკომენდაციო პაკეტი, როგორც ნაწილი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სტრატეგიისა ყველასათვის თანაბრად ხელმისაწვდომი საკვანძო კომპეტენციების განვითარებისათვის.” (100, 33-31)

აღნიშნულ ევროპულ ჩარჩოში კომპეტენციები განმარტებულია, როგორც კონტექსტისათვის შესაბამისი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების კომბინაცია. საკვანძო კომპეტენციები ყველა ინდივიდს სჭირდება პიროვნული სრულყოფისა და განვითარებისათვის, რათა იყოს აქტიური მოქალაქე, სოციალურად ჩართული და ჰქონდეს დასაქმების უნარი. დაწყებითი განათლების

მიღების შემდეგ ახალგაზრდებს უნდა შეეძლოთ საკვანძო კომპეტენციების ისეთ დონემდე განვითარება, რომ მომზადებული შეხვდნენ ზრდასრულ ცხოვრებას. როგორც ნაწილი მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა, ეს კომპეტენციები არა მხოლოდ უნდა შენარჩუნდნენ, არამედ უნდა ვითარდებოდნენ მთელი მომდევნო ცხოვრების მანძილზე.

ეს საკვანძო კომპეტენციებია:

- 1) მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია
- 2) უცხოურ ენაზე კომუნიკაცია
- 3) მათემატიკური კომპეტენცია და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში
- 4) ციფრული კომპეტენცია
- 5) დამოუკიდებლად სწავლის უნარი
- 6) პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური კომპეტენციები და მოქალაქეობრივი კომპეტენცია
- 7) მეწარმეობა
- 8) კულტურული გამომხატველობა

ცხრილი 1 მიმოიხილავს და დეტალურად განმარტავს საზოგადოებაში ყველასათვის აუცილებლად მიჩნეულ საკვანძო კომპეტენციებს. მასში ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კომუნიკაცია თანამედროვე ადამიანის წარმატებული არსებობისათვის.

**ცხრილი 1. “საკვანძო კომპეტენციების მიმოხილვა” (100, 30-31)**

კომპეტენცია	განმარტება
მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია	კომუნიკაცია არის ფიქრების, გრძნობებისა და ფაქტების ზეპირი და წერილობითი ფორმით გამოხატვა (მოსმენა, წერა, ლაპარაკი, კითხვა) და ურთიერთობა ლინგვისტურად სოციალური და კულტურული კონტექსტების სრული დიაპაზონის შესაბამისი ფორმით – განათლება და წვრთნა, სამსახური, სახლი და თავისუფალი დრო
უცხო ენაზე კომუნიკაცია	უცხო ენაზე კომუნიკაციისათვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევების განზომილებები თითქმის ემთხვევა მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის კრიტერიუმებს: ის ეფუძნება ფიქრების, გრძნობებისა და ფაქტების გაგების, გამოხარვისა და ინტერპრეტირების უნარს, როგორც ზეპირი, ისე წერითი ფორმით (მოსმენა, ლაპარაკი, წერა, კითხვა) საზოგადოებრივ კონტექსტში შესაბამისი დიაპაზონით – სამსახური, სახლი, გართობა, განათლება და წვრთნა – პიროვნების მოთხოვნილებებისა და სურვილებიდან გამომდინარე. უცხო ენაზე კომუნიკაცია ასევე მოითხოვს

	<p>ისეთი უნარების ქონას, როგორიცაა, შუამავლობა და კულტურათაშორისი გაგება. უნარიანობის ხარისხი იმერყევებს ოთხ განზომილებას შორის, სხვადასხვა ენების მიხედვით და ინდივიდუალური ლინგვისტური და კულტურულ-ეროვნული მემკვიდრეობის გათვალისწინებით.</p>
<b>მათემატიკური უნარ-ჩვევები და საბაზისო კომპეტენციები მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში</b>	<p>მათემატიკური უნარ-ჩვევები არის შესაძლებლობა გამოიყენო შეკრება, გამრავლება, გამოკლება, გაყოფა და შეფარდება გონიერების და წერითი ანგარიშის ყოველდღიური პროცედურების გადასაჭრელად. კურადღება გამახვილებულია თავად პროცესზე და არა შედეგზე, მოქმედებასა და არა ცოდნაზე. მეცნიერული უნარ-ჩვევები გულისხმობს ინდივიდის მზარყოფნას და უნარს ახსნას ბუნებრივი სამყარო არსებული ცოდნისა და მეთოდოლოგიის გამოყენებით. კომპიუტერულ ტექნოლოგიაში გამოიყენება ცოდნისა და მეთოდოლოგიის გაგება და გამოიყენება ბუნებრივი გარემოს გასაგები ადამიანური მოთხოვნილებებისა და სურვილების შესაბამისი მოდიფიცირების მიზნით</p>

<p><b>ციფრული კომპეტენცია</b></p>	<p>იგი ითვალისწინებს ელექტრონული მედიის თავდაჯერებულ და კრიტიკულ გამოყენებას სამუშაოს, გართობისა და კომუნიკაციისათვის. ეს კომპეტენცია მოითხოვს ლოგიკურ და კრიტიკულ აზროვნებას, ინფორმაციის მენეჯმენტის მაღალი ხარისხის უნარს და კარგად განვითარებულ საკომუნიკაციო უნარ-ზევებს. ყველაზე ძირეულ საფეხურზე, საინფორმაციო და კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების უნარ-ზევები მოიცავს მულტიმედია ტექნოლოგიების გამოყენებას ინფორმაციის მიღების, შეფასების, შენახვის, წარმოების, წარმოდგენისა და გაცვლისათვის. აგრეთვე, ინტერნეტის ქსელში ჩართვისა და კომუნიკაციის უნარს.</p>
<p><b>დამოუკიდებლად სწავლის უნარი (learning-to-learn)</b></p>	<p>ეს უნარები ნიშნავს, რომ ადამიანს გააჩნია განწყობა და საკუთარი სწავლის ორგანიზებისა და რეგულირების უნარები, როგორც ჯგუფში, ისე დამოუკიდებლად. ეს უნარი გულისხმობს დროის ეფექტურად მართვას, პრობლემის გადაჭრას, ახალი ცოდნის შეძენას, დამუშავებას, შეფასებასა და გამოყენებას სხვადასხვა პონტექსტში – სახლში, სამსახურში,</p>

	განათლებასა თუ წვრთნაში. ფრონტოგადად რომ ვთქვათ, ის ნიშნავს საკუთარი კარიერის წარმართვის უნარს
პიროვნებათაშორისი და მოქალაქეობრივი კომპეტენციები	ეს კომპეტენციები თავის თავში მოიცავს ყველა იმ თვისების კომბინაციას, რომლებიც აუცილებელია ადამიანისათვის საზოგადოებრივ ცხორბების მფლის მოგვარების უნარს. პიროვნებათაშორისი კომპეტენციები აუცილებელია ორ ადამიანს შორის ურთიერთობისას, ჯგუფებში ურთიერთობის დასამყარებლად და გამოიყენება საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში
მეწარმეობა	მეწარმეობა შედგება აქტიური და პასიური კომპონენტებისაგან. ის მოიცავს მიღრეპილებას თავად აწარმოო რაღაც ახალი და ამავდროულად უნარს მიიღო, მხარი დაუჭირო და მოირგო სხვის მიერ წარმოებული ან დანერგილი რაიმე სიახლე, მეწარმეობა ნიშნავს პასუხისმგებლობის აღებას დადებითსა თუ უარყოფით მოქმედებაზე, სტარტეგიული ხედვის განვიტარებას, მიზნების დასახვას, მათ

	განხორციელებას და წარმატებაზე ორიენტირების უნარს.
კულტურული გამომსატველობა	ტერმინი “კულტურული გამომსატველობა” მიესადაგება ადამიანის უნარს დაფასოს იდეების, გამოცდილებისა და ემოციების შემოქმედებითი გამოხატვის მნიშვნელობა სხვადასხვა მედია საშუალებებით, მუსიკის, ლიტერატურისა და პლასტიკური ხელოვნების ჩათვლით

ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, ზემოთ ჩამოთვლილ კომპტენციათაგან მნიშვნელოვანია პირველი ორი.

1. **მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია** – აღიარებულია, რომ მშობლიური ენა ყველა შემთხვევაში ვერ იქნება წევრ სახელმწიფოთა ოფიციალური ენა და, რომ ოფიციალურ ენაზე კომუნიკაციის უნარი წარმოადგენს ინდივიდის საზოგადოების ცხოვრებაში სრული თანამშრომლობის გარანტიას. კომუნიკაცია არის ფიქრების, გრძნობების და ფაქტების ზეპირმეტყველებაში და წერილობითი ფორმით გამოხატვა (მოსმენა, ლაპარაკი, წერა და კითხვა) და ურთიერთობა ლინგვისტურად სოციალური და კულტურული კონტექსტების შესაბამისი ფორმით – განათლება და წვრთნა, სამსახური, სახლი და თავისუფალი დრო. მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია ინდივიდისაგან მოითხოვს ძირითადი ლექსიკის, ფუნქციონალური გრამატიკისა და ენის ფუნქციების ცოდნას. ის მოიცავს სალაპარაკო ენაში ვერბალური

ურთიერთობის სხვადასხვა ფორმების, სხვადასხვა ტიპის ლიტერატურული და არალიტერატურული ტექსტების გაგებას, სხვადასხვა სტილისა და ფორმების დამახასიათებელი ნიშნების ცოდნას, კონტექსტის ცვლილებასთან ერთად ენისა და კომუნიკაციის ფორმის ცვლილებას.

ინდივიდს უნდა ჰქონდეს ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი, მრავალფეროვან საკომუნიკაციო სიტუაციებში აკვირდებოდეს და ადგენდეს მათ სიტუაციის მოთხოვნებს. კომპეტენცია მოიცავს როგორც განსხვავებული ტექსტების კითხვისა და გაგების უნარს, ისე ინფორმაციის მოძიების, შეგროვებისა და გადამუშავების უნარს, რათა შემდგომ გამოიყენოს ის დანიშნულებისამებრ და კონტექსტის შესაბამისად დამაჯერებლად შეძლოს არგუმენტების ფორმულირება და გამოხატვა.

მშობლიური ენისადმი პოზიტიური დამოკიდებულება წარმოადგენს მზადყოფნას კონსტრუქციული და კრიტიკული დიალოგისათვის, ენის ესთეტიური ფასეულობის აღიარებისა და მისკენ მისწრაფების სურვილის, ასევე, სხვებთან საუბრის ინტერესს.

2. **უცხო ენაზე კომუნიკაცია** – უცხო ენაზე კომუნიკაციისათვის საჭირო ძირითადი უნარ-ჩვევები თითქმის ემთხვევა მშობლიურ ენაზე კომუნიკაციის კრიტერიუმებს. ის ეფუძნება ფიქრების, გრძნობებისა და ფაქტების გაგების, გამოხატვისა და ინტერპრეტირების უნარს, როგორც ზეპირი, ასევე, წერითი ფორმით შესაბამისი მასშტაბით – სამსახური, სახლი, გართობა, განათლება და წროვნა – პიროვნების მოთხოვნილებებისა და სურვილებიდან გამომდინარე. უცხო ენაზე კომუნიკაცია ასევე მოითხოვს ისეთი უნარების ქონას, როგორიცაა, ინტერკულტურული გაგება.

კომპეტენცია უცხო ენაში მოითხოვს ლექსიკის და ფუნქციონალური გრამატიკის, ასევე, კერძალური ურთიერთობისას ენის სოციალური გამოყენებისა და კულტურული ასპექტების მრავალფეროვნების ცოდნას. მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები შეიცავს მოსმენილი ინფორმაციის გაგებას,

საუბრის წამოწყებას, წარმართვას და დასრულებას. ადამიანს ასევე უნდა შეეძლოს მისი საჭიროების შესაბამისი ტექსტების კითხვა და გაგება, მისთვის გაწეული დახმარების შესაბამისი გამოყენება და ენის შესწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპებიდან გამომდინარე.

ამრიგად, კომპეტენციათა აღნიშნული ჩარჩო სხვადასხვა ჭრილში და კუთხით განიხილავს კომუნიკაციის უნარს, როგორც უცხო ენის შესწავლის პროცესში აუცილებელ კომპეტენციას. სწორედ ამიტომაც შესაბამისად ჩამოვაყალიბეთ ჩვენი თემის სათაური და კომუნიკაციას მართებული მიმართულება მივეცით ზრდასრულთა უცხოური ენის სწავლების პროცესში.

## 1.6 ზრდასრულთა სწავლების მეთოდები და ორგანიზაციის ფორმები

ზრდასრულები სასწავლო გარემოს სხვადასხვა გარკვეული მიზნების გამო უბრუნდებიან. მაგალითად, შეისწავლონ ახალი უნარები ან დაასრულონ წლების წინ დაწყებული განათლების მიღება. ამდენად, მათ უნდა შევთავაზოთ შესაბამისი მეთოდები – ისინი უნდა ჩავრთოთ საკლასო დისკუსიებში, მივცეთ მათ საშუალება თავისუფლად ისაუბრონ, გამოხატონ საკუთარი აზრები და სხვებს მისცენ რჩება – რეკომენდაციები.

ზრდასრულებს თეორიაზე და აკადემიურ სწავლაზე უფრო მეტად სწავლისადმი პრაქტიკული მიდგომა იზიდავთ. დასაწყისისათვის ლექციის სტილი შესაძლოა მეტ-ნაკლებად გამოგვადგეს, მაგრამ ზრდასრულებთან უფრო მეტად ამართლებს ისეთი მეთოდი, რომელიც მათ მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფს.

გარდა ამისა, შესაძლებელია ზრდასრული შემსწავლელის მიერ სასწავლო პროცესის ორგანიზება საკუთარი მიზნებიდან გამომდინარე. მასწავლებელი მას მხოლოდ ეხმარება დასახული მიზნების მიღწევაში და მოიაზრება მის მრჩევლად.

დამოუკიდებელი სწავლება ზრდასრულ შემსწავლელს საშუალებას აძლევს იმუშაოს და ისწავლოს ისეთი ტემპით, როგორითაც შეუძლია და იმოქმედოს

კონკრეტული მიზნებიდან გამომდინარე. ასეთი ტიპის სწავლება იძლევა დიდი მოქნილობის საშუალებას.

კომფორტული გარემოს შექმნის მეთოდი მოკლე სემინარებისა და ლექციების დროს ზრდასრულებს ეხმარება შეხვდნენ სხვადასხვა სახის ადამიანებს და გაუზიარონ მათ აზრები დადებით და სასიამოვნო გარემოში, რაც მათი სწავლისადმი მოტივაციას კიდევ უფრო აძლიერებს.

შესრულებული სამუშაოს შეფასება და პრაქტიკაში გამოყენება ძლიერ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ზრდასრული შემსწავლელი ძალიან ენდობა მასწავლებელს და მისგან მოელის მის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც მას ეხმარება ცოდნისა და უნარების გაუმჯობესებაში.

**დისკუსიებში ჩართვა:** ზრდასრული შემსწავლელი წარმატებულია ისეთ გარემოში, სადაც მასწავლებელი ახდენს მისი დროის განაწილებას და მის აქტიურ ჩართვას სხვადასხვა სახის დისკუსიებსა და განხილვებში. ამით მას საშუალება ეძლევა მაქსიმალურად დაიხარჯოს და მიიღოს გარკვეული სახის სიამოვნება, რაც იწვევს მის მიერ მასალის უკეთ ათვისებას.

**ჯგუფური განხილვები:** ასეთი ტიპის მიდგომით შემსწავლებს საშუალება ეძლევა ერთობლივად იფიქრონ, გადაჭრან პრობლემები, მიიღონ გადაწყვეტილებები და ა.შ. მასწავლებელმა სასწავლო გარემო ისე უნდა მოაწყოს, რომ ხელი შეუწყოს კრიტიკულ აზროვნებასა და აზრთა გაცვლა-გამოცვლას.

**ურადღების გამახვილება პრობლემის გადაჭრაზე:** შემსწავლელს ეძლევა საშუალება გადაჭრას პრობლემა ინფორმაციის თავმოყრით, შეფასებით და გაზიარებით. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და მსჯელობის განვითარებას.

**როლური თამაშები:** ისინი ზრდასრულებს უზრუნველყოფენ შესაძლებლობით უსაფრთხო და დაცულ გარემოში იმსჯელონ სხვადასხვა სახის საჭირობოტო

საკითხებზე, შეასრულონ მრავალი ისეთი როლი, რომელიც მათ რეალურ გარემოს შეესაბამება და ამით კიდევ უფრო თავისუფლად შეძლონ კომუნიკაცია.

უველა ზემოთ აღნიშნული მეთოდი აქტიურად გამოიყენება უცხო ენის სწავლებაში, რაც უზრუნველყოფს ზრდასრულთა ზეპირი უნარ-ჩვევის განვითარებას და კიდევ უფრო დახვეწას. გარდა ამისა, ზრდასრული შემსწავლელი ხდება უფრო თავდაჯერებული და შეუძლია ნებისმიერ თემაზე თავისუფლად საუბარი ისე, რომ ყურადღება ნაკლებად გაამახვილოს სხვადასხვა ენობრივ შეცდომებზე.

## თავი II. უცხო ენის შესწავლის პედაგოგიური და მეთოდური ასპექტები

ადამიანების მიერ უცხო ენის შესწავლის სისტემური კვლევა მხოლოდ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში განხორციელდა. ეს შემთხვევითი არ არის, ვინაიდან სწორედ აღნიშნულ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ინტერნეტს და ადამიანებს შორის კომუნიკაცია საზღვრებს საკმაოდ გასცდა. უცხო ენის შესწავლა აუცილებელი გახდა, რადგან იგი უკეთესი განათლების მიღებისა და დასაქმებისათვის გადამწყვეტ როლს ასრულებდა.

უცხო ენის შესწავლა საკმაოდ შრომატევადი, როგორიცაც დატვირთული და ხანგრძლივი პროცესია. მასზე მოქმედებს სხვადასხვა შიდა თუ გარე ფაქტორები. გარდა ამისა, უველა ადამიანს ერთნაირად არ შეუძლია შეისწავლოს უცხო ენა მისი შესწავლის უნარიდან გამომდინარე. ეს კი ზეგავლენას ახდენს მის პროგრესსა და საბოლოო შედეგზე.

ამერიკელი ფსიქოლოგისა და ლინგვისტის ჯონ კაროლის (1916-2003) მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგად გამოიკვეთა უცხო ენის შესწავლის უნარის სხვადასხვა კომპონენტები, როგორიცაა, უცხო ენის ბგერების ამოცნობა ისე, რომ მათი ადვილად დამახსოვრება იყოს საჭირო, წინადადებაში სიტყვების გრამატიკული ფუნქციის ამოცნობა, მაგ: ქვემდებარე და შემასმენელი, ფორმასა და

მნიშვნელობას შორის ურთიერთკავშირი, სიტყვების სხვადასხვა მნიშვნელობის განსხვავება.

კვლევის შედეგად ასევე დადასტურებულია, რომ უცხო ენის შესწავლის უნარსა და მის წარმატებით შესწავლას შორის მჭიდრო კაგშირია. დიდი მნიშვნელობა აქვს თუ რამდენად მოტივირებულია ადამიანი შეისწავლოს უცხო ენა. ინსტრუმენტული მოტივაციის (უცხო ენის შესწავლა რაიმე კონკრეტული მიზნის მისაღწევად) დროს შემსწავლელი უცხო ენას სწავლობს რაიმე ფუნქციური მიზეზით – ჩააბაროს გამოცდა, იშოვოს უკეთესი სამსახური ან მოეწყოს უნივერსიტეტში. ზოგიერთი ტიპის სასწავლო დაწესებულებაში, ინსტრუმენტული მოტივაცია უცხო ენის შესწავლის წარმატების გადამწყვები ფაქტორია, რადგან შემსწავლელი მას სწავლობს საგანმანათლებლო და ეკონომიკური შესაძლებლობების გამო.

ზოგიერთ შემთხვევაში, ენის შესწავლის სურვილი განპირობებულია ქვეყნის კულტურითა და ხალხით დაინტერესებით. ასეთ დროს, შემსწავლელს მიაჩნია, რომ თუ იგი შეისწავლის იმ ქვეყნის ენას, რომლის შესახებაც სურს მოიპოვოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია, იგი ამას უფრო უფექტურად შეძლებს. ასეთ მოტივაციას ინტეგრაციული ეწოდება. არსებობს ასევე ე.წ. რეზულტატიული მოტივაცია – როდესაც უცხო ენის შესწავლის დროს არსებული მიღწევები განაპირობებს მისი კიდევ უფრო მონდომებით სწავლას. შინაგანი მოტივაციის შემთხვევაში, შემსწავლელი უცხო ენას სწავლობს მხოლოდ მისი კონტრეტული მიზნებიდან და ფაქტორებიდან გამომდინარე, როგორიცაა, მისი ინტერესები ან პირადად ჩართულობა სასწავლო აქტივობაში.

შესაძლებელია შემსწავლელი ერთდროულად იყოს მოტივირებული ორი ან მეტი მიზეზის გამო. მოტივაციას ახასიათებს დინამიკურობა, იგი ცვალებადია და დამოკიდებულია სასწავლო გარემოზე, კონკრეტულ სიტუაციასა და ამოცანაზე.

თუ უცხო ენის შემსწავლელს სჭირდება უცხო ენაზე საუბარი მრავალ სხვადასხვა ყოველდღიურ გარემოში ან სიტუაციაში, ან სურს დაიკმაყოფილოს

პროფესიული ამბიციები, იგი მოტივირებულია ისე შეისწავლოს უცხო ენა, რომ შეძლოს ამ ენაზე კომუნიკაცია. ასევე, თუ მას მოსწონს უცხოელი, იგი სიამოვნებით ჩაერთვება მასთან საუბარში. ამდენად, მასწავლებელს თავისუფლად შეუძლია დადებითი როლი შეასრულოს და პოზიტიური ზეგავლენა მოახდინოს შემსწავლელის მოტივაციაზე ისწავლოს ენა, თუ იგი გაკვეთილზე ისეთ სასიამოვნო გარემოს შეუქმნის მოსწავლეს, რომ მას უხაროდეს უცხო ენის შესწავლა. ეს გულისხმობს თემატიკისა და მასალის შესაბამისი დონისა და ასაკისათვის შერჩევას, ნათელი მიზნების დასახვას და გამამხნევებელი და სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნას. გარდა ამისა, ენობრივი ამოცანები და საგარჯიშოები ისე უნდა მომზადდეს, რომ გამოიწვიოს შემსწავლელის მაქსიმალური ჩართულობა.

კვლევით დამტკიცებულია, რომ თუ შემსწავლელებს თავიდანგვე ეცნობებათ იმის შესახებ, თუ რა სახის ამოცანები და დავალებები იქნება გამოყენებული, მათი ინტერესი უფრო გააძტიურებულია და, შესაბამისად, სასწავლო პროცესიც უფრო წარმატებულია. ასევე, ენობრივი ამოცანების, საგარჯიშოებისა და მასალის ცვლა და მუდმივი გამრავალფეროვნება დიდ ინტერესსა და მოტივაციას იწვევს. ამას ემატება ისეთი მიზნების დასახვა, რომლებიც გულისხმობს ურთიერთ-თანამშრომლობას და შემსწავლელთა ერთობლივ მუშაობას ამათუიმ ენობრივი ამოცანის შესასარულებლად თუ პრობლემის გადასაჭრელად. ასეთი მეთოდები ზრდის შემსწავლელთა თვით-რწმენას, ძალიან სუსტი შემსწავლელების ჩათვლითაც კი, რადგანაც თოთოეულ მათგანს თავისი გარკვეული ამოცანა აქვს შესასრულებელი.

**უცხო ენის შესწავლისას გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი:**

**ენა უნივერსალურია:** უკელა კულტურულ ჯგუფს გააჩნია ენობრივი სისტემა, რომელსაც მისი წევრები მუდმივად ხვეწენ იმისათვის, რომ ერთმანეთთან დაამყარონ კომუნიკაცია

ენა სისტემურია: ყველა ენას გააჩნია თავისებური უნარი გააერთიანოს ბეჭედი, სიტყვები და წინადაღებები

არც ერთი ენა არ არის სრულიად სტაბილური და სრულყოფილი: არსებობს გამონაკლისები

ყველა ენაში შეიძლება ახალ-ახალი ნიუანსების შეტანა: თუმცა ისინი ამ ენაში დადგენილ წესებს უნდა ექვემდებარებოდნენ

ენები იცვლება: მათში შემოდის ახალი სიტყვები და ფრაზები, რათა მოხდეს თანამედროვე სამეცნიერო და ტექნოლოგიური მოთხოვნების დაკმაყოფილება

ადამიანებს გააჩნია ენის შესწავლის თანდაყოლილი ნიჭი და უნარი: გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმე გვაქვს ნერვული სისტემის რაიმე დარღვევასთან

ენა და კულტურა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული: წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, დირებულებები, მოთხოვნები, ამბები, რელიგია, ისტორია და კულტურის სხვა მაჩვენებლები სწორედ ენის საშუალებით გადაიცემა.

ენა და აზროვნება ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება: ბავშვები და ზრდასრულები ენას იყენებენ იმისათვის, რომ ერთმანეთს გაუზიარონ მოსაზრებები და შეხედულებები

## 2.1. პოპულარული მოსაზრებები და კომენტარები ენის შესწავლის შესახებ

ნიჭიერი ადამიანები ენის საუკეთესო შემსწავლებლები არიან: მართალია ნიჭი და ენის შესწავლისადმი მიღრეკილება დიდ როლს თამაშობს, მაინც უფრო მნიშვნელოვანია თითოეული შემსწავლელისადმი შესაბამისი მეთოდის შერჩევა

მოტივაცია მნიშვნელოვნად განაპირობებს პროგრესს: მიუხედავად იმისა, რომ შემსწავლელი, რომელსაც უნდა ისწავლოს, უკავთესად სწავლობს, ვიდრე ის, ვინც საერთოდ არ არის მოტივირებული, მასწავლებელმა მაინც უნდა შექმნას სწავლისათვის ხელსაყრელი გარემო, რაც გულისხმობს შემსწავლელთა

აქტივობებში ჩართულობას, მათი კულტურული განსხვავებების გათვალისწინებას, სწავლისათვის სასიამოვნო გარემოს შექმნას

რაც უფრო ადრე დაგუწყებთ ბაგშეს ენის სწავლებას, მით უფრო წარმატებით ისწავლის იგი: ეს დამოკიდებულია მიზნებსა და ბაგშეის ათვისების უნარზე

შემსწავლელთა მიერ დაშვებული შეცდომების უმეტესობა გამომდინარეობს დედა ენის ზეგავლენისაგან: აღსანიშნავია, რომ უცხო ენის შესწავლაზე ერთი ან მეტი ენის ფლობა დადგებით ზეგავლენას ახდენს. თუ ენები ერთსადაიმავა ჯგუფს განეკუთვნებიან (მაგ: ინდო-ევროპული, სლავური), შემსწავლელს მეორე ენის ათვისება უადვილდება. მეორეს მხრივ, დედა ენაში არსებული სტრუქტურების გადმოტანა უცხო ენაში შეცდომების დაშვების ძირითადი წყაროა და სწორედ ასეთი შეცდომების აღმოფხვრაა ძნელი

ახალი სიტყვების შესწავლის საუკეთესო გზაა კითხვა: აღნიშნული მოსაზრება საკმაოდ სწორია, მაგრამ, ასევე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა შემსწავლელი არ კითხულობს დიდი რაოდენობით

თუ შემსწავლელმა იცის ათასამდე სიტყვა და ფლობს უცხო ენის ძირითად სტრუქტურებს, იგი ადვილად მიიღებს მონაწილეობას საუბარში იმ უცხოელებთან, ვისთვისაც იგი დედა ენაა: თუ შემსწავლელს გარკვეული სახის ლექსიკური და გრამატიკული ბაზა გააჩნია, მას უადვილდება გაგება და გაგებინება

მასწავლებელმა გრამატიკული წესები თანდათან უნდა ასწავლოს, შემსწავლელმა კი ისინი პრაქტიკული სავარჯიშოების კეთებით უნდა გაიგოს: უცხო ენის შესწავლის პროცესში არსებობს ეტაპები, როდესაც ერთი ფორმა შესაძლოა აბსოლუტურად სწორად იქნეს გამოყენებული, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ შემსწავლელს იგი კარგად ესმის, ხოლო სხვა დროს საერთოდ ვერ გამოიყენოს, რადგან მას ეს ფორმა ერევა მის საკუთარ ენაში არსებულთან. ენის შესწავლა ახალი ენობრივი ფორმებისა და სტრუქტურების არსებულთან ინტეგრირებისა და შერწყმის პროცესია, რის შედეგადაც ხდება მათი მოდიფიცირება და ცვლა მანამ, სანამ ყველაფერი ერთ საბოლოო დახვეწილ ფორმას არ მიაღწევს.

უცხო ენის შესწავლის მეთოდი გრამატიკული წესების ანალიზისა და გამოყენების მეშვეობით ემყარება იმ მცდარ ვარაუდს, რომ უცხო ენის განვითარება წესების დაგროვებას გულისხმობს. ამის დანახვა კარგად შეიძლება სახელმძღვანელოებში, რომლებშიც ერთი სახის ენობრივი მასალა მოცემულია პირველ გაკვეთილზე და რამდენიმე მომდევნო მეცადინეობაზე ხდება მისი განმტკიცება, რის შემდეგაც ხდება გადასვლა ახალ მასალაზე. ერთი სტრუქტურის იზოლირებული და თანდათანობითი შემოყვანა და ვარჯიში არ აძლევს შემსწავლელს შესაძლებლობას აღმოაჩინოს, თუ როგორია სხვადასხვა ენობრივი თვისებები ენის ჩვეულებრივი გამოყენებისას. აქვე, საგულისხმოა ისიც, რომ თუ თავიდან ნასწავლ მასალას არ განვამტკიცებთ და გავიმეორებთ შემდგომ, იგი მალე დაგვავიწყდება

რთულ ენობრივ სტრუქტურებამდე უნდა ისწავლებოდეს მარტივი: კვლევებმა გვიჩვენა, რომ არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორ და რა თანმიმდევრობით გასწავლით ენას. შემსწავლელი გარკვეულ სტრუქტურებს სხვებზე აღრე ითვისებს. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არის მიზანშეწონილი შემსწავლელთა შეზღუდვა მარტივი ფორმებისა და სტრუქტურების გამოყენებაში

შემსწავლელის მიერ დაშვებული შეცდომები დაუყოვნებლივ უნდა გავასწოროთ მაგნე ჩვევის თავიდან აცილების მიზნით: შეცდომების დაშვება უცხო ენის შესწავლის პროცესის აუცილებელი კომპონენტია და მიგვითითებს იმაზე, რომ შემსწავლელის ცოდნა ვითარდება. მასწავლებლის მოვალეობაა მაქსიმალურად დაეხმაროს მას ენის შესწავლის პროცესში. ეს კი მოიცავს ენის სწორი ფორმების მიწოდებას და დაშვებული შეცდომების ანალიზს. როდესაც შემსწავლელი გამუდმებით უშვებს შეცდომებს, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ჯგუფში ყველა ასე იქცევა, მასწავლებელმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ შემსწავლელმა სწორი ფორმები უცებ უნდა შეისწავლოს. აქ მნიშვნელოვანია იმ ფაქტორის გათვალისწინება, რომ მრავალჯერ შესწორებით საბოლოო ჯამში ხდება სწორი ფორმების დამახსოვრება.

შეცდომების ზედმეტად ხშირად გასწორება უარყოფითად მოქმედებს მოტივაციაზე, კინაიდან შემსწავლელი კარგავს სურვილს გააგრძელოს სწავლა და მიაჩნია, რომ იგი ვერასდროს ისწავლის სწორად საუბარს. ამდენად, საჭიროა დაკვირვება, შემსწავლელთა ტიპების გათვალისწინება და ყურადღების მიქვევა იმაზე, თუ რა დამოკიდებულება აქვთ მათ ერთმანეთთან და მასწავლებელთან. ზეპირი კომუნიკაციის ვარჯიშის დროს ზედმეტად შესწორება და გამუდმებით შეწყვეტინება იწვევს გარკვეულ შემსწავლელთა დაკომპლექსებას, ხოლო სხვების, პირიქით, გამოცოცხლებას.

მასწავლებელმა კლასში მხოლოდ ის მასალა უნდა გამოიყენოს, რომელიც ნასწავლს კიდევ უფრო განამტკიცებს: რა თქმა უნდა, ასეთი მიღებობა არ არის ცუდი, მაგრამ მხოლოდ ნასწავლი ენობრივი სტრუქტურების გამოყენება არცთუისე მიზანშეწონილია. თუ შემსწავლელს საკმარისად არ დავაინტერესებთ, მისი მოტივაცია იკლებს და, შესაბამისად, იგი არ სწავლობს ხარისხიანად. მასწავლებელმა მას ასევე უნდა ასწავლოს ის სტრატეგიები, რომლებიც დაეხმარება საკლასო გარემოს გარეთ დამოუკიდებლად შეძლოს უცხო ენაზე კომუნიკაცია.

როდესაც შემსწავლელს საშუალებას ვაძლევთ თავისუფლად ისაუბროს ერთმანეთში წყვილებსა თუ ჯგუფებში, ისინი ერთმანეთის შეცდომებს იმეორებენ. თუ აქტივობები კარგად არის შედგენილი და შემსწავლელები წყვილებში თუ ჯგუფებში შესაბამისად არიან გადანაწილებულნი, ისინი ენას უკეთესად სწავლობენ. კვლევის თანახმად, შემსწავლელი არ უშვებს შეცდომას, როცა ესაუბრება მისივე დონის სხვა შემსწავლელს. ენის ბუნებრივად მატარებელთან ან უცხო ენის უფრო მაღალი დონის შემსწავლელთან საუბრისას შეცდომების დაშვება უფრო ხშირია. ამდენად, საჭიროა ენობრივი ამოცანების ისეთნაირად შედგენა და მომზადება, რომ შემსწავლელმა შეძლოს მნიშვნელობის გაგება და იმ ახალი ენობრივი საშუალებების ათვისება, რომლებიც სჭირდება ამოცანის შესასრულებლად. წყვილებში და ჯგუფურად მუშაობა ენობრივი უნარის

განვითარების მნიშვნელოვანი საშუალებაა. იგი ენის შემსწავლელს წარმატებულს და მეტად თავდაჯერებულს ხდის

შემსწავლელი სწავლობს იმას, რასაც მას ასწავლიან. მასწავლებელმა კარგად იცის საბუთარი გამოცდილებიდან, რომ შემსწავლელი არ სწავლობს ყმალაფერს, რასაც მას ასწავლიან. ზოგიერთი მეთოდის მეშვეობით შემსწავლელს ეძლევა შესაძლებლობა მხოლოდ გარკვეული რაოდენობის სიტყვები და წინადაღებების ტიპები ისწავლოს. მაშინაც კი, როდესაც შემსწავლელს მდიდარ ენობრივ მასალას გასწავლით, ეს არ ნიშნავს, რომ იგი მას დაუყოვნებლივ აითვისებს. შემსწავლელს აქვს უნარი აღმოაჩინოს გარკვეული წესები და კავშირები იმ ენაში, რომელსაც სწავლობს. ამ კუთხით, იგი იმაზე მეტს სწავლობს, რასაც მას ასწავლიან.

შეცდომები მასწავლებელმა უნდა გაასწოროს ისე, რომ სწორი გარიანტი კი არ წარმოადგინოს, არამედ მიახვედროს შემსწავლელი, რომ მან შეცდომა დაუშვა. ასეთი ტიპის შესწორება ყველაზე მეტად პრაქტიკულია, ვინაიდან საუბარი არ წყდება, ხოლო შემსწავლელი თავს უხერხულად არ გრძნობს. შესაბამისად, მას მოსწონს ასეთი ტიპის შესწორება და მასზე დადებითად რეაგირებს

უცხო ენის სწავლება უფრო წარმატებით მიმდინარეობს, როდესაც სასწავლო პროცესში უცხო ენა გამოიყენება. ასეთი ტიპის სწავლებისას შემსწავლელს უვითარდება გააზრების უნარი, ლექსიკა და კომუნიკაციური კომპეტენცია.

ამდენად, უცხო ენის შესწავლაზე მრავალი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას: შემსწავლელის პიროვნული თვისებები და გამოცდილება, სოციალური და კულტურული გარემო კლასში და მის გარეთ, დედა ენისა და სამიზნე ენის სტრუქტურა, ენის ბუნებრივ მატარებელთან კონტაქტი და სწავლის დროს შეცდომების გასწორება. მიუხედავად ამისა, თუ ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებს გავითვალისწინებთ, უკეთესად მოხდება სასწავლო პროცესის წარმართვა და, შესაბამისად, შედეგიც არ დააყოვნებს.

## 2.2 უცხო ენის შემსწავლელთა დამახასიათებელი თვისებები

როგორც წესი, ასაკის მიუხედავად, ყველა უცხო ენის შემსწავლელს სულ ცოტა ერთი ენის შესწავლის გამოცდილება მაინც გააჩნია, რაც მნიშვნელოვანი უპირატესობაა მისთვის იმ თვალსაზრისით, რომ მას უკვე გარკვეული წარმოდგენა აქვს იმის შესახებ, თუ როგორ ისწავლება ენა. მეორეს მხრივ, სხვა ენის ცოდნა ზეგავლენას ახდენს უცხო ენის შემსწავლელზე და შედეგად იწვევს ისეთი შეცდომების დაშვებას, რომელთაც ამ ენის ბუნებრივად მატარებელი არასოდეს არ დაუშვებს.

თუ შედარებით ზრდასრული ასაკის შემსწავლელს განვიხილავთ, მათი შემცნებითი სიმწიფე და მეტალინგვისტური ცნობადობა ეხმარება მათ ენის უკეთ ათვისებაში, ისინი უცხო ენაზე პრობლემებს აღვილად ჭრიან და აქტიურად ერთვებიან დისკუსიებში. თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ამ კოგნიტური უნარ-ჩვევების გამოყენება უშუალოდ ენის ათვისებას უშლის ხელს. მათი პიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ უცხო ენის წარმატებული შესწავლა მოითხოვს სხვადასხვა გონიერივ შესაძლებლობებს, რომლებიც უშუალოდ ახასიათებს უცხო ენის შესწავლას. ეს მოსაზრება უკავშირდება იმ აზრს, რომ ენის ათვისებისას არსებობს გარკვეული კრიტიკული პერიოდები.

გარდა ამისა, ყველა ადამიანს უცხო ენის ათვისების ინდივიდუალური მეთოდი გააჩნია. კვლევამ გვიჩვენა, რომ იმ შემსწავლელთა შედეგები, რომლებიც შინაგანად მოტივირებულნი არიან ისწავლონ გაცილებით უკეთესია. თუ მათ ათვისების უნარიც უფრო კარგი აქვთ, ენას უფრო აღვილად და სწრაფად სწავლობენ. აქვე აღსანიშნავია ისეთი პიროვნული თვისებები, როგორიცაა, მისი აქტიურობა გაბეჭილებზე, უფრთხის თუ არა იგი შეცდომების დაშვებას, ნერვიულობს თუ არა სწავლის პროცესში, რამდენად სურს კომუნიკაციაში ჩართვა, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა თემა განიხილება, ვისთან უწევს საუბარი, რამდენად ოფიციალურია გარემო და ა.შ.

შემსწავლელის “სურვილი დამყაროს კომუნიკაცია” ასევე უკავშირდება ერთგვარ ღელგას. ჩვენ ყველას გვახსოვს შემთხვევები, როდესაც ყველანაირად გვიცდია თავიდან აგვეცილებინა უცხო ენაზე საუბარი. ამის ძირითადი მიზეზია ჩვენს გარშემო არსებული სხვადასხვა ადამიანები, საუბრის თემა, გარემოებათა ოფიციალურობა, შესაბამისი საკომუნიკაციო სტრატეგიების არ ცოდნა.

უცხო ენის შესწავლის უნარი და მოტივაცია ის ზოგადი ფაქტორებია, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ უცხო ენის შესწავლის წარმატებაზე, ხოლო შესაბამისი სტრატეგიები მის დახვეწა-უკეთ შესწავლაში გვეხმარება.

სტრატეგიები ის კონკრეტული მიდგომები თუ მეთოდებია, რომლებსაც შემსწავლელი იყენებს პრობლემის გადასაჭრელად. მაგ: ახალი სიტყვის დამახსოვრება.

კოგნიტური სტრატეგიები გამოიყენება ანალიზისას, სინთეზისას ან სასწავლო მასალის ტრანსფორმაციის დროს. მაგ: აზრიანი წინადადებების აგება უცხო ენაში ნაცნობი ელემენტების ახლებური კომბინაციით.

მეტაკოგნიტური სტრატეგიები გამოიყენება სწავლების დაგეგმვა, მონიტორინგსა და შეფასებაში. მაგ: როდესაც შემსწავლელი გააზრებულად აკეთებს გადაწყვეტილებას ყურადღება მიაქციოს მასალის გარკვეულ ასპექტებს.

სოციალური სტრატეგიები, რომლებსაც შემსწავლელი ირჩევს იმისათვის, რომ ჩაერთოს სხვა მოსაუბრესთან საუბარში. მაგალითად, შეკითხვების დასმა სიტუაციის გასარკვევად, გამეორება, სხვა სიტყვებით თქმა, მაგალითის მოყვანა.

მრავალი კვლევა თუ ძიება განხორციელდა იმის დასადგენად, თუ რომელი სტრატეგია უფრო მნიშვნელოვანია უცხო ენის შესწავლაში. ერთ-ერთი ასეთი მიმართულებაა წარმატებული და კარგი შემსწავლელების კვლევა, რასაც მოჰყვა ის მნიშვნელოვანი შედეგი, რომ ენის წარმატებული შემსწავლელი ყურადღებას აქცევს ფორმასაც და მნიშვნელობასაც. გარდა ამისა, იგი აქტიურია და იყენებს გარკვეულ სტრატეგიებს იმისათვის, რომ საკუთარი სასწავლო პროცესი ეფექტური

გახადოს და მოქნილია ამ სტრატეგიების გამოყენებასა და ცვლაში. რაც მთავარია, იგი ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ შეძლოს კომუნიკაცია და წარმატებას მიაღწიოს.

პედაგების შედეგად ასევე ისიც დადგინდა, რომ წარმატებული შემსწავლელი უფრო მეტ სტრატეგიას იყენებს, ვიდრე არა-წარმატებული. ის სტრატეგიები, რომლებიც მოიცავს ფორმალურ პრაქტიკას (მაგ. ახალი სიტყვის დამახსოვრებაზე ვარჯიში) ხელს უწყობს ლინგვისტური კომპეტენციის განვითარებას, ხოლო ის სტრატეგიები, რომლებიც მოიცავს ფუნქციურ პრაქტიკას (მაგ: უცხო ენის ბუნებრივ მატარებლებთან საუბარი), ხელს უწყობს კომუნიკაციური უნარების განვითარებას. წარმატებული შემსწავლელი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა სტრატეგიას იყენებს. თუმცა, გაურკვეველია ის ფაქტორი, თუ როგორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ ამ კვლევიდან – სტრატეგიის გამოყენებას მოაქვს შედეგად სწავლა თუ სწავლა ზრდის შემსწავლელთა უნარს კიდევ უფრო მეტი სტრატეგიები გამოიყენონ.

ამდენად, უცხო ენის შემსწავლელის მიერ გამოყენებული სტრატეგიების კვლევა უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან თუ დადგინდება ის ფაქტი, თუ რომელი სტრატეგია ახდენს მასზე დადებით ზეგავლენას, შესაძლებელი გახდება მათთვის ამ სტრატეგიების სწავლება. მაგალითად, თუ ვასწავლით რაიმე კონკრეტულ გრამატიკულ სტრუქტურას, ისიც უნდა ვასწავლოთ, თუ როგორ დაიმახსოვროს და გაიგოს იგი. თუ მას რაიმე ლექსიკურ ერთეულს/ახალ სიტყვას ვასწავლით, საჭიროა დავეხმაროთ ამ სიტყვების უკეთ გაგებაში შესაბამისი ენობრივი ამოცანების მეშვეობით. მაგალითად, რასთან მოახდინონ ამ სიტყვის გაიგივება, როდესაც მისი კონტექსტში გამოყენება ან გახსენება დასჭირდება.

სტრატეგიის განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომა გვეხმარება შემსწავლელი უფრო აგტონომიური და დამოუკიდებელი გავხადოთ უცხო ენის შესწავლის პროცესში.

სწავლების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თვითონ შემსწავლელთა უნარსა და დამოკიდებულებაზე. შესაბამისი სტრატეგიების განვითარებით კი ჩვენ მათ შესაძლებლობას გაძლევთ უფრო წარმატებით გამოიყენონ დაგროვილი ცოდნა.

### თავი III. კომუნიკაციის საფუძვლები და მისი როლი საზოგადოებაში

#### 3.1. ეფექტური კომუნიკაციის არსი.

კომუნიკაცია (ლათ. communicatio – დაკავშირება, საყოველთაოდ გადაქცევა) გულისხმობს ორ ან მეტ ადამიანს შორის ინფორმაციის გაცვლას. იგი ასევე მოიცავს ურთიერთობას, აზრების, ცოდნის, გრძნობა-განცდის, ქცევის ნორმათა და ა.შ. გაზიარებას.

კომუნიკაციის პროცესი არის მოქმედების უწყვეტი თანმიმდევრობა დროში. იგი საკმაოდ რთული პროცესია და შედგება მრავალი ურთიერთდაკავშირებული ნაბიჯისაგან, რომელთაგან თითოეული საჭიროა იმისათვის, რომ აზრები გასაგები გახდეს საზოგადოებისათვის.

კომუნიკაცია არის სოციალური პროცესი, რომლის მეშვეობით ადამიანები კონკრეტულ კონტექსტში მნიშვნელობას იგებენ სიმბოლური ქცევის მეშვეობით. ამ პროცესს ესაჭიროება აღქმა, გაგება, გაზიარება, რაც შეუძლებელია თუ კომუნიკაციის შედეგად არ დავადგენო სიტყვების, ფრაზებისა და არა-ვერბალური კოდების ზოგად/საერთო მნიშვნელობას. გარდა ამისა, კომუნიკაცია მოიცავს გაზიარებას და ადამიანებს შორის ინტერაქციას. თუ გვინდა, რომ ესათუის შეტყობნება გავიგოთ, უნდა გვესმოდეს მისი მნიშვნელობა.

როგორც წესი, კომუნიკაცია მიმდინარეობს სხვადასხვა გარემოებათა და სიტუაციათა ერთიანობაში – მეგობრებს, მეზობლებს, საქმიან პარტნიორებს, ლექტორსა და სტუდენტს, თანამშრომლებს და ა.შ. შორის. კონტექსტის მნიშვნელობა ზოგ სიტუაციაში მეტად, ზოგჯერ კი ნაკლებად ხელის შემშლელია.

კომუნიკაციის სახესა თუ ტიპზე დიდ გავლენას ახდენს მასში ჩართული ადამიანების რაოდენობა, იმის მიხედვით გეპონტაქტებით ჩვენს თავს, სხვა ადამიანებს თუ ადამიანს, ჩვენ ვარჩევთ შესაბამის ვერბალურ და არა-ვერბალურ კოდებს.

ვერბალური კოდები შედგება სიმბოლოებისა და მათი გრამატიკული წყობისაგან. არავერბალური კი, ყველა იმ სიმბოლოსაგან, რომლებიც არ წარმოადგენენ სიტყვებს, სხეულის მოძრაობის, სივრცისა და დროის, ჩაცმულობისა და სიტყვების გარდა ყველა სხვა ფორმების ჩათვლით.

კომუნიკაციაში ძალიან დიდ როლს თამაშობს ის, თუ როგორ აღვიქვამთ ჩვენს საკუთარ თავს. საწყის ეტაპზე უნდა გვქონდეს იმის უნარი, რომ გავიაზროთ ვინ ვართ, რა გვაძავშირებს ჩვენს წარსულთან, რა გეგმები გვაქვს მომავალში.

კომუნიკაცია მყარდება სხვადასხვა მიზნების გამო.

- ფიზიკურად: რათა ვიყოთ ჯანმრთელი. სოციალურად იზოლირებული ადამიანები დროზე ადრე კვდებიან.
- სოციალურად: ჩვენ უნდა ვიგრძნოთ, რომ სოციალურად მივეპუთვნებით ამათუიმ ჯგუფს ან შეგვიძლია ჩვენი ცხოვრების კონტროლი.
- ფსიქოლოგიურად: კომუნიკაცია იმისათვის უნდა დავამყაროთ, რომ პიროვნებად ჩამოვყალიბდეთ. ამრიგად, კომუნიკაცია გვეხმარება ვაცნობოთ სხვებს ამათუიმ საკითხზე, გამოვხატოთ გრძნობები, ჩვენი წარმოდგენები, შევასრულოთ სოციალური სიტუაციები, დავარწმუნოთ სხვები.

არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რამდენად კარგად ვართ დახელოვნებული კომუნიკაციაში, ყველა საუბარი და დიალოგი არ შეიძლება იყოს მეგობრული და სასიამოვნო. მრავალი კონფლიქტი წარმოიშვება სწორედ არასწორი კომუნიკაციის

შედეგად და მათი გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ გაუმჯობესებული კომუნიკაციის უნარ-ჩვევით.

მრავალი ეკონომისტი თუ პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ ქვეყნის ეკონომიკური მომავალი მჭიდროდაა დაკავშირებული გლობალურ ეკონომიკასთან, სადაც უფექტური კომუნიკაცია ვაჭრობისა და თანამშრომლობის წარმატების საწინდარია. გარდა ამისა, ჩვენ ვხვდებით არა მარტო გლობალური ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური სისტემის ნაწილი, ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოება და პოლიტიკური კეთილდღეობა დიდადაა დამოკიდებული არა მარტო ჩვენს ქმედებებზე, არამედ სხვა კულტურის წარმომადგენელთა ქმედებებზეც. საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა ჩვენი სამყარო კიდევ უფრო პატარა გახდა. ემიგრაცია, ცვალებადი ეკონომიკური პირობები და სხვა ფაქტორების ერთობლიობა კიდევ უფრო მეტ მრავალფეროვნებას ქმნის ქვეყნის კულტურაში. სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები სხვადასხვა სიტუაციებში სხვადასხვანაირად რეაგირებენ. ისინი ასევე სხვადასხვანაირად ამყარებენ კომუნიკაციას. ზოგი სხვადასხვა ენაზე საუბრობს, ზოგი კი იყენებს არავერბალურ საშუალებებს, როგორიცაა, ჟესტები.

კომუნიკაციის პროცესი ითვალისწინებს ინფორმაციის გადაცემას და შეიცავს საწყის ქცევით ინფორმაციას. იგი არ არსებობს ადამიანების აქტიურობის რაიმე ფორმის გარეშე. ის ყველანაირად არის დაკავშირებული ადამიანებს შორის ურთიერთობასთან. იგი შეიძლება იყოს ძალიან რთული ან მარტივი, ძალიან ოფიციალური ან არაოფიციალური – ყველაფერი დამოკიდებულია გადასაცემი ინფორმაციის ტიპზე და მის გადამცემსა და მიმღებს შორის ურთიერთობაზე.

კომუნიკაცია გულისხმობს ინფორმაციის გაცვლასა და გაგებას მხარეებს შორის. ამიტომაც, იგი გადამწყვეტია ორგანიზაციის წარმატებაში. კომუნიკაცია აკავშირებს ადამიანებს ორგანიზაციასთან, ზრდის სტიმულირებას, აუმჯობესებს ურთიერთობებს და ურთიერთგაგებას, ეხმარება ადამიანებს გაიგონ ცვლილებების საჭიროება.

იმისათვის, რომ კარგი ურთიერთობა დაგამყაროთ, კარგად უნდა ვიცნობდეთ საკუთარ თავს, ჩვენს შეხედულებათა ათვლის სისტემას და გვქონდეს უნარი შეგაფასოთ სხვა ადამიანები. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია იმედი გვქონდეს ვიპოვოთ მათთან ეფექტური კომუნიკაციის საუკეთესო გზები როგორც ინფორმაციის გადაცემის, ისე ურთიერთობის დამყარებისას.

კომუნიკაცია შესაძლოა აიგოს შემდეგ პრინციპებზე:

- კომუნიკაციის მონაწილეთა რაგვარობის მიხედვით: პიროვნებათაშორისი, პიროვნულ-ჯგუფური, ჯგუფთაშორისი, კულტურათაშორისი და ა.შ.
- კომუნიკაციის პროცესის დონეების მიხედვით: ყოფითი კულტურის დონე
- კომუნიკაციის ფორმების მიხედვით – ვერბალური და არავერბალური ყველაფერი, რაც ადამიანის გარემო სინამდვილეს წარმოადგენს, კომუნიკაციური გარემოა. ამ გარემოს საგნების და მოვლენების ერთი ნაწილი კომუნიკაციის ფუნქციით გამოიყენება, მეორე კი – კომუნიკაციის საშუალებით.

კომუნიკაცია ყველა სფეროში არსებობს. იგი ყველა ცოცხალი ორგანიზმის თვისება და მოთხოვნილებაა. ენობრივი უნარი/კომპეტენცია ადამიანის ბუნებრივი ენის შესაცნობად და ამ ენაზე კომუნიკაციისათვის მიეცა. სოციალურ პირებად ჩამოყალიბებაში ადამიანს სწორედ კომუნიკაცია უწყობს ხელს. ამიტომ, კომუნიკაციური კომპეტენტურობის ხარისხი პირდაპირ შეეფერება ადამიანის სოციალიზებულობის, მისი ინტელექტისა და სხვა თვისების გამოვლენის დონეს.

### **3.2. კომუნიკაციის ფორმები და სახეები**

კომუნიკაციის ფორმებია: ზეპირი, წერითი, გიზუალური და ა.შ. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შეტყობინების/გზავნილის კოდირების სისტემით.

კომუნიკაციის საშუალებები კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას აერთიანებს. მათი გამოყენება ხან შეგნებული-გაზრებულია, ხან კი - უნებლიერ.

არსებობს შემდეგი სახის კომუნიკაცია:

ინტერპერსონალური – ადამიანის საუბარი თავის შინაგან “მესთან”

პიროვნებათაშორისი – კომუნიკაცია ორ მოსაუბრეს შორის

ჯგუფური – კომუნიკაცია ჯგუფს შიგნით, ჯგუფებს შორის, ინდივიდსა და ჯგუფს შორის

მასობრივი – დიდი მასისათვის განკუთვნილია

### **3.3. კომუნიკაციის მიზნები და მიზეზები**

კომუნიკაციის მიზნებია:

- გაფრთხილება
- შეტყობინება
- განმარტების მიცემა
- გართობა
- აღწერა
- დარწმუნება და ა.შ.

კომუნიკაციის მიზეზებია: თანამშრომლობა, არსებობის შენარჩუნება, სხვებთან ურთიერთობა და ა.შ.

მეტყველების დროს კომუნიკაციაში ჩართულ პირთა ქცევები გარკვეულ მიზანს ექვემდებარება. მიზნის მისაღწევად კი გამოიყენება სხვადასხვა ხერხები.

- კომუნიკაციური სტრატეგიები
- კომუნიკაციური ტაქტიკა
- კომუნიკაციური უნარ-ჩვევები

საზოგადოებრივი კომუნიკაციის სფეროში მომუშავე ადამიანს აუცილებლად უნდა გააჩნდეს ეს უნარ-ჩვევები. მას უნდა შეეძლოს შემდეგი:

- კომუნიკაციური სტრატეგიების ეფექტურად შემუშავება
- კომუნიკაციის სხვადასხვა ტაქტიკური ხერხებით სარგებლობა
- საკუთარი თავის, როგორც კომუნიკაციური პროცესის მონაწილის ეფექტური წარდგენა

### 3.4. კომუნიკაციის როლი საზოგადოებაში

კომუნიკაციის პროცესი მოქმედების უწყვეტი თანმიმდევრობაა დროში. იგი რთული პროცესია, შედგება ურთიერთ-დაკავშირებული ნაბიჯებისაგან და საჭიროა მათი გათვალისწინება სათითაოდ, რათა აზრები გასაგები გახდეს საზოგადოებისათვის.

კომუნიკაციის პროცესზე ზეგავლენას ახდენს ორატორის შეტყობინება, საერთო სიტუაცია, შეტყობინების თემა და მისი გამოქვეყნების დრო.

შეტყობინება შეიძლება მოხდეს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით. იგი წარმოადგენს ინფორმაციის შინაარსს, გარემოს და თვით პიროვნებას. ამას უკელავერს ერთ მთლიანობაში აუდიტორიაზე ზემოქმედების ეფექტურ საშუალებად მივიჩნევთ.

ვერბალური თუ სამეტყველო კომუნიკაცია ყველაზე გავრცელებულია საზოგადოებრივი ურთიერთობების სფეროში, რაც ლაპარაკის და წერის უნარს ნიშნავს.

კომუნიკაციის პროცესისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს უკუ-კავშირს. კომუნიკატორმა უნდა იცოდეს ადრესატის რეაქცია, რათა დარწმუნდეს იმაში, რომ ინფორმაცია მიკიდა დანიშნულებისამებრ, გამოიკვლიოს რა ზეგავლენა მოახდინა და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს კომუნიკაცია.

პიროვნებებს შორის კომუნიკაციები სხვადასხვა დამოკიდებულებებით ხორციელდება. მაგალითად, ახლობლური, ფორმალური, კონფლიქტური. მეცნიერთა აზრით, კომუნიკაცია ურთიერთდამოკიდებულია ოთხ ძირითად პრინციპზე:

- ემოციური გრძნობები, ანგარიშსწორება და ფორმალიზმი
- ინტიმურობა
- სიმპათია და უშუალობა
- დომინირება და ქვეშევრდომობა

ყველაფერი ეს მოქმედებს კომუნიკაციის პროცესზე. კომუნიკაცია კი მოქმედებს სოციალურ გარემოზე და იწვევს შესაბამის შედეგს.

## თაგი IV. უცხო ენის სწავლება კომუნიკაციური მეთოდით

### 4.1. ზოგადი მიმოხილვა.

უცხო ენაზე ეფექტურად კომუნიკაციის უნარის გამომუშავება უცხო ენის სწავლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. იმისათვის, რომ შემსწავლელმა შეძლოს უცხოენოვან გარემოში წარმატებით კომუნიკაცია, მას უნდა შევუქმნათ რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა ივარჯიშოს ამ ენაზე ისეთ სიტუაციებში, რომლებშიც იგი თავისუფლად გამოხატავს საკუთარ აზრებსა და შეხედულებებს. სუან და უოლტერს (1990) მიაჩნიათ, რომ ენის პრაქტიკა მაქსიმალურად უნდა ასახავდეს რეალურ ცხოვრებისეულ კომუნიკაციას ინფორმაციისა და აზრების ნამდვილი გაცვლა-გამოცვლით.

ერთ-ერთი ადრეული ტერმინი, რომელიც ჰაიმსმა დაამკვიდრა, იყო კომუნიკაციური კომპეტენცია. მას უნდოდა ეჩვენებინა, რომ ლინგვისტებს შორის უკვე შეინიშნებოდა გარკვეული ტენდენცია იმისა, რომ ენაზე, როგორც ფორმალურ სისტემაზე არ გამახვილებულიყო ყურადღება. ჩომსკიმ (1965) გამოიყენა ტერმინი “კომპეტენცია” იმისათვის, რომ ენის ცონდა აღეწერა: “ჩვენ მკაფიოდ ვანსხვავებთ ერთმანეთისაგან კომპეტენციას (თუ რამდენად ისიც ენა მოსაუბრებ) და ამ ენაზე ფუნქციონირებას (თუ როგორ გამოიყენება ენა კონკრეტულ სიტუაციებში)” (16, 113).

ჰაიმსს მიაჩნდა, რომ კომპეტენციისათვის კომუნიკაციური ელემენტის დამატება გულისხმობდა დაგვემატებინა გამოყენების წესები, რომელთა გარეშე გრამატიკული წესები ვერ ივარგებდა. მან მიიჩნია, რომ ისევე, როგორც სინტაქსის კანონები აკონტროლებენ ფილოლოგიის სხვადასხვა ასპექტს და სემანტიკური წესები სინტაქსის ასპექტებს, მეტყველების აქტების წესები გვევლინება ლინგვისტური ფორმის მაკონტროლირებელ ფაქტორად.

ჰაიმსს, როგორც ლინგვისტს, აფიქრებდა ის სიტუაციური და კულტურული ცოდნა, რომელიც მოსაუბრეს სჭირდება იმისათვის, რომ გაიგოს და გამოიყენოს ლინგვისტური ფორმები. მისი მოსაზრება გულისხმობდა არა მარტო ცოდნას, არამედ უნარს ამ ცოდნის კომუნიკაციის დროს გამოყენებისათვის და, ამიტომაც,

სხვა ტერმინები უფრო ეფექტურად მიიჩნეოდა, როდესაც ხდებოდა იმის აღწერა, თუ რას ნიშნავს იცოდე და შეძლო გამოიყენო ენობრივი ცოდნა. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია ბაზენის (1990) ენის საკომუნიკაციო უნარი.

ჰაიმსის მიერ შესრულებული კვლევა-სამუშაო უდიდესი მნიშვნელობის მქონე იყო უცხო ენის განმანათლებელთა შორის. ამას ისიც დაემატა, რომ უცხო ენის სწავლებაში გაძლიერდა და განვითარდა დარგობრივი უცხო ენის (უცხო ენა სპეციფიკური მიზნებისათვის) სწავლება, ვინაიდან სხვადასხვა სფეროს მუშაკებს დასჭირდა პროფესიული თუ აკადემიური ინგლისურის ცოდნა და გამოყენება, ხოლო მეთოდისტებს, კურსისა და სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელებს მოუწია ენობრივი ამოცანების გაანალიზება იმისათვის, რომ დაედგინათ თუ რა მოთხოვნები ჰქონდათ უცხო ენის შემსწავლელებს კომუნიკაციის თვალსაზრისით და ისინი სასწავლო მიზნებად გადაექციათ.

## 4.2 კომუნიკაციური მეთოდის არსი და მნიშვნელობა

უცხო ენის სწავლება კომუნიკაციური მეთოდით 1980-იან წლებში წარმოიშვა და ენის ათვისების მეთოდთა შორის ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვეა. მან წაანაცვლა ე.წ. გრამატიკულ-მთარგმნელობითი და აუდიო-ლინგვისტური მეთოდები.

უცხო ენის კომუნიკაციური მეთოდით შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია აზრიანი კომუნიკაცია. შემსწავლელები აქტიურად უნდა ერთვებოდნენ კომუნიკაციაში, რაც მათ ხელს უწყობს მასალის უკეთესად ათვისებაში.

კომუნიკაციური მეთოდის ძირითადი არსი მდგომარეობს იმაში, რომ უცხო ენის შესწავლა მიმდინარეობს შესაბამის კონტექსტში, რაც გრამატიკული და ლექსიკური საშუალებების შესაბამის გამოყენებას მოითხოვს. ამ მეთოდით ენის შესწავლის დროს შემსწავლელი უფრო მეტად წარმატებულია, ვინაიდან ეს მიღება მას ხელს უწყობს:

- შინაარსის უკეთ გაგებაში

- საკითხავი მასალის ეფექტურად აღქმაში

და შედეგად მისი მოტივაცია ენის შესწავლის მიმართ საკმაოდ მაღალია.

კომუნიკაციური მეთოდის შემოღება განაპირობა იმ ფაქტორმა, რომ ლინგვისტებსა და განმანათლებლებს მოძეზრდათ და მათ მოთხოვნებს ვეღარ აქმაყოფილებდა აუდიო-ლინგვური და გრამატიკულ თარგმანზე დაფუძნებული მეთოდები. მათ მიაჩნდათ, რომ ასეთი გზით შემსწავლელი უცხო ენას საფუძვლიანად და ხარისხიანად ვერ სწავლობდა, ვინაიდან მას არ შეეძლო შესაბამის გარემოში/კონტექსტში უცხო ენაზე კომუნიკაციის დამყარება. უფრო მეტიც, ხშირად ისინი საერთოდ იბნეოდნენ და ვერც კი იღებდნენ ხმას.

კომუნიკაციური მეთოდის მიმართ ინტერესი 1970-იან წლებში გაიზარდა. საკმაოდ პოპულარული გახდა იმ კონტექსტის გათვალისწინებით სწავლება, რომელშიც შემსწავლელებს ესაჭიროებოდათ რეალური კომუნიკაცია. ენის კომუნიკაციური მეთოდის სწავლების მთავარი მიზანიც სწორედ ეს არის. მასწავლებელი ადგენს ისეთ სიტუაციას, რომელიც შემსწავლელს საგარაუდოდ შეხვდება რეალურ ცხოვრებაში. აუდიო-ლინგვური მეთოდისაგან განსხვავებით, რომელსაც საფუძვლად უდევს გამეორებები და სავარჯიშოები, კომუნიკაციური მიღგომა შემსწავლელს ინტერესს აღუძრავს მონაწილეობა მიიღოს საკლასო აქტივობებში. ცხოვრებისეული სიმულაციები ყოველ დღე იცვლება, შემსწავლელთა მოტივაცია ისწავლონ გამომდინარეობს მათი სურვილიდან დაამყარონ აზრიანი კომუნიკაცია ამათუიმ მნიშვნელოვან საკითხებზე.

უცხო ენის კომუნიკაციური მეთოდით შესწავლის ექსპერტი მარჯიკ ბერნსი აცხადებს, რომ ენა არის კომუნიკაციის საშუალება და პიროვნებათაშორისი აქტივობა, რომელსაც გააჩნია ნათელი კავშირი საზოგადოებასთან. მისი აზრით, ამ კუთხით, ენის შესწავლა-კვლევა უურადღებას უნდა ამახვილებდეს ენის გამოყენებაზე (ფუნქცია) კონტექსტში, როგორც ლინგვისტურ, ისე სოციალურ სიტუაციებში.

ამდენად, აშკარად ჩანს, რომ კომუნიკაციის კომპეტენცია მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ადამიანმა უცხო ენაზე ეფექტურად ისაუბროს. შესაბამისად, უცხო ენის შესწავლა კომუნიკაციური მეთოდის მეშვეობით უფრო შედეგის მომზანია.

მეთოდურად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი საკითხები:

- ყურადღების გამახვილება რეალურ კომუნიკაციაზე
- შემსწავლელს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გამოიყენოს ის, რაც იცის
- შეცდომების მიმართ ტოლერანტობა, რადგან შეცდომების დაშვება მიგვანიშნებს იმაზე, რომ ვითარდება შემსწავლელის კომუნიკაციური კომპეტენცია
- შემსწავლელს უნდა მიეცეს საშუალება გრამატიკული წესები თვითონ აღმოაჩინოს და გაიზიაროს

ყველაფერი ეს შესაძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი მეცადინეობებზე გამოიყენებს ისეთ აქტივობათა ტიპებს, რომლებიც ხელს შეუწყობს შემსწავლელთა ჩართულობას.

კომუნიკაციური მეთოდის შემოღებისთანავე მეთოდისტები თუ მასწავლებელი სხვადასხვა გზებით ცდილობდნენ ისეთი საკლასო აქტივობების შემუშავებას, რომლებსაც საფუძვლად ედო კომუნიკაციური მეთოდი.

#### 4.3 უცხო ენის კომუნიკაციური მეთოდით სწავლების ძირითადი ასპექტები

- უცხო ენის შესწავლა უფრო ადგილია, როდესაც შემსწავლელი ჩართულია კომუნიკაციაში
- შესაბამისი ენობრივი ამოცანები და სავარჯიშოები შემსწავლელს შესაძლებლობას აძლევს ენა გამოიყენოს თავისუფლად და მოახერხოს ინფორმაციის გაცვლა
- აზრიანი კომუნიკაცია მაშინ ხორციელდება, როცა შემსწავლელები შესაბამის მიზნობრივ, აზრიან და საინტერესო ინფორმაციას იძენენ
- კომუნიკაცია ისეთი პროცესია, რომელიც ხშირად მოითხოვს სხვადასხვა ენობრივი უნარ-ჩვევის გამოყენებას
- უცხო ენის შესწავლას ხელს უწყობს როგორც ენის კანონზომიერებებისა და წესების ადგილად გასაგები ელემენტები, ისე ენის ანალიზი და შეფასება
- ენის შესწავლა თანდათანობითი პროცესია, რომელიც მოიცავს ენის შეცდომების დაშვებას
- შემსწავლელი ენის შესწავლის საკუთარ გზას პოულობს. შესაბამისად, შედეგიც განსხვავებულია და თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი საჭიროება და მოტივაცია ისწავლოს უცხო ენა
- უცხო ენის წარმატებული შესწავლა მოიცავს სწავლისა და კომუნიკაციის ეფექტური სტრატეგიების გამოყენებას
- უცხო ენის გაკვეთილზე მასწავლებელი არის დამხმარე მხარე, ხელის შემწყობი, რომელიც ქმნის ენის შესწავლისათვის დადგებით საკლასო გარემოს და აძლევს შემსწავლელს შესაძლებლობას ეფექტურად გამოიყენოს ენა

- კლასი/ჯგუფი არის ერთი დიდი თემი/საზოგადოება, სადაც შემსწავლელები სწავლობენ ერთმანეთთან თანამშრომლობითა და აზრთა გაზიარებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ჯგუფის წევრებს შორის დადებითი ატმოსფეროს შექმნა, თითოეული წევრის დაფასება და ადიარება, მათვის საკუთარი აზრებისა და მოსაზრებების თავისუფლად გამოხატვის საშუალების მიცემა და ჯგუფის წევრთა ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება.

უცხო ენის კომუნიკაციური მეთოდით სწავლებისას ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სამი ტიპის პრაქტიკა – მექანიკური, გონივრული და კომუნიკაციური.

მექანიკური პრაქტიკა ისეთი ტიპის კონტროლირებადი პრაქტიკაა, რომლის დროსაც შემსწავლელი წარმატებით ასრულებს ამოცანას ისე, რომ მაინცდამაინც არ ესმის რა სახის ენობრივ საშუალებებს იყენებს. მაგალითად: გამეორების სავარჯიშოები ან გრამატიკული მასალის დასახვეჭად მომზადებული სავარჯიშოები.

გონივრული პრაქტიკის დროს შემსწავლელი ჩართულია ისეთი სახის აქტივობებში, რომლებშიც იგი ვალდებულია ამათუიმ ენობრივ ასპექტის დახვეწა-ვარჯიშის დრო აზრიანი არჩევანი გააკეთოს. მაგ: ოუ გვინდა ვივარჯიშოთ წინადადებები, შემსწავლელებს ვავალებთ აღწერონ ადგილები რუქაზე, სადაც სხვადასხვა შენობები მოთავსებულია სხვადასხვა ადგილებში. მათ ასევე ეძლევა წინადადებების ჩამონათვალი და ისინი პასუხობენ შეკითხვებს: სად არის მაღაზია, პაფე და ა.შ. ასეთ პრაქტიკას აზრიანი იმიტომ უწოდეს, რომ შემსწავლელებმა უნდა გასცენ პასუხი შეკითხვებს რუქაზე მონიშნული სხვადასხვა ადგილების მიხედვით.

კომუნიკაციური პრაქტიკა მოიცავს ისეთ აქტივობებს, რომელთა გამოყენებისას ძირითადი ყურადღება გამახვლილებულია რეალურ საკომუნიკაციო კონტექსტზე, სადაც ხდება რეალური ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა. მაგალითად, შემსწავლელებს უწევთ დახაზონ იმ ადგილის რუქა, სადაც

ცხოვრობენ და გასცენ შეკითხვებს პასუხი სხვადასხვა აღგილების შესახებ. მაგ. ავტობუსის გაჩერება, კაფე და ა.შ.

მრავალ სახელმძღვანელოში სავარჯიშოები ისეა მოცემული, რომ ისინი შემსწავლელებს საშუალებას აძლევენ თავიანთი პრაქტიკა მექანიკურიდან კომუნიკაციურამდე მიიყვანონ. ზრდასრული შემსწავლელისათვის ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან მას უცხო ენის გამოყენება სჭირდება შესაბამის პრაქტიკულ სიტუაციებში.

მაგალითად, როდესაც სწავლობენ ზედსართავი სახელების აღმატებით ხარისხს, თავდაპირველად სავარჯიშო ემსახურება ამ გრამატიკული მასალის აღქმას. შემსწავლელებმა გამოტოვებულ აღგილებში უნდა ჩასვან შესაბამისი პირის სახელი და დაუკვირდნენ წინადადების დასაწყისში აღმატებით ხარისხში მოცემულ ზედსართავ სახელს. მაგალითად: The most successful individual I know is\_\_\_\_\_.

ამის შემდეგ შემსწავლელებს ევალება გამოიყენონ აღმატებითი ხარისხის ფორმა, აღწერონ ის ადამიანები, რომლებსაც იცნობენ და დაწერონ 5-5 წინადადება. ბოლოს ისინი მუშაობენ ჯგუფურად და განიხილავენ წინა ეტაპებზე მოცემულ ინფორმაციას ერთმანეთისათვის შეკითხვების დასმით, რათა გაიგონ უფრო მეტი ინფორმაცია იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც დაასახელეს. ამდენად, როდესაც შემსწავლელები ასრულებენ გრამატიკულ სავარჯიშოებს, ეს მექანიკური პრაქტიკაა. აღნიშნულ წინა ორ სავარჯიშოში ისინი საკუთარი ინფორმაციით ავსებენ და ასრულებენ წინადადებებს, ხოლო ბოლოს მოცემულია კომუნიკაციური პრაქტიკა, რადგან ეს სადისკუსიო აქტივობაა და უზრუნველყოფს შემსწავლელის მაქსიმალურ ჩართულობას და მონაწილეობას.

ლითლეგუდი (1981) განასხვავებს კომუნიკაციის წინა და საკომუნიკაციო აქტივობებს. პირველ რიგში, იგი გულისხმობს სტრუქტურულ და ნახევრად მოჩვენებით საკომუნიკაციო აქტივობებს, ხოლო მეორეში ფუნქციურ-საკომუნიკაციო და სოციალურ ინტერაქციულ აქტივობებს. ფუნქციური საკომუნიკაციო აქტივობები

შემსწავლელს ავალდებულებს უურადღება მიაქციოს კონტექსტს, ჩართული ადამიანების როლებს და დაუკვირდნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა, ოფიციალური და არაოფიციალური ენა.

არსებობს კიდევ სხვა სახის ენობრივი აქტივობები, რომლებიც წარმატებით გამოიყენება კომუნიკაციური მეთოდით სწავლებისას.

გამოტოვებული ინფორმაციის შევსება: ჯგუფი იყოფა ორ ნაწილად. შემსწავლელებს ურიგდება ორი ერთნაირი სურათი გარკვეული გამოტოვებული ინფორმაციით. მასწავლებელი მათ ერთმანეთთან ზურგით სვამს და ავალებს დაუსვან შეკითხვები ისე, რომ შეასვონ გამოტოვებული ინფორმაცია. ისინი ასევე წყვილებში ასრულებენ როლურ დავალებას. მაგალითად, ერთი სტუდენტი არის სადგურის ცნობათა პიუროს მუშაკი, ხოლო მეორე მას ეკითხება მატარებლის გასვლის გრაფიკს, ბილეთის ფასს და ა.შ. ისინი როლებს ისე ასრულებენ, რომ არც კი იციან ერთმანეთის ფუნქციები.

ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებული აქტივობები: კროსვორდები, თამაშები, რუქის წაკითხვა, სადაც შემსწავლელმა უნდა გამოიყენოს საკუთარი ენობრივი რესურსი იმისათვის, რომ შეასრულოს ამოცანა.

ინფორმაციის მოძიება-მოგროვება: შემსწავლელები ატარებენ პვლევებს, ინტერვიუსა და ძიებას, სადაც უნდა გამოიყენონ საკუთარი ენობრივი რესურსი იმისათვის, რომ მოიძიონ ინფორმაცია

აზრის გაზიარება: შემსწავლელები ადარებენ საკუთარ ღირებულებებს, აზრებსა და მოსაზრებებს

არგუმენტირება: მსჯელობის შედეგად მოცემული ინფორმაციიდან ახალი დასკვნების გამოტანა

როლური თამაშები: შემსწავლელების მიერ მათთვის განკუთვნილი შესაბამისი როლების შესრულება-იმპროვიზირება

#### 4.4 მუშაობა წყვილებში და ჯგუფურად

როდესაც უცხო ენის კომუნიკაციური მეთოდით შესწავლაზე გსაუბრობთ, უურადღება აუცილებლად უნდა მივაქციოთ შემსწავლელების წყვილებში და ჯგუფურად მუშაობას. უცხო ენის შესწავლის პროცესში მნიშვნელოვანია შემსწავლელებს შორის ინტერაქცია, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რაც ენის შესწავლას უწყობს ხელს. გარდა ამისა, გაპვეთილი არ არის მონოტონური, შემსწავლელები ერთმანეთთან ურთიერთობენ, მათ უვითარდებათ მიზნის მიღწევის უნარი და საბოლოო შედეგებისაკენ ლტოლვა.

ჯგუფური და წყვილებში მუშაობა უზრუნველყოფს ყველა შემსწავლელის ჩართულობას, ერთობლივი გადაწყვეტილების მიღებას და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ისინი ხვეწენ ერთმანეთთან თანამშრომლობის უნარ-ჩვევებს, როგორიცაა, მოსმენა და კომუნიკაცია, პრობლემის გადაჭრა და ამოცანების გაზიარება. პვლევამ გვიჩვენა, რომ ჯგუფური და წყვილებში მუშაობისას ჯგუფის ყველა წევრი სწავლობს მიუხედავად მათ მიერ უცხო ენის შესწავლის განსხვავებული ინდივიდუალური უნარისა. ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი აქტივობების უმეტესობა სწორედ უცხო ენის კომუნიკაციური მეთოდით სწავლების მნიშვნელოვან ასპექტს ითვალისწინებს და მორგებულია წყვილურ თუ ჯგუფურ მუშაობას.

აღნიშნული მეთოდით ენის შესწავლას რამდენიმე დადებითი შედეგი მოაქვს:

- შემსწავლელები სწავლობენ სხვების მოსმენით
- ისინი აქტიურად იყენებენ უცხო ენას შესაბამის სიტუაციებში
- მათ ეძლევათ საშუალება განავითარონ უცხო ენაზე თავისუფლად საუბრის უნარ-ჩვევა

გარდა ამისა, უცხო ენის კომუნიკაციური მეთოდით სწავლების ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა რეალური კომუნიკაცია, რაც გულისხმობს იმას, რომ

აუცილებლად უნდა არსებობდეს კავშირი კლასში მიმდინარე პროცესებსა და მის გარეთ არსებულ რეალურ გარემოს შორის.

კლარკი და სილბერსტეინის მიხედვით, “კლასში შესრულებული აქტივობები ძალიან მჭიდროდ უნდა უკავშირდებოდეს ‘რეალურ სამყაროს’, ვინაიდან ენა კომუნიკაციის საშუალებაა, მეოთოდები და მასალები უნდა ითვალისწინებდეს აზრის გამოთქმისა და შეტყობინების გადაცემის მხარეს და არა მის საშუალებას. მაგალითად, გაკვეთილზე საკითხავი სავარჯიშოს მიზანი ისეთივე უნდა იყოს, როგორიც ეს რეალურ ცხოვრებაშია”. (17, 51)

#### ჯგუფური და წყვილებში მუშაობის უპირატესობებია:

- მეტი დრო ეთმობა საუბარს
- ხდება რეალური საუბრების იმიტაცია
- იქმნება უფრო დადებითი ატმოსფერო კლასში
- პროცესი სახალისო და სასიამოვნოა

ასეთი აქტივობების გამოყენებით ჩვენ ვებმარებით უცხო ენის შემსწავლელებს დაინახონ, რომ გარდა გრამატიკული წესებისა და საზეპიროებისა, უცხო ენის წარმატებით შესწავლისათვის მნიშვნელოვანია სხვებთან კონტაქტი და კომუნიკაცია. გარდა ამისა, ჯგუფური და წყვილებში მუშაობა შემსწავლელს გამოუმუშავებს საკუთარი თავის რწმენას, გადაწყვეტილების მიღების უნარს და სხვების დაკვირვებით მოსმენის კომპეტენციას. ისინი უფრო თამამად უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და ვარჯიშობენ ახალი გრამატიკული სტრუქტურების გამოყენებას. ჯგუფური თუ წყვილებში მუშაობის დროს შემსწავლელი უფრო იხსნება და მეტად ინიციატივიანი ხდება.

პენი ურის (1996) თანახმად, „ჯგუფური მუშაობისას შემსწავლელები ასრულებენ სასწავლო ამოცანას, რაც მათ ზეპირი უნარ-ჩვევის დახვეწანითარებაში ეხმარება. გარდა ამისა, მათ უაქტიურდება პასუხისმგებლობის

გრძობა და ისინი ხდებიან დამოუკიდებელი. ასევე, კლასში სუფეს ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ატმოსფერო". (86, 232)

ჯგუფური მუშაობისას შემსწავლელები არა მარტო ინტელექტუალურად, არამედ ემოციურადაც არიან ჩართულნი. შესაბამისად, მათ ხელი უნდა შეუწყონ ჯგუფის მუშაობას, იაზროვნონ, შეაფასონ ჯგუფის სხვა წევრების ნათქვამი, ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია, დააზუსტონ სხვადასხვა საკითხები, ერთად მოამზადონ დავალებები. ჯგუფური მუშაობის წარმატება გარკვეულწილად დამოკიდებულია ჯგუფის გარშემო არსებულ ატმოსფეროზე და იმაზე, თუ რამდენად საინტერესო, გამამხნევებელი და მასტიმულირებელი ამოცანებია შერჩეული მასწავლებლის მიერ, რომელთა შესრულების უნარიც შესწევს ჯგუფს.

ჯგუფური მუშაობა შემსწავლელს სხვადასხვა ენობრივ საკითხებსა და ფუნქციებთან უშუალო შეხების საშუალებას აძლევს. ისინი იყენებენ იმ ენობრივ საშუალებებს, რომლებიც იციან, რათა თავისუფლად შეძლონ საუბარი და ისეთ რესურსებაც, რომელიც მათ მასწავლებელმა წინასწარ ასწავლა, რათა საკუთარი აზრი უფრო სრულად და ეფექტურად გამოხატონ.

ჯგუფური მუშაობა ხელს უწყობს შემსწავლელთა დამოუკიდებლობის განვითარებას. ისინი უფრო თავდაჯერებულები ხდებიან, მათი მოტივაცია იზრდება და დროთა განმავლობაში ისინი უკვე აღარ საჭიროებენ მასწავლებლის დახმარებას, სწავლობენ როგორ ისწავლონ და თანდათან ივითარებენ პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ ისწავლონ.

გარდა ამისა, ჯგუფური მუშაობა შემსწავლებს საშუალებას აძლევს ერთ მთლიან გუნდად ჩამოყალიბდნენ. ისინი სწავლობენ თანამშრომლობას, შემწყნარებლობას, კომპრომისებსა და დაომობაზე წასვლას, მოლაპარაკების უნარს და სხვადასხვა უნარისა და შესაძლებლობების ადამიანების პატივისცემას, რაც მნიშვნელოვანია კლასში დადებითი გარემოსა და ატმოსფეროს შესაქმნელად. ისინი ერთმანეთს ეხმარებიან მასალა უკეთ გაიგონ, საკითხი გადაჭრან და მიაღწიონ საბოლოო შედეგს. როგორც ჯერემი ჰარმერი (1991) აღნიშნავს, "ჯგუფში

უფრო მეტი შესაძლებლობა იქმნება იმისა, რომ მის ერთ წევრს მაინც შეუძლია პრობლემის გადაჭრა მაშინ, როდესაც იგი წამოიჭრება”. (38, 245)

ასეთ ჯგუფში მასწავლებელი აღარ არის ზედამხედველი, იგი შემსწავლელთა მრჩეველი და რესურს ცენტრია. იგი ეხმარება შემსწავლელს უკეთესად შეისწავლოს უცხო ენა და მიაღწიოს წარმატებას.

მნიშვნელოვანია ჯგუფში მუშაობის შესაბამისად ორგანიზება იმისათვის, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ. ქვემოთ მოცემულ ცხრილში თავმოყრილია ის ეტაპები, რომლებიც ჯგუფის მუშაობის ორგანიზებაში დაგეხმარება.

## **ცხრილი 2. ჯგუფში მუშაობის ეტაპები და მათი აღწერილობა**

ეტაპი	აღწერილობა
<b>1. მასალის წარმოდგენა</b>	თავდაპირველად მასალის წარმოდგენისას ინსტრუქციები უნდა იყოს ნათელი და მკაფიო. თუ შემსწავლელს არ ესმის რა უნდა გააკეთოს, იგი დროს ტყუილად დახარჯავს, აირგვა და გერ შეასრულებს ამოცანას. ამიტომ, საჭიროა შესაბამისი სიმარტივის/სირთულის ამოცანების შერჩევა. ხშირად შემსწავლელთა დედა ენაზე ინსტრუქციების მიცემას უდიდესი შედეგი მოჰყვება, ვინაიდან შემსწავლელი კარგად იგებს თუ რა უნდა გააკეთოს და, შესაბამისად, მაქსიმალურად ჩართულია აქტივობაში. სასურველია

	ინსტრუქციები დარიგებამდე მივცეთ და კარგად გავარკვიოთ ისინი თუ რა უნდა გააკეთონ.	მასალის
2. პროცესი	ჯგუფური მუშაობის პროცესში მასწავლებელი უნდა აკონტროლებდეს შემსწავლელებს, უწევდეს მათ შესაბამის მონიტორინგს. თუ საჭიროა, უნდა ჩაერიცხოს შესაბამისად. მაგალითად, შედარებით სუსტ შემსწავლელებს უკეთ უნდა გააგებინოს რას მოელიან მათგან, მეტად აქტიური შემსწავლელები დაარეგულიროს და ყველას თანაბრად მისცეს საუბრის საშუალება	
3. დასასრული	დასაწყისიდანვე უნდა დაინიშნოს შესაბამისი დრო ამათუიმ აქტივობის შესასრულებლად. მნიშვნელოვანია ისეთ დროს დასრულდეს იგი, როდესაც შემსწავლელები პვლავ სიამოვნებით არიან მასში ჩართული.	
4. შესრულებული სამუშაოს	როგორც წესი, შეფასება ხდება	

<b>შეფასება</b>	<p>ჯგუფის თვალწინ, რაც ყველა შემსწავლელს საშუალებას აძლევს დაინახოს საკუთარი დადებითი და უარყოფითი მხარეები. მასწავლებელმა აუცილებლად უნდა შეაქოს ყველა ჯგუფის წევრი, რათა კიდევ უფრო გაუაქტიუროს მოტივაცია და შემდგომში მსგავს აქტივობებში მონაწილეობის სურვილი.</p>
-----------------	---

ჯგუფური მუშაობისას ყურადღება უნდა მიექცეს ჯგუფის დინამიკას. იგი უაღრესად საგულისხმოა უცხო ენის შესწავლის პროცესში და მნიშვნელოვნად განაპირობებს წარმატებას.

ჩვენი გამოცდილება და პვლევით ლიტერატურაში მიღწეული შეთანხმება მიუთითებს, რომ ჯგუფში მიმდინარე პროცესები მოქმედებს

- მონაწილეთა დამოკიდებულებაზე სასწავლო პროცესისადმი
- ჯგუფის წევრებთან ურთიერთობაზე
- მათ შორის თანამშრომლობაზე და სასწავლო პროცესში ჩართულობაზე
- მათ ურთიერთობებზე მასწავლებელთან
- უცხო ენის შესწავლის მოტივაციაზე

- მასწავლებლისა და მოსწავლის კმაყოფილებაზე

ამდენად, ნათელია, რომ უცხო ენის შესწავლის პროცესში ზემოთ-აღნიშნული საკითხები მნიშვნელოვანია და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიუხედავად იმისა მასწავლებელი მიაქცევს თუ არა ყურადღებას ჯგუფის დინამიკას, შესწავლაზე ზეგავლენას ახდენენ ჯგუფის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა, მისი შემადგენლობა, სტრუქტურა, გარემო, ნორმები, როლები და ერთმანეთთან ურთიერთობის მოდელები. ამის ყველაფრის ცოდნა მასწავლებელს საშუალებას მისცემს გაუგოს ჯგუფში მიმდინარე პროცესებს, შესაბამის დროს ჩაერიოს და შეგნებულად მოახერხოს ჯგუფში ჰარმონიულობის ჩამოყალიბება. რაც მთავარია, ეს ყველაფრი ხელს უნდა უწყობდეს უცხო ენის წარმატებით შესწავლას.

უნდა იქნას გათვალისწინებული ისიც, რომ ჯგუფებს, ისევე, როგორც ცალკეულ ინდივიდებს, გააჩნიათ თავიანთი საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია მანამ, სანამ ჯგუფი ევექტურ ფუნქციონირებას დაიწყებს. თუ ჯგუფი მოითხოვს ისეთ აქტივობებს, რომლებიც მის წევრებს დაეხმარება ერთმანეთის უკეთ გაცნობაში და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, მასწავლებელმა ამისათვის დრო უნდა გამონახოს და შეიმუშაოს ისინი, რაც ამ მიზნის მიღწევაში ხელს შეუწყობს.

შესაბამისად, საჭიროა დავაკვირდეთ ადამიანებს შორის არსებულ პროცესებს გაკვეთილზე და რა გავლენას ახდენენ ისინი საბოლოო მიზნის მიღწევაზე. ეს მასწავლებლებს დაეხმარება სწავლისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაში და პედაგოგიური წარმატების მიღწევაში.

ჯგუფის მუშაობის პროცესში მისი ყველა წევრი თანაბრად პასუხისმგებელია საბოლოო წარმატებაზე. საჭიროა ჯგუფური განხილვებისა და დისკუსიების გამოყენება იმისათვის, რომ წევრებს შორის უკეთესი კონტაქტი დამყარდეს. როდესაც მათი საჭიროებები დაკმაყოფილებულია, ისინი უფრო მეტი ენთუზიაზმით ერთგებიან მუშაობაში. გარდა ამისა, ისინი ჯგუფის ნაწილად გრძნობენ თავს და

მაქსიმალურად ცდილობენ მის წარმატებას ხელი შეუწყონ. უფრო მეტიც, მათ ეამაყებათ კიდევაც ასეთ ჯგუფში მუშაობა.

მოღვაწეობის განმავლობაში ჯგუფი გაიკლის განვითარების ოამდენიმე უზაპს.

**1. ჯგუფის ჩამოყალიბება-ფორმირება:** ამ ეტაპზე ჯგუფის წევრები პირველად ხვდებიან ერთმანეთს. ყველა ზრდილობიანი და თავშეკავებულია. კონფლიქტი თითქმის არ არსებობს. ისინი არ აქტიურობენ და ჯგუფის ხელმძღვანელს ემორჩილებიან, განიხილავენ ერთმანეთის მსგავსება-განსხვავებებს და გარკვეულ დასკვნებს აკეთებენ იმისათვის, რომ მომავალში ქვე-ჯგუფებად დაიყონ. მათი ქცევის წესები ითვალისწინებს ყველაფრის აღქმას და დაპირისპირების თავიდან აცილებას. ისინი არ საუბრობენ სერიოზულ საკითხებზე და გრძნობებზე. განვითარება ხდება სწრაფად და ამ პერიოდში შეინიშნება მათი ორგანიზება-დახვეწა. ჯგუფი საკმაოდ სწრაფად იძენს სოციალურ სტრუქტურას, რაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იარსებებს. ამ ეტაპზე მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს ჯგუფის ნორმებისა და წევრებს შორის ურთიერთობის განვითარებას და ჯგუფის მიზნების ნათლად წარმოდგენას. ჯგუფის წევრებმა ერთმანეთის შესახებ რაც შეიძლება მეტი უნდა გაიგონ, რაც მეთოდურად მიიღწევა სხვადასხვა აქტივობების მეშვეობით, როგორიცაა, შესაბამისი კომუნიკაციური ამოცანები, როლური თამაშები, შეჯიბრებები და ა.შ.

**2. შტურმი/იერიში - ჯგუფის წევრებს შორის ჩნდება კონკურენცია და კონფლიქტი.** იმისათვის, რომ შეასრულონ ესათუის ამოცანა, ისინი ხან ეთანხმებიან ერთმანეთს, ხან არა და, შესაბამისად, წარმოიქმნება კონფლიქტი. ყალიბდება შიდა დაჯგუფები, ყველას უნდა საკუთარი აზრის გატანა, კომუნიკაცია თითქმის არ ხდება, რადგან არავინ არ უსმენს ერთმანეთს. ცალკეულ წევრებს უწევთ საკუთარი გრძნობების, იდეებისა და შეხედულებების მორგება ჯგუფის საჭიროებებზე. წამოიჭრება ისეთი საკითხები, როგორიცაა, ვის რა ევალება, რა წესები არსებობს, წახალისების რა სისტემებია, როგორ მოხდება მათი შეფასება. ამ ეტაპზე გარკვეული დისკომფორტის გამო ჯგუფის ზოგიერთმა წევრმა შესაძლოა საერთოდ

არც კი გამოხატოს საკუთარი აზრი, სხვებმა კი პირიქით, ზედმეტად იაქტიურონ. იმისათვის, რომ მოხდეს შემდეგ ეტაპზე გადასვლა, ჯგუფის წევრებმა პრობლემის გადაჭრაზე უნდა იფიქრონ. ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა აქვს აქტიურ მოსმენას.

**3. ნორმირება** – ამ ეტაპზე ჯგუფის ყველა წევრი აქტიურად აღიარებს მის მიერ შეტანილ წვლილს ჯგუფის მუშაობაში. აშკარაა თანამშრომლობის ელემენტები და ამას შედეგად მოსდევს ის, რომ ისინი თამამად გამოხატავენ საკუთარ აზრს მთელი ჯგუფის წინაშე. ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება ერთმანეთის აქტიურად მოსმენა. გარდა ამისა, ჯგუფი მუშაობის მეთოდებს ერთხმად ამტკიცებს. წევრები საკუთარ პოზიციებს იცვლიან გამომდინარე ერთობლივი ჯგუფური დისკუსიიდან და საერთო მიზნებიდან. ისინი სვამენ შეკითხვებს და სჯერათ ერთმანეთის, რაც ქმნის ჰარმონიულობას.

**4. წარმატებით ფუნქციონირება** – კულმინაციის ეტაპი. ამ დროს ჯგუფში უკვე შეიქმნა სისტემა, რომელიც იძლევა აზრების თავისუფალი და ლია გაზიარების საშუალებას. ჯგუფის წევრები ერთმანეთს მხარს აქტიურად უჭერენ და თანამშრომლობენ. თუ ჯგუფმა მეოთხე ეტაპამდე მიაღწია, მის წევრებს შეუძლია როლები მოარგონ ჯგუფის ცვალებად მოთხოვნებს, იმუშაონ ჯგუფურად, ქვე-ჯგუფებად თუ დამოუკიდებლად. ამ ეტაპისათვის, წესით, ჯგუფი პროდუქტიულად ფუნქციონირებს, მისი წევრები ორიენტირებული არიან ამოცანის შესრულებაზე და ადამიანებზე. ჯგუფში შეინიშნება ერთიანობა, მორალი დგას მაღალ დონეზე, მას ახასიათებს ლოიალურობა, ამოცანის გადაჭრა ეფექტურად ხორციელდება, რასაც მივყავართ ოპტიმალურ შედეგებამდე და ჯგუფის განვითარებამდე. ყურადღება გამახვილებულია წარმატების მიღწევაზე და საბოლოო მიზანი არის შესრულებული - სამუშაოსა და პრობლემის გადაჭრის მეშვეობით მაქსიმალური პროდუქტიულობა მიიღწევა.

**5. საბოლოო ეტაპი: დასასრული** – საქმის საბოლოო ეტაპამდე მიყვანა და საქმიანობის დასრულება. ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია დასრულების პროცესის შესაბამისად წარმართვა. იმისათვის, რომ ჯგუფმა წარმატებით დაასრულოს

გაწეული საქმიანობა, საჭიროა მისი შესაბამისად კულტურული ეტაპამდე მიყვანა, უკელაფრის შეჯამება და შემდეგ დამშვიდობება.

ჯგუფური მუშაობის დროს ჯგუფის ლიდერს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვთ. სასწავლო პროცესში ამ როლს მასწავლებელი ასრულებს. იმისათვის, რომ მან ჯგუფის მართვა-განვითარება მოახერხოს, საჭიროა შემდეგი საკითხების გათვალისწინება:

- ჯგუფის წევრების დამაახლოებელი და მისი შემკვრელი აქტივობები
- კარგი ურთიერთობების ჩამოყალიბება ჯგუფის წევრებს შორის
- ჯგუფის ნორმების შემუშავება და მათი განხილვა ჯგუფთან
- ნათელი მიზნების დასახვა ჯგუფისათვის
- კონფლიქტებისა და მათი გადაჭრისათვის მომზადება
- დამოუკიდებლობის ხელშეწყობა
- ჯგუფის წევრების მომზადება ჯგუფის საქმიანობის დასასრულისათვის

ჯგუფის დინამიკა უმნიშვნელოვანესი და არსებითი საკითხია ზოგადად სასწავლო პროცესში. უცხო ენის შესწავლისას ეს კიდევ უფრო არსებითია. კარგი და ნამდვილი ჯგუფი ის ერთეულია, რომელიც ჯგუფის წევრებსა და საბოლოო მიზნების შესრულებაზე დადებით ზეგავლენას ახდენს.

როდესაც ადამიანი ასეთ ჯგუფში ხვდება, იგი მობილიზებულია, პასუხისმგებელია საკუთარ სასწავლო პროცესზე და შესაბამისად აღწევს შედეგს. ამდენად, მასწავლებელმა რაც შეიძლება მეტი უნდა გაიგოს ჯგუფის - ამ ძლიერი და მძლავრი სტრუქტურული ერთეულის შესახებ იმისათვის, რომ ხარისხიანად აწარმოოს სასწავლო პროცესი, იგი ნაკლებად სტრუქტურული გახადოს და წარმატება უწინასწარმეტყველოს.

ჯგუფური და წყვილებში მუშაობის მეშვეობით საკლასო გარემო მრავალფეროვანი ხდება. მასწავლებელი კი ყველა შემსწავლელისათვის სხვადასხვა სახის ენობრივ ამოცანებს აღგენს მათი ინდივიდუალური პოტენციისა და ენის შესწავლის უნარის გათვალისწინებით. როდესაც ჯგუფში შესწავლის სხვადასხვა უნარის მქონე შემსწავლელებია, ასეთი ტიპის მუშაობა მათთვის სასარგებლოა, რადგან როგორც მეტი, ისე ნაკლები უნარის მქონე შემსწავლელები თავიანთ მიზნებს აღწევენ ენობრივი ამოცანის შესრულებით. ეს უფრო აქტიურ მუშაობას მოითხოვს მასწავლებლის მხრიდან, ვინაიდან მან შემსწავლელებისათვის უნდა მოამზადოს შესაფერისი ამოცანები. შედეგად, ისინი სიამოვნებას იღებენ, უფრო მოტივირებულნი ხდებიან და, რაც მთავარია, ხალისიანად სწავლობენ. მოგვიანებით უფრო დეტალურად ვისაუბრებთ ენობრივი ამოცანის როლზე უცხო ენის შესწავლის პროცესში, რათა დავინახოთ თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ასეთი მეთოდი უცხო ენაზე ზრდასრულთა ზეპირი საკომუნიკაციო უნარების განვითარებაში.

გარდა ამისა, ჯგუფური და წყვილებში მუშაობა შემსწავლელთათვის ნაკლებად სტრესულია. ეს განსაკუთრებით შედარებით მორცხვ შემსწავლელებს ეხება, რომლებსაც აღარ უწევთ ჯგუფის სხვა წევრების წინაშე ამოცანის შესრულება. ისინი უფრო კომფორტულად გრძნობენ თავს მეგობრებთან მუშაობისას და მათგან კრიტიკას უმტკიცნეულოდ იღებენ. უცხო ენის შესწავლის პროცესში ყოველთვის არიან უფრო მეტად და ნაკლებად ენისადმი მიღრეკილი და ნიჭიერი შემსწავლელები. აღნიშნული მეთოდი კი მათ ხელს უწყობს უფრო მეტი შემართებით დახვეწონ და განაგითარონ ენის უნარები, რათა საბოლოო ჯამში იგი ხარისხიანად შეისწავლონ და საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენონ.

ბრამფიტი (1984) აცხადებს, რომ ჯგუფური და წყვილებში მუშაობა ყველაზე უფექტური მეთოდია კლასში შემსწავლელთა ორგანიზებისათვის, რაც აერთიანებს კომუნიკაციისა და ბუნებრივი ურთიერთობების/ინტერაქციის ასპექტებს სტრესისაგან თავისუფალ გარემოში.

აქევ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მასწავლებელს არ სურს აღნიშნული მეთოდის გამოყენება, რადგან ეშინია, რომ ჯგუფში ატყდება ხმაური და შეიქმნება დისციპლინის პრობლემები. ჯგუფური თუ წყვილებში მუშაობისას გარკვეული ტიპის ხმაური ნამდვილად არის, რადგან შემსწავლელები ასრულებენ ამათუიმ ენობრივ ამოცანებს, განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს, ამოწმებენ სიტყვათა მნიშვნელობას და ურთიერთობებს ერთმანეთთან. ეს ე.წ. “შემოქმედებითი ხმაური” საერთოდ არ უშლის ხელს ჯგუფის მუშაობას, ვინაიდან თითოეული შემსწავლელი კონცენტრირებულია ამოცანის შესრულებაზე და არც კი ესმის ეს ხმაური. თუ მასწავლებელი მათ ნათელ ინსტრუქციებს მისცემს, ასწავლის როდის გაჩერდნენ და როდის ისაუბრონ, შესაბამის დროს დაუთმობს ენობრივი ამოცანის შესრულებას, შემსწავლელები აქტიურად ჩაერთვებიან მუშაობაში და გამოიმუშავებენ შესაბამის უნარებს.

ჯგუფური მუშაობის დროს ერთი საგულისხმო ფაქტორი არის საკუთარი დედა ენის გამოყენება იმ აზრების გამოსახატავად, რომელთა წარმოდგენა არ შეუძლიათ უცხო ენაზე. ვინაიდან შემსწავლელს სურს დაამყაროს კომუნიკაცია და სხვებს აცნობოს მისი აზრების შესახებ. შესაბამისად, მასწავლებელმა საგარჯიშოები ისე უნდა დაგეგმოს, რომ გაითვალისწინოს შემსწავლელთა ენობრივ დონე და საშუალება მისცეს მათ როგორც შეუძლიათ ისე ჩაერთონ აქტივობაში. მასწავლებელი მათ უნდა დაეხმაროს ამოცანის კარგად გაგება-გააზრებაში, რაც გაზრდის შემსწავლელის ჩართულობას და საბოლოო მიზანი უკეთესად მიიღწევა.

ზოგიერთ მასწავლებელს არ მიაჩია მიზანშეწონილად ჯგუფური და წყვილებში მუშაობა, ვინაიდან თვლის, რომ საკუთარი აზრების გამოხატვისას შემსწავლელები შეცდომებს უშევებენ. რა თქმა უნდა, შეცდომების დაშვება ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ თუ ჩვენი მიზანია აზრის მკაფიოდ, ნათლად და თავისუფლად გამოხატვა, შეცდომების დაშვება ზეპირ კომუნიკაციას ხელს არ შეუძლის. მასწავლებელმა უბრალოდ უნდა ჩაიწეროს დაშვებული შეცდომები და აქტივობის დასრულების შემდეგ გააკეთოს საბოლოო შეჯამება/შესწორება.

ამდენად, ჯგუფური და წყვილებში მუშაობის დადებითი და უარყოფითი მხარეების განხილვის შედეგად, თამამად შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ ასეთი სახის მიღომით უცხო ენის შესწავლა უფრო რეალურ გარემოში ხორციელდება და ხელს უწყობს შემსწავლელს უკეთესად მოახდინოს ზეპირი კომუნიკაცია ამ ენაზე.

#### **4.5 ენობრივი ამოცანის როლი ზრდასრულთა ზეპირი საკომუნიკაციო უნარის განვითარებაში**

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, დღესდღეობით, უცხოური ენის სწავლების მრავალი მეთოდი თუ მიღომა არსებობს. ზოგი მასწავლებელი ისევ ძველი და ტრადიციული მეთოდის მიმდევარია, ზოგი კი ცდილობს თანამედროვე სწავლების მეთოდებით გაამრავალფეროვნოს ესა თუ ის სასწავლო კურსი, რათა დაეხმაროს ენის შემსწავლელს პროფესიული თუ პიროვნული მიზნების უკეთესად მიღწევაში. ყველაზე ეფექტური და სასარგებლო მაინც კომუნიკაციური მეთოდი აღმოჩნდა, რომლის მიზანია უცხო ენის შემსწავლელს დაეხმაროს სასაუბრო უნარ-ჩვევის გამომუშავებაში და უცხო ენაზე კომუნიკაციისას წარმატების მიღწევაში. ეს განსაკუთრებით საგულისხმოა ზრდასრულებთან მუშაობისას, რომლებიც წარმოადგენენ სრულასაკოვან აღამიანებს სწავლის გარკვეული გამოცდილებით. გარდა ამისა, მათ თავიანთი პირადი ცხოვრებისეული გეგმებიც გააჩნიათ, თითოეული მათგანი უცხო ენის თავისებური შემსწავლელია და საჭიროებს შესაბამის მიღომას. საგულისხმოა ისიც, რომ ოცდამეერთე საუკუნეში უცხო ენის მომხმარებლის წინაშე საკმაოდ საპასუხისმგელო ამოცანა დგას. მან უნდა შეძლოს ამ ენაზე კომუნიკაცია, რათა იყოს წარმატებული და მიაღწიოს შესაბამის მიზნებს. ეს კი სასწავლო პროცესის საკმაოდ რთული და კომპლექსური ელემენტია.

ტრადიციულად, მასწავლებელი კონტროლიორის როლს ასრულებდა, რაც ემყარებოდა იმ აზრს, რომ იგი იყო “ექსპერტი” და მხოლოდ მან იცოდა ყველაფერი. დღეს კი, სასწავლო პროცესში ცეტრალური როლი შემსწავლელს უკავია. იგი უკვე ცოდნის პასიურ მიმღებად აღარ მოიაზრება, მას სერიოზული და

სასარგებლო წვლილი შეაქვს სასწავლო პროცესში. ამდენად, ენის საკომუნიკაციო მიზნები წინა პლანზე გადმოდის.

უცხო ენის სწავლების კომუნიკაციური მეთოდი გულისხმობს უცხო ენის გაკვეთილზე შემსწავლელის რაც შეიძლება მეტ ჩართულობას ამა თუ იმ აქტივობაში, რაც მოითხოვს სხვადასხვა სიმულაციების, როლური თამაშებისა და ინტერაქტიული საგარჯიშოების გამოყენებას. შესაბამისად, იგი უფრო მეტ უურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა თქვას და არა იმაზე თუ როგორ თქვას. სწორედ ასეთი მეთოდის მეშვეობითად შესაძლებელი შემსწავლელს უცხო ენის გაკვეთილზე შევუქმნათ რეალობასთან მიახლოებული ბუნებრივი გარემო და ამით საშუალება მივცეთ უკეთესად ისწავლოს. სწორედ ამ მიზანს გმსახურება ენობრივი ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებული მეთოდიც.

კომუნიკაციური მეთოდის მიზანია უცხო ენის შემსწავლელს საშუალება მისცეს ენა ეფექტურად გამოიყენოს რეალური კომუნიკაციისას. თუ სტრუქტურული მიღება უფრო მეტად უურადღებას ამახვილებს წინადაღებების გრამატიკულად სწორად აგებაზე და უცხო ენის შემსწავლელის მიერ შესაბამისი ლექსიკის გამოიყენებაზე, კომუნიკაციური მეთოდით სწავლების მიზანია შემსწავლელს შესაძლებინოს აზრიანად და ამა თუ იმ სიტუაციისათვის შესაბამისად საუბარი, თუნდაც გარკვეული ენობრივი შეცდომებით.

ენობრივი ამოცანა ის აქტივობაა, რომლის მიზანია უზრუნველყოს შემსწავლელის მაქსიმალური ჩართულობა უცხო ენის გაკვეთილზე, დაეხმაროს მას სამიზნე ენაზე დაამყაროს კონტაქტი და გამოიყენოს ისეთი ენობრივი საშუალებები, რომლებიც მას სჭირდება ამ ამოცანის შესასრულებლად. ასეთი მეთოდი უაღრესად სასარგებლოა ზრდასრულებთან მუშაობისას, რადგან ისინი ხალისიანად ერთვებიან ამოცანების შესრულებაში და, შესაბამისად, უცხო ენის ათვისებაც უფრო სწრაფად და ხარისხიანად მიმდინარეობს.

ენობრივ ამოცანას ყოველთვის თან უნდა მოსდევდეს გარკვეული შედეგი. ყოველი ამოცანის დასრულების შემდეგ შემსწავლელმა უნდა დაინახოს რას მიაღწია და რა სახის სამუშაო შეასრულა. ამდენად, ენობრივი ამოცანის შესრულების დროს უცხო ენის შემსწავლელმა უნდა გამოიყენოს ენა ისეთი სახით, რომ მიაღწიოს შესაბამის მიზანს.

ენობრივი ამოცანის ძირითადი დანიშნულებაა უცხო ენის შემსწავლელს ამ ენაზე კომუნიკაციის უნარი განუვითაროს. როდესაც შემსწავლელი ენობრივ ამოცანას ასრულებს, იგი მაქსიმალურად ჩართულია მასში და შედეგიც მიღწეულია - კომუნიკაცია შედგა.

ენობრივი ამოცანის როლი უაღრესად დიდია უცხო ენის პედაგოგებისათვის, მპლეგრებისთვის, სასწავლო მასალისა თუ კურსის შემდგენლებისათვის. ზოგი მასწავლებელი ენობრივ ამოცანას, უბრალოდ, ტრადიციული ენის გაკვეთილზე იყენებს, ზოგი კი, მთლიან კურსს მის გარშემო აგებს და ამით აადვილებს უცხო ენის შესწავლის პროცესს. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი სახით უცხო ენის შესწავლა ხელს უწყობს უცხო ენაზე საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავებას და გააქტიურებას.

როდესაც ენობრივი ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებულ მეთოდზე გსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მთელი სასწავლო პროგრამა ენობრივ ამოცანებზე უნდა აიგოს, რაც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, შემსწავლელს უფრო უადვილებს უცხო ენაზე კომუნიკაციას. სტერნი (1993) გვთავაზობს საკომუნიკაციო აქტივობების ფართო არჩევანს, რაც მოიცავს კონკრეტულ სიტუაციებს, სტუმრების მოწვევას, შემსწავლელთა პირად ცხოვრებაზე საუბარს და ა.შ. იგი ამას ყველაფერს უწოდებს ენობრივ ამოცანას, რომელიც არაჩვეულებრივი საშუალებაა სასწავლო პროგრამა/კურიკულუმი ისე შევადგინოთ, რომ იგი მაქსიმალურად კომუნიკაციური გავხადოთ, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც სახელმძღვანელოებსა და სხვა წყაროებში არსებული მასალა მეტად მოსაწყენია.

თუ ადრე უცხო ენის სასწავლო პროგრამებში ძირითადი უურადღება გამახვილებული იყო ენის გრამატიკულ-სტრუქტურულ ანალიზზე, დღესდღეობით თითქმის ყველა წარმატებული კურსი უცხო ენაში მოიცავს დიდი რაოდენობით ენობრივი ამოცანების შესრულებას. შემსწავლელები ხალისიანად და აქტიურად ერთვებიან პროცესში და ვერც კი ამჩნევენ, რომ ასეთი ჩართულობითა და აქტიურობით ავარჯიშებენ ენას და ეჩვევიან მის თავისუფლად გამოყენებას. მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი აქტივობაა “პიროვნების დამადასტურებელი ბარათები”. მასწავლებელი ავალებს შემსწავლელებს ბარათებზე დაწერონ სამი-ოთხი მნიშვნელოვანი ფაქტი მათ შესახებ. შემდეგ იგი ჩართავს მუსიკას. შემსწავლელები დადიან ოთახში და ერთმანეთს ეკითხებიან სხვადასხვა კითხვებს, რათა გაიგონ მათ შესახებ საჭირო ინფორმაცია. როდესაც მასწავლებელი გამორთავს მუსიკას, შემსწავლელებს ევალებათ წარმოადგინონ ერთმანეთის შესახებ ის ინფორმაცია, რომელიც კითხვების დასმის შედეგად მოაგროვეს. უცხო ენის გაკვეთილზე მსგავსი აქტივობების გამოყენებით შემსწავლელები უფრო მიზანმიმართული, დაკვირვებული და უურადღებიანი ხდებიან, სიამოვნებთ სწავლა და უკეთესად ახერხებენ უცხო ენაზე კომუნიკაციას.

ენობრივი ამოცანის გამოყენებისას ყველაზე მნიშვნელოვანი პედაგოგიური საკითხი, რომელიც მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს არის ის, რომ ენობრივი ამოცანები სასწავლო ციკლსა და პროგრამაზე უნდა იყოს შესაბამისად მორგებული. ექსპერტებსა და სპეციალისტებს შორის არსებობს მრავალი მოსაზრება. მაგალითად, უილისს (1996) მოსწონს ე.წ. ამოცანის შესრულების ციკლი. თავდაპირველად, ამოცანის შესრულებამდე ხდება გარკვეული მოკლე აქტივობის შესრულება, რათა შემსწავლელი უფრო კარგად მოემზადოს ამ ამოცანისათვის. ამ ეტაპზე მასწავლებელი შემსწავლელს უხსნის უცხო სიტყვებსა და გამოთქმებს. შემდეგ ხდება ამოცანის უშუალოდ შესრულება და ბოლოს მის შესახებ მსჯელობა-განხილვა.

უველივე ზემოთ ნათქვამი ენის შესწავლის პედაგოგიკის კუთხით გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს შემსწავლელზე ორიენტირებულ მიღებას

და პროგრამის ისე შედგენას, რომ მან უცხო ენის შემსწავლელს საშუალება მისცეს ენას ზედმიწევნით კარგად დაუუფლოს.

ენობრივი ამოცანების გამოყენებასა და ენის ათვისებას შორის არსებობს გარეგნული კაგშირი. საუბრის წარმართვა უცხო ენაზე დიდ ძალისხმეულს მოითხოვს ენის შემსწავლელისაგან, რადგან მან უნდა გაიგოს რას ეუბნებიან და სხვას გააგებონოს მისი ნათქვამი და, შესაბამისად, იგი იყენებს საკომუნიკაციო სტრატეგიებს, რათა ეს ამოცანა კარგად შეასრულოს. საკომუნიკაციო სტრატეგიებზე IV თავში ვისაუბრეთ და დავინახეთ, რომ მათ მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ უცხო ენის ათვისების პროცესში, ვინაიდან თითოეულ შემსწავლელს უცხო ენოვან გარემოში თავისებურად შეუძლია აწარმოოს კომუნიკაცია და თუ იგი შესაბამის სტრატეგიებს გამოიყენებს, წარმატებაც არ დაყოვნებს.

ის, თუ როგორი სახით განახორციელებს უცხო ენის პედაგოგი ენობრივ ამოცანას, ზეგავლენას ახდენს შემსწავლელის მიერ საკითხის უპეტ გაგებაზე და უცხო ენის ეფექტურად გამოყენებაზე. შესაბამისად, ენობრივი ამოცანა სწორად უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს.

უცხო ენაზე მეტყველების წარმოება საკმაოდ რთულია. ეს პროცესი მოიცავს მთელ რიგ ეტაპებს. პირველ რიგში, მოსაუბრე მიზნად ისახავს კომუნიკაციას. შემდეგ, იგი აყალიბებს აზრს და წყვეტს თუ რა უნდა თქვას, რისთვისაც ირჩევს შესაბამის ფონოლოგიურ, გრამატიკულ და ლექსიკურ საშუალებებს და გადააქცევს მათ შეტყობინებად. ბოლოს კი, ეს გეგმა გადაიქცევა მეტყველებად. ენობრივი ამოცანები კი ხელს უწყობენ ამ პროცესის ეფექტიანობას.

საერთოდ, ადამიანებს უჭირთ ერთ ჯერზე ერთზე მეტი ამოცანის შესრულება, განსაკუთრებით მაშინ, როცა მათ ჯერ კარგად არ აქვთ გამომუშავებული ის უნარ-ჩვევები და ცოდნა, რომლებიც საჭიროა ამოცანების შესასრულებლად. საუბრის წარმართვა საჭიროებს რამდენიმე გონებრივი

ოპერაციის ერთდროულად შესრულებას, რაც მოსაუბრეს გარკვეული ემოციური თუ ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ ამყოფებს.

სკეპტიკი (1996) მიიჩნევს, რომ საუბარი შესაძლებელია იმიტომ, რომ ენა იძლევა ამის საშუალებას. მოსაუბრებ უნდა იცოდეს მრავალი ენობრივი ფორმულა, რადგან, იმისათვის, რომ თავისუფლად ისაუბროს, იგი პირველ რიგში იხსენებს მზა ფრაზებსა თუ გამოთქმებს და არა სხავადასხვა გრამატიკულ წესებს. თუ ამ მიღებობას დავუჯერებთ, მაშინ დავასკვნით, რომ ენა მოდელებზე დამყარებებული სისტემა.

ამდენად, მოსაუბრეს შეუძლია სწრაფად გაიხსენოს მზა ფორმულები და ფრაზები, რომლებიც პასიურ მარაგში აქვს და, შესაბამისად, შეძლოს თავისუფლად საუბარი. თუმცა, შესაძლოა ეს ასე არ მოხდეს, რადგან ზოგიერთი შეტყობინება უფრო მეტად დახვეწილ და დაკვირვებულ ფორმულირებას მოითხოვს. ასეთ დროს, მოსაუბრე ისევ წესებს გაიხსენებს, რასაც შემდგომ მოჰყვება გადატვირთვა, რაც საუბრისას გამოიხატება პაუზებში ან სხვა სახის შეკვენებებში. ასევე, საგულისხმოა ყურადღების გამახვილება იმ საკითხზე, რომ როდესაც უცხო ენის შემსწავლელი ბევრს ფიქრობს იმაზე, თუ რა თქვას, ბევრ დროს ხარჯავს იმ ფორმის მოფიქრებაზე, თუ როგორ თქვას და, შედეგად, უშვებს უამრავ შეცდომას. თუმცა, როდესაც ენობრივი ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებულ შესწავლაზე ვსაუბრობთ, უნდა აღინიშნოს, რომ ენობრივ სიზუსტეზე ნაკლები აქცენტი უნდა გაკეთდეს, რათა არ დავაკომპლექსოთ შემსწავლელები და, მეტი ყურადღება მივაქციოთ მათი უცხო ენაზე თავისუფლად საუბრის უნარის განვითარებას.

რობინსონის (1995) აზრით, უცხო ენაზე მოსაუბრეს შესწევს უნარი პარალელურად რამდენიმე სხვადასხვა მოთხოვნა დააკმაყოფილოს, ანუ რამდენიმე საქმე აკეთოს ერთდროულად. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ამოცანის შესრულების მოთხოვნა ზეგავლენას ახდენს გამართულად და ზუსტად საუბარზე.

თავისუფლად შეგვიძლია უცხო ენის შემსწავლელს შევუმსუბუქოთ უცხო ენაზე ეფექტური საუბარი თუ მას გარკვეულ მოსაფიქრებელ დროს მივცემთ

საუბრის დაწყებამდე. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა სტრატეგიული დაგეგმვა, რომელიც გულისხმობს ზეპირი სიტყვის/სათქმელის მოფიქრებას, მანა, სანამ მოსაუბრე ჩაერთვება კომუნიკაციაში.

თუ შემსწავლელს შეგუქმნით ისეთ პირობებს ამოცანის შესრულების დროს, რომლებიც მას ნაკლებად დააკომპლექსებს, მისცემს საკმარის დროს მოიფიქროს რა თქვას და როგორ დაგეგმოს სათქმელი, ეს მათ გაუადგილებს ამოცანის შესრულებას და, შესაბამისად, უცხო ენაზე კომუნიკაციას.

არსებობს მოსაზრება, რომ იმისათვის, რომ ისაუბრო თავისუფლად, საჭიროა ლინგვისტური ცოდნის ავტომატურ დონემდე დაყვანა. სწავლა-სწავლების ბიპევოორისტული (მაგ. ლადო 1964) მიმდევრები მიიჩნევენ, რომ კონტროლის მიღწევა შესაძლებელია. ეს იმას გულისხმობს, რომ ე.წ. “ჩვევა” შეიძლება ჩამოყალიბდეს, თუ შემსწავლელი იგარჯიშებს მხოლოდ მექანიკურად და ფორმის სწორად დამახსოვრებაზე გამიზნული საგარჯიშოებით. თუმცა, ენის ათვისების შემეცნებით თეორიებს საფუძვლად უდევს ის, რომ უნდა არსებობდეს რეალურ პირობებში ენის გამოყენების საჭიროება. ამით ის იგულისხმება, რომ შემსწავლელმა ენა უნდა გამოიყენოს და აგარჯიშოს ისეთივე პირობებში, როგორც რეალურ სიტუაციებში კომუნიკაციისას, სადაც მისი მთავარი ამოცანაა არა მხოლოდ ლინგვისტურად სწორად და გამართულად აზრის ჩამოყალიბება, არამედ აზრის მკაფიოდ გადაცემა. სწორედ ეს უდევს საფუძვლად ენობრივი ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებულ სწავლებას, სადაც ამოცანის მიზანია უცხო ენის შემსწავლელს მისცეს შესაძლებლობა გამოავლინოს მისი კომპეტენციები ისეთ აქტივობებში, რომლებიც ორიენტირებულია ენის გამოყენებაზე და არა მხოლოდ მის შესწავლაზე.

შესაბამისად, შეგვიძლია თეორიულად დაგასკვნათ, რომ ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებული სწავლების დროს აუცილებელია დიდი ყურადღება მივაქციოთ უცხო ენაზე მეტყველების უნარს, რაც ხელს შეუწყობს შემსწავლელს იგი უფრო საფუძვლიანად და ეფექტურად შეისწავლოს.

ენობრივი ამოცანის შედგენა განსაზღვრავს მის შედეგს. თონგ-ფრედერიკსმა (1984) საქმაოდ შრომატევადი და საინტერესო სამუშო ჩაატარა. მან შეადარა ერთმანეთს სამი ენობრივი ამოცანა, რომელთაგან ერთი - პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული - იყო დახურული, დანარჩენი ორი კი - როლური თამაში და აზრთა რეალური გაცვლა-გამოცვლა, სადაც შემსწავლელებს მეწყვილესაგან უნდა გაეგოთ რა გააკეთეს წინა დღეს - დია. აღმოჩნდა, რომ პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული ამოცანის შესრულების დროს ოფრო მეტად სპონტანური საუბრის გამოყენება ხდებოდა, ხოლო მოსაუბრები იყენებდნენ ენობრივი ფუნქციების გაცილებით უფრო ფართო სპექტრს. ბრაუნი (1991) ასევე დააკვირდა, რომ ე.წ. “ინტერპრეტაციული ამოცანა”, რომელიც მეტ-ნაკლებად იყო დია, საჭიროებდა უფრო რთული ენის გამოყენებას, ვიდრე ისეთი ამოცანა, რომელიც უბრალოდ გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობდა. დაფმა (1986) აღმოაჩინა, რომ ისეთი ამოცანები, რომლებიც ემსახურება სხვადასხვა მიზნების შესრულებას, როგორიცაა, მაგალითად, დებატები, უფრო მეტად რთული ენის გამოყენებას საჭიროებდა, ვიდრე იმ ამოცანებისა, რომლებიც ერთ მიზანს ემსახურებოდა. მაგალითად, დისკუსია, რომლის მიზანია გადაწყვეტილების მიღება.

ამრიგად, ენობრივი ამოცანების გამოყენება უცხო ენის შესწავლის პროცესში უზრუნველყოფს შემსწავლელთა უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას და განვითარებას. გარდა ამისა, ისინი აქტიურად არიან ჩართული, სიამოგნებთ შესწავლის პროცესი და შესაბამის შედეგსაც აღწევენ.

#### **4.6 როლური თამაშები, როგორც ზრდასრულ შემსწავლელთათვის უცხო ენაზე სასაუბრო უნარ-ჩვევის განვითარების ეფექტური საშუალება**

უცხო ენის კომუნიკაციური მეთოდით სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თვისებაა გრამატიკული სტრუქტურების სწავლება სხვადასხვა ფუნქციური კატეგორიებით. ასეთი მეთოდით სწავლების დროს ჩვენი მიზანია განვითაროთ უცხო ენაზე შესაბამისად მეტყველების უნარ-ჩვევები. მასწავლებელი მხოლოდ ეხმარება შემსწავლელს შეასრულოს ენობრივი ამოცანა და აძლევს სწორ მიმართულებას.

თუ კომუნიკაციური მეთოდით ჩატარებულ ერთ გაკვეთილს ავიღებთ და დავაკვირდებით, მასში აუცილებლად დავინახავთ ენის შემსწავლელის მიერ დასმულ შეკითხვებს ინფორმაციის მოსაძიებლად, საკითხში უკეთ გასარკვევად და აზრის გამოსახატავად. ეს განსაკუთრებით აქტუალურია ზრდასრულთათვის, რადგან ისინი სხვადასხვა რეალურ სიტუაციებში ხვდებიან უცხო ენის გამოყენების თვალსაზრისით თავიანთი პროფესიებიდან გამომდინარე და, შესაბამისად, თავისუფლად უნდა შეძლონ კავშირის დამყარება.

ამდენად, უცხო ენის მასწავლებელმა დაკვირვებით უნდა შეურჩიოს შემსწავლელს სხვადასხვა ენობრივი ამოცანები, რათა ხელი შეუწყოს მას ამ ენაზე უფლებულ კომუნიკაციაში. მეთოდურად ამ მიღებობას ეწოდება ენობრივი ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებული მიღებობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ენობრივი ამოცანა აქტივობის ის ტიპია, რომელიც ენის შემსწავლელს ეხმარება უცხო ენაზე უკეთესად მოახერხოს კომუნიკაცია შესაბამისი ენობრივი საშუალებების მეშვეობით. კარგად წარმოდგენილი ენობრივი ამოცანის დამახასიათებელი თვისებაა შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება შემსწავლელისათვის, რომელიც მან უნდა გაანალიზოს და მასზე დაყრდნობით უპასუხოს შესაბამის შეკითხვებს. ასეთი ამოცანების მეშვეობით, უცხო ენის შესწავლა უფრო მეტად კომუნიკაციური ხდება და, რაც მთავარია, შემსწავლელი აღწევს სასურველ შედეგებს. პოვატის (1984) აზრით, უცხო ენის კომუნიკაციური მეთოდით შესწავლა გულისხმობს ენის შესწავლას კომუნიკაციის მეშვეობით. ამდენად, ენის შემსწავლელებს ყოველთვის უნდა შეგუქმნათ ისეთი შესაძლებლობები, რომ მათ თავისუფლად შეძლონ უცხო ენაზე კომუნიკაცია.

კომუნიკაციური ენობრივი ამოცანები ისეთი სახის ამოცანებია, რომლებიც ითვალისწინებს ენის შემსწავლელის ჩართვას უცხო ენაზე განხორციელებულ აქტივობებში. ისინი ტრადიციული ენობრივი ამოცანებისაგან ძლიერ განსხვავდებიან, რომლებიც ენის შემსწავლელს ავალდებულებენ უურადღება მიაქციოს კონკრეტულ ლინგვისტურ თავისებურებებს (გრამატიკული, ლექსიკური, ფონეტიკური), რათა შეძლოს მათი უფრო აქტიურად და ზუსტად გამოყენება.

კომუნიკაციური ამოცანები მნიშვნელოვანია როგორც უცხო ენაზე თავისუფლად ისე გრამატიკულად გამართულად საუბრის უნარის განსავითარებლად. ისინი შემსწავლელს ეხმარება გააქტიუროს ენის ლინგვისტური ცოდნა, რათა იგი შემდგომ ბუნებრივ და სპონტანურ გარემოში გამოიყენოს. მაგალითად, ადამიანებთან საუბრისას. ამის ერთ-ერთი საშუალებაა სტრატეგიული კომპეტენციის განვითარება. მკვლევარები მრავალ სხვადასხვა გზას გვთავაზობენ იმისათვის, რომ კომუნიკაციის მეშვეობით მოხდეს ენის უკეთესად ათვისება. როლური თამაშები ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა. ისინი ხელს უწყობენ აზროვნებისა და უცხო ენაზე საუბრის უნარ-ჩვევის განვითარებას და ენის შესწავლას შედარებით კომფორტულ და არა-სტრესულ გარემოში.

რიჩარდს და როჯერსი (1986) იკვლევენ ენის შესწავლის სამ თეორიულ შეხედულებას: სტრუქტურულს, ფუნქციონალურს და ინტერაქტიულს. ენის შესწავლის მეთოდი როლური თამაშების გამოყენებით გამომდინარეობს ინტერაქტიულიდან, რადგან ენის შესწავლა ისე უნდა ხდებოდეს, რომ შემსწავლელმა ყოველდღიურად საკლასო ოთახში შეიქმნას რეალური სასიამოვნო და სასურველი გარემო.

როლური თამაშების შესრულებისას მონაწილეებს თავ-თავიანთი როლები გააჩნიათ და ისინი მაქსიმალურად მობილიზებულნი არიან მათ შესასრულებლად. გარდა ამისა, მათ უვითარდებათ ერთმანეთთან ურთიერთობის უნარ-ჩვევებიც, ვინაიდან როლურ თამაშებში სულ ცოტა ორი შემსწავლელი მაინც მონაწილეობს და მათ შორის მუდმივად მიმდინარეობს კომუნიკაციის პროცესი.

უცხო ენის შესწავლა მაშინ არის შედეგიანი, როდესაც შემსწავლელები კარგად არიან გარკვეული თუ რა უნდა გააკეთონ, აქტიურად არიან ჩართული და გააჩნიათ დადებითი ემოციები. როლური თამაშები სწორედ ამას გულისხმობს.

როლური თამაშების გამოყენება შეიძლება ყველა ტიპის შემსწავლელთან: ზოგადი თუ სპეციფიკური უცხო ენის, სხვადასხვა გამოცდებისათვის

მოსამზადებელი ჯგუფებისათვის, მოკლე ინტენსიური სწავლების დროს და ა.შ., რადგან სასაუბრო უნარ-ჩვევის განვითარება აქ მთავარი ელემენტია.

როლური თამაშები პირდაპირ ეხმაურება ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნულ ენის კომუნიკაციური სწავლების მეთოდს. არსებობს მიზანი, რომელიც უნდა მიიღწეს; მთელი საგარჯიშო შედეგზეა ორიენტირებული; არსებობს კავშირი რეალურ სამყაროსთან. გარდა ამისა, როლური თამაშები ენის შემსწავლელებს ამზადებენ ყოველდღიური ცხოვრებისეული კომუნიკაციისათვის, სწორად და განმარტულად გამოიყენონ უცხო ენა შესაბამის სიტუაციებში და მათ გაცილებით უფრო თვით-დაჯერებულებს ხდის.

დღევანდელი ცხოვრება საკმაოდ მრავალფეროვანია. ის ადამიანები, ვისთანაც ყოველდღიურად გვიწევს ურთიერთობა სხვადასხვა ემოციებს განიცდიან. ზოგი დაკავებულია, ზოგი გადიზიანებული, ზოგი კი გახარებული. ამდენად, როლური თამაშების მეშვეობით ჩვენ ვამზადებთ შემსწავლელებს ასეთი წინასწარ განუსაზღვრელი სიტუაციებისათვის. როლური თამაშები ასევე შემოქმედებით ელემენტს მატებს გაკეთილებს, რადგან შემსწავლელებს შეუძლიათ უფრო მაღალ შემეცნებით დონეზე იფიქრონ. ისინი სიტყვებს და გრამატიკულ სტრუქტურებს აქტიურად იყენებენ და განსაზღვრავენ რა მუშაობს და რა არა.

აქევე უნდა აღინიშნოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორიც, რომელიც როლურ თამაშებს გადააქცევს სასარგებლო საკომუნიკაციო საშუალებად. შემსწავლელებს უვითარდებათ მოსმენითი უნარ-ჩვევა. ყოველდღიურად ჩვენ სხვადასხვა როლებს ვთამაშობთ. ხან მასწავლებლები, ხან მეზობლები, ხანაც კლიენტები ვართ. შესაბამისად, ჩვენი ლექსიკური ბაზა, ინტონაცია და ქცევა შესაბამის როლზეა მორგებული. მსმენელის გათვალისწინება ყოველდღიური კომუნიკაციის აუცილებელი კომპეტენციაა. როლური თამაშები კი შემსწავლელებს აძლევენ ამის საშუალებას საკლასო გარემოში, სადაც საგსებით დადებითი და სასიამოვნო გარემოა შექმნილი. ამრიგად, როლური თამაშების მეშვეობით ენის შემსწავლელები სწავლობენ უცხო ენაზე საუბარს რეალურ სამყაროსთან მიმართებაში და არა ხელოვნურ და არარეალურ გარემოში.

როლური თამაშები სხვადასხვა სიტუაციებში თავის გარომევის არაჩვეულებრივი საშუალებაა. მაგალითად, აეროპორტში, ბიბლიოთეკაში და სხვა. ენის შემსწავლელები ასევე სწავლობენ როგორ გაეცნონ სხვებს, გამოხატონ სხვადასხვა ემოციები და გრძნობები, დასვან შეკითხვები, როგორ მოიქცნენ ოფიციალურ და არა-ოფიციალურ გარემოში. ამ სიტუაციების ფლობა მათ საშუალებას აძლევს ბუნებრივად იმოქმედონ, ისაუბრონ თავისუფლად მაშინაც კი თუ არასაკმარისი ენობრივი ცოდნა გააჩნიათ. როლური თამაშების მეშვეობით ისინი სწავლობენ შესაბამისად და სწორად საუბარს.

როლური თამაშები ოპტიმალური საშუალებაა სხვადასხვა ერების კულტურის საკითხების განსახილებელად. როდესაც ადამიანი იწყებს უცხო ენის შესწავლას, იგი სწავლობს იმ ქვეყნისა და ხალხთა კულტურას, რომლებიც ამ ენაზე საუბრობენ. მაგალითად, დროს და პუნქტუალურობას დიდ ყურადღებას ანიჭებენ ამერიკელები, ესპანელები კი არა. ბერძნები ხმამაღალი საუბრით გამოხატავენ ზრდილობიან დამოკიდებულებას, ხოლო ბრიტანელებისათვის ეს უზრდელობის ნიშანია. როდესაც ბავშვები თამაშობენ ექიმობანას, სახლობანას და სხვა თამაშებს, ისინი ამ როლებისათვის დამახასიათებელ თვისებებს იყენებენ და ავარჯიშებენ შესაბამის ენებრივ საშუალებებს.

კონტაქტური, მოსაუბრე და მოლაპარაკე შემსწავლელი უფრო წარმატებულად სწავლობს უცხო ენას. თვით-დაჯერებულობა ის თვისებაა, რომელიც აადგილებს უცხო ენაზე კომუნიკაციას. რაც უფრო მეტად თვით-დაჯერებულია შემსწავლელი (განსაკუთრებით, ზრდასრული), მით უფრო სწრაფი პროგრესი ექნება და უკეთესად შეისწავლის უცხო ენას. სწორედ ამ უნარის განვითარებას უწყობენ ხელს როლური თამაშები. ისინი უცხო ენის შემსწავლელებს თვითდაჯერებულობას კიდევ უფრო მატებენ, რადგან წარმატება სახეზეა. ისინი იძენენ პრაქტიკულ გამოცდილებას, წინასწარ ვარჯიშობენ იმ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, რომლებიც მომავალში დასჭირდებათ რეალურ უცხო ენოვან გარემოში. მაგალითად, საყიდლებზე წასვლა, შეხვედრების დანიშვნა, სახლის დაქირავება და ა.შ.

როლური თამაშები შემსწავლელთა საჭიროებებსა და მოთხოვნებსაც ითვალისწინებენ. მათ უვითარდებათ იმის პასუხისმგებლობა, რომ თვითონვე დაარეგულირონ საკუთარი შესწავლის პროცესი და გახდნენ ავტონომიურნი. მასწავლებელი მხოლოდ ახდენს სასწავლო პროცესის ორგანიზებას. იგი არ დომინირებს. იგი უფრო დირიქორის ფუნქციას კისრულობს. ასეთ დროს თითოეული შემსწავლელი თავს ვალდებულად გრძნობს შესაბამისად იმონაწილეოს როლურ თამაშში. ეს მეთოდი ასევე ავალდებულებს შემსწავლელს კონტაქტი უფრო ეფექტურად დაამყაროს.

საჭიროა რაც შეიძლება ხშირად გამოვიყენოთ როლური თამაშები უცხო ენის სწავლებისას. მასწავლებელმა დაკვირვებით უნდა შეარჩიოს ისინი და გამოიყენოს ამათუიმ პროგრამისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაკვეთილი დაემსგავსება მხოლოდ დროის გაყვანის ინსტრუმენტს.

თუ მასწავლებელი ჰქვიანურად შეარჩევს როლურ თამაშებს, მოარგებს მათ ნებისმიერი ენობრივი ასპექტის სწავლებას (მოსმენა, ლექსიკა, გრამატიკა, თავისუფალი თემების მომზადება), აუცილებლად გაუადვილებს შემსწავლელს უცხო ენის შესწავლას.

რა თქმა უნდა, როლური თამაში იდეალური საშუალება არ არის. მასაც გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეები. მაგალითად, დიდი დრო მიაქვს გაკვეთილზე, ყველა როლის შესრულება ყველა შემსწავლელს არ სიამოვნებს. ამიტომ, მასწავლებელმა იგი გონივრულად უნდა დაგეგმოს და განახორციელოს.

როლური თამაშები უნდა იყოს მარტივი, მოქნილი და არ საჭიროებდეს დიდ მომზადებას არც მასწავლებლის და არც შემსწავლელის მხრიდან.

მოცემული პროცედურა დაეხმარება მასწავლებლებს როლური თამაშები მოარგონ თავიანთ სასწავლო გარემოს და უცხო ენის ზრდასრულ შემსწავლელთა ზეპირი საკომუნიკაციო უნარები კიდევ უფრო მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ.

- 1) თავდაპირველად გააცანით შემსწავლელს როლური თამაში და აუხსენით მას მისი დადებითი მხარეები
- 2) დაუთმეთ რამდენიმე წუთი თემატური ფრაზებისა და სიტყვების სწავლებას
- 3) დაარიგეთ როლები
- 4) მიეცით ყველა შემსწავლელს საშუალება 10-15 წუთის მანძილზე წინასწარ გაითამაშონ როლები
- 5) რიგ-რიგობით შეასრულებინეთ როლი ყველას
- 6) გააკრიტიკებინეთ საკუთარი თავი იმისათვის, რომ შემდგომში ხარისხი გააუმჯობესონ
- 7) შეაფასეთ მათ მიერ შესრულებული სამუშაო
- 8) მომდევნო გაპვეთილზე ისაუბრეთ დაშვებულ ენობრივ შეცდომებსა და დაფიქსირებულ სირთულეებზე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვინაიდან ჩვენი მიზანია შევქმნათ ენის შესწავლისათვის და უცხო ენაზე საუბრისათვის ხელსაყრელი გარემო, არ უნდა ვაიძულოთ შემსწავლელი ითამაშოს ის როლები, რომლებიც არ სურს. თავდაპირველად შეეკითხეთ რომელი როლის თამაში მიანიჭებდათ მათ სიამოვნებას. თუ ზოგიერთი შემსწავლელი უარს განაცხადებს, არა უშავს, ჯერ ინდივიდუალურად შეასრულებინეთ როლი, რათა მათ მიეცეს მეტი რწმენა და შემდეგ ჩართეთ ისინი წყვილურ თუ ჯგუფურ მუშაობაში. გაითვალისწინეთ ასევე, რომ ჯგუფში ზოგჯერ ერთი-ორი რთული შემსწავლელი გამოერევა, რომლებიც სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელებას გარკვეულწილად ხელს უშლიან. სწორედ როლური თამაშებით შეიძლება მათი მართვა, ვინაიდან ისინი მეტნაკლებად ჩართული და დაინტერესებული არიან.

უშუალოდ აქტივობის მსვლელობისას შემსწავლელს არ უნდა შევაწყვეტინოთ საუბარი შეცდომების გასწორებაით. მათ საშუალება უნდა მივცეთ

განავითარონ სასაუბრო უნარ-ჩვევა. რაც უფრო მეტად დაგუკავშირებთ როლს შემსწავლელის საკუთარ გამოცდილებას, მით უფრო რეალურს დაემსგავსება იგი და დაძლევინებს მას საუბრის კომპლექსს. ამით ჩვენ შევძლებთ უცხო ენის შემსწავლელები მოვამზადოთ იმ ენობრივი გარემოსათვის, რომელიც მათ კლასის გარეთ ელოდებათ, სადაც მათ დამოუკიდებლად მოუწევთ თავი გაართვან უკელანაირ სირთულეს.

როლური თამაშები იძლევა გაკვეთილზე წყვილებში და ჯგუფურად მუშაობის არაჩვეულებრივ საშუალებას. ასეთი ტიპის მუშაობისას მაქსიმალურად იზრდება ის დრო, რომელსაც შემსწავლელი ხარჯავს უცხო ენაზე საუბარზე. მეტ სასაუბრო პრაქტიკას კი მოჰყვება უფრო მეტი თავისუფლად საუბრის უნარის განვითარება. ნებისმიერი კომუნიკაციური მეთოდით ჩატარებული გაკვეთილის მიზანია რაც შეიძლება მეტი შესაძლებლობა მიეცეს შემსწავლელს ისაუბროს უცხო ენაზე იმისათვის, რომ მეტი თავდაჯერებულობა მოემატოს.

უურადღების გასამახვილებელია ის გარემოება, რომ მასწავლებელმა შესაბამისად უნდა დაგეგმოს და ორგანიზება გაუკეთოს ჯგუფებად თუ წყვილებად დაყოფას. თითოეული შემსწავლელის ძლიერი და სუსტი მხარეები დაკვირვებით უნდა გადაიხედოს. დაწყვილება ან ჯგუფებად გადანაწილება უნდა განხორციელდეს აზრიანად და მიზანმიმართულად. თუ სუსტ შემსწავლელს ისევ სუსტოან დავაწყვილებთ, ეს მათ უფრო მეტ დამაჯერებლობას შემატებს. თუმცა, შედარებით ძლიერი და სუსტის ერთად მუშაობაც ორივეს წაადგება იმ თვალსაზრისით, რომ ისინი შეავსებენ ერთმანეთს და მოხდება მეტი თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების უნარის განვითარება. გარდა ამისა, სუსტი მონაწილესათვის ძლიერთან მუშაობა კარგი სტიმული იქნება კიდევ უფრო განავითაროს და დახვეწოს საკუთარი ენობრივი უნარ-ჩვევები.

როლური თამაშები ყველა დონისა და ასაკის შემსწავლელზეა მორგებული. ისინი სახალისოა, მაქსიმალურად რთავს შემსწავლელს აქტივობაში, ხელს უწყობს მათ დაძლიონ საუბრის კომპლექსი და აჩვევს საკუთარი აზრის უცხო ენაზე ნათლად გამოხატვას. გარდა ამისა, ისინი იყენებენ ბუნებრივ ენას და საუბრისას

ემატებათ სითამამე, ნაკლებ შეცდომებს უშვებენ და, რაც მთავარია, ეს შეცდომები მათ ხელს არ უშლის აზრის მკაფიოდ გამოხატვაში, ვინაიდან მათი მიზანია როლისა და ამოცანის შესრულება.

დიდი მნიშვნელობა აქვს როლის შესრულებამდე მის შესაბამის დონეზე მომზადებას და დაგეგმვას, ვინაიდან ეს შემსწავლელს ხელს უწყობს უკეთ მოახდინოს კონცენტრაცია და იყოს მობილიზებული. გარდა ამისა, გრამატიკული და ლექსიკური ერთეულების დახვეწაც უკეთ ხორციელდება, როდესაც შემსწავლელი დადგით და სასიანოვნო გარემოშია.

ნათელი ინსტრუქციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შესრულდეს როლი არანაკლებ საგულისხმოა, ვინაიდან თუ როლი კარგად ვერ გაიგო შემსწავლელმა, მას იგი არასწორად შეასრულებს, რაც მიზნის მიღწევის წარმატებას ამცირებს.

ქვემოთ მოცემული ერთ-ერთ მაგალითი სრულ წარმოდგენას შეგვიქმნის თუ როგორი თანმიმდევრობით უნდა მოხდეს როლური თამაშების ადმინისტრირება:

ა) თავდაპირველად აუხსენით შემსწავლელებს, რომ თქვენ მათ დაყოფთ მცირე ჯგუფებად, რომლებშიც თითოეულ მათგანს ექნება შესაბამისი როლი. მაგალითად, დედა, მამა, 17 წლის ვაჟიშვილი, 11 წლის ქალიშვილი. მათ უნდა განიხილონ ოჯახში არსებული პრობლემა და მივიდნენ საბოლოო გადაწყვეტილებამდე. პრობლემა კი შემდეგში მდგომარეობს: ოჯახის უფროსს, მამას შესთავაზეს სამუშაო ნიუ-იორკში, ორმაგი ხელფასით და იგი ოჯახის წევრებს სთხოვს მიაღებინონ გადაწყვეტილება დათანხმდეს თუ არა ამ სამუშაოზე.

ბ) დაყავით შემსწავლელები მცირე ჯგუფებად და მიეცით მათ თავიანთი როლები. ნათლად აუხსენით რა ევალება თითოეულს. გამოუყავით გარკვეული დრო იმისათვის, რომ მათ დაგეგმონ ეს დისკუსია.

გ) დააწესეთ 10-15 წევთიანი რეგლამენტი საკითხის განსახილველად და შესაბამისი როლის თამაშისათვის.

დ) როდესაც დაასრულებენ, დაავლეთ ჯგუფს აირჩიოს ერთი მონაწილე, რომელიც მთელ კლასს მოახსენებს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

როგორც აღნიშნული მაგალითიდან ჩანს, როლური თამაშის დროს შემსწავლელი მუდმივად ჩართულია, აქტიურად საუბრობს, ჯგუფში ან წყვილში სხვა წევრებს უზიარებს აზრებს, უსმენს სხვას და, შესაბამისად, მისი უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის უნარი მნიშვნელოვნად ვითარდება. ზრდასრულებს განსაკუთრებით მოსწონთ ასეთი ტიპის სამუშაო, ვინაიდან ისინი თავს მნიშვნელოვნად თვლიან და დადებითი ემოციებით იმსჭვალებიან, რაც უცხო ენაზე კომუნიკაციისათვის კიდევ ერთი საგულისხმო კომპონენტია, ვინაიდან როდესაც შემსწავლელს სიამოვნებს რაიმეს კეთება, იგი მაქსიმალურად იხარჯება და წარმატებით ითვისებს მასალას.

სასურველია ბოლოს დაასრულოთ ასეთი შეკითხვებით:

- ა) გაგიძნელდათ თუ არა როლის შესრულება? რატომ?
- ბ) ძნელი იყო თუ არა საბოლოო კონსენსუსის მიღწევა? რატომ?

ეს მასწავლებელს აჩვენებს, თუ რამდენად წარმატებით ჩაიარა როლის შესრულებამ და კიდევ რა საკითხებზეა მეტი სამუშაო განსახორციელებელი.

## 4.7 კამათი, დებატები, დისკუსია

### ა) კამათი

კამათი გერბალური კომუნიკაციის განსაკუთრებული სახეობაა. იგი არის რაიმეს დასაბუთება, სადაც ყოველი მონაწილე მხარე განსახილვები საკითხის საკუთარ გაგებას იცავს და უარყოფს ოპონენტისას.

კამათს სხვადასხვა მიზნები გააჩნია. ზოგჯერ ეს ჭეშმარიტების დადგენაა, ზოგიერთი კამათის დროს კი – გამარჯვება ოპონენტზე. კამათის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შინაგან განწყობაზე არიან მასში ჩართული პირები და რამდენად მიზანდასახული ერთობლივი განხილვით სადაო საკითხის გადასაწყვეტად.

მეთოდოლოგიურად, მოპაექრები თანაბრად უნდა იცნობდნენ კამათის ხელოვნებას. აქევ დიდი ყურადღება ენიჭება ურთიერთდაომობის უნარს. გაცილებით უფრო შედეგიანია თავიდან მცირე დაომობაზე წასვლა და შემდეგ თანდათან მთავარში პარტნიორის დათანხმების ტაქტიკა.

საკუთარ მსჯელობაში შეცდომის აღიარება და ამით ოპონენტის წინაშე ხმამაღალი განცხადებაც საკმაოდ მნიშვნელოვანია. თუ ოპონენტს რაიმე არ ესმის, საყვედურის ნაცვლად გაუგებრობის მიზეზად სჯობს საკუთარი თავი გამოვაცხადოთ და ახალი მსჯელობა სხვა კუთხით წარვმართოთ. როდესაც გამოიკვეთება თანხვედრი შეხედულებები, მიზანშეწონილია მათი ერთგვარი თავმოყრა, დალაგება და შეჯამება.

კამათი ჩვეულებრივ სამი სხვადასხვა შედეგით მთავრდება:

- ა) წინააღმდეგობის კიდევ უფრო გადრმავება-გამწვავება
- ბ) აზრთა სხვადასხვაობის შერბილება-შემცირება
- გ) თანხმობის მიღწევა

## ბ) დებატები

დებატი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს სიტყვიერ ორთაბრძოლას. დებატების მიზნად მიჩნეულია მონაწილეთა მიერ განხილვის (განსახილვები) საგნისადმი მიღომების გამოვლენა, შესაძლო თვალსაზრისებისა და პოზიციების გამომუშავება.

დებატები ვერბალური კომუნიკაციის სპეციფიკური სახეობაა და კამათის ხელოვნებას განეკუთვნება. მასში გამოკვეთილია საგანი და პრობლემა. მის შედეგს დიდი მნიშვნელობა აქვს და, ამიტომაც, დებატების მიზანი განხილვის საგნის (პრობლემის) ირგვლივ შექმნილი ვითარების გარკვევა-დაკონკრეტება, ამ ვითარების შინაარსის საჯარო განსჯა-ანალიზი და განცხადებაა. ვითარების სიმწვავე განსაზღვრავს დებატების პოლემიკურობის სიმწვავე-სიცხარესა და არსებობა-არარსებობას.

დებატების მიზანი ფაქტსა თუ მოვლენაზე თვალსაზრისის (შეხედულების, მიღომის) გამომუშავებაა, ხოლო ფაქტის, მოვლენის, პრობლემის გადაჭრის მიზანი თუ დაემატება, პოლემიკაში გადაიზრდება. ასე, რომ საერთო მიზანი, საჯარო განხილვით ერთიანი თვალსაზრისის (ხედვის) გამომუშავებაა.

ამიტომ, არგუმენტირების ტექნიკა და ტაქტიკა კამათის ხელოვნებაში საჭირო უნარ-ჩვევაა.

არგუმენტაციის ძირითადი ამოცანებია:

- შემსწავლელის გარკვევა ვითარებაში და განსახილვები პრობლემის ხედვის შექმნა
- არგუმენტირების მიზნის აქტუალობაში შემსწავლელის დარწმუნება
- შემსწავლელისათვის იმის დასაბუთება, რომ დასახული ამოცანების შესრულება შესაძლებელია

- შემსწავლელის დარწმუნება იმაში, რომ შეთავაზებულის გარდა სხვა გზით პრობლების გადაწყვეტა შეუძლებელია

დებატებში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ზეპირი სიტყვის წინასწარ მომზადება. ზეპირი გამოსვლის მოსამზადებლად, უპირველესად, უნდა შედგეს დეტალური გეგმა. მნიშვნელოვანია ე.წ. საკვანძო ფრაზების გამოყენება. პირველ წინადადებას არანაკლები მნიშვნელობა აქვს. მან შემსწავლელზე შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს და კავშირი დაამყაროს წინა გამომსვლელთან.

## გ) დისკუსია

დისკუსია არის ინტელექტუალური ენობრივი კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ფორმა. იგი მეცნიერული კამათია და შეიძლება აღნიშნავდეს კამათის საგნის განხილვას, საკუთარი აზრის გამოხატვას, მეცნიერული ურთიერთობით ახალი ცოდნის შეძენას.

დისკუსიის მეორე განმარტება იმაში მდგომარეობს, რომ იგი დიალოგის თავისებური ფორმაა და ნიშნავს გამოძიებას, განხილვას, ურთიერთ-თავდასხმებს. დისკუსია მოსაზრებათა წამოყენებით საქმის არსის ერთობლივ გარკვევას ვარაუდობს. დისკუსიის მონაწილეთა მიზანია მტკიცებათა სისწორის დასაბუთება და პრობლემის არსის ერთობლივად გათავისება-გააზრება. ამისათვის, განსახილველ საკითხს სხვადასხვა პოზიციიდან უდგებიან, ცდილობენ ერთმანეთის თვალსაზრისები შეაჯერონ და ამით თანხმობას მიაღწიონ.

დისკუსიის მიზანია ჭეშმარიტების დადგენა ან თანხმობის მიღწევა. მას მკვეთრად გამოხატული ახსნა-განმარტებითი ხასიათი აქვს. დისკუსიის კლასიკური ფორმა/სახეობაა სამეცნიერო თაგვირილობები: კონფერენციები, კონგრესები, სიმპოზიუმები.

დისკუსიის წარმატებულობა დამოკიდებულია მონაწილეთა რაოდენობაზე, 4-6 მონაწილის ჩართვა, ვინაიდან სიმრავლე პროცესს ახანგრძლივებს და იწვევს მონაწილეთა გადაღლას, რაც აქვეითებს აღქმა-გააზრებას.

დისკუსიაში მონაწილეობისათვის გასათვალისწინებელია შესაბამისი თავდაჯერის მანერა. იგი სრულიად ბუნებრივი უნდა იყოს. ასევე, მნიშვნელოვანია ოპონენტის ყურადღებით მოსმენა და მისი აზრის დაჯერა. ოპონენტს უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ ბოლომდე დაასრულოს, ჩვენ კი აქტიურად მოვუსმინოთ და ვეძიოთ შეხების წერტილები, დავიმახსოვროთ ურთიერთ-შემასვებელი საბუთები. არ უნდა გამოვეკიდოთ სიტყვაზე და არ უნდა შევლახოთ მისი თავმოყვარეობა. აუცილებელია იმის დემონსტრირება, რომ თვალყურს ადევნებთ მის მსჯელობას, აზრთა დინებას და გულწრფელ თანამონაწილეობას. იმ შემთხვევაში, თუ ოპონენტის რაიმე აზრი გაუგებარია, ტაქტიანად უნდა ვთხოვოთ კომენტარი.

კამათის ფსიქოლოგიაში არსებობს რეკომენდაციები ოპონენტის სხვადასხვა საქციელზე რეაგირებისას:

- თუ მოსაუბრე აზგიადებს პრობლემას და მის განხილვას დისკუსიის ფარგლებს გარეთ ცდილობს, მას უნდა ვთხოვოთ საკითხის დაკონკრეტება, თეზისის დაზუსტება და მსჯელობის საწყის მიმართულებაში დაბრუნება
- თუ ოპონენტი ძირითად თეზისს გვერდს უკლის და ყურადღება გადააქვს წვრილმანებზე, უნდა შევახსენოთ დისკუსიის მიზანი და ვთხოვოთ გაისხენოს რა აზრს ამტკიცებდა
- თუ აშკარა ხდება, რომ მოსაუბრე დისკუსიის მიმართულების შეცვლის მიზნით ინიციატივის ხელში ჩაგდებას ცდილობს, აუცილებელია მისი შენიშვნების, მოტივების, პოზიციის გააზრება და სათანადო რეაგირება
- თუ ოპონენტი კრიტიკის გადატანას კამათის მონაწილის პიროვნებაზე დააპირებს, ტაქტიანად უნდა მივუთითოთ ამის დაუშვებლობაზე
- თუ ოპონენტები მონაწილეთა შეცდომებით მანიპულირებენ, ფაქტებს უგულვებელყოფენ და მასალას ტენდენციურად არჩევენ, უნდა ვთხოვოთ დახმარება გაჭირვებისაგან თავის დასაღწევად

- ოპონენტები არ უნდა აჰყვნენ ემოციებს და ახსოვდეთ, რომ მათ მოწინაღმდეგებებს შეგნებულად სურთ მათი გამოყვანა წინასწორობიდან. დამცავ იარაღად შეგვიძლია გამოვიყენოთ სატირა, ირონია, სარკაზმი
- დისკუსიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ელემენტია რეგლამენტი: დასაწყისისას და დასასრულს შესვენების განსაზღვრა დისკუსიაში ჩასართველად მონაწილეს შესაბამისი დრო უნდა მიეცეს მოსაფიქრებლად. მან ლოგიკური თანმიმდევრობით უნდა დააღაგოს არგუმენტები, საკვანძო გამონათქვამები და გაითვალისწინოს სხვა ნაწილები.

დისკუსიაში დაუგებმავი ან მოულოდნელი ჩართვა უფრო მნელია. ასეთ შემთხვევაში დიდ როლს თამაშობს მონაწილის ინტელექტი, აზროვნებისა და ანალიტიკის დონე.

ეფექტურია ე.წ. იმპროვიზირებული ჩართვა, საუბრის იმგვარად წარმართვა, თითქოს აზრი ამწუთას გაგვიჩნდა.

აუცილებელია დავიცვათ დრო და რეგლამენტი. დროზე მეტ ხანს ლაპარაკი გაუმართლებელია. რეგლამენტის დარღვევა მსმენელს აღიზიანებს და მოსმენის ხარისხი აშკარად მცირდება.

შეკითხვები და შენიშვნები დისკუსიაში კამათის აუცილებელი კომპონენტებია. სწორედ ამ ფორმით გამოიხატება დისკუსიაში აზრთა სხვადასხვაობა, შეკითხვებითა თუ შენიშვნებით ირკვევა პოზიციები და ა.შ.

კითხვის გაჩენა აზროვნების ნიშანია. დისკუსიაში კი უფრო ის არის გასათვალისწინებელი, რომ მას შეუძლია უფრო მეტის გაკეთებაც.

დამასრულებელი სიტყვა დისკუსიაში: ეს არის თემის/პრობლემის ირგვლივ გამოთქმულ მოსაზრებათა და თვალსაზრისთა შეჯამება აზრობრივ-ლოგიკური შეთანხმება დალაგაბის გზით.

## რეკომენდაციები

- დისკუსიაში მონაწილე არ უნდა დაშორდეს თემას და არც მალიან ჩაუღრმავდეს მას
- არ უნდა იმეორებდეს ერთიდაიგივეს მოსახეზრებლად
- არ უნდა ისაუბროს მის მშობლიურ ენაზე
- უნდა პქონდეს ინტელექტი და განათლება
- იყოს ტაქტიანი და მომთმენი

ამდენად, საჭიროა დისკუსიის მეთოდის სხვადასხვა ასპექტების ცონდა.

წამყვანი (მოდერატორი) სრულყოფილად უნდა ფლობდეს დისკუსიის წარმართვის ტექნიკას და უნდა ესმოდეს მისი ტექნოლოგიის ფილოსოფია: მომზადება, წარმართვა, ჩატარება, სტიმულირება, პროცესუალური უწყვეტობისა და მთლიანობის დაცვა, შეფასება-შეჯამება, მადლიერების გამოხატვა საუბარში.

მოდერატორი აქტიურ როლს თამაშობს დისკუსიაში. იგი ხელმძღვანელობს დიალოგის პროცესს. მას არ უნდა გამორჩეს და არ უნდა გაუშვას მხედველობიდან მთავარი თემა, რასაც ეხება დისკუსია. საუბარი მუდმივად საჭირო კალაპოტში უნდა წარიმართოს.

წარმატებულობის უპირველესი პირობაა სადისკუსიო თემის (პრობლემის) ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, თავდაჭერისა და შესაბამისი ქცევის მანერა. წამყვანმა დისკუსია უნდა წარმართოს წყნარი, შეუბოჭავი იუმორით გაჯერებული და თავდაჭერილი მანერით. არ უნდა ცდილობდეს მონაწილეთა “გადაფარვას”, თავს არ უნდა ახვევდეს მათ საკუთარ თვალსაზრისს. არ უნდა ერეოდეს დისკუსიის პროცესში უადგილო და უდროო განცხადებებით, არ უნდა ემჩნეოდეს გინმეს მიმართ მიკერძოება.

დისკუსიის წარმართვაში მნიშვნელოვანი მომენტია დაწყება. დაწყების მანერა ბევრად განსაზღვრავს პროცესის ტონალობას და სტილს. მიზანშეწონილია დისკუსიის მოკლედ, სხარტად და, რაც მთავარია, მკაფიოდ და კეთილგანწყობის გამომხატველი გრძნობით გახსნა.

დისკუსია მრავალხმიანი ენობრივი კომუნიკაციაა და, შესაბამისად, საჭიროა ჰარმონიულობის მიღწევა. ეს იმას გულისხმობს, რომ დისკუსიის წამყვანმა ყველა მონაწილე უნდა ჩააბას, მათ თავიანთი ადგილები უნდა მიუწინოს და დისკუსია წაიყვანოს შესაბამისად.

წამყვანი მუდამ უნდა შეიგრძნობდეს დისკუსიის მსვლელობის ტემპს, აკონტროლებდეს სრულ პროცესს და ამას ისე უნდა აკეთებდეს, რომ თვალში საცემი არ იყოს.

ჩარევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, როცა მონაწილე სერიოზულად გაერთვება ლაპარაკით და მხოლოდ საკუთარი თავისათვის ყურის გდებით გადადის სულ სხვა თემებზე. ამიტომაც, წამყვანი გაფაციცებით უნდა ადევნებდეს თვალს დისკუსიის პროცესს.

თუ წამყვანმა შენიშნა, რომ მოსაუბრე თემას დასცილდა, მან ამის შესახებ ტაქტიანად უნდა მიუთითოს. მან სადისკუსიო თემის თანდათან განვითარება უნდა უზრუნველყოს. უნდა მოხდეს ჯერ ერთი საკითხის ამოწურვა, ხოლო შემდგომ მეორეზე გადასვლა.

წამყვანი მუდამ უნდა ეხმარებოდეს გამოუცდელ ან ასოციურად მოაზროვნე მონაწილეებს. ასეთ მოსაუბრეს აზრის მკაფიოდ გადმოცემა უჭირს, რადგან სათქმელს თავს ვერ უყრის და აზრი ეფანტება. თუ მონაწილეს ამგვარი ნაკლი თავად აქვს გაცნობიერებული, საქმე იოლად წყდება წამყვანის ტაქტიანი დახმარებით. ასეთ შემთხვევაში, წამყვანი მოლაპარაკის მოსაზრების გასაგებობას ლოგიკური შეკითხვით ან საუბარში ჩართვით აუმჯობესებს, თავს მოუყრის მოლაპარაკის ნათქვამს და მოკლედ მიაწვდის დისკუსიის მონაწილეებს.

დისკუსიის მსვლელობისას გაკონტროლების ეფექტური საშუალებაა პერიოდული შუალედური შეჯამებები ან მონაწილეთა მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა შედარება-შეპირისპირება.

ამრიგად, კამათი, დისკუსია და დებატები უცხო ენის შესწავლის პროცესში იძლევა არაჩვეულებრივ შესაძლებლობას ზრდასრულ შემსწავლელს შეაძლებინოს კომუნიკაცია საკუთარი პოზიციების, სხვათა აზრებსა და მოსაზრებებზე კომენტარის გაკეთების, დათანახმება-არდათანხმებისა და აზრიანი მსჯელობის შედეგად, რაც მას კიდევ უფრო თავდაჯერებულს ხდის და წარმატებით შეასწავლის უცხო ენას.

#### 4.8 ქეისები/პრაქტიკული მაგალითები/კონკრეტული შემთხვევები

ქეისები აქტიურად გამოიყენება განათლებაში, ვინაიდან ისინი ეხმარება შემსწავლელს საკითხი უკეთესად შეისწავლოს, განავითაროს კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევა. ეს მეთოდი განსაკუთრებით წარმატებულია ისეთ სფეროებში, როგორიცაა, ეკონომიკა, ბიზნესი, საზოგადოებრივი მეცნიერებები, მედიცინა და ა.შ., სადაც პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევა საჭიროა იმისათვის, რომ ადამიანებმა საკუთარი აზრები მკაფიოდ გამოთქვან და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ სხვების აზრებზე. ქეისების უმეტესობა ან რეალურ ფაქტებსა და მოვლენებს ემყარება ან ძალიან ახლოსაა რეალობასთან. მათში მოთხოვობილია რაღაც ამბავი, რომელიც მოიცავს კონფლიქტს ან სადაო სიტუაციას და საჭიროებს გადაჭრას. თუმცა, მათ ერთი კონკრეტული გადაჭრის მხარე არ გააჩნია. მათში მოცემული ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს მრავალ სხვადასხვა სახის მასალას, როგორიცაა, გრაფიკები, ცხრილები, ისტორიული მიმოხილვა ან უბრალოდ იყოს ჩვეულებრივი ადამიანური მონათხობი, რომელიც გვიყვება რაიმე რთული სიტუაციის შესახებ, რომელსაც სჭირდება გადაწყვეტილების მიღება.

ტრადიციული ქეისები შეიცავს დაწერილებით ისტორიულ ინფორმაციას, როგორიცაა, სტატისტიკური მონაცემები, შესაბამისი სამართლებრივი და სამთავრობო პოლიტიკა, და სხვადასხვა უწყებების არგუმენტები მისაღები ქმედებების შესახებ. ისინი შედგენილია უფრო პირადი გამოცდილების გათვალისწინებით და შეიცავენ ნამდვილ მოქმედ პირებს რეალურ სიტუაციებში. კარგი ქეისები წარმოგვიდგენს ინტერესის აღმძვრელ საკითხს და მთავარი მოქმედი პირების მიმართ გვივითარებს თანაგრძნობას. ისინი აღწერენ და ასახავენ მათ ინდივიდუალურ აზრებსა და გარემოებებს ისე, რომ საშუალებას აძლევენ შემსწავლელს გაიგოს, თუ როგორი გამოცდილება პქონათ მოქმედ პირებს. საინტერესო საკითხის გამოცდილება და მტკიცე ხასიათი გულისხმობს, რომ ქეისები, როგორც წესი, ორგანიზაციული ან სიტუაციური დინამიკისა და ინდივიდუალური აღქმის, განსჯისა და ქმედების გადაკვეთაა.

უცხო ენის შესწავლის სფეროში ქეისების გამოყენებით სწავლება საკმაოდ წარმატებული მეთოდია, ვინაიდან ისინი შემსწავლელს აძლევენ შესაძლებლობას წაიკითხოს, გაიგოს და განიხილოს კონკრეტული პრობლემა და წარმოადგინოს ლოგიკური გადაწყვეტის გზები. ქეისები შემსწავლელთა პრობლემის გადაჭრა-გადაწყვეტისა და გადაწყვეტილების მიღების უნარ-ჩვევების განსავითარებლად მდიდარ რესურსს წარმოადგენენ. მათი მეშვეობით შემსწავლელი რეალურ სიტუაციებს იხილავს და იდებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. გარდა ამისა, ისინი ერთმანეთის აზრებისა და შეხედულებების მოსმენასა და პატივისცემას სწავლობენ. ძირითადი უნარ-ჩვევები, რომლებსაც ავითარებს აღნიშნული მეთოდი არის აქტიური მოსმენა და ამათუმ სიტუაციაზე შესაფერისი რეაგირება. შედეგად, უცხო ენის შემსწავლელი გამოიმუშავებს ანალიტიკურ უნარ-ჩვევას და ვარჯიშობს იმაზე, თუ როგორ გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი თუ პრინციპი ანალიზსში. ისინი სწავლობენ თუ როგორ დაგეგმონ კომუნიკაცია და ეს ყველაფერი მათ საშუალებას აძლევს რაც შეიძლება ეფექტურად განივითარონ საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები უცხო ენაზე. კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაციის უნარი, დამოკიდებულება, თვით-ანალიზი, საზოგადოებრივი ჩვევები და გადაწყვეტილების მიღების უნარი ის ელემენტებია, რომლებიც ვითარდება ასეთი მეთოდით უცხო

ენის შესწავლისას და შემსწავლელს აძლევს არაჩვეულებრივ საშუალებას წარმატებით იფუნქციონიროს რეალურ უცხო ენოვან გარემოში.

უცხო ენის ქეისების მეშვეობით შესწავლა ხელს უწყობს შემსწავლელთა შორის ურთიერთქმედებას კლასში, რაც აშკარად მათ საშუალებას აძლევს იყვნენ ეფექტური მოსაუბრები და შეძლონ ამ ურთიერთქმედების მართვა. ეს გულისხობს საუბრის წარმართვას და ორ ან მეტ მოსაუბრებს შორის ინფორმაციის გაცვა-გამოცვლას ისე, რომ მათ ერთმანეთის ესმოდეთ.

კომუნიკაციური ენობრივი ამოცანების გამოყენება გაკვეთილზე უცხო ენის შემსწავლელს საშუალებას აძლევს გაიგოს, მართოს, შექმნას რაიმე ან დაამყაროს ურთიერთობა სამიზნე ენაზე. იგი ყურადღებას უფრო მნიშვნელობაზე ამახვილებს, ვიდრე გრამატიკულ თუ ლექსიკურ ფორმებზე. ეს განსაკუთრებით შეეფერება ზრდასრულებს ვინაიდან ისინი უცხო ენის შემსწავლელთა განსაკუთრებულ ჯგუფს მიეკუთვნებიან, რომელთაც გააჩნიათ საკუთარი გეგმები და დღის წესრიგი და მათთვის ყველაზე ოპტიმალური გზებით უცხო ენის შესწავლა უაღრესად მნიშვნელოვანია. შესაბამისად, რეალური ცხოვრებისეული კომუნიკაცია კლასში საინტერესო და საჭიროა მათთვის. ისინი საუბრობენ იმისათვის, რომ მიიღონ ის ინფორმაცია, რაც სურთ, მიაღწიონ შეთანხმებას ან გადაჭრან პრობლემა. შემსწავლელებს შორის თანამშრომლობა კიდევ უფრო ძლიერდება, როდესაც ისინი საჭირობოროტო და მათთვის მნიშვნელოვან საკითხებს განიხილავენ და ერთობლივად პოულობენ გამოსავალს სიტუაციიდან.

ზრდასრულები უფრო ავტონომიურები არიან სწავლისას და მათ ყოველთვის აინტერესებს თუ რატომ უნდა ისწავლონ ესათუის საკითხი. მათ ახასიათებს გარკვეული თავისებური ქცევა და გააჩნიათ ურყევი მოსაზრებები.

როგორც ბარკლი, კროსი და მეიჯორი<sup>1</sup> აღნიშნავენ, “ქეისები თეორიას და პრაქტიკას, აკადემიურ სამყაროსა და სამუშაო გარემოს შორის ჩატენილ ხიდს ამთელებენ”. (2, 182). გარდა ამისა, მათი მეშვეობით შესაძლებელია პოზიციის დაფიქსირება, ქმედებათა შეფასება და სხვადასხვა მოსაზრებების გარშემო

განხილვა-მსჯელობა. ამას კი შედეგად მოჰყვება უცხო ენაზე აქტიური კომუნიკაცია და აზრთა გაცვლა-გამოცვლის, საკუთარი პოზიციის დაცვის ან მკაფიო მოსაზრების წარმოდგენის უნარის განვითარება, რაც ხელს უწყობს შემსწავლელთა შორის ეფექტურ კომუნიკაციას უცხო ენაზე.

ქეისების გამოყენება ანვითარებს შემსწავლელთა კრიტიკული მოსმენის უნარს. ამ უნარის მეშვეობით ადამიანები უფრო ეფექტურად და მნიშვნელოვნად ახდენენ სამუშაოს შესრულებას. კრიტიკული მოსმენის საფუძველია ისწავლო როგორ იყო სკეპტიკური და გაანალიზო და დასვა შეკითხვები იმის შესახებ, რაც გაიგონე. ქეისები სწორედ ამ უნარ-ჩვევის გამომუშავებას უწყობენ ხელს, ვინაიდან შემსწავლელებს სჭირდება მოუსმინონ ერთმანეთს დაკვირვებით, გაანალიზონ სიტუაცია და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ.

როგორც სხვა მეთოდების შემთხვევაში, ქეისების ეფექტური გამოყენება მოითხოვს მასწავლებლისაგან დასახოს ნათელი მიზნები. ასეთი მეთოდის გამოყენება დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ ჯგუფის უცხო ენის დონე და მიზნები. თუ ჯგუფს არ გააჩნია შესაბამისი დონე, მხოლოდ დროის კარგვა იქნება ამ მეთოდის გამოყენება, ვინაიდან შემსწავლელები წააწყდებიან ენობრივ პრობლემებს და უფრო მეტ დროს დახარჯავენ გრამატიკული ფორმების სწორად გამოთქმაზე, ვიდრე შინაარსობრივ მხარეზე. გარდა ამისა, ქეისები უნდა იყოს საინტერესო, რეალობასთან მჭიდრო კავშირში და ჩართოს შემსწავლელები დისკუსიაში. უცხო ენის ზრდასრულ შემსწავლელს სჭირდება რეალური კონტექსტი და გარემო. ამდენად, ქეისების განხილვით ისინი საკმაოდ ნასიამოვნები იქნებიან, ვინაიდან ასეთი საგარჯიშოები ხელს უწყობს თანამშრომლობას და გუნდურ მუშაობას.

აუცილებელია აღნიშნული მეთოდით ჩატარებული გაკვეთილის შესაბამისად და სწორად წარმართვა. უნდა იქნას გათვალისწინებული შემდეგი ორი მნიშვნელოვანი ფაქტორი. პირველ რიგში, მასწავლებელმა უნდა დასახოს ნათელი მიზანი და დაეხმაროს შემსწავლელს მიაღწიოს მას. სასწავლო მასალა კი უნდა დაიგეგმოს და მომზადდეს ამ მიზნის გათვალისწინებით.

კარგი და წარმატებული ქეისი უნდა შედგებოდეს შემდეგი კომპონენტებისაგან: კონტექსტი, კონფლიქტი, სირთულე და გამოწვევა. ისინი ხელს უწყობს კრიტიკული აზროვნებისა და ორგანიზაციული უნარ-ჩვევების განვითარებას. იმისათვის, რომ მონაწილეობა მიიღოს ამ აქტივობაში და იგი ბოლომდე მიიყვანოს, შემსწავლელმა ინფორმაცია ლოგიკურად უნდა დაალაგოს და წარმოადგინოს პრობლემის ნათელი სურათი. ამავე დროს მან უნდა განავითაროს ზეპირი საკომუნიკაციო უნარები.

დისკუსია კლასში, რომელიც გუნდური სავარჯიშოა, თან სდევს ყოველ ქეისს. მისი მეშვეობით შემსწავლელები სწავლობენ როგორ გაუწიონ ანგარიში ერთმანეთის აზრებს და იყვნენ მაქსიმალურად ჩართულები.

იმისათვის, რომ ქეისების მეშვეობით გავაუმჯობესოთ შემსწავლელთა საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები, აუცილებელია მათი შესაბამისად დაგეგმვა და შემდეგ მათი დაგეგმილის მიხედვით განხორციელება. პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ რისი მიღწევა გვსურს, რამდენი დრო შეგვიძლია დაგხარჯოთ მასზე და როდის გამოვიყენოთ იგი. მუშაობას ვიწყებთ იმით, რომ დისკუსიის დაწყებამდე შემსწავლელებს ვაცნობთ ძირითად წესებსა და სტრატეგიებს. მათ დაწვრილებით და ნათლად უნდა ავუსსნათ მათი უფლება-მოვალეობები. შესაძლებელია მოვამზადოთ შეკითხვები წინასწარ და დავუსვათ მათ იმისათვის, რომ შევუქმნათ განსახილველი საკითხის შესახებ წარმოდგენა ან საკლასო დისკუსიამდე მათ საშუალება მივცეთ კომენტარები გაანალიზონ და მოამზადონ. რაც შეეხება ტაქტიკას, ზოგჯერ შემსწავლელს ისიც ეხმარება, როდესაც მას ევალება კონკრეტული საკითხები დააზუსტოს ქეისში. აქ მასწავლებელს ძალიან მნიშვნელოვანი როლი აკისრია. იგი ხელს უწყობს დისკუსიის მსგლელობას და თითქმის არ ერევა მასში. მაგრამ, ამავე დროს იგი მოუწოდებს ანალიტიკური აზროვნებისაკენ და შემსწავლელს უვითარებს უნარს არგუმენტი კარგად დაიცვას. ამდენად, კარგია თუ მასწავლებელი წინასწარ განსაზღვრავს იმ მიმართულებებს, რომლებიც შესაძლოა დისკუსიის დროს გამოიკვეთოს, რათა შემდეგ უფრო აქტიურად განვითარდეს მსჯელობა.

დისკუსიის დროს მასწავლებელი უნდა ცდილობდეს რაც შეიძლება ნაკლებად ჩაერიოს მასში და მისცეს შემსწავლებებს საშუალება ისაუბრონ. ბოლოს კი, საჭიროა დისკუსიის შედეგების შეჯამება და მისი დასასრულამდე მიყვანა.

**ისტონი (1982)** გვთავაზობს შემდეგ ეტაპებს ანალიზისათვის:

- 1) სიტუაციაში გარკვევა
- 2) პრობლემური სფეროების დადგენა
- 3) პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების გამოკვეთა
- 4) შესაძლო შედეგების განჭვრეტა
- 5) ალტერნატიული ვარიანტების შეფასება
- 6) ანალიზის დასრულება
- 7) შედეგების გაცნობა

კველა აღნიშვნა ეტაპი საჭიროა იმისათვის, რომ შემსწავლელმა კარგად გაართვას თავი ამ აქტივობას. აქ მასწავლებლის როლი უაღრესად მნიშვნელოვანია. შემსწავლებელი პრობლემებს ძირითადად აწყდებიან სიტუაციის სრულად გაგებასა და პრობლემის გარკვევაში. ისინი მისი გადაჭრის მხოლოდ ერთ გზას პოულობენ. ამდენად, მათ სჭირდება გამხნევება იმისათვის, რომ შეძლონ უფრო მეტი ვარიანტების შეთავაზება და სხვების მიერ წარმოდგენილის აღიარება. როდესაც შემსწავლელს სთხოვენ გაანალიზოს ქვესი სრულყოფილად და ამომწურავად და შეაფასოს მისი გადაჭრის ალტერნატიული გზები, იგი დისკუსიაში უფრო აქტიურად ერთვება, რაც ხელს უწყობს უცხო ენაზე მისი ზეპირი საკომუნიკაციო უნარების განვითარებას.

როგორც წესი, ქვესის დამუშავებას ვიწყებთ მთელი რიგი კითხვების დასმით იმისათვის, რომ შევამზადოთ შემსწავლელები დისკუსიისათვის. შემდეგ კი, ვიყენებთ ცოცხალ და დანამიკურ როლურ თამაშებს, სადაც ისინი განიხილავენ და დაობენ ამათუმ საკითხზე მანამ, სანამ პრობლემას ბოლომდე არ გადაჭრიან.

დისკუსიის შემდეგ, როგორც წესი, მათ ევალებათ ეწ. მოკლე “ერთ-სიტყვიანი შეჯამების” მომზადება, რომელშიც მათ უნდა მოიფიქრონ ერთი სიტყვა, რომელიც მათ მიერ წარმოებული დისკუსიის შეფასებაა. ჯგუფის ყველა წევრის

შეჯამებას ვკითხულობთ კლასში, რათა ყველამ გაიგოს ერთმანეთის აზრები და კრიტიკულად შეაფასონ სიტუაცია.

როდესაც შემსწავლელები ხედავენ, რომ აქტიურად მონაწილეობენ, მათ ეს სიამოვნებს და უხარიათ. გარდა ამისა, ისინი ხვდებიან, რომ მათ ახალი უნარების გამომუშავება სჭირდება. იმისათვის, რომ მათი ინტერესი და ჩართულობა არ შევანელოთ, მასწავლებელს შეუძლია საკითხი კიდევ უფრო გაართულოს და ბუნდოვანი გახადოს. როგორც წესი, ქვეითებს ერთი სწორი პასუხი არ გააჩნიათ. აქ მთავარია რამდენიმე ალტერნატივის წარმოდგენა, რომელთაგან ზოგი კარგია, ზოგი კი არა და საჭიროა შემსწავლელთა მაქსიმალური ჩართულობა მსჯელობასა და განხილვაში.

რაც შეეხება მასალას, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მრავალი გამზადებული რესურსი, მაინც უფრო ეფექტური და სასარგებლოა თუ მასწავლებელი თვითონ მოამზადებს ქვეის შემსწავლელთა დონის, მათი ინტერესის, კურსის მიზნების, საკითხის შესაფერისობისა თუ სირთულის გათვალისწინებით. გაცილებით უფრო იოლია საგუთარი მასალის მომზადება და მისი მორგება შემსწავლელთა საჭიროებებზე, ინტერესისა და მოთხოვნებზე. საჭიროა ასევე ქვეითების თანდათანობით გართულება, რაც გულისხმობს იმას, რომ კურსის დასაწყისში საჭიროა ისეთი ქვეითების გამოყენება, რომლებიც უფრო მეტად სასაუბრო უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული. როგორც კი შემსწავლელები კარგად გაეცნობიან მათ, უკვე შეგვიძლია ისეთი მაგალითების შეთავაზება, რომლებშიც უფრო მეტი აქცენტი კეთდება კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების განვითარებაზე.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს მასალის შესაბამისობა და შესაფერისობა, საჭიროა რეალური სიტუაციების განხილვა, ინტენსიური დისკუსიის წარმოება, პრობლემის მრავალი და სხვადასხვა გადაჭრის გზების არსებობა, რაც შემსწავლელებს აქტიურად ჩართავს.

ასეთი მიღება მაქსიმალურად შემსწავლელზეა ორიენტირებული, ინტერაქტიულია და მოითხოვს მათ აქტიურ მონაწილეობას. როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი მეშვეობით ხდება კრიტიკული აზროვნების განვითარება, რწმენის

განმტკიცება, ინტერაქტიულ დისკუსიებში ჩაბმისა და ჩართვის უნარის განვითარება, შემსწავლელი უფრო მობილიზებული და თავდაჯერებული ხდება. გარდა ამისა, ისინი სწავლობენ თავიანთი მოსაუბრების მოსმენას, საღად და ღიად აზროვნებას და სხვების აზრების გათვალისწინებას თუ, რა თქმა უნდა, ისინი დამაჯერებლად მიაჩნიათ.

უმაღლეს სასწავლებლებში, ზოგადად ბიზნესის, სამართლის, ეკონომიკის, მედიცინის და სხვა საგნების სასწავლო პროგრამები ემყარება ასეთი ქეისების ანალიზს. ამდენად, როდესაც შემსწავლებს ეს შეუძლიათ უცხო ენის გაკვეთილზე განვითარებული უნარების მეშვეობით, ეს მათ სხვა საგნების უკეთესად ათვისებაშიც ეხმარება იმ კუთხითი, რომ შეაჯერონ, შეაფასონ და გამოიყენონ ის ინფორმაცია, რომელიც ტექსტებიდან და ლექციებიდან მიიღეს.

გარდა ამისა, აღნიშნული მეთოდი სახალისო და საინტერესო შემსწავლელთათვის, ხელს უწყობს მათ ინტელექტუალურ განვითარებას, რაც იწვევს მათი უცხო ენაზე საკომუნიკაციო უნარების კიდევ უფრო განვითარება-გამყარებას და სხვადასხვა სფეროებში ზოგადი ცონდის მიღებას. ეს ყველაფერი კი მათ პროფესიული მიზნების წარმატებით მიღწევაში ეხმარება. ზრდასრულებისათვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ვინაიდან გამართული და სწორი კომუნიკაცია პროფესიულ გარემოში მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ წარმატებასა და წინსვლას.

ამრიგად, უცხო ენის გაკვეთილზე ქეისების გამოყენებით ჩვენ შემსწავლებს საშუალებას ვაძლევთ და ვეხმარებით წარმატებით დაამყარონ კომუნიკაცია და შექმნან დადებითი იმიჯი. ასეთი პედაგოგიური მიღგომის მეშვეობით ვქმნით ისეთ დემოკრატიულ კულტურას, რომელშიც ადამიანები მზად არიან განიხილონ და იმსჯელონ მათი პრობლემების სხვადასხვა ალტერნატიულ ვარიანტებზე. გარდა ამისა, ქეისების მეშვეობით განვითარებული უნარებით უკეთესად ვემზადებით დღევანდელ ცვალებად სამყაროში ცხოვრებისათვის.

#### **4.9. აქტიური მოსმენა და მისი როლი უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის პროცესში**

ზეპირი კომუნიკაციის პროცესში მოსმენის უნარი ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან თუ შეტყობინებას კარგად ვერ გავიგებთ, შესაბამის რეაგირებას ვერ გავაკეთებთ. კელუანებით დადასტურებულია, რომ ჩვენ მოსმენილის 25-50 % ვიმახსოვრებთ მხოლოდ. ეს იმას ნიშნავს, რომ საჭიროა აქტიური მოსმენის უნარის განვითარება იმისათვის, რომ წარმატებით შევძლოთ ადამიანებთან კომუნიკაცია. კარგი კომუნიკაციის უნარ-ჩვევები მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას. თუ ჩვენ გვეცოდინება თუ როგორ გვირჩევნია ადამიანებთან ურთიერთობა, წარმატებით განვახორციელებთ ჩვენს საქმიანობას.

აქტიური მოსმენისას ჩვენ გვესმის არა მხოლოდ სხვა ადამიანის მიერ ნათქვამი სიტყვები, არამედ ვცდილობთ გავიგოთ მის მიერ გამოთქმული სრული შეტყობინება. ამისათვის, საჭიროა დაკვირვებით მოვისმინოთ. არ უნდა დავუშვათ უურადღების გაფანტვა, მობეზრება ან კონცენტრაციის დაკარგვა, ვინაიდან ეს შესაბამის ზეგავლენას მოახდენს კომუნიკაციის პროცესსა და მის შედეგზე.

ხშირად ისე ხდება, რომ როდესაც ადამიანს ვესაუბრებით, აშკარად ვგრძნობთ, რომ იგი არ გვისმენს. ეს იმიტომ კი არ ხდება, რომ მას არ აინტერესებს ჩვენი ნათქვამი ან არ გვცემს პატივს, არამედ, უბრალოდ იგი რატომდაც კონცენტრაციას კარგავს და სხვა აზრებით დაკავდება.

შესაბამისად, უცხო ენის შესწავლის პროცესში და ზეპირი საკომუნიკაციო უნარების განვითარებისათვის საჭიროა აქტიური მოსმენის უნარის გამომუშავება, რაც შემსწავლელს ხელს შეუწყობს მოსმენილის უკეთ აღქმაში და აზრის მკაფიოდ და დამაჯერებლად გამოხატვაში.

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე სასარგებლო რჩევა აქტიური მოსმენის უნარის გამოსამუშავებლად, რაც უცხო ენის შემსწავლელს მნიშვნელოვნად დაეხმარება ამ ენაზე საუბრის დროს.

- ყურადღება უნდა მიექცეს მოსაუბრებს და საუბრის დროს გამოიხატოს ინტერესი სხვადასხვა ჟესტებითა და სხეულის ენით (თავის დაქნევა, თვალებში ყურება, ოდნავ წინ გადახრა)
- მოსმენის დროს ნუ განსჯით მოსაუბრებს. ბოლომდე მოუსმინეთ მას
- შეეცადეთ მისი გადასახედიდან იაზროვნოთ და გაუგეთ მას
- კარგად გაიაზრეთ რაზე გესაუბრებათ იგი
- დაასრულებინეთ და შემდეგ გამოხატეთ საკუთარი აზრი
- ნუ შეაწყვეტინებთ, მიეცით მას საკმარისი დრო საუბრისათვის
- გამოხატეთ ურთიერთპატივისცემა

უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარ-ჩვევები წარმატებით განვითარდება, როდესაც ადამიანს გააჩნია აქტიური მოსმენის უნარი. თუ იგი ხედავს, რომ უჭირს კონცენტრაცია სხვების ნათქვამზე, გონებაში უნდა გაიმეოროს მათი სიტყვები. ეს მათ დაეხმარება ნათქვამის უკეთ გაგებაში და მთავარ აზრზე ყურადღების გამახვილებაში. გარდა ამისა, სხვადასხვა ჟესტებით, მაგალითად, თავის დაქნევით ან სიტყვიერად მოსაუბრეს უნდა ვაგრძნობინოთ, რომ ჩვენ მას ვუსმენთ. ეს მეტ დინამიურობას შემატებს საუბარს და კომუნიკაცია უკეთესად დამყარდება. აქტიური მოსმენა ადამიანს ეხმარება ყურადღების კონცენტრაციაში, ურთიერთობების განმტკიცებაში და უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებაში.

## **მნიშვნელოვანი რჩევები აქტიური მოსმენისათვის**

1. თავი წარმოიდგინეთ მოსაუბრის ადგილას
2. საუბარი იმის გარშემო განავითარეთ, თუ რაზე საუბრობს მოსაუბრე და არა რა გაინტერესებთ თქვენ
3. უფრო მეტი დრო მოსმენაზე დახარჯეთ, ვიდრე საუბარზე
4. აცალეთ მოსაუბრეს დაასრულოს აზრი და ნუ შეაწყვეტინებთ, ვინაიდან ეს მას საუბრის სურვილს უკარგავს და შეტყობინების გაგების შანსებს ამცირებს
5. გააკეთეთ ჩანაწერები, რათა მეტი კონცენტრაცია მოახდინოთ ნათქვამზე
6. ნუ დაასრულებთ სხვების დაწყებულ წინადადებებს
7. აკონტროლეთ საკუთარი ვარაუდები
8. გაამსნევეთ მოსაუბრე, გააკეთეთ კომენტარი მის ნათქვამზე, მოახდინეთ მისი ნათქვამის თქვენი სიტყვებით ახსნა, რათა აჩვენოთ მას, რომ აქტიურად უსმენთ
9. პასუხი მას შემდეგ დაგეგმეთ, რაც დაასრულებინებთ მოსაუბრეს და არა საუბრის მომენტში
10. გააკეთეთ ანალიზი, დასვით ისეთი შეკითხვები, რომლებიც დაგეხმარებათ აზრის უკეთ გაგებაში
11. შეაჯამეთ – გააცანით მოსაუბრეს თქვენი სრული ანალიზი
12. უყურეთ მოსაუბრეს თვალებში და ნუ იფიქრებთ სხვა საკითხებზე
13. დროდადრო დაუქნიეთ თავი, გაიღიმეთ და აცნობეთ მოსაუბრეს, რომ მასთან საუბარი გაინტერესებთ
14. თუ რაიმე ვერ გაიგეთ, დასვით შეკითხვები და პერიოდულად შეაჯამეთ კომენტარები

## 15. მოქმედით სხვას ისე, როგორც თქვენ ისურვებდით

ამდენად, იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს უფრო ეფექტური კომუნიკაცია, საჭიროა აქტიური მოსმენის უნარის განვითარება. ეს კი უცხო ენის გაკვეთილზე საჭიროებს შესაბამისი აქტივობებისა და საგარჯოშოების გამოყენებას. რამდენიმე ასეთი საგარჯოშო და აქტივობა ჩვენს მიერ წარმატებით დაინერგა და გამოყენებულ იქნა ზრდასრულ შემსწავლებლებთან მუშაობის პროცესში, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მათი უცხო ენაზე ზეპირი საკომუნიკაციო უნარების განვითარებაში.

ქვემოთ მოცემულია მათი აღწერილობა.

**საგარჯიშო 1:** ჯგუფს ეძლევა გარკვეული თემა განსახილველად. ჯგუფის ერთი წევრი იწყებს მასზე საუბარს. მასწავლებელი გაუფრთხილებლად აჩერებს მას და ჯგუფის სხვა წევრს სთხოვს გააგრძელოს საუბარი. ეს საგარჯიშო ავითარებს აქტიური მოსმენის უნარს და ეხმარება მოსაუბრეს უკათ გამოხატოს საკუთარი აზრები უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის დროს.

**საგარჯიშო 2:** მასწავლებელი ჯგუფს ყოფს წყვილებად. თითოეულ წყვილში ერთი შემსწავლელი მოსაუბრეა, მეორე კი მას უსმენს. მოსაუბრეს ეძლევა გარკვეული სიტუაცია, რომლის შესახებაც იგი საუბრობს, ხოლო მსმენელი მას აქტიურად უსმენს, რაც იმაში გამოიხატება, რომ იგი თავს უქნევს თანხმობის შემთხვევაში, იყენებს ინფორმაციის გადამოწმების ხერხებს და ა.შ. როდესაც მოსაუბრე დაასრულებს, მსმენელი ცდილობს საკუთარი სიტყვებით გაიმეოროს/შეაჯამოს მთქმელის/მოსაუბრის ნათქვამი და გარკვეული კომენტარიც კი გააკეთოს. შემდეგ ორივე მონაწილე ჯდება და განიხილავს იმას, რაზეც ისაუბრეს. ასეთი აქტივობა შემსწავლელებს ხელს უწყობს ადამიანებთან წარმატებით ურთიერთობაში.

ამრიგად, აქტიური მოსმენა საგრძნობლად გვეხმარება შემსწავლელთა უცხო ენაზე ზეპირი საკომუნიკაციო უნარის განვითარებაში. ზრდასრულ შემსწავლელებს ეს უნარი განსაკუთრებით ესაჭიროება, ვინაიდან საქმიან გარემოში მათვის უაღრესად მნიშვნელოვანია კარგად გაუგონ მოსაუბრეს, რათა საქმიანობა

უკეთესად აწარმოონ. გარდა ამისა, იგი ადამიანებს ეხმარება კონფლიქტების მოგვარებასა და გაუგებარი სიტუაციების წარმატებით მართვაში. ორ მხარეს შორის კომუნიკაცია გაუმჯობესებულია და ურთიერთობები უკეთესად იგება.

### სასარგებლო რეკომენდაციები აქტიური მოსმენისათვის:

- ყურადღებით უსმინეთ მოსაუბრეს
- ხმის ტონით, მეგობრული დამოკიდებულებით, ჟესტებითა და სხეულის ენით აგრძნობინეთ მას, რომ მის მიმართ კეთილგანწყობილი ხართ
- არ შეაწყვეტინოთ
- გრძნობებს ნუ განსჯით
- საუბრის დასრულებისას სხვა სიტყვებით შეაჯამეთ მისი ნათქვამი, რათა დარწმუნდეთ, რომ კარგად გაუგეთ მას

#### **4.10 უცხო ენის გაპეტილის კომუნიკაციური მეთოდით ჩატარების მნიშვნელოვანი ასპექტები**

უცხო ენის სწავლება კომუნიკაციური მეთოდით ემყარება იმ მოსაზრებას, რომ თუ გაპეტილის მიზანია ენის საკომუნიკაციო უნარის განვითარება, კომუნიკაციური პრაქტიკა ამ პროცესის ნაწილი უნდა იყოს. მაგრამ, ყველა არ ეთანხმება ამ მოსაზრებას. რა თქმა უნდა, არსებობენ უცხო ენის ისეთი წარმატებული შემსწავლელები, რომლებმაც იგი ისეთი მეთოდით შეისწავლეს, რომელიც სულაც არ ითვალისწინებდა ინტერაქტიულობას. თუმცა, მრავალი მოსაზრება არსებობს იმის შესახებ, თუ რა სახის პრაქტიკა უზრუნველყოფს ენის კომუნიკაციური უნარის განვითარებას. ბრამფიტის (1984 a) აზრით, საჭიროა ენის რაც შეიძლება ბუნებრივად გამოყენება და სწავლების პროცესში ისეთი აქტივობებისა და სავარჯიშოების ჩართვა, რომლებიც მიზნად ისახავს უცხო ენაზე თავისუფლად საუბარს. იგი გვთავაზობს შემდეგ კრიტერიუმებს აღნიშნული მიზნის მისაღწევად.

- ენა უნდა იყოს მნიშვნელობის გადმოცემის საშუალება და, შესაბამისად, მისი სწავლების დროს მეტი ყურადღება უნდა მიექცეს მნიშვნელობას და არა ფორმას
- შინაარსი თვით შემსწავლელმა უნდა განსაზღვროს
- შემსწავლელი აქტიურად უნდა იყოს ჩართული მოსმენილი მასალის მნიშვნელობის გაგება-გააზრებაში და საპასუხო შეტყობინების მომზადებაში, რაც იმას გულისხმობს, რომ იგი არ უნდა იყოს დამოკიდებული მასწავლებელზე ან მასალაზე

ბრამფიტი ასევე მიიჩნევს, რომ უცხო ენის თავისუფლად ფლობის უნარის გამოსამუშავებელი აქტივობები შემსწავლელს აძლევს შესაძლებლობას ისეთი ენობრივი საშუალებები გამოიყენოს, რომლებიც მან თანდათან შეისწავლა და გამჯდარი აქვს, ვიდრე ისინი, რომელთა გამოყენება ჯერ-ჯერობით უჭირს.

საკომუნიკაციო აქტივობების გამოყენებისას უცხო ენის სწავლების პროცესში უნდა დავუკვირდეთ თუ როგორ იყენებს შემსწავლელი მათ უცხო ენის უკეთ შესასწავლად. სკპანი (1996) მიიჩნევს, რომ შეზღუდული დროის პირობებში ენობრივი ამოცანის შესრულებისას შემსწავლელი უფრო მეტ ყურადღებას ანიჭებს აზრის გადმოცემას. იმისათვის, რომ ეს ამოცანა განსაზღვრულ დროში შეასრულოს, იგი ადარ აქცევს დიდ ყურადღებას ენის სწორი და ზუსტი ფორმების გამოყენებას. შემსწავლელმა შესაძლოა გამოიყენოს საკომუნიკაციო სტრატეგიები ან ერთად მოუყაროს თავი ლექსიკურ ფრაზებს აზრის გადმოსაცემად.

როდესაც მასწავლებელს ესმის, თუ როგორ იყენებს შემსწავლელი ენობრივ ამოცანებს, იგი შეძლებს ასეთი ამოცანების სასწავლო პროგრამაში შეტანას და სწავლებისას მათ წარმატებით გამოყენებას. ამოცანის შერჩევა, წარმოდგენა და თანმიმდევრულად დალაგება უცხო ენის შემსწავლელს უკათესად შეაძლებინებს სასაუბრო უნარ-ჩვევის განვითარებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ლინგვისტური კომპეტენცია ენის კომუნიკაციური უნარის ფუნდამენტური და ძირეული კომპონენტია და თუ შემსწავლელს ესმის სხვადასხვა ენობრივი საკითხი, მას უფრო სწორად და თავისუფლად შეუძლია ამ ენაზე კომუნიკიროს.

უცხო ენის სწავლების მეთოდიკაში არსებობს მიდგომა PPP - პრეზენტაცია, პრაქტიკა, პროდუქცია. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სწავლების პროცესში მოხდეს ენობრივი მასალის, ენის ფორმების გარჯიშისა და კომუნიკაციური პრაქტიკის თანმიმდევრულად დალაგება და ურთიერთდაკავშირება. ასეთი მიდგომის გამოყენების დროს მასწავლებელი თავდაპირველად შემსწავლელს უხსნის ახალ ენობრივ მასალას, შემდეგ აკონტროლებს ამ ფორმების გამოყენებას სხვადასხვა პრაქტიკული საგარჯიშოებით და ბოლოს აძლევს მას კონკრეტულ ამოცანას/სიტუაციას, რომელშიც მას ავალდებულებს თავისუფლად, მისი დახმარების გარეშე ბუნებრივად გამოიყენოს ენობრივი სტრუქტურები, რათა ეს ამოცანა შეასრულოს და მიაღწიოს საბოლოო შედეგს.

იმისათვის, რომ შემსწავლელებს შორის კომუნიკაცია კლასში უკეთესი გავხადოთ, ისეთი ენობრივი ამოცანები უნდა შევთავაზოთ მათ, რომლებიც ითვალისწინებენ მნიშვნელობის სწორად გადმოცემას და აზრის შესაბამისად გამოხატვას იმ ენობრივი რესურსით, რაც მას გააჩნია.

ამდენად, ენობრივი ამოცანების მომზადებისას გასათვალისწინებელია შემდეგი:

- მათი მიზანი უნდა იყოს შედეგი და არა მხოლოდ ენობრივი ფორმების ვარჯიში
- შემსწავლელი აქტიურად უნდა იყოს ჩართული იდეებისა და აზრების გადმოცემაში
- მოსაუბრებებს ერთმანეთის კარგად უნდა ესმოდეთ, რათა შეძლონ წარმატებული კომუნიკაცია
- შემსწავლელმა ყველანაირი არსებული რესურსი უნდა გამოიყენოს საკუთარი აზრი გამოთსათქმელად და ამისათვის, მას უნდა გააჩნდეს გარკვეული კომპეტენციები, რომლებიც შესაბამისად კურსის მსვლელობისა და სწავლის პროცესში უნდა გამოუმუშაოს მასწავლებელმა.

## 4.11. უცხო ენის შესწავლის პროცესში საჭირო კომპეტენციები

### ა) ლინგვისტური კომპეტენცია

ლინგვისტური კომპეტენცია უცხო ენის ცოდნას, მის ფორმასა და მნიშვნელობას უკავშირდება. სტერნის (1983) აზრით, “ენის მომხმარებელმა იცის ის წესები, რომლებიც არსებობს მის დედა ენაში და იყენებს მათ ყურადღების გამახვილების გარეშე”. (79, 342) მას ასევე სჯერა, რომ “ენის ბუნებრივად მატარებელს გააჩნია ინტუიციური უნარი აითვისოს ენის ფორმების მიერ გამოხატული ლინგვისტური, შემეცნებითი და სიტუაციურ-კულტურული მნიშვნელობები”. (79, 343)

ლინგვისტური კომპეტენცია მოიცავს დამწერლობის, გამოთქმის, ლექსიკის, სიტყვათწარმოების, გრამატიკული სტრუქტურების, წინადადადების წყობისა და ლინგვისტური სემანტიკის ცოდნას. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია განვსაჯოთ, რომ თუ შემსწავლელს შეუძლია ზეპირად და წერილობით ჩამოთვალოს საგნები, შეარჩიოს კონკრეტული სიტყვები და იცის მათი გამოთქმა და გრაფიკული ფორმები, სხვადასხვა სიტყვებს უმატებს უარყოფით პრეფიქსებს საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვების მისაღებად, მას უვითარდება სიტყვათწარმოების წესების სწორად გამოყენების კომპეტენცია. თუ მას შეუძლია აღწეროს უახლოეს წარსულში მომხდარი მოვლენები დამხმარე ზმნა “have/has”-ის და საუღლებელი ზმნის მესამე ფორმის სწორად გამოყენებით, მაშინ მას გააჩნია გრამატიკული კომპეტენცია.

მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ლინგვისტური კომპეტენცია კომუნიკაციური კომპეტენციის განუყოფელი ნაწილია. თუ ადამიანს არ გააჩნია კარგი ლინგვისტური ბაზა და უნარი, არ ფლობს საკმარის ლექსიკურ მარაგს ან გრამატიკულ წესებს იმიათვის, რომ ამ ენაზე გამოხატოს საკუთარი აზრები, მას არც კომუნიკაცია არ შეუძლია.

## **ბ) პრაგმატული კომპეტენცია**

პრაგმატული კომპეტენცია აერთიანებს ორი სახის უნარს. ამ კომპეტენციის მნიშვნელოვანი ელემენტია ის, რომ შემსწავლელმა უნდა იცოდეს როგორ გამოიყენოს ენა იმისათვის, რომ მიაღწიოს გარკვეულ საკომუნიკაციო მიზნებს. ამისათვის, სასაუბრო თუ წერითი შეტყობინებები უნდა შეესაბამებოდეს იმ სოციალურ კონტექსტს, რომელშიც ისინი წარმოიქმნება. შემსწავლელმა უნდა იცოდეს გარკვეული სოციალური სიტუაციები, რათა შეარჩიოს შესაბამისი ენობრივი ფორმები სხვადასხვა სიტუაციებში და როლებისა და სტატუსის მქონე ადამიანებთან გამოსაყენებლად. ბაჩმენმა (1990) ამას უწოდა სოციალურ-ლინგვისტური კომპეტენცია. იგი უკავშირდება ვერბალურ და არა-ვერბალურ კომუნიკაციას. უცხო ენაზე კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია იცოდე რა არის მისაღები და რა იწვევს უხერხელობას. ჰაიმსს კი მიაჩნია, რომ “ადამიანმა უნდა იცოდეს როდის ისაუბროს და როდის არა, რაზე ილაპარაკოს გისთან, როდის, სად და როგორ” (43, 277).

## **გ) სტრატეგიული კომპეტენცია**

სტრატეგიული კომპეტენცია ისეთი ტიპის კომპეტენციაა, რომლის მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია რეალურ საკომუნიკაციო სიტუაციებში თავი გაგართვათ საუბარს და, შესაბამისად, შევძლოთ მისი გაგრძელება. ეს კომპეტენცია გულისხმობს საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენებას, რომლებიც გააქტიურდება მაშინ, როდესაც შემწავლელი ვერ შეძლებს ზუსტად გამოხატოს თუ რისი თქმა სურს, გინაიდან მას ეს რესურსი აკლია.

ასეთი სტრატეგიები შემსწავლელს საშუალებას აძლევს იყოს რისკიანი უცხო ენის გამოყენებისას და შეძლოს საუბარი. მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მას ენის შესწავლის ადრეულ ეტაპზე და ასწავლოს შესაბამისი ფორმები და მიდგომები იმისათვის, რომ მან უკეთესად აწარმოოს კომუნიკაცია.

ოქსფორდმა (1990) ექვსი სასწავლო სტრატეგია შეიმუშავა:

- 1) გონივრული რისკი: საუბრისას საჭიროა გარისკო და ისაუბრო მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა დაუშვა შეცდომები
- 2) ახალი ენობრივი ინფორმაციის დამახსოვრება ჟღერადობის მიხედვით: ახალი სიტყვების დამახსოვრება მათი ჟღერადობის სხვა სიტყვებთან ასოცირებით
- 3) ინფორმაციის მიღება უცხო ენის შესწავლის შესახებ: მეთოდური სახელმძღვანელოებისა და წყაროების გადახედვა და შემდეგ ამ ინფორმაციის გამოყენება ენის უკეთესად შესასწავლად
- 4) თანამშრომლობა ენის სხვა შემსწავლელებთან/თანაკლასელებთან: ასეთი სტრატეგია ხელს უწყობს ჯანსაღი კონკურენციის განვითარებას ენის შესწავლის პროცესში და სასურველი შედეგების მიღწევას
- 5) მშობლიურ ენაზე გადართვა: საკუთარი მშობლიური ენის სიტყვებისათვის უცხო ენის დაბოლოებების მიმატება და აზრის გადმოცემა ასეთი გზით
- 6) გამეორება: რაიმეს მრავალჯერ მოსმენა და გამუდმებით ვარჯიში

ოქსფორდი სასწავლო სტრატეგიებს შემდეგნაირად განმარტავს: “კონკრეტული ქმედება, რომლის მეშვეობითაც შემსწავლელი სასწავლო პროცესს იადგილებს, აჩქარებს, ხდის უფრო სასიამოვნო და ეფექტურს და მოარგებს მას ახალ სიტუაციებს”.

საინტერესოა გავარკვიოთ ის ფაქტი, რომ თუ არსებობს სასწავლო სტრატეგიები, რამდენად შესაძლებელია მათი სწავლება. ელის და სინკლარი (1989) გვთავაზობენ ორ ეტაპად დაყოფილ თვით-განვითარების მოდელს. პირველ ეტაპზე ხდება მომზადება უცხო ენის შესწავლისათვის. ამ დროს შემსწავლელი არკვევს თუ როგორი ტიპის შემსწავლელია, რატომ სჭირდება მას უცხო ენის შესწავლა და როგორ ახდენს სასწავლო პროცესის ორგანიზებას. მეორე ეტაპზე მიმდინარეობს უნარ-ჩვევების განვითარება: ლექსიკისა და გრამატიკის შესწავლა, მოსმენითი,

სასაუბრო, წერითი და კითხვითი უნარების დახვეწა. თითოეულთან მიმართებაში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის საგარჯიშოები, რომლებიც შემსწავლელს დაეხმარება დააკვირდეს მის მიერ უცხო ენის შესწავლის პროცესს. მაგალითად, როდესაც ისწავლება ლექსიკა, შემსწავლელს ეკითხებიან რომელი ურჩევნია სიტყვების თემატურად, თარგმნით თუ წერით შესწავლა. ბოლოს მასწავლებელი ითვალისწინებს ყველაფერს და ისე ადგენს და არჩევს საგარჯიშოებსა და აქტივობებს, რომ ისინი მოარგოს კონკრეტულ შემსწავლელს.

სტრატეგიული კომპეტენცია მოიცავს გერბალური და არაგერბალური საკომუნიკაციო სტრატეგიების გამოყენებას მაშინ, როდესაც კომუნიკაცია წარმატებით არ მიმდინარეობს და შეიმჩნევა შეფერხება. უცხო ენის შემსწავლელისათვის ეს კომპეტენციის უმნიშვნელოვანესი ტიპია, რადგან როდესაც ისინი შეზღუდული ლინგვისტური რესურსებით შეეცდებიან უცხო ენის გამოყენებას, მათ მოუწევთ მრავალი კომუნიკაციური შეფერხების გადალახვა, ხოლო კარგად ათვისებული სტრატეგიები მათ დაეხმარება აზრისა და შეხედულებების უკეთ გამოხატვაში.

#### **4.12. შემსწავლელის მიერ უცხო ენის შესწავლის პროცესში გამოყენებული სტრატეგიები**

როდესაც უცხო ენის შემსწავლელი ანალიზს უკეთებს სასაწავლო მასალას, მის გონიერება-ცნობიერებაში მრავალი შიდა პროცესი წარიმართება. გარდა ამისა, იგი უცხო ენოვან რესურსს იყენებს იმისათვის, რომ გააკეთოს შეყობინება ამ ენაზე.

როგორც წესი, შემსწავლელს უცხო ენის ორი ტიპის ცოდნა გააჩნია. ერთის მხრივ, მან იცის გრამატიკული წესები და დამახსოვრებული აქვს მზა ფრაზები და გამოთქმები, ხოლო, მეორეს მხრივ, მან იცის რა სტრატეგიებსა და პროცედურებს იყენებს იმისათვის, რომ შეძლოს ამ ენაზე კომუნიკაცია.

უცხო ენაზე საუბრისას შემსწავლელი იყენებს საკომუნიკაციო სტრატეგიებს, რათა შეტყობინება ეფექტურად წარმოადგინოს და აზრი გააგებინოს მოსაუბრეს. თავდაპირველად, მოსაუბრეს გააჩნია საკომუნიკაციო მიზანი – მოყვეს ამბავი,

გასცეს ინსტრუქცია ან უპასუხოს შეკითხვას, რომელიც განსაზღვრავს თუ რა გეგმა უნდა შეიმუშაოს მოსაუბრებ. ეს გეგმა კი განაპირობებს თუ როგორ უნდა განხორციელდეს საკომუნიკაციო მიზანი – დიალოგის თუ მონოლოგის მეშვეობით. მას შემდეგ, რაც მოსაუბრე შეიმუშავებს სასაუბრო გეგმას, იგი იწყებს წინადადებების აგების გეგმის შემუშავებას, რაც საერთო ჯამში შეადგენს “ჩონჩხს”. შემდეგი ეტაპია ამ მოდელის პრაქტიკულად განხორციელება.

საუბრის დროს მოსაუბრე ხან გეგმავს, ხან კი საუბრობს. პაუზები მათ შორის იმის დასტურია, რომ ხდება უცხო ენის ათვისება და შესწავლა.

**დაგეგმვის სტრატეგიები:** აქ გამოიკვეთა ორი ძირითადი სტრატეგია: **სემანტიკური** გამარტივება და **ლინგვისტური** გამარტივება. ეს სწორედ ის პროცედურებია, რომლებსაც შემსწავლელი იყენებს უცხო ენის შესწავლის ადრეულ ეტაპზე, როცა მას უცხო ენის შეზღუდული რესურსი გააჩნია და სჭირდება მისი გამოყენება რაც შეიძლება იოლად და ეფუძნულად.

**სემანტიკური** გამარტივება მაშინ ხდება, როდესაც შემსწავლელი ამარტივებს წინადადების გეგმას იმით, რომ ამცირებს ლინგვისტურად დაშიფრული ელემენტების გამოყენებას. ეს იმას ნიშნავს, რომ შემსწავლელი ირჩევს გარკვეულ ელემენტებს იმისათვის, რომ გასცეს შეტყობინებები და დანარჩენს უტოვებს მსმენელს მისახვედრად. ეს შემადგენელი ნაწილები სემანტიკურია. სემანტიკური გამარტივება ხსნის იმ პროცესებს, რომლებიც უცხო თუ დედა ენის შესწავლის ნაწილია.

**ლინგვისტური** გამარტივება მოიცავს აფიქსებისა და ფორმის სიტყვების გამოტოვებას. სემანტიკური გამარტივებისაგან განსხვავებით, იგი ეწინააღმდეგება იმ ლოგიკურ აზრს, რომ შემსწავლელს არ შეუძლია გაამარტივოს ის, რაც არ იცის. ამდენად, ლინგვისტური გამარტივება ძალიან ზოგადი სტრატეგიაა.

**შესწორების სტრატეგიები:** შესწორების ძირითადი სტრატეგიაა **მონიტორინგი**. შემსწავლელი თვითონ აკონტროლებს თუ რა სახის ენას იყენებს ლექსიკის, სინტაქსის, მორფოლოგიისა თუ ფონეტიკის შესწავლისას. მონიტორინგი

გამოიყენება მაშინ, როცა არ აქვს ადგილი არანაირ საკომუნიკაციო ან ლინგვისტურ სირთულეებს.

ტერმინი “საკომუნიკაციო სტრატეგია” სელინკერმა დაამკვიდრა 1972 წელს, ხოლო გარადიმ 1973 წელს საკომუნიკაციო სტრატეგიის პირველი სისტემური ანალიზი გააკეთა. 1970-იან წლებში იყო სხვა კვლევებიც, მაგრამ ერთგვარი ბუმი იწყება 1980-იანი წლებიდან. ელენ ბიალისტოკმა ისინი დაუკავშირდა უცხო ენის ათვისების საკითხს. 1990-იანი წლებშიც იკვლევდნენ ამ სფეროს, მაგრამ მას შემდეგ კვლევათა რაოდენობა შედარებით შემცირდა.

საკომუნიკაციო სტრატეგიები არის აზრიანი და პრომლებაზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს იმას, რომ შემსწავლელი გააზრებულად იყენებს სტრატეგიას იმისათვის, რომ დაამყაროს კომუნიკაცია და გადაჭრას ესათუის პრობლემა. ფაერხი და კასპერი (1980) საკომუნიკაციო სტრატეგიებს მიიჩნევენ იმ გეგმის ნაწილად, რომელსაც შემსწავლელი იყენებს მაშინ, როდესაც მისი თავდაპირველი გეგმა წარუმატებელია. როდესაც უცხო ენაზე კომუნიკაციის პროცესში აზრის გაგების უკიდურესი საჭიროებაა, გამოიეუჯება შესაბამისი სტრატეგიები იმისათვის, რომ კომუნიკაცია უკეთესად დამყარდეს. თუ სასწავლო სტრატეგიები პრობლემის გრძელ-ვადიანი გადაჭრაა, საკომუნიკაციო სტრატეგიები ამათუიმ კონკრეტულ სიტუაციაში გვეხმარება და მათ შესაბამისი წვლილი შეაქვთ კომუნიკაციის პრობლემის დასაძლევად. პოულისი (1990) გვთავაზობს საკომუნიკაციო სტრატეგიების ორ ძირითად კატეგორიას: შეცვლა-ჩანაცვლების და რეკონცეპტუალიზაციის. შეცვლა-ჩანაცვლების სტრატეგია ისეთი სტრატეგიაა, რომლის გამოყენების დროსაც მოსაუბრეს შეუძლია ჩაანაცვლოს ის სიტყვა, რომლის თქმაც სურდა სხვა სიტყვით და ამით არ შეწყვიტოს კომუნიკაცია. მაგალითად, სიტყვა ‘ძაღლი’-ს ნაცვლად გამოიყენოს ფრაზა ‘შინაური ცხოველი’. რეკონცეპტუალიზაციის სტრატეგია კი ისეთი სტრატეგიაა, რომლის გამოყენების დროსაც მოსაუბრე იყენებს ერთზე მეტ სიტყვას, რათა ახსნას და გამოხატოს ის სიტყვა, რომლის თქმაც სურდა. მაგალითად, სიტყვა ‘ანტენის’ მაგივრად ამბობს ‘ტალღების მიმღები და გამშვები დანადგარი’.

ამრიგად, საკომუნიკაციო სტრატეგიები ის ფსიქოლინგვისტური საშუალებებია, რომლებიც ენის მომხმარებლის კომუნიკაციური კომპეტენციის ნაწილია.

#### 4.13. საკომუნიკაციო სტრატეგიის როლი უცხო ენის შესწავლის პროცესში

უცხო ენის შემსწავლელისათვის საკომუნიკაციო სტრატეგიების ცოდნას და გამოყენებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ფაერხისა და კასპერის (1980) აზრით, იმისათვის, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიებმა მოახდინონ მაქსიმალური ეფექტი უცხო ენის შესწავლის პროცესში, მათ კონკრეტული მიზანი უნდა გააჩნდეთ. ისინი ამ მოსაზრებას იმით ამყარებენ, რომ მხოლოდ რაიმეს მიღწევის შემთხვევაში იქმნება ჰიპოთეზა და რისკი აუცილებელია აგტომატიზაციისათვის. თარონე (1980) საპირისპირო მოსაზრებას განიხილავს. მისი აზრით, საკომუნიკაციო სტრატეგიების შედეგი ის არის, რომ ისინი საშუალებას აძლევენ ენის ბუნებრივად მატარებელს დაეხმაროს უცხო ენის შემსწავლელს გამოიყენოს სწორი ფორმა იმის სათქმელად, რაც უნდა. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი არის ის, რომ საკომუნიკაციო სტრატეგიები ხელს უწყობს შემსწავლელს აზრთა გაცვლა-გამოცვლა უკეთესად მოახდინოს. იმ შემთხვევაშიც, კი თუ შემსწავლელს არ უზრუნველყოფენ კონკრეტული საჭირო სტრუქტურით, მას სხვა მრავალი სტრუქტურა ექნება იმისათვის, რომ აამუშაოს სხვადასხვა სტრატეგიები. როგორც ჰეტჩი (1978) აღნიშნავს, “ყველაზე მნიშვნელოვანია შემსწავლელმა არ დაკარგოს ინტერესი სწავლისადმი”. (39, 434) საკომუნიკაციო სტრატეგიები ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა იმისათვის, რომ არ შეწყდეს საუბარი უცხო ენაზე და შესაძლებელი გახდეს აზრის ბოლომდე მიყვანა.

ამრიგად, უცხო ენის შემსწავლელი საკომუნიკაციო სტრატეგიებს იყენებს მაშინ, როდესაც მას უცხო ენაზე საუბრის პრობლემა აქვს. მათ გამოყენებაზე ზეგავლენას ახდენს შემსწავლელის უცხო ენის დონე, პრობლემის ტიპი, როგორი პიროვნული თვისებები გააჩნია შემსწავლელს და როგორია სასწავლო გარემო ან სიტუაცია.

კომუნიკაციური მეთოდის მიზანია უცხო ენის შემსწავლელს საშუალება მისცეს ენა ეფექტურად გამოიყენოს რეალური კომუნიკაციისას. თუ სტრუქტურული მიღება უფრო მეტად ყურადღებას ამახვილებს ენის გამოყენებაზე, რაც გულისხმობს იმას, რომ წინადადებები გრამატიკულად სწორად უნდა აიგოს და ენის შემსწავლელმა შესაბამისი ლექსიკა უნდა გამოიყენოს, ენის კომუნიკაციური მეთოდით სწავლების მიზანია შემსწავლელს შეაძლებინოს აზრიანად და ამა თუ იმ სიტუაციისათვის შესაბამისად საუბარი.

საკომუნიკაციო სტრატეგიები მოსაუბრეს ეხმარება მნიშვნელობა უკეთ გადმოსცეს და, შესაბამისად, უცხო ენაზე კომუნიკაცია უკეთესად შეძლოს. მაგალითად, ერთ-ერთი აქტივობა, რომელიც ამ მიზანს ემსახურება არის სურათის ან დიაგრამის აღწერა.

აქტივობის შესრულებისას საუბარი ჩავიწერეთ ვიდეო გადამლებით/კამერით იმისათვის, რომ შესაბამისი ანალიზი და დასკვნები გაგვიათებინა და შეგვესწავლა, თუ რა საკომუნიკაციო სტრატეგიებს იყენებდნენ შემსწავლელები.

აღმოჩნდა, რომ ერთის მხრივ, როდესაც შემსწავლელი ვეღარ აგრძელებს საუბარს, იგი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ არ გაწყვიტოს კომუნიკაცია. შესაბამისად, იგი იყენებს ისეთ საშუალებებს, როგორიცაა, სიტყვის პერეფრაზირება, თუ გაუჭირდა ამა თუ იმ სიტუაციაში, გამიზნულად დედა ენის გამოყენება და არავერბალური საკომუნიკაციო საშუალებები (სახის მიმიკა ან უსტები). ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსაუბრე სხვადასხვა საკომუნიკაციო სტრატეგიებს იყენებს მაშინ, როდესაც ხედავს, რომ პრობლემები ექმნება აზრის გამოთქმასა და საუბრის წარმართვაში.

საკომუნიკაციო სტრატეგიების შესწავლისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, თუ რა კრიტერიუმებით წყვეტს ენის შემსწავლელი რომელი სტრატეგია გამოიყენოს. პოულისი (1997) მიიჩნევს, რომ ისინი ცდილობენ კომუნიკაციის ორ ძირითად პრინციპს დაემორჩილონ: ისაუბრონ გარკვევით და მსენელს გააგებინონ რა უნდათ; მეორე კი – ისაუბრონ მოკლედ, კონკრეტულად და

ისე, რომ არ დააბნიონ მსმენელი. სწორედ აქ წარმოიქმნება პრობლემა. ენის შემსწავლელს ყოველთვის არ გააჩნია ზოგადი უცხო ენის ისეთი დონე, რომელიც მას საშუალებას მისცემს აზრი მოკლედ და კონკრეტულად ჩამოაყალიბოს. შესაბამისად, იმისათვის, რომ შემსწავლელმა ახსნას ესა თუ ის აზრი, შედარებით მეტი დრო უნდა გამოიყენოს იმის ასახსნელად, რისი თქმაც სურს. თუმცა, შემსწავლელები ასე თუ ისე მაინც ცდილობენ ამ ორი პრინციპის დაცვას, რაც მათ უკეთეს კომუნიკაციაში ეხმარება.

საკომუნიკაციო სტრატეგიები სტრატეგული კომპეტენციის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენენ, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ლინგვისტური და პრაგმატული რესურსები უკეთესად გამოვიყენოთ. ენობრივი ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებული სწავლების ერთ-ერთი წამყვანი მიზანია ენის შემსწავლელთა სტრატეგიული კომპეტენციის განვითარება. ბაჩმენს (1990) მიაჩნია, რომ სტრატეგიული კომპეტენცია ყველანაირი კომუნიკაციის მთავარი მიზანია. იგი საშუალებას აძლევს უცხო ენის შემსწავლელს ცოდნისა და ენობრივი კომპეტენციის შერწყმა მოახდინოს მაშინ, როდესაც ამა თუ იმ ენობრივ ამოცანას ასრულებს. ეს კი, პირდაპირ უკავშირდება კომუნიკაციის ეფექტურობას, რაც ძლიერ მნიშვნელოვანია ენის შესწავლისას.

იულმა (1996) შეიმუშავა კომუნიკაციის ეფექტურობის მოდელი, რომელიც მოიცავს ორ მიმართულებას – რეფერენტის იდენტიფიცირებას და როლის შესრულებას. იმისათვის, რომ მოსაუბრებ წარმატებით ისაუბროს, მან უნდა ამოიცნოს რეფერენტები, რომლებთანაც მას სურს კომუნიკაცია. ეს უნარი ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი ამოცანების შესრულებისას, რომლებიც მოითხოვს ინფორმაციის გადაცემას. იული მიიჩნევს, რომ შემსწავლელს სჭირდება სამი ტიპის უნარი:

- 1) აღქმა, რათა რეფერენტის კონკრეტული თვისებები შეამჩნიოს
- 2) შედარება, რათა განასხვავოს ერთი რეფერენტი მეორისაგან
- 3) ლინგვისტური, რათა ესმოდეს ერთი რეფერენტის და შეძლოს იგი განასხვავოს მეორისაგან

თუ გვინდა, რომ ვიკილიოთ თუ რამდენად ეფექტურია კომუნიკაცია, საჭიროა გავაანალიზოთ შედეგი. ამას ადვილად გავაკეთებთ, თუ უბრალოდ დავაკვირდებით რამდენად წარმატებით შეასრულეს შემსწავლელებმა ესა თუ ის ენობრივი ამოცანა. მაგალითად, როდესაც ენობრივი ამოცანა ავალებს შემსწავლელს მოძებნოს ორ სურათში განსხვავება, დაკვირვებისას დავინახავთ, თუ რამდენად წარმატებით შეუძლია მას ამ განსხვავების დანახვა. ენობრივი ამოცანის მიზანიც ხომ ეს არის, დავინახოთ მისი შედეგი. იგი მასწავლებლებსაც აძლევს საშუალებას შეაფასონ თუ რამდენად სწორად და მართებულად შეარჩიეს ენობრივი ამოცანა.

რაც შეეხება საკომუნიკაციო სტრატეგიებს და ენის ათვისებას, ზოგადად, ისინი ძალიან მნიშვნელოვანია უცხო ენაზე წარმატებული კომუნიკაციისათვის. კომუნიკაციის ეფექტიანობა და ენის ათვისება ერთმანეთს ავსებენ. ენის შემსწავლელებს ენობრივი ამოცანის შესრულებისას შეუძლიათ უურადღება გაამახვილონ როგორც კომუნიკაციის ეფექტურობაზე, ისე ენის ათვისებაზე. კაგშირი ამ ორ ფენომენს შორის საკმაოდ მჭიდროა – რაც უფრო მეტ ენას აითვისებენ შემსწავლელები, მით უფრო ეფექტურად შეუძლიათ კომუნიკაცია და რაც უფრო ეფექტური კომუნიკაციის უნარი გააჩნიათ მათ, მით უფრო იზრდება მათი ენის ათვისების შესაძლებლობები.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ერთ-ერთი საკომუნიკაციო სტრატეგია, პერეფრაზირება, ანუ აზრის სხვა სიტყვებით გადმოცემა, რომლის დროსაც გამოიყენება როგორც ლინგვისტური, ისე არა-ლინგვისტური საშუალებები, როგორიცაა, მაგალითად, მნიშვნელობის უესტებით გამოხატვა, მოსაუბრეს საშუალებას აძლევს გამოხატოს სიტყვის საწყისი მნიშვნელობა. მაგალითად, თუ სათქმელია სიტყვა “ბაბუა”, მოსაუბრე იტყვის “ჩემი მამის მამა” ან თუ მას უნდა თქვას ‘სამხატვრო გალერეა’, ამბობს ‘ადგილი, სადაც სურათებია გამოფენილი’. ამით იგი ხელს უწყობს როგორც საკუთარ თავს, ისე მოსაუბრეს აზრი იოლად გააგებინოს და არ შეწყვიტოს კომუნიკაცია და ამით მსმენელს გაუადგილოს ინფორმაციის გაგება.

**ერთი სიტყვის სხვა სიტყვით შეცვლა-ჩანაცვლება:** შემსწავლელი თავიდან იცილებს პრობლემური სიტყვის გამოყენებას ცვლის რა მას განსხვავებული სიტყვით. მაგალითად, თუ მან არ იცის როგორ აწარმოოს არაწესიერი ზმინის წარსული ფორმა, შეცვლის მას წესიერი ზმინით, რომლის წარსული ფორმის წარმოება არ მოითხოვს დიდ ძალისხმევას.

**ახალი სიტყვების დამკვიდრება:** შემსწავლელი იგონებს ახალ სიტყვებსა და ფრაზებს, რადგან არ იცის როგორ თქვას გარკვეული სიტყვა.

**დედა ენის გამოყენება:** შემსწავლელი იყენებს სიტყვას საკუთარ დედა ენაზე იმ იმედით, რომ მას მოსაუბრე გაუგებს. ხშირად ეს სტრატეგია ამართლებს, რადგან მინიმუმამდეა დაყვანილი აზრის ვერ გაგება და კომუნიკაცია არ წყდება.

**არა-ვერბალური სტრატეგიები:** მიმიკის ან ჟესტების გამოყენება ვერბალური კომუნიკაციის სანაცვლოდ, რაც აიოლებს აღქმას და აზრის გაგებას.

**თავიდან აცილება:** შემსწავლელი თავიდან იცილებს იმ თემებზე საუბარს, რომლებშიც არ გააჩნია საკმარისი ლექსიკური მარაგი, მან ამის შესახებ კარგად იცის და, შესაბამისად გადადის სხვა თემაზე სასაუბროდ.

სტრატეგიული კომპეტენციის განვითარება საკმაოდ რთულია. მას დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება და მოითხოვს სხვადასხვა სიმულირებადი საკომუნიკაციო სიტუაციების შექმნას, სადაც მეტი გამბედაობა, რისკიანობა და უდიდესი სურვილია საჭირო დაწყებული აზრი ბოლომდე მისაყვანად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილ 3-ში თითოეული კომპეტენციისათვის მოცემულია შესაბამისი ახსნა, რაც დაგევხმარება გავიგოთ თუ რისი გაკეთება შეუძლია უცხო ენის შემსწავლელს მაშინ, როდესაც თითოეულ კომპეტენციას ფლობს.

**ცხრილი 3. საკომუნიკაციო კომპეტენციები და უცხო ენის შესწავლა**

კომპეტენცია	შესწავლელის უნარი
<b>ლინგვისტური</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გრამატიკული ფორმების ზუსტად გამოყენება</li> <li>• ფორმების სწორად გამოთქმა</li> <li>• მახვილებისა და ინტონაციის შესაბამისად გამოყენება მნიშვნელობის გადმოსაცემად</li> <li>• გარკვეული ლექსიკური ბაზის გამოყენება</li> <li>• მართლწერის წესების ცოდნა</li> <li>• სინტაქსისა და სიტყვათწარმოების ზედმიწევნით ცოდნა</li> </ul>
<b>პრაგმატული</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• გრამატიკულ ფორმებსა და ფუნქციებს შორის კაგშირის დადგენა</li> <li>• მახვილებისა და ინტონაციის გამოყენება ემოციებისა და დამოკიდებულებების გამოსახატავად</li> <li>• ოფიციალურ სიტუაციებში შესაბამისად ფუნქციონირება</li> <li>• ენის ფორმების შერჩევა</li> </ul>

	<p>საკითხიდან, მოსაუბრისაგან და სხვა მახასიათებლებიდან გამომდინარე</p>
დისკურსული	<ul style="list-style-type: none"> <li>რიგ-რიგობით საუბარი, დამაკავშირებელი სიტყვებისა და ფრაზების გამოყენება, საუბრის დაწყება და დასრულება</li> <li>სხვადასხვა ტიპის წერილობითი დოკუმენტების მომზადება</li> <li>კითხვისა და წერის დროს დამაკავშირებელი სიტყვების გამოყენება</li> <li>რეალური ტექსტებისათვის თავის გართმევის უნარი</li> </ul>
სტრატეგიული	<ul style="list-style-type: none"> <li>რისკის გაწევა ენის ზეპირი და წერითი გამოყენებისას</li> <li>მრავალი კომუნიკაციური სტრატეგიის გამოყენება</li> </ul>
ენის თავისუფლად ფლობა	<ul style="list-style-type: none"> <li>რეალურ საუბარში გამოტოვებული ინფორმაციისათვის თავის გართმევა</li> <li>თავისუფლად რეაგირება ამათუიძებელის მიზანის საუბრის დამაკავშირებელი სიტყვებისას</li> </ul>

	<b>საკითხზე</b> <ul style="list-style-type: none"> <li>• “რეალურ დროში” შესაბამისი სისწრაფით რეაგირება</li> </ul>
--	--

ენის თავისუფლად ფლობა საკომუნიკაციო კომპეტენციის ნაწილია და სტრატეგიულისაგან იმით განსხვავდება, რომ სტრატეგიული კომპეტენცია გულისხმობს ცოდნის ნაკლებობას, ხოლო თავისუფლად ფლობა მოიცავს მოსაუბრის უნარს საუბრისას გამოიყენოს ის ლინგვისტური კომპეტენცია, რომელიც მას გააჩნია.

იმისათვის, რომ შემსწავლელს შევაძლებინოთ ენის თავისუფლად ფლობა, მას უნდა ვასწავლოთ გამზადებული ლექსიკური ფრაზები, რომლებსაც იგი იმახსოვრებს და უფრო იოლად იხსენებს საჭირო სიტუაციებში. გარდა ამისა, მათ უნდა შევთავაზოთ ისეთი პრაქტიკული სავარჯიშოები, რომლებიც გულისხმობს მათ დამოუკიდებლად ჩართვას შესაბამისი და სწორი ფორმების გამოყენებაში უცხო ენაზე.

ამრიგად, უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარების განვითარება საკმაოდ ხანგრძლივი და მნიშვნელოვანი პროცესია. შესაბამისად, საჭიროა სხვადასხვა გზებით მისი გაუმჯობესება. უნდა ვისწავლოთ აქტიური მოსმენა, რაც დაგვეხმარება მნიშვნელოვანი საკითხების დამახსოვრებაში, მოსაუბრეს უნდა მივცეთ საკმარისი დრო იმისათვის, რომ საკუთარი აზრები გაგვიზიაროს. გარდა ამისა, კითხვების დასმა აუმჯობესებს კომუნიკაციას, ვინაიდან იგი მოსაუბრეს საშუალებას აძლევს მიხვდეს, რომ თქვენ მას დაკვირვებით უსმენთ. მნიშვნელოვანია ასევე მოსაუბრის მიმართ დადებითი განწყობა და სასიამოვნო გარემოს შექმნა. თუ ისეთ სავარჯიშოებსა და აქტივობებს შევიტანო, რომელთა შესრულების დროს შემსწავლელებს მოუწევთ შეათანხმონ ერთმანეთთან მნიშვნელობა, გამოიყენონ საკომუნიკაციო სტრატეგიები, თავი გაართვან გაუგებრობებს და მაქსიმალურად მოინდომონ თავიდან აიცილონ შეფერხება

კომუნიკაციაში, ეს მათი ზეპირი საკომუნიკაციო უნარების მნიშვნელოვან განვითარებას გამოიწვევს.

#### **4.14. მოტივაციის როლი უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარების განვითარება-გაუმჯობესებაში**

უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარების პროცესში უდიდესი ადგილი უკავია შემსწავლელის მოტივაციას და მონდომებას, რაც საბოლოო შედეგზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. მართალია, ნაწილობრივ ეს უკავშირდება შემსწავლელის ზოგად შეხედულებებსა და მოსაზრებებს სასწავლო პროცესის მიმართ, იმას, თუ რამდენად მოსწონს მას ესათუის უცხო ენა, რა კულტურული და პოლიტიკური შეხედულებები გააჩნია, მასწავლებელს შესაბამისი მეთოდებითა და მიდგომებით შეუძლია შემსწავლელს გაუღვივოს მოტივაცია და ამით უზრუნველყოს მისი წარმატება.

ასეთი ტიპის მოტივაცია აუცილებელია როგორც სასწავლო კურსის დასაწყისში, ისე მისი მსვლელობისას იმისათვის, რომ სასურველ შედეგს მივაღწიოთ. მოტივაციის გაღვივებასა და განვითარებას ხელს უწყობს შესაბამისი ენობრივი ამოცანების მართებულად გამოყენება და სხვადასხვა სახის მრავალფეროვანი აქტივობებით კურსის გამრავალფეროვნება. გარდა ამისა, სასარგებლოა შემსწავლელთა დაყოფა მცირე ჯგუფებად და წყვილებად და შესაბამისი ამოცანების მიცემა.

იმისათვის, რომ ენობრივმა ამოცანებმა შემსწავლელის მოტივაცია აამაღლოს და მას კიდევ უფრო მოანდომებინოს აქტიურად სწავლა, ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს:

- ამოცანის მიზანი უნდა იყოს ნათელი, რათა შემსწავლელმა დაინახოს თუ რატომ აკეთებინებს მასწავლებელი ამ ამოცანას
- თემატიკა და საკითხები უნდა იყოს საინტერესო და დაკვირვებით შერჩეული

- კარგი იქნება, თუ ისინი თვალსაჩინოებებით იქნება გამრავალფეროვნებული
- ამოცანა უნდა შეიცავდეს გარკვეული დოზით სახალისო ელემენტებს, რათა შემსწავლელმა იგი სიამოვნებით შეასრულოს
- თუ შემსწავლელს დაევალება საკუთარი მოსაზრების, გამოცდილების, არგუმენტებისა და ა.შ. წარმოდგენა, იგი მეტი ინტერესით ჩაერთვება
- თუ შემსწავლელს გარკვეული სახის ინფორმაცია მოსაძიებელი ექნება იმისათვის, რომ ამოცანა დასასრულამდე მიიყვანოს, იგი იმდენად მოტივირებული იქნება, რომ მასში მაქსიმალურად აქტიურად ჩაერთვება

**რამდენიმე სასარგებლო რჩევა იმისათვის, თუ როგორ ავამაღლოთ მოტივაცია ჯგუფში**

**მუშაობა წყვილებში და ჯგუფურად:** უცხო ენის შესწავლის პროცესი გაცილებით უფრო გაადვილებულია, როდესაც შემსწავლელთა შორის სუფეს ურთიერთობანამშრომლობისა და ლია კომუნიკაციის ატმოსფერო. ისინი ერთმანეთს ეხმარებიან, რჩევებს აძლევენ, კამათობენ და დაობენ. გარდა ამისა, ისინი აფასებენ ერთმანეთის მიერ შესრულებულ სამუშაოს, რაც ხელს უწყობს უცხო ენაზე მათი ზეპირი საკომუნიკაციო უნარების განვითარებას, მათ შორის მყარდება ნდობა და ურთიერთპატივისცემა და სწავლის შედეგებიც უკავთესია.

**როლური თამაშები:** ისინი შემსწავლელის მოტივაციას კიდევ უფრო ამაღლებენ და უზრუნველყოფენ ყველაზე ნაკლებად აქტიურ და დემოტივირებულ მოსწავლეთა ჩართულობასაც კი.

**სიმღერები და რეალური ცხოვრებისეული ამბები:** მათი გამოყენებით უცხო ენის გაკვეთილზე იქმნება სასიამოვნო და არა-სტრუქტული გარემო. შემსწავლელები განიხილავენ საკუთარ გრძნობებსა და შეხედულებებს და ამით კიდევ უფრო აქტიურად მეტყველებენ უცხო ენაზე.

**გიდეო და გიზუალური მასალები:** ისინი ხელს უწყობენ მნიშვნელობისა და აზრის უკეთ გაგებას და შესაბამის რეაგირებას ზეპირად. კომუნიკაციური გაპვეთილის უკეთესად სამართავად ყურადღება უნდა მიექცეს შემსწავლელთა განთავსებას ისე, რომ ჯგუფის დინამიკა შენარჩუნდეს. მაგალითად, წრეში, ოვალურად, ერთმანეთის პირისპირ წყვილებად ან მცირე ჯგუფებში, რაც კიდევ უფრო აადგილებს ურთიერთთანამშრომლობისა და დახმარების სურვილს. ისინი თავისუფლად საუბრობენ და ერთმანეთს უზიარებენ აზრებს სხვადასხვა საკითხებზე. ჯგუფში 5-6 კაცზე მეტი არ უნდა იყოს. მას უნდა ჰყავდეს თავისი ლიდერი ან კოორდინატორი, რომელიც შესაძლოა დანიშნოს მასწავლებელმა ან აირჩიოს თვითონ ჯგუფმა. მისი ამოცანაა აწარმოოს ჯგუფის მონიტორინგი და კოორდინირება და შეასრულოს მასწავლებელთან შუამავლის როლი. მასწავლებელმა შესაბამისად უნდა მოამზადოს ჯგუფის წევრები ამათუმდე საკითხზე სამუშაოდ და შემდეგ ნაკლები დოზით ან საერთოდ არ უნდა ჩაერიოს ჯგუფის მუშაობაში. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ჯგუფის მუშაობას თვალყურს არ აღევნებს. იგი იქვე დგას და აკონტროლებს ყველაფერს.

#### **4.15. როგორ გმართოთ კომუნიკაციური გაპვეთილი**

საკომუნიკაციო ამოცანები გულისხმობს შემსწავლელთა ჩართულობას და მათ ერთმანეთთან პირისპირ კომუნიკაციას. მცირე ჯგუფებად მუშაობა ხელს უწყობს უცხო ენის უკეთესად ათვისებას, ქმნის პოზიტიურ სასწავლო გარემოს, აუმჯობესებს შემსწავლელთა ცოდნას და დადებითად განაწყობს მათ სასწავლო პროცესისადმი, რაც მასწავლებელს ხელს უწყობს მასალა უკეთესად აათვისებინოს შემსწავლელს.

ზრდასრულები სასწავლო გარემოს სწავლის გარკვეული გამოცდილებით უბრუნდებიან. ამდენად, იმისათვის, რომ წარმატებით ისწავლონ, აუცილებელია მათ შორის თანამშრომობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნა, რაც მასწავლებლის დანიშნულებაა. მეთოდურად, ეს უკავშირდება ჯგუფური და წყვილებში მუშაობის დანერგვას, როლური თამაშების გამოყენებას, შემსწავლელთა ერთმანეთთან კიდევ უფრო დაახლოებას და ერთიანი საბოლოო მიზნის მიღწევის სურვილის გაღვივებას.

ჯგუფური მუშაობისათვის მასწავლებელმა როლები დაკვირვებით უნდა გაანაწილოს. მან ეს ან თვითონ უნდა მოახდინოს ან აარჩევინოს შემსწავლელებს. როგორც წესი, ჯგუფური მუშაობისას შეინიშნება რამდენიმე ეტაპი, რომლებზეც ჯგუფის წევრები ეცნობიან ერთმანეთის პიროვნულ თვისებებს, დაობენ და კამათობენ, უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს, რაც მათი წარმატების საწინდარია. თაჩმენ და უენსენი (1977) ამ ეტაპებს უწოდებენ:

- |               |               |
|---------------|---------------|
| 1. ფორმირებას | 2. ნორმირებას |
| 2. შტორმს     | 4. შესრულებას |

მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ გარკვეული პერიოდის მანძილზე ესათუის შემსწავლელი ერთსადაიმავე ჯგუფში ამუშაოს, რათა შესაბამის წარმატებას მიაღწიოს ჯგუფების ჩამოყალიბებაში. გარდა ამისა, უურადღება უნდა მიექცეს ასეთი მეთოდით ჩატარებული კომუნიკაციური გაკვეთილის მართვას. სასურველია თავიდანვე გამოვიყენოთ ჯგუფის ერთ გუნდად შესაკვრელად საჭირო აქტივობები და მივაჩვიოთ ისინი თანამშრომლობას, შეგქმნათ მეგობრული გარემო და ერთმანეთის მიმართ კეთილი დამოკიდებულება.

კომუნიკაციური გაკვეთილის წარმატებით მართვაში დიდია მასწავლებლის როლი. მან აქტივობები შესაბამისად უნდა დაგეგმოს, თავი მოუყაროს მასალებსა და სასწავლო რესურსს, გაამხნევოს და წაახალისოს შემსწავლელები და, რაც მთავარია, გაითვალისწინოს მათი საჭიროებები და მოთხოვნები, რაც საბოლოო ჯამში ხელს შეუწყობს შემსწავლელთა უცხო ენაზე წარმატებულ კომუნიკაციას.

**ცხრილი 4. ჯგუფური მუშაობის ეტაპები უცხო ენის გაკვეთილზე ენობრივი  
ამოცანის შესრულების დროს**

<b>ეტაპი</b>	<b>შემსწავლელი</b>	<b>მასწავლებელი</b>
1) ამოცანის ახსნა და შემსწავლელთა გამხენევება დასვან შეკითხვები	ისმენს და სვამს შეკითხვებს ამოცანის უკეთ გასაგებად	მართავს აქტივობას
2) შემსწავლელთა ჯგუფების დაყოფა	გადანაწილდებიან ჯგუფებად	უზრუნველყოფს ორგანიზებას
3) ამოცანის წაკითხვა- გააზრება	ინდივიდუალურად კითხულობენ, აზუსტებენ სიტყვათა მნიშვნელობას ჯგუფის სხვა წევრებთან, იხილავენ ინფორმაციას და იღებენ გადაწყვეტილებას	აწარმოებს მონიტორინგ
4) შემსწავლელთა გადანაწილება სამ- კაციან ჯგუფებად და მათთვის შესაბამისი საკითხის მიცემა	გადანაწილდებიან ახალ ჯგუფებად	უზრუნველყოფს ორგანიზებას
5) ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა	წარმოადგენენ საკუთარ ინფორმაციას და	ხელმძღვანელობს და აწარმოებს შესაბამის

შემსწავლელთა შორის	განიხილავენ შესაბამის საკითხს	მონიტორინგს	
6) შემსწავლელის მიერ შესრულებული ამოცანის შემოწმება	იძლევა მოსაზრებას შესახებ	საკუთარ ამოცანის შესახებ	აფასებს

როგორც აღნიშნული ცხრილიდან ჩანს, საკომუნიკაციო ამოცანის მიზანია ხელი შეუწყოს შემსწავლელთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლას და ეფექტური საუბრის უნარ-ჩვევის გაუმჯობესებას. მასწავლებელმა შემსწავლელს უნდა გამოუმუშაოს დამოუკიდებლად აზროვნებისა და შესაბამისი როლის თამამად და თავდაჯერებულად შესრულების უნარი.

ვიდოუსონი (1987) მიიჩნევს, რომ ისეთი აქტივობები, რომლებიც ითვალისწინებენ შემსწავლელთა აქტიურ ჩართულობას სულაც არ ნიშნავს, რომ მასწავლებელი ვერ მართავს პროცესს. მან შემსწავლელს სწავლისათვის შესაბამისი და შესაფერისი პირობები უნდა შეუქმნას და აკონტროლოს მისი პროგრესი.

უცხო ენის კომუნიკაციური მეთოდით სწავლებამ შექმნა არა-ადაპტირებული მასალების გამოყენების აუცილებლობა. ასეთი სახის მასალა არ არის სასწავლო პროცესისათვის განკუთვნილი და დამუშავებული მეთოდურად. შესაბამისად, ისინი არ არის გამარტივებული და სხვადასხვა ენობრივ დონეს მორგებული. მაგალითად, რადიო გადაცემები, ახალი ამბები, ამინდის პროგნოზი, დებატები, ინტერვიუები, წერილები, რეცეპტები, საგაზეთო სტატიები, ჰოროსკოპები, ბროშურები, ბიოგრაფიები, ლექსები, ინსტრუქციები და სხვა.

ასეთი გზით, ჩვენ ვრთავთ შემსწავლელებს მიზნობრივ ამოცანებში, რომლებიც რეალურ გარემოსთან ახლოსაა და ხელს უწყობენ შემსწავლელთა უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარის გამომუშავება-გაუმჯობესებას. მომდევნო

თავში უფრო დეტალურად ვისაუბრებთ ენობრივი ამოცანის როლსა და მნიშვნელობაზე უცხო ენის შესწავლის პროცესში.

#### **4.16 ზრდასრულთა საკომუნიკაციო უნარ-ჩვევის გაუმჯობესება-განვითარება**

როგორც ზემოთ აღინიშნა, უცხო ენის სწავლებისადმი კომუნიკაციური მიღება გულისხმობს ენის ოთხივე უნარ-ჩვევის ისეთნაირად შეჯერება-ინტეგრირებას, რომ მოხერხდეს ამ ენის ბუნებრივად გამოყენება. შესაბამისად, სასაუბრო კომპონენტის განვითარებისათვის საჭიროა კომუნიკაციური გაპერილის ლოგიკურად და აზრიანად დაგეგმვა.

საუბარი ის პროცესია, რომელიც მოიცავს ინფორმაციის მიღებას და დამუშავებას. იგი ხშირად სპონტანურია და სხვადასხვანაირად წარიმართება. საუბრისას შემსწავლელს მოეთხოვება არა მარტო შესაბამისი გრამატიკული სტრუქტურების, ლექსიკისა და გამოთქმების გამოყენება (რაც მისი ლინგვისტური კომპეტენციის მაჩვენებელია), არამედ იმის გაგებაც, თუ როდის, რატომ და როგორ ისაუბროს (სოციო-ლინგვისტური კომპეტენცია). გარდა ამისა, კარგი მოსაუბრე აერთიანებს მრავალ უნარ-ჩვევას იმისათვის, რომ კვექტურად ისაუბროს.

მან უნდა:

- გამოიყენოს ზუსტი და სწორი გრამატიკული სტრუქტურები
- შეაფასოს სამიზნე აუდიტორიის თვისებები
- ისაუბროს შემსწავლელისათვის გასაგები და შესაფერისი ლექსიკით
- გამოიყენოს ისეთი სტრატეგიები (სხვა სიტყვებით თქმა, მთავარ/საკვანძო სიტყვებზე აქცენტის გაკეთება), რომელთა მეშვეობით უკეთ გაიგებს ინფორმაციას
- მიაქციოს ყურადღება რა სიტყვებს იყენებს საუბრისას, როგორი სისწრაფით საუბრობს და რა სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებს მიმართავს

იმისათვის, რომ მოსაუბრეს უკეთესად გააგებინოს სათქმელი და ჩართოს საუბარში

ტრადიციულად, მასწავლებელი მოიაზრებოდა კლასში აქტივობებისა და საგარჯიშოების ორგანიზატორად, მათი შესრულების ზედამხედველად და შემსწავლელთა შემფასებლად. დღეს კი, სასწავლო პროცესში შემსწავლელი უფრო აქტიურ როლს თამაშობს. იგი მონაწილეობს მის დაგეგმვაში, საჭიროებების განსაზღვრაში, კრიტიკული აზროვნებისა და ერთობლივი სწავლის უნარ-ჩვევის განვითარებაში, რაც უცხო ენის კომუნიკაციური მეთოდით შესწავლის უმნიშვნელოვანესი საფუძველია. აღნიშნული მეთოდი გულისხმობს შემსწავლელის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, აქტივობის შესრულების დროს მან უნდა შეძლოს დამოუკიდებლად საუბარი, გარემო კი უნდა იყოს ბუნებრივი და მშვიდი.

უცხო ენის შესწავლის კომუნიკაციურმა მეთოდმა მასწავლებელი დაავალდებულა გაითვალისწინოს ეს და თვითონაც იყოს ჩართული საუბრის პროცესში. მან ასევე შეცვალა მასწავლებლის მიღებობა შეცდომების გასწორებისადმი. დევიდ ქროსის (1992) აზრით, რეალურ გარემოში ადამიანები ნაკლებად რეაგირებენ ისეთ შეცდომებზე, რომლებიც არ უშლის მათ ხელს შეტყობინების გაგებაში. ისინი უფრო რეაგირებენ ე.წ. “გლობალურ შეცდომებზე”, რომლებიც აფერხებენ აზრის გაგებას. თუ ადამიანები ერთვებიან ისეთ აქტივობებში, რომელთა მიზანია თავისუფლად საუბრის უნარის განვითარება, შესაძლოა საერთოდ არ შევასწოროთ შეცდომები აქტივობის მსვლელობისას და მხოლოდ ბოლოს გავაკეთოთ შეჯამება. მაგრამ, თუ ჩვენი მიზანია სწორი გრამატიკული ფორმების სწავლა-განმტკიცება, შეცდომები ჩვენ უნდა გავასწოროთ, ან მივცეთ შემსწავლელს საშუალება ერთობლივად მოახერხონ ეს, რაც მათ შორის თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების სურვილს წარმოქმნის.

თავდაპირებელად მასწავლებელმა უნდა გაიაზროს ის მიზნები, რომლებიც საფუძვლად უდევს საუბარს რეალურ გარემოში. მაგალითად, ურთიერთობის დამყარება, მოლაპარაკების წარმართვა, ადამიანებზე შთაბეჭდილების მოხდენა და ა.შ. ეს მას დაეხმარება უფრო წარმატებით ასწავლოს.

კარგად და კომპეტენტურად საუბარი არ არის აღვილი. ამისათვის, შემსწავლელს ესაჭიროება გრამატიკის, ლექსიკის, ფუნქციური ენის ცოდნა და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები. მან ასევე უნდა შეძლოს საუბრის დაწყება და დასრულება, მონაწილეობა საუბარში, აქტიური მოსმენა, შეწყვეტინება და გაგრძელება. თუ მას ეს არ შეუძლია, კომუნიკაცია ვერ დამყარდება. ასევე, როდესაც მოსაუბრეს არ გააჩნია საკმარისი ენობრივი დონე - ლექსიკა, ფრაზები და გრამატიკული სტრუქტურები, მან უნდა გამოიყენოს სხვადასხვა სახის საკომუნიკაციო სტრატეგიები იმისათვის, რომ დაამყაროს კომუნიკაცია. მაგალითად, ჟესტები, პერეფრაზირება – აზრის სხვა სიტყვებით გამოხატვა და ა.შ. მოსაუბრები უნდა გადამოწმოს რა გაიგო და შესაძლოა ნათქვამის გამეორებაც კი მოითხოვოს იმისათვის, რომ კიდევ უფრო დააზუსტოს იგი. ამდენად, იმისათვის, რომ გააგებინოს, მოსაუბრები კარგად უნდა მოიფიქროს რას იტყვის. ამ პროცესში მსმენელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს იმით, რომ იგი მიუთითებს როდის ესმის და როდის არა, სვამს კითხვებს, რათა უკეთესად გაიგოს ნათქვამი, ამყარებს თვალისმიერ კონტაქტს და სახის გამომეტყველებით მიანიშნებს მოსაუბრეს, თუ რამდენად ესმის საუბრის არსი.

ამდენად, წარმატებული ზეპირი კომუნიკაციისათვის საჭიროა

- თავისუფლად საუბრის უნარი
- საუბარში აქტიური მონაწილეობის მიღება
- შესაბამისი გრამატიკული სტრუქტურების გამოყენება
- საუბრის დაწყებისა და დასრულების უნარი
- შესაბამისი სასაუბრო ფორმების გამოყენება

#### **4.17 კომუნიკაციური გაკვეთილის ეტაპები და სასაუბრო უნარის გამომუშავება თითოეულ ეტაპზე**

ზოგადად, უცხო ენის გაკვეთილი შედგება სამი მნიშვნელოვანი ეტაპისაგან: ახალი მასალის წარმოდგენა – პრეზენტაცია, მისი გარჯიში-განმტკიცება – პრაქტიკა და ნასწავლი მასალის თავისუფალ გარემოში გამოყენება - პროდუქცია.

პრეზენტაციის ეტაპზე ხდება ენობრივი მასალის წარმოდგენა. მასწავლებელი თამაშობს აქტიურ როლს და, შესაბამისად, შემსწავლელზე მეტს საუბრობს. თუმცა, მას შეუძლია შემსწავლელის ჩართვა იმ მხრივ, რომ ალაპარაკოს ახალი თემის და ენობრივი მასალის შესახებ. ამ ეტაპზე საჭიროა შემსწავლელის გამხნევება გამოიყენოს მისი იმპროვიზაციის უნარი და გააკეთოს გარაუდები. სულაც არ არის საჭირო უგელაფერი ემყარებოდეს სინამდვილეს ან რეალურ სიტუაციებსა და ფაქტებს, რადგან ჩვენი მიზანი საუბარია და არა ფაქტების ცოდნის შემოწმება.

ადრიან დოფი (1988) ასეთი სახის აქტივობას ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს. მისი აზრით, ეს მეთოდი ეხმარება შემსწავლელს იყოს უფრო უურადღებიანი, მისი ცონდა დაუკავშიროს მომავალში სასწავლ მასალას. მასწავლებელს საშუალება ეძლევა შემსწავლელი შეაფასოს და ეს ეტაპი წარმატებული გახადოს. გარდა ამისა, იზრდება შემსწავლელის მოტივაცია, გინაიდან უზრუნველყოფილია შემსწავლელთა ჩართულობა.

გარჯიშის/დახვეწის და განმტკიცების - პრაქტიკის ეტაპზე, შემსწავლელი გარჯიშობს სხვადასხვა ენობრივ სტრუქტურებს და ლექსიკურ ერთეულებს - სიტყვებს. მასწავლებელი საუბრობს მინიმალურად და ცდილობს ალაპარაკოს შემსწავლელი, რათა დაეხმაროს მას რაც შეიძლება საფუძვლიანად ივარჯიშოს კონკრეტული ენობრივი მასალა თუ სტრუქტურები. აქ შესაძლებელია გარკვეული შეცდომების გასწორებაც, რათა თავიდან ავიცილოთ არასწორი ფორმების დამახსოვრება.

თავისუფალ გარემოში ნასწავლი მასალის გამოყენების – პროდუქტის ეტაპზე შემსწავლელი აღნიშნულ ენობრივ მასალას რეალურ საკომუნიკაციო გარემოში იყენებს. შესაბამისად, მასწავლებელმა მას ხელი უნდა შეუწყოს გამოხატოს საკუთარი შეხედულებები, აზრები და გრძნობები. ამდენად, კარგი იქნება თუ მეთოდურად გამოვიყენებო სხვადასხვა როლურ თამაშებსა და დისკუსია/დებატებს, რაც პროცესს უფრო მეტ სიხალისესა და სიამოვნებას შემატებს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ზეპირი საკომუნიკაციო უნარის განვითარება უცხო ენის გაკვეთილის უმთავრესი და ძირეული მიზანია. 21-ე საუკუნეში სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინა გლობალურ გარემოში კომუნიკაციის უნარმა. იმისათვის, რომ ეს შევძლოთ, საჭიროა ინტერაქციისა და საკუთარი მოსაზრებების მკაფიოდ გამოხატვის უნარის ხელშეწყობა. ამ მიზნის მიღწევა კი, შესაძლებელია სხვადასხვა საკომუნიკაციო აქტივობებით, რომლებიც შემსწავლელს უქმნიან ხელსაყრელ სასაუბრო გარემოს და საშუალებას აძლევენ ისაუბროს თავისუფლად, რაც გარკეულწილად მის საერთო იმიჯზე ახდენს დადგებით ზეგავლენას.

აღნიშნული აქტივობების გამოყენება გაკვეთილის ნებისმიერ ეტაპზეა შესაძლებელი. უცხო ენის კომუნიკაციური მეთოდით სწავლება უამრავ არჩევანს გვთავაზობს იმისათვის, რომ ჩვენს შემსწავლელებს სასაუბრო უნარ-ჩვევა რაც შეიძლება აქტიურად განვითაროთ და ისინი გავხადოთ რეალური საკომუნიკაციო გარემოსათვის მომზადებული, რაც ხელს უწყობს შემსწავლელთა ჩართულობას, ისინი დაინტერესებული არიან და მზადყოფნას გამოხატავენ უცხო ენა გამოიყენონ ბუნებრივ გარემოში. გარდა ამისა,

- შემსწავლელს შეხება აქვს სხვადასხვა სახის ლექსიკასა და გრამატიკულ სტრუქტურებთან, რაც მისი ლინგვისტური/ენობრივი კომპეტენციის განვითარების საწინდარია

- მათი შეცდომების გასწორება იშვიათად ხდება და ეს მათ კარგ ხასიათზე აუენებს, ვინაიდან მათ საუბარს არ აწყვეტინებენ
- შემსწავლელს აქვს ურთიერთობა მრავალ სხვა ადამიანთან, რაც კიდევ უფრო მეტად ამსნევებს და მოტივაციას მატებს მას
- შემსწავლელს შეუძლია გამოიყენოს ის ცოდნა, რაც გააჩნია და არ შეიზღუდოს საუბრისას, რაც გულისხმობს იმას, რომ მას შეუძლია ისაუბროს იმ მინიმალური ლექსიკური და გრამატიკული საშუალებებით, რომლებსაც ფლობს

კომუნიკაციური მეთოდით სწავლებისას უფრო მეტი დრო ეთმობა აზრის გადმოცემას, ხოლო გრამატიკული ფორმები მხოლოდ მნიშვნელობის სწორად წარმოდგენისათვის არის საჭირო. საგულისხმოა, რომ

- სასწავლო მასალა შემსწავლელს იოლად უნდა მიეწოდოს
- შეცდომების გასწორება თითქმის არ ხდება, რადგან მნიშვნელობას უფრო მეტი ყურადღება ეთმობა, ვიდრე ფორმას
- შემსწავლელები ერთვებიან ერთმანეთთან საუბარში და აზრთა გაცვლა-გამოცვლაში
- გამოიყენება რეალური, არა-ადაპტირებული მასალები და სიტუაციები
- მასწავლებელი იყენებს ისეთ მასალას, რომელიც შეესაბამება მათ დონეს

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შემსწავლელს საშუალებას აძლევს მაქსიმალურად დაიხარჯოს და განვითარდეს, რაც აუცილებლად აისახება მის ენობრივ დონეზე. გარდა ამისა, იგი თავისუფლდება უცხო ენაზე საუბრის კომპლექსისაგან და სიამოვნებს სასწავლო პროცესი. შედეგად კი, მისი ცოდნის დონე იმატებს და იქმნება წარმატების მიღწევის ყველანაირი წინაპირობა.

#### **4.18. შეცდომების გასწორება და მათი როლი უცხო ენაზე კომუნიკაციის პროცესში**

უცხო ენის შესწავლის პროცესში შეცდომებს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. შეცდომების დაშვება მიგვითითებს იმაზე, რომ სწავლის პროცესი მიმდინარეობს. უცხო ენაზე ზეპირი კომუნიკაციის პროცესში მასწავლებელს დიდი დაკვირვება მართებს შეცდომების გასწორებასთან მიმართებაში, ვინაიდან ამან ხელი არ უნდა შეუშალოს შემსწავლელის კომუნიკაციას სამიზნე ენაზე და მის მიერ აზრების გამოთქმას. როდესაც ხდება თავისუფლად საუბრის ვარჯიში, შეცდომების გასწორებით ჩვენ ხელს შევუშლით მოსაუბრეს აზრის ჩამოყალიბებაში. შესაძლოა ზოგჯერ მას საუბრის სურვილიც კი წაუხდეს. შესაბამისად, საჭიროა გარკვეული მეთოდის შემუშავება იმისათვის, რომ კომუნიკაცია არ დაირღვეს და აზრის გამოხატვა იყოს შესაძლებელი.

შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე სახის მეთოდი, რომელიც ხელს შეუწყობს შემსწავლელს უცხო ენაზე საუბრის დროს არ გაფანტოს უურადღება, დაწყებული აზრი ბოლომდე მიიყვანოს და უკეთესად იმეტყველოს.

ა) მასწავლებელი სახის მიმიკით მიუთითებს, რომ დაშვებულია შეცდომა და შემსწავლელს აძლევს საშუალებას თვითონვე გაასწოროს იგი. ეს მეთოდი შემსწავლელს უქმნის ნაკლებ სტრესს და უვითარებს დამოუკიდებლობს გრძნობას, რაც მას შეძლებ გამოადგება რეალურ უცხო ენოვან გარემოში ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

ბ) მასწავლებელი იმეორებს წინადადებას ისევე, როგორც ეს შემსწავლელმა თქვა შედარებით ხმამაღლა და ისევ მას აძლევს შანსს გაასწოროს. აღნიშნული მეთოდი შემსწავლელს უბიძებს იყოს დაკვირვებული, მოახდინოს კონცენტრაცია და თვითონვე აიღოს პასუხისმგებლობა შეცდომების გასწორებაზე. რა თქმა უნდა, თუ მან ეს ვერ მოახერხა სხადასხვა მიზეზების გამო (მაგ. არასაპარისი ენობრივი ცოდნა, დაბნეულობა, კონცენტრაციის დაკარგვა, და ა.შ.), მხოლოდ მაშინ ერთვება მასწავლებელი.

გ) მასწავლებელი თავდაპირველად თავს გააქნევს, რათა შეცდომაზე მოიუთითოს, ჯერ შემსწავლელს აძლევს საშუალებას გაასწოროს მისსივე დაშვებული შეცდომა და მხოლოდ შემდეგ სთაგაზობს მას სწორ ვარიანტს, რომელსაც გაამეორებინებს, რათა უკეთესად დაამახსოვრებინოს. ეს მიღებოდა უზრუნველყოფს მეტ ყურადღებას დაშვებული შეცდომის მიმართ.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ზრდასრულთა უცხო ენის სწავლების პროცესში შეცდომების მუდმივი გასწორებით მასწავლებელმა ხელი არ უნდა შეუშალოს კომუნიკაციას, ხოლო ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდების მეშვეობით მან უნდა უზრუნველყოს შეცდომების სისტემატური დაშვების შემცირება.

#### **4.19. უცხო ენაზე საკომუნიკაციო უნარების განვითარება ტექნოლოგიების გამოყენებით**

ტექნოლოგიების გამოყენება უცხო ენის სწავლებაში არ არის ახალი ფენომენი. მრავალი წლის განმავლობაში (1960-იანი წლებიდან) გამოიყენებოდა მაგნიტოფონები, ლინგაფონის ლაბორატორიები და ვიდეო.

80-იანი წლების დასაწყისში შემოვიდა ე.წ. CALL (უცხო ენის შესწავლა კომპიუტერის მეშვეობით), რაც შემსწავლელს ავალდებულებდა სხვადასხვა სავარჯიშოები შეესრულებინა კომპიუტერში. მაგალითად, გამოტოვებული ინფორმაციის შეგსება, წინადადების ორი ნაწილის ერთმანეთთან დაკავშირება, პასუხების ამორჩევა და ა.შ. ამოცანის შესრულების შემდეგ, კომპიუტერი შემსწავლელს სთაგაზობს პასუხებს და ამით უზრუნველყოფს დაშვებული შეცდომების შეჯამებას.

მოგვიანებით გამოჩნდა ე.წ. “ისტ” – ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, რომელიც გაცილებით უფრო მეტ შესაძლებლობებს მოიცავს.

უცხო ენის მასწავლებლები თანდათან ეჩვევიან ტექნოლოგიების გამოყენებას გაკვეთილზე და ცდილობენ ამით კიდევ უფრო შეუწყონ ხელი შემსწავლელთა ენობრივი უნარების განვითარებას.

ტექნოლოგიების გამოყენებას უცხო ენის გაკვეთილზე მრავალი სახის სარგებელი მოაქვს:

- იგი, განსაკუთრებით კი, ინტერნეტი, საშუალებას იძლევა მოვიძიოთ სხვადასხვა სახის აქტივობები, ამოცანები და სასწავლო პროცესი უფრო სასიამოვნო და მრავალფეროვანი გავხადოთ
- ინტერნეტი იძლევა ერთმანეთთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის არაჩვეულებრივ საშუალებას გეოგრაფიულად მოშორებულ რეგიონებშიც კი
- იგი გვთავაზობს ახალ საშუალებებს ვავარჯიშოთ ენა და შევაფასოთ თუ როგორია შედეგი
- მისი საშუალებით ხორციელდება ენის ოთხივე უნარ-ჩვევის განვითარება

“ჩატი” (Chat) ერთ-ერთი თანამედროვე უფექტური საშუალებაა შემსწავლელთა შორის აქტიური კომუნიკაციის დასამყარებლად. მისი საშუალებით ხდება ერთდოულად ინტერნეტის მეშვეობით ერთმანეთთან ადამიანების დაკავშირება სხვადასხვა ადგილებიდან. “ჩატი” არ არის მხოლოდ საუბარი, ეს არის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია წარმატებით განვითაროთ შემსწავლელთა საკომუნიკაციო უნარები. მაგალითად, “ჩატი” თავისუფალ თემებზე, რომლებსაც შემსწავლელები ერთმანეთს უზიარებენ ინტერნეტის მეშვეობით.

არსებობს ამოცანაზე ორიენტირებული “ჩატი”-ი. მასწავლებელი აძლევს შემსწავლელს რეალურ ამოცანას. მაგალითად, პრეზენტაციის მომზადება ან კვლევის შედეგების შეჯერება და მათ საბოლოო სახემდე უნდა მიიყვანონ იგი, რისთვისაც ერთმანეთს უნდა გაესაუბრონ, გაუზიარონ აზრები და დაასრულონ

შესაბამისად. ბოლოს კი, ისინი მთელი კლასის წინაშე განახორციელებენ წარმოდგენას.

ინფორმაციული “ჩატის” დროს ხდება ინფორმაციის გაზიარება. მაგალითად, მასწავლებელი “ჩეთ”-ში დასკამს შეკითხვას და შემდეგ ხდება ამ საკითხის გარშემო აზრთა გაცვლა-გამოცვლა ონ-ლაინ რეჟიმში.

“ჩატის” გამოყენება დადებით ზეგავლენას ახდენს შემსწავლელთა მოტივაციაზე, გინაიდან მათ ეძლევათ საშუალება ახალი მეთოდებითა და ტექნოლოგიებით შეისწავლონ ენა, დაამყარონ ერთმანეთთან უკეთესი კომუნიკაცია და დისტანციური ურთიერთობები.

მნიშვნელოვანია “ჩატის” გამოყენების დროს თანმიმდევრულად იქნას დაცული შემდეგი ეტაპები:

1. გაკვეთილის დასაწყისში უნდა გადამოწმდეს რამდენად კარგად იცნობენ შემსწავლელები შეტყობინებების გაცვლა-გამოცვლის სისტემას.
2. უნდა გავაცნოთ მათ ასეთი სახის გაკვეთილის მიზანი, რათა უკეთესად გავაგებინოთ, თუ რატომ ვიყენებთ ამ საშუალებას
3. უნდა ვაჩვენოთ როგორ გამოიყენება „ჩატი”, რაც მათ მეტ თავდაჯერებულობას შემატებს
4. უნდა მივცეთ მარტივი ენობრივი ამოცანა, მაგალითად, თითოეულმა შემსწავლელმა სუთ სხვადასხვა წევრთან უნდა იკონტაქტოს და დაადგინოს ერთი განსაკუთრებული ან უჩვეულო რამ მათ შესახებ
5. როდესაც დრო ამოიწურება, უნდა შევაწყვეტინოთ. ვათქმევინეოთ რა ინფორმაცია მოაგროვეს ერთმანეთის შესახებ და ვასაუბროთ რამდენ სანსაც უნდათ ისე, რომ გამოხატონ საკუთარი აზრები და გააკეთონ კომენტარი

“ჩატის” მეშვეობით ჩატარებული ნებისმიერი გაკვეთილი უნდა შეიცავდეს შემდეგ სამ აუცილებელ ეტაპს:

- 1) **შესავალი/გამახურებელი ფაზა:** პირითი და/ან სხვა სახის ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა. ამ ეტაპზე ხდება სიტუაციაში გარკვევა და საფუძვლის ჩაყრა
- 2) **ძირითადი ფაზა:** სრულდება ერთი ძირითადი ამოცანა ან მოკლე ამოცანათა ნაკრები, რომელიც შემსწავლელმა უნდა შეასრულოს
- 3) **დასკვნითი ფაზა:** უნდა შეჯამდეს ყველაფერი და მონაწილეები დაემშვიდობონ ერთმანეთს

ბლოგი კიდევ ერთი თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალება უცხო ენის შესასწავლად. იგი წარმოადგენს ვებ გვერდს, რომელზეც მოცემულია დღიურის სახით ჩანაწერები და მოსაზრებები. როგორც წესი, მასზე ერთი ადამიანი რეგულარულად აკეთებს კომენტარებს, გამოხატავს აზრებს, აქვეყნებს ყოველდღიურ ცხოვრებისეულ ფაქტებს, საინტერესო ამბებს, ანგადოტებს ან სხვა მსგავსი სახის ინფორმაციას.

ბლოგების გამოყენება უცხო ენის გაკვეთილზე უზრუნველყოფს ‘რეალურ’ საკომუნიკაციო გარემოს, რომელშიც შემსწავლელი მაქსიმალურად იხსნება და მონაწილეობს, რის შედეგადაც იგი ამყარებს წარმატებით კომუნიკაციას უცხო ენაზე.

ვიდეო მასალების გამოყენებით უცხო ენის შესწავლა გაცილებით უფრო ეფექტური, საინტერესო და სასარგებლო ხდება როგორც ბავშვებისათვის, ისე ზრდასრული შემსწავლელებისათვის. ვიდეო მასალის უცხო ენის სწავლების პროცესში გამოყენება უზრუნველყოფს შემსწავლელთა ჩართულობას და აქტიურ მონაწილეობას.

მნიშვნელოვანია შემდეგი სამი ელემენტის გათვალისწინება: ენობრივი მხარე, შინაარსი და სხვადასხვა საკომუნიკაციო უნარ-ჩვევების გამომუშავება.

ვიდეოს მასალებით უცხო ენის შესწავლა შემსწავლელებს ხდის უფრო მეტად მოტივირებულს, ისინი თავისუფლად იყენებენ ამათუებ ენობრივ

საშუალებებს, მათთვის შექმნილია საკმაოდ რეალური საკომუნიკაციო სიტუაციები, კიზუალური მხარე უზრუნველყოფს შინაარსის კიდევ უფრო უკეთეს გაგებას. პედაგოგიურად მნიშვნელოვანია მომზადდეს სამი ტიპის სავარჯიშოები. ა) კიდეოს უურებამდე, რომელთა მეშვეობით შემსწავლელს ექმნება წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა უნდა ნახოს და ამით მას კუადვილებთ მასალის აღქმას. ამ ეტაპზე შეიძლება გარკვეული უცნობი სიტყვებისა და გამოთქმების სწავლებაც, რათა მან უკეთ გაიგოს შენაარსი. ბ) ყურების დროს შესასრულებელი სავარჯიშოები, რომლებიც უზრუნველყოფენ სიტუაციაში კარგად გარკვევას. გ) ყურების შემდგომი, რომელთა მეშვეობით შემსწავლელები მონაწილეობენ დისკუსიაში და განიხილავენ ნანახს, დაობენ, კამათობენ და უზიარებენ ერთმანეთს მოსაზრებებს.

მობილური ტელეფონების გამოყენებით შესაძლებელია სასწავლო პროცესის კიდევ უფრო გახალისება და შემსწავლელთა ინტერესის გადვივება. შემსწავლელთა მიერ შესრულებული ამოცანები გადაღებულია მობილური ტელეფონით და შემდეგ ისინი უყურებენ მას, განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს, აკეთებენ კომენტარს და ხალისობენ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ინგლისურად მიმდინარეობს, ისინი იყენებენ სხვადასხვა ფუნქციურ ენას. მაგალითად, აღწერა, თხრობა, დებატები, გადაწყვეტილებების მიღება, რაც უზრუნველყოფს მათ უცხო ენაზე ეფექტურ კომუნიკაციას.

მობილურის გამოყენებით უცხო ენის გაკვეთილის ჩატარების ერთ-ერთი სასარგებლო აქტივობაა მოკლე სარეკლამო რგოლების გადაღება, სადაც მათ აუდიტორია უნდა დაარწმუნონ ამათუიმ პროდუქტის მნიშვნელობაში და აყიდინონ იგი. ეს საკმაოდ სახალისო აქტივობაა და უზრუნველყოფს შემსწავლელთა მაქსიმალურ ჩართულობას.

ტექნოლოგიების მეშვეობით უცხო ენის შესწავლა ზრდასრული შემსწავლელისათვის უადრესად სასარგებლოა, ვინაიდან მას სასწავლო პროცესი სიამოვნებს და შესაბამის დონეზე სწავლობს უცხო ენას. გარდა ამისა, იგი ყოველდღიური ერთფეროვანი და მომაბეზრებელი სიტუაციებიდან გადაერთვება

უფრო შემოქმედებით და სახალისოზე და, შედეგად, იხარჯება მაქსიმალურად, რაც მას ხელს უწყობს ზეპირი ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარება-გაუმჯობესებაში.

#### **თავი V. ჩატარებული პერიოდი, მისი შედეგები, დასკვნა და რეკომენდაციები**

ზრდასრულთათვის უცხო ენის სწავლების 20 წლიანი გამოცდილების, დაკვირვებებისა და ექსპერიმენტების ჩატარების შედეგად მივედი იმ დასკვნამდე, რომ მათ საკმაოდ უჭირთ უცხო ენაზე თავისუფლად კომუნიკაცია, რაც ძირითადად გლინდება მათ უცხოელებთან პირისპირ, სატელეფონო საუბრების დროს ან სრულიად უცხო ენოვან გარემოში, მაგალითად, საზღვარგარეთ მოხვედრისას. თუ, ერთის მხრივ, მათი ლექსიკური და გრამატიკული ბაზა საკმარისი და დამაკმაყოფილებელია იმისათვის, რომ საშუალო დონეზე მაინც შეძლონ უცხო ენაზე კომუნიკაცია, მეორეს მხრივ, მათ უჭირთ საუბარი, აწუხებთ კომპლექსი, ვერ იყენებენ არსებულ ენობრვი რესურსს და უპირატესობას ანიჭებენ უფრო პასიური მსმენელის როლს, რაც, რა თქმა უნდა, საკმაოდ ამცირებს მათი წარმატების მიღწევის შესაძლებლობას.

იმისათვის, რომ დაგვედგინა, თუ რომელი მეთოდი იქნებოდა უფრო ეფექტური და უკეთესი ზრდასრულთა საკომუნიკაციო უნარების განვითარებიასათვის, 2010-2011 წლებში განვახორციელეთ საფუძვლიანი კვლევა.

ჩვენი კვლევის მიზნად შევარჩიეთ ზრდასრულთა საკომუნიკაციო უნარების განვითარების ისეთი მეთოდებისა და სტრატეგიების შემუშავება, რომელთა გამოყენებისას ზრდასრულთა უცხო ენაზე კომუნიკაციის უნარების განვითარება მაქსიმალურად ეფექტურია.

კვლევის ამოცანები მოიცავს დასავლურ საგანმანათლებლო სისტემაში არსებული თეორიული და პრაქტიკული მაგალითების მოძიებას, მათ შესაძლებისამებრ საქართველოს სინამდვილეზე მორგებას, ექსპერიმენტირებას და

გარკვეული რეკომენდაციების შემუშავებას, რომლებიც უცხო ენის სწავლებისა და ამ სფეროს განვითარების საქმეში თავის მცირედ წვლილს შეიტანს.

**პედაგოგის სამიზნე ჯგუფად შევარჩიეთ ზოგადი და დარგობრივი** (სპეციფიკური) ინგლისურის, პრაქტიკული იურიდიული თარგმანისა და ბიზნეს კომუნიკაციის მსმენელები. გამოკითხულ იქნა ასევე სხავადასხვა ცენტრებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ინგლისური ენის მასწავლებლებიც.

**პედაგოგის ობიექტი:** ზრდასრული შემსწავლელი.

**პედაგოგის მეთოდები:** დაკვირვება/ექსპერიმენტი/გიდეო გადაღება და კითხვარი.

**პედაგოგის აღწერა:** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალწლიანი გამოცდილებისა და დაკვირვებების შედეგად, მივედით იმ პრობლემამდე, რომ ზრდასრულებს უცხო ენაზე კომუნიკაცია საკმაოდ უჭირთ. შესაბამისად, ჰიპოთეზად შევარჩიეთ შემდეგი საკითხი: ენობრივი ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებული მეთოდით ზრდასრულები უფრო ეფექტურად ერთვებიან ამოცანის შესრულებაში და, შესაბამისად, უადვილდებათ უცხო ენაზე კომუნიკაცია.

ჰიპოთეზის შემოწმებისათვის გამოვიყენე ძიებითი და დაკვირვებითი მეთოდები.

**საკვლევ ჯგუფებად შევარჩიე შემდეგი შემსწავლელები:**

- ა) **საქმიანი/ბიზნეს კომუნიკაცია:** კავკასიის უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი მაგისტრატურის სტუდენტები. კურსის მიზანი იყო მსმენელებისათვის უცხო ენაზე ეფექტური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების განვითარება და ამით მათვის დახმარების აღმოჩენა აკადემიურ თუ პროფესიულ გარემოში უცხო ენაზე უკეთესად მეტყველებისათვის. მსმენელთა ასაკი 21-30 წელი, თანამრად მდედრობოთი და მამრობითი სქესის წარმომადგენლები

ბ) ზოგადი ინგლისურის საშუალოზე დაბალი (pre-intermediate) დონის შემსწავლელები. კერძოდ, გარემოს დაცვის სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის მუშაკები. მსმენელთა ასაკი: 26-45 წელი, თანაბრად მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლები

გ) პრაქტიკული იურიდიული თარგმანი – თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტის თარგმანმცოდნეობის მაგისტრატურის მსმენელები. ასაკი: 22-25 წელი.

ასევე, გამოკითხულ იქნა სხვა ინგლისური ენის მასწავლებლები, რომელთა ასაკი მერყეობს 25-დან 60 წლამდე.

უშუალოდ კითხვარის შედგენისას ვიხელმძღვანელეთ იმ პრინციპით, რომ თითოეული კითხვა მიზანმიმართული ყოფილიყო, რათა გაგვეგო რესპონდენტთა აზრი ამათუიმ საინტერესო საკითხზე ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე.

კითხვარი შედგება 6 კითხვისაგან, რომელთაგან ერთი არის ამოსარჩევ პასუხებზე დაფუძნებული, ხოლო დანარჩენი 5 დიდ ტიპის შეკითხვებია (იხ. დანართი 1).

იმისათვის, რომ უკეთესად დაგვენახვებინა საკვლევი პრობლემა, თავდაპირველად რესპონდენტებს ვთხოვეთ მიეთითებინათ, თუ ზოგადად რა სირთულეებს აწყდებოდნენ უცხო ენის შესწავლისას. შეკითხვის ასეთი ფორმით დასმის ძირითად მიზანს წარმოადგენდა დაგვენახა, თუ რა უშლიდა ხელს სხვადასხვა შემსწავლელებს უცხო ენის შესწავლის პროცესში.

შემდეგ დაისვა შეკითხვა იმის შესახებ იყენებდა თუ არა მასწავლებელი ენობრივი ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებულ მიდგომას მათთან მუშაობისას. მომდევნო სამი შეკითხვა მიზნად ისახავდა გაგვეგო უადვილებდა თუ არა ასეთი მეთოდი მათ უცხო ენაზე უკეთესად კომუნიკაციას, რამდენად აისახებოდა ეს მათ წარმატებაზე და იწვევდა თუ არა ასეთი მეთოდით უცხო ენის სწავლება მათში რაიმე დისკომფორტს/უხერხულობას. კითხვარის ბოლოს რესპონდენტებს მივეცით

საშუალება მიეთითებინათ დამატებითი ინფორმაცია ან გაეკეთებინათ შესაბამისი კომენტარი.

### ცხრილი 5. კვლევის შედეგები სრული სახით

კურსის დასახელება	რესპონდენტთა პასუხები
ზოგადი ინგლისური	<p>პრობლემები უცხო ენის შესწავლისას: სიტყვების დამახსოვრება, აზრის გამართულად გადმოცემა, გრამატიკის გაგება, კომუნიკაცია უცხო ენაზე. წერისას აზრის მკაფიოდ და გასაგებად ჩამოყალიბება.</p> <p>რამდენად აისახება აღნიშნული მეთოდით შესწავლილი უცხო ენა წარმატებაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სამუშაო ბაზარზე უფრო წარმატებული ვარ</li> <li>• უცხოელებთან საუბრისას მეხსნება კომპლექსი და მიადგილდება მათი მოსმენა</li> <li>• ამ მეთოდმა საშუალება მომცა გადამელახა ბარიერი და კომუნიკაცია უფრო მარტივად დამემყარებინა იმ სიტყვათა მარაგით, რაც გამაჩნდა</li> <li>• ვგრძნობ, რომ ჩემი ლექსიკა</li> </ul>

	<p style="text-align: center;"><b>შედარებით გამდიდრდა</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ტელევიზიონითა და რადიოთი გადმოცემული ტექსტები ჩემთვის უფრო გასაგები გახდა</li> <li>• ამ მეთოდმა მაქსიმალურად მომისნა არსებული დისკომფორტი და აღმოფხვრა უხერხულობა, შესაბამისად, გამოვავლინე მაქსიმალური შესაძლებლობები</li> </ul>
--	--

თხუთმეტივე რესპონდენტმა მიუთითა, რომ ვინაიდან პედაგოგი მათთან იყენებდა ენობრივი ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებულ მიდგომას, მათ უადვილდებოდათ უცხო ენაზე კომუნიკაცია, რადგან თითქმის ყველა გაკვეთილზე ეძლეოდათ საშუალება ესაუბრათ და გამოეხატათ საკუთარი აზრი უცხო ენაზე, ნელ-ნელა ივსებდნენ სიტყვით მარაგს და ხვეწდნენ წინადადების სწორად აგების ტექნიკას. მიუხედავად გრამატიკის არასაკმარისი ცოდნისა, ისინი ცდილობდნენ ენობრივი ამოცანის პრობლემის გადაწყვეტას და აზრის გამოხატვას იმ სიტყვათა მარაგით, რომელიც გააჩნდათ. ასეთმა მეთოდმა მათ მოუხსნა საუბრის კომპლექსი და ისინი უკეთესად იაზრებდნენ სათქმელს, უფრო მარტივად იგებდნენ გრამატიკულ მასალას და მას სრულყოფილად იყენებდნენ საუბარში, გახდნენ უფრო გახსნილები და მარტივად ახსენდებოდათ ნასწავლი მასალა.

რაც შეეხება აღნიშნული მეთოდით გამოწვეულ დისკომფორტს, მათ ეს პრობლემა თითქმის არ აწუხებდათ. თუმცა, უკეთესი პროგრესისათვის კარგი იქნებოდა, თუ სიტყვით მარაგს კიდევ უფრო გაიმდიდრებდნენ, რათა შეძლებოდათ

აზრის უფრო თავისუფლად და დამაჯერებლად გადმოცემა საკუთარი იმიჯისა და ავტორიტეტის კიდევ უფრო ასამაღლებლად.

### **კურსის დასახელება: პრაქტიკული იურიდიული თარგმანი**

უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კურსის მთავარი მიზანი იყო თარგმნის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება, მსმენელებთან მუშაობისას დავაკვირდით, რომ მათ უცხო ენაზე კომუნიკაციის პრობლემაც ჰქონდათ. ამდენად, ყოველ გაპეტილზე 30 წუთის მანძილზე ვრთავდით ენობრივ ამოცანებს, რამაც საგრძნობლად განუვითარა მათ კომუნიკაციის უნარი.

სტუდენტებს ეძლეოდათ ტექსტი გასაანალიზებლად, რათა გასაგები ყოფილიყო მისი ძირითადი აზრი, რაც მათ უადვილდებდა მის გარშემო მსჯელობას. წინასწარი გააზრების შედეგად მათვის გაცილებით იოლი აღმოჩნდა თარგმანის შესრულება რადგან მათ ესმოდათ ტექსტის სრული შინაარსი. გარდა ამისა, თითოეული შემსწავლელი იღებდა მონაწილეობას თარგმნის პროცესში და უკეთესად გამოხატავდა აზრებს.

აღნიშნული მეთოდი შესაძლებელს ხდიდა უცხო ენაზე აზრის ნათლად ჩამოყალიბებას და სწორი გრამატიკული სტრუქტურის გამოყენებას. მათ აღნიშნეს, რომ სათარგმნი ტექსტის გაცნობისას ინაწილებდნენ როლებსა და სიტუაციებს, რაც მათ უადვილებდა ახალი ტერმინებისა და ფრაზების დამახსოვრებას და სიტყვების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებას. ეს კი, შესაბამისად, საკუთარი აზრის გამოხატვასა და უცხო ენაზე კომუნიკაციაში ხელს უწყობდა.

ისინი აზრს უფრო სხარტად აყალიბებდნენ და ეძლეოდათ გრამატიკული თუ ლექსიკური მონაცემების ადეკვატურად და მიზანმიმართულად გამოყენების შესაძლებლობა. ასევე, მათი მეტყველება უფრო იხვეწებოდა. მოცემული მეთოდი მათ უადვილებდა საკვანძო სიტყვების გამოყოფას და შინაარსის სწორ გააზრებას, თარგმანის დროს კი ნაცნობ ინფორმაციაზე დაყრდნობას და სწორი თარგმანის შესრულებას.

ტექსტისა და როლის გათავისებამ მათ საშუალება მისცა უფრო კარგად დაელაგებინათ აზრები, შეერჩიათ შესაფერისი ლექსიკა და შემდეგ უფრო გამართულად ესაუბრათ. ისინი სიტყვებსა და ტერმინებს პრაქტიკაში იყენებდნენ და გამოუმუშავდათ კარგი კომუნიკაციის უნარს. მათ სიამოვნებათ, როდესაც მათი პედაგოგი იყენებდა ენობრივი ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებულ ტექნიკას: მათ ეძლევოდათ რაიმე დავალება, რომლის შესრულება და საბოლოო შედეგის მიღწევა იქვე ხდებოდა გაკვეთილზე. მაგალითად: შეხვედრები, რომლებიც იმართებოდა მათი მონაწილეობით საგრძნობლად უადვილებდა მათ კომუნიკაციას და ამავე დროს ეხმარებოდა ენის უკეთესად შესწავლაში.

რამდენიმე რესპონდენტმა ისიც კი აღნიშნა, რომ მათი პედაგოგი მაქსიმალურად უქმნიდა იმის პირობას, რომ განეხილათ დავალების შესასრულებლად არსებული ყველა შესაძლო ვარიანტი და შეენარჩუნებინათ საუკეთესო, რაც უფრო მეტი ფიქრის საშუალებას აძლევდა, ისინი გამოთქვამდნენ საკუთარ აზრებს ამათუიმ საკითხთან დაკავშირებით და ახდენდნენ შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებას.

ვინაიდან ეს კონკრეტული ჯგუფი წარმოადგენდა მთარგნელობით ჯგუფის, დავინტერესდით იმითაც, თუ რამდენად უადვილებდა მათ აღნიშნული მეთოდი თარგმნის პროცესს. შედეგად, მივიღეთ შემდეგი სახის პასუხები:

## ცხრილი 6.

<p><b>გიადვილებდათ თუ არა აღნიშნული მეთოდი თარგმნის პროცესს?</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მას შემდეგ, რაც აღნიშნული მეთოდით ვსწავლობთ უფრო ადგილად ვთარგმნით</li> <li>• ვარ უფრო მეტი მობილიზებული და ორიენტირებული ტექსტის თარგმნაზე და მირითადი</li> </ul>
--	---

	<p><b>აზრის გადმოცემაზე</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ხშირი ზეპირი კომუნიკაცია, რომელიც ხორციელდება ჩვენს ლექციებზე, მემარტება ადვილად ვთარგმნო სხვადასხვა სახის მასალა</li> <li>• რა თქმა უნდა მიადვილებს, რადგან როდესაც გათავისებული მაქვს ყველა ნიუანსი, შესაბამისად, აზრიც მესმის, სათარგმნი ენობრივი ერთეულის შერჩევა უფრო ადვილია და თარგმანის ხარისხიც გამიუმჯობესდა, შესაბამისად გამიადვილდა კომუნიკაცია უცხოელებთან და სამსახურშიც მივაღწიე გარკვეულ წარმატებას</li> <li>• მთავარი ინფორმაციის გაგება და გადმოცემა ხელს უწყობს კომუნიკაციის განვითარებასა და გაგრძელებას. ამ დროს ვცდილობ არ შევწყვიტო კომუნიკაცია და რამდენიმე გაუბებარ უცხო სიტყვას არ გადავაყოლო თარგმნის პროცესი</li> </ul>
--	--

	<ul style="list-style-type: none"> <li>• ამ მეთოდმა შემაძლებინა ერთდროულად გამოვიყენო სიტყვის რამდენიმე სინონიმი</li> <li>• თარგმანი უფრო დახვეწილი და მარტივად შესასრულებელი ხდება ჩემთვის და გამიადვილდა კურსზე სხვა იურიდიული და როული საგნების უკეთ ათვისება</li> <li>• ასეთი მეთოდით ტექსტის გაანალიზების შემდეგ უფრო ადვილია მისი თარგმნა და სიტყვების სწორი მნიშვნელობის მოძებნა</li> <li>• აზრს უკეთესად გაყალიბებ უცხო ენაზე</li> <li>• ვინაიდან ჩვენი ამოცანაა ტექსტს ზოგადად გავეცნოთ, ეს შემდეგ ბევრად მიადვილებს თარგმნის პროცესს. ასევე, გავიუმჯობესე მეტყველება უცხო ენაზე და ვეზვევი აზრის მკაფიოდ გამოხატვას.</li> </ul>
--	---

<b>იწვევს თუ არა აღნიშნული მეთოდი რაიმე დისკომფორტს</b>	იგი მოსახერხებელი და სასარგებლოა, შედეგს აშკარად ვხედავთ. გარდა ამისა, ლექცია ცოცხალიდა და არ არის მოსაწყენი. იგი საშუალებას იძლევა უფრო მეტი მობილიზება მოვახდინოთ და უცხო ენა ზედმიწევნით შევისწავლოთ.
---	--

### კურსის დასახელება: ბიზნეს/საქმიანი კომუნიკაცია.

აღნიშნული სამიზნე ჯგუფისათვის უცხო ენის შესწავლის ძირითად  
პრობლემას წარმოადგენდა სიტყვების დამახსოვრება, უცხო ენაზე საუბარი და  
აზრის გამართულად გამოხატვა.

ენობრივი ამოცანის შესრულებაზე ორინეტირებული მეთოდი მათ  
უადვილებდა უცხო ენაზე კომუნიკაციას, რადგან ისინი მაქსიმალურად ჩართული  
და დაინტერესებული იყვნენ კონკრეტული პრობლემის გადაჭრით. გარდა ამისა, იგი  
იყო პრაქტიკული, შემსწავლელს ხდიდა უფრო თავდაჯერებულს და  
კომუნიკაბელურს, იხვეწებოდა კომუნიკაციის უნარი. ისინი მეტად გახსნილი  
გახდნენ უცხო ენაზე საუბრისას, სათქმელს უფრო ჩამოყალიბებულად ამბობდნენ  
და გასაგებად ხდიდნენ მსმენელისათვის, ნაკლებს ფიქრობდნენ შეცდომების  
დაშვებაზე და ეზვეოდნენ აუდიტორიის წინაშე აზრის თამამად გამოთქმას,  
კინაიდან უცხო ენის გაკვეთილებზე ასეთი შესაძლებლობა ნაკლებად ეძლევოდათ.  
აღნიშნულმა კურსმა მათ საშუალება მისცა გახსნილიყვნენ, ორიენტირებულნი  
ყოფილიყვნენ საბოლოო შედეგის მიღწევაზე და არ დაბნეულიყვნენ გრამატიკული  
შეცდომების დაშვებისას, რაც ავტომატურად გაუმჯობესდა. იგი მათ აზრის უფრო  
ლაკონურად ჩამოყალიბებაში დაეხმარა, ისინი მიეჩივნენ რეალურ საქმიან  
გარემოს და მეტად თავდაჯერებულები და უკომპლექსონი გახდნენ.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა რამდენიმე რესპონდენტის კომენტარი იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული მეთოდით მათი სიტყვითი მარაგი საგრძნობლად გაიზარდა, სხვა საგნებში აზრის გამოთქმა უფრო გაბედულად შეძლეს, ენა სისტემაში მოიყვანეს, დაშვებულ შეცდომებს აღარ აქცევდნენ უურადღებას, პრაქტიკაში იყენებდნენ არსებულ ცოდნას, იძენდნენ ახალ ინფორმაციას და ინგლისურად აზროვნება უფრო უმარტივდებოდათ. ისინი სწავლობდნენ როგორ გაერთვათ თავი ამათუმ სიტუაციისათვის, რაც შესაძლოა შემდგომ რეალურ ცხოვრებაში შეხვედროდათ და ისინი მზად იქნებოდნენ ამისათვის. ეს მიღვომა მათ მაქსიმალურად ხსნიდა და აჩვევდა უცხო ენაზე სწრაფად ფიქრს და საუბარს.

ენობრივი ამოცანებით ისინი შეეჩივნენ კომუნიკაციას, რაც სხვა მეთოდით ჩატარებულმა გაპეტილებმა ვერ მისცა. მათ იმდენად ხშირად უწევდათ ლექციებზე ასეთი ამოცანების შესრულება, რომ მიეჩივნენ და უცხო ენაზე საუბრის კომპლექსი თითქმის გაუქრათ. ისინი მიხვდნენ, რომ ამით მასწავლებელი მათ ამზადებდა მომავალი სამუშაო გარემოსათვის და საზოგადოებასთან ურთიერთობისათვის. ისინი უკვე ინგლისურად აზროვნებდნენ და სწრაფად ახერხებდნენ შეტყობინების გადაცემას. ეს მეთოდი მათ არ აძლევდა ენის დაგიწყების საშუალებას. მათ უხაროდათ, რომ არ უწევდათ უაზრო დაზეპირება და აზრის თავისუფლად გამოთქვამდნენ. ისინი სწავლობდნენ საკუთარი აზრების უცხო ენაზე გამოთქმას და იუმჯობესებდნენ უცხო ენის ცოდნას. იგი განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა მათთვის, ვინც აქამდე არ იყო მიჩვეული ამგვარ კომუნიკაციას და უნარები საერთოდ არ ჰქონდა გამომუშავებული. ამით მათ ენობრივი ბარიერი გადალახეს და მეტყველება გაიუმჯობესეს. ისინი გახდნენ უფრო თავდაჯერებული და გაუჩნდათ სურვილი უკვე წარმოებინათ თავი, ნაკლებად ეშინიათ უცხო ენაზე აზრის ჩამოყალიბების, უსმენენ სხვის საუბარს და უკვირდებიან სხვადასხვა ნიუანსებს, შესაძლებლობა ეძლევათ დაძლიონ კომპლექსი, ხდებიან უფრო თამამები.

გარდა ამისა, როდესაც მასწავლებელი ასეთი სახით შესრულებულ ამოცანებს ვიდეოთი იწერდა და შემდეგ მათ აჩვენებდა, მათ საშუალება ეძლევოდათ უურადღება მიექციათ როგორც ენობრივი, ისე სხვა შეცდომებისათვის და გაეთვალისწინებინათ მომავლისათვის. ისინი მიეჩვივნენ, რომ მიუხედავად შეცდომებისა, აღარ ჩერდებოდნენ და სათქმელს ბოლომდე ამბობდნენ. მასწავლებლის გამხნევება ასეთი ტიპის დავალებების შესრულებისას მათ უფრო მეტ რწმენას მატებდა. ისინი ნასწავლს პრაქტიკაში იყენებდნენ და ეს ყველაფერი რეალურ ცხოვრებაში ადამიანებთან კომუნიკაციის დამყარებაში დაეხმარა. ისინი დარწმუნდნენ, რომ მხოლოდ სიტყვების დაზეპირება და ტექსტის ზეპირად სწავლა არ ყოფილა საჭირო იმისათვის, რომ უცხო ენაზე კომუნიკაცია შეძლებოდათ. მათ ასევე მოეწონათ ისიც, რომ ასეთი დავალებების შესრულების დროს მასწავლებელი მათ არ აწყვეტინებდა საუბარს და ორიენტირებული იყო იმაზე, რომ ისინი მიეჩვია თავისუფლად კომუნიკაციისათვის. როდესაც ისინი ერთმანეთს უსმენდნენ ასეთი დავალებების შესრულებისას, უკეთ აკვირდებოდნენ თუ როგორ უფრო სჯობდა აზრის გამოთქმა და შემდგომ ყოფილი გარეშე ერთვებოდნენ, როცა მათი ჯერი დგებოდა.

კითხვაზე თუ რამდენად აისახებოდა აღნიშნული მეთოდით ჩატარებული გაკვეთილების შედეგები მათ საერთო წარმატებაზე, შემდეგი პასუხები მივიღეთ.

ისინი უფრო პროდუქტიულები გახდნენ; უცხოელებთან უფრო გახსნილები არიან; იძენენ მნიშვნელოვან ინფორმაციას ამათუიმ საკითხზე; ეხსნებათ ნერვიულობა; უცხოელების თვალში მათი ავტორიტეტი უფრო ამაღლდა; დაიხვეწა მათი გამოთქმები და ისინი აღარ იბნევიან უცხოენოვან გარემოში.

საინტერესოა კომენტარი იმის შესახებ, რომ აზრის გამოხატვა უკეთესად შეძლეს ქართულ ენაზეც კი. ისინი მიხვდნენ, რომ მათი მომავლი პროფესიული წარმატება უმეტესწილად ემყარებოდა მათ გამართულ და სრულყოფილ კომუნიკაციას უცხო ენაზე; ენის უკეთ ათვისებაში მასწავლებლის მიერ იუმორით გადმოცემული შენიშვნები სახალისო იყო და ეხმარებოდა პრობლემების დაძლევაში; ისინი მხოლოდ ტესტებისათვის და გამოცდებისათვის არ

სწავლობდნენ და გაკეთილებზე ჩართულობამ მეტი სიამოვნება მოჰვარა, რამაც ისინი უფრო მოტივირებული გახადა სხვა საგნებშიც კი.

ვინაიდან პედაგოგს ყველა ამოცანა ცხოვრებისეულ და რეალურ ფაქტებზე დაყრდნობით ჰქონდა მომზადებული, ისინი წინასწარ იხილავდნენ საგარაულო პრობლემებს და მზად იყვნენ მათ დასაძლევად მომავალში. ყველაფერთან ერთად, მათ ჩამოუყალიბდათ მანერები, მარტივად იგებდნენ რთულ საკითხებს, სხვა საგნებში უფრო წარმატებულად ახდენდნენ ანალიზს. ის უნარები, რაც ამ ტიპის ამოცანების შესრულებით გამოიმუშავეს ამ საგანში, ძალიან დაეხმარა სხვა საგნებში უკეთესი შედეგების მიღწევაში. მათი ლექსიკური მარაგი საგრძნობლად შეივსო და დაიხვეწა, ასეთი დაგალების შესრულების წყალობით იმდენად ამომწურავად გაიგეს უცხო ენაზე გარკვეული პრობლემის გადაჭრის გზები და მეთოდები, რომ როდესაც მომავალში მსგავს სიტუაციებს წააწყდებიან, მათ ადვილად გადაჭრიან.

საინტერესო ერთ-ერთი რესპონდენტის კომენტარი: “ეს მეთოდი რომ არა, ძალიან გამიჭირდებოდა უცხო ენაზე საზოგადოებასთან კონტაქტი, რადგან ეს ქართულადაც კი მიჰირს, მრცხვენია ჩემი აზრის ხმამაღლა გამოთქმა. ამიტომ, ამ მეთოდმა დამეხმარა დამეძლია ასეთი დიდი კომპლექსი და საკუთარი თავი უკეთ წარმომეჩინა. ასეთი მეთოდი ლექციებს ძალიან საინტერესოს ხდის.” თუ აღნიშნულ კომენტარს გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ ამ კონკრეტულ შემსწავლელს საკმაოდ უჭირს უცხო ენაზე საკუთარი აზრის გამოხატვა, ვინაიდან ზოგ შემთხვევაში არასაკმარისი ენობრივი ცოდნა გააჩნია. უმეტესწილად, ეს გამოწვეულია ე.წ. საუბრის კომპლექსით და შესაბამისი ჩვევის არ ქონით, რასაც სწორედ ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებული მეთოდით ვუკითარებთ და ვაძლევთ შემსწავლელს საშუალებას საკუთარი აზრები უფრო მკაფიოდ და დამაჯერებლად წარამოადგინოს.

ამოცანების შესრულებისას მათ მრავალი უცხო სიტყვა ისწავლეს, რომლებიც შემდგომ სხვა საგნებშიც შეხვდათ და შესაბამისად უფრო კარგად გაიგეს მასალა. ზოგიერთმა რესპონდენტმა ისიც აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა,

რომ ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, კომუნიკაცია უცხო ენაზე მაინც გაიუმჯობესა, რადგან მასწავლებელი მათ კი არ აიძულებდა ჩართვას, არამედ ამოცანას ისე დაუსახავდა, რომ ისინი ავტომატურად ერთვებოდნენ მის შესრულებაში.

კიდევ ერთმა რესპონდენტმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ: “ასეთი მეთოდის გამოყენება მის წარმატებაზე აისახებოდა საზოგადოების წევრებთან, მეგობრებთან, მშობლებთან და შედარებით გამოცდილ ადამიანებთან”. ნათელია, რომ მას ჩვენი მეთოდი ძლიერ დაეხმარა წარმატების მიღწევაში როგორც პირად ცხოვრებაში, ისე პროფესიულ გარემოში.

გვქონდა ისეთი მოსაზრებებიც, რომ ასეთი მეთოდით ჩატარებულმა გაკვეთილებმა შემსწავლელი “შეაჩვია კომუნიკაციას, მას გამოუმუშავდა მეტი მანევრის უნარი საუბრისას და იგი უფრო სიღრმისეულად დაუკვირდა მოვლენებს”.

რაც შეეხება რაიმე დისკომფორტსა და უხერხეულობას მოცემული მეთოდის გამოყენების შედეგად, რესპონდენტთა უმეტესობას ასეთი რამ არ განუცდია. თავდაპირველად, როდესაც ისინი არ იყვნენ მას შეჩვეული, საუბრის კომპლექსი ჰქონდათ, მაგრამ დროთა განმავლობაში ისიც გაუქრათ. პედაგოგი მათ ხელს უწყობდა იმდენად ამომწურავად შეძლებოდათ ამოცანის გააზრება, რომ მათ ყველანაირი დისკომფორტი ეხსნებოდათ. ესე იგი, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საუბრის წინასწარი დაგეგმვით გაადვილებულია მეტყველება და აზრების თავისუფლად გადმოცემა.

იყო შემთხვევები, როდესაც ზოგიერთ რესპონდენტს აზრის საჯაროდ გამოთქმის რცხვენოდა, მაგრამ მასწავლებელმა ისინი თანდათან მიაჩვია და დააძლევინა აუდიტორიის წინაშე საუბრის შიში. ამით ისინი სწავლის ახალ მეთოდს შეეჩვივნენ და სასწავლო პროცესი მათთვის სახალისო გახდა.

ერთმა რესპონდენტმა ისიც კი აღნიშნა, რომ კვლავ დისკომფორტის შემქმნელი იყო მისთვის გრამატიკული შეცდომების დაშვება, მაგრამ პედაგოგი იმდენად არ აქცევდა ამას ყუდარღებას, რომ ეს უხერხეულობაც თანდათან მოეხსნა,

რადგან მას თავი ამ ამოცანის ნამდვილი გადამჭრელი ეგონა და შეცდომებზე საერთოდ აღარ რეაგირებდა.

საგულისხმოა, რომ შემსწავლელთათვის სასარგებლო აღმოჩნდა მასწავლებლის მიერ მათი გაკვეთილის ვიდეოთი გადაღება და შემდეგ მათთვის ჩვენება, ვინაიდან ისინი კიდევ უფრო დაუკვირდნენ თუ რამდენად შეუძლიათ გაკვეთილზე ენობრივი ამოცანებისათვის თავის წარმატებით გართმევა და ამან მათ მეტი თვითრწმენა შემატა საკუთარ შესაძლებლობებში.

იმისათვის, რომ საბოლოო დასკვნები გაგვეკვებინა, გამოვკითხეთ უცხო ენის სხვა მასწავლებლები. იხ. კითხვარი. დანართი 2.

გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ენობრივი ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებული მეთოდი შემსწავლელებს უფრო უადგილებდა უცხო ენაზე კომუნიკაციას, რადგან უფრო საინტერესოს და რეალობასთან მიახლოებულს ხდიდა გაკვეთილებს.

გარდა ამისა, შემსწავლელები მასალას უკეთ იმახსოვრებდნენ, წარმატებით სწავლობდნენ ენას და ახდენდნენ მის რეალიზაციას. ისინი კონკრეტულ სიტუაციებში იყენებდნენ ნასწავლს, ახალ მასალას უფრო ადვილად ითვისებდნენ და შემდეგ პრაქტიკაში იყენებდნენ, შეიმჩნეოდა თავისებური წინსვლა და ეს მეთოდი მორგებული იყო თითქმის ყველა შემსწავლელის ტიპს.

ამოცანის შედგენის მახასიათებლები ზეგავლენას ახდენენ იმაზე, თუ როგორ შეძლებს მის შესრულებას შემსწავლელი. ასევე, სხვადასხვა სახის ამოცანები ენის ათვისებას სხვადასხვაგვარად უწყობს ხელს.

ნებისმიერი ენობრივი ამოცანა შესაძლოა შესრულდეს მრავალი განსხვავებული მეთოდის გამოყენებით, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ორიენტაცია, უნარ-ჩვევები და ცოდნა გააჩნია მოსაუბრეს, რაც მას დაეხმარება ამოცანის შესრულებაში. ამას ისიც ემატება, რომ მასწავლებელს შეუძლია

შესაბამისი მანიპულირება გაუკეთოს ამოცანის შესრულებას იმის მიხედვით თუ როგორი შედეგის მიღწევა სურს.

ენობრივი ამოცანის უცხო ენის გაკვეთილზე გამოყენებისას მნიშვნელოვანია სამი კომპონენტის გათვალისწინება: ამოცანის დაგეგმვა, მისი შესრულება და შემდეგ მისი შეჯამება-კომენტარი.

თუ ენობრივი ამოცანა კარგად დაიგეგმება, ეს დადგებით ზეგავლენას მოახდენს მის წარმატებით შესრულებაზე. თუ შემსწავლელს საქმარის დროს მივცემთ ამოცანის დასაგეგმად და გასაანალიზებლად, იგი მას უფრო მეტად უფექტურად შეასრულებს. სწორედ აქ გვჭირდება გავითვალისწინოთ ენობრივი ამოცანის სამი ნაწილი: აქტივობა ამოცანამდე, შემდეგ მისი უშუალოდ შესრულება და მომყოლი/თანმდევი ამოცანა.

დაკვირვებები გვიჩვენებს, რომ როდესაც ენობრივი ამოცანა სტრატეგიულად იგეგმება, შემსწავლელი უფრო თავისუფლად და თავდაჯერებულად საუბრობს, არ განიცდის დისკომფორტს და არ ეშინია შეცდომების დაშვების. მხოლოდ 10 წუთიანი წინასწარი დაგეგმვაც კი შემსწავლელს საშუალებას აძლევს ააგოს უფრო რთული გრამატიკული წინადადებები და სტრუქტურები და გამოიყენოს მრავალფეროვანი ლექსიკა. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იგი ამოცანას სრულყოფილად ასრულებს, ვიანიდან კარგად აქვს გააზრებული რაზე ისაუბროს და აზრები როგორ ჩამოაყალიბოს. ამდენად, საუბრის დაწყებამდე და ამოცანის შესრულებამდე, შემსწავლელს დასაგეგმად საქმარისი დრო უნდა მივცეთ და შედეგიც არ დააყოვნებს. გარდა ამისა, საჭიროა ნათელი ინსტრუქციების მიცემა და, საჭიროების შემთხვევებში, დახმარების აღმოჩენა ამოცანის ინდივიდუალურად დაგეგმვაში.

სტრატეგიული დაგეგმვა პოზიტიურად მოქმედებს თავისუფლად საუბარზე. ეს იმას ნიშნავს, რომ როდესაც ენის შემსწავლელი კარგად გაიაზრებს რა უნდა თქვას, იგი ერთგვარ მოკლე და სწრაფ გეგმას ადგენს და საერთოდ არ სჭირდება დეტალური ლინგვისტური ანალიზი. საინტერესოა ისიც, რომ მაშინაც კი, როდესაც

შემსწავლელები ისეთ საგარჯიშოს აპეთებენ, რომელიც მათ უფრო მეტად ფორმაზე ამახვილებინებს უურადღებას, მათ ურჩევნიათ მათოვის მიცემული დრო გამოიყენონ აზრების თანმიმდევრობით ჩამოყალიბებასა და სემანტიკური კაგშირების დადგენისათვის. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ძალიან მცირე დრო გააჩნიათ ამა თუ იმ ამოცანის შესასრულებად, ისინი უურადღებას ამახვილებენ იმ ენობრივ საშუალებებზე, რომლებიც სჭირდებათ ამ ამოცანის საწარმოებლად. აქვე, თუ ვასწავლით დამაკავშირებელ სიტყვებს, ეს მათ მსჯელობის რაც შეიძლება მეტად დახვეწილად აგებაში შეუწყობს ხელს. ასე, რომ ენობრივი ამოცანის შესრულებისას სტრატეგიული დაგეგმვა უაღრესად დადებით ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად წარმატებით შეძლებენ შემსწავლელები საუბარს ამ ენაზე და გამოიყენებენ საჭირო ინფორმაციას.

ნიშანდობლივია, რომ ენობრივი ამოცანის შესრულებაზე ორინეტირებული მიღებომის ზოგადი მიზანია ხელი შეუწყოს უცხო ენის უკეთესად შესწავლა-ათვისებას და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარებას. ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ეს შედარებით ახალი ფენომენია, ვინაიდან საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცხო ენის შესწავლა მხოლოდ გრამატიკული თარგმანის მეთოდს ემყარებოდა, რაც მოიცავდა გრამატიკული წესების დაზეპირებას, გაპვეთილზე სასწავლო მასალის თარგმნას და ისე გააზრებას, სიტყვებისა და ფრაზების მონოტონურად, კონტექსტის გარეშე დამახსოვრებას, რაც, რა თქმა უნდა, მრავალ სირთულეს უქმნიდა უცხო ენის შემსწავლელს და, რიგ შემთხვევებში საერთოდ აკარგგინებდა უცხო ენის შესწავლის სურვილს.

ჩვენი კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ უცხო ენის გაკვეთილზე ენობრივი ამოცანისა და ტექნოლოგიების გამოყენებამ ხელი შეუწყო შემსწავლელთა გახსნას, უცხო ენაზე საუბრის კომპლექსის დაძლევას, მეტი თავდაჯერებულობის გამომუშავებას და, რაც უკელაზე მთავარია, მათ ამ ენაზე წარმატებულ კომუნიკაციას.

შესაბამისად, გვაქვს შემდეგი რეკომენდაციები:

- უნდა შეირჩეს შესაბამისი სირთულის ამოცანები შემსწავლელთათვის
- ყოველი ამოცანის შესრულებამდე მიზანი ნათლად უნდა განისაზღვროს
- ამოცანას სწორი მიმართულება უნდა მიეცეს
- შემსწავლელები აქტიურად უნდა ჩაერთონ მასში
- შემსწავლელებს უნდა მოვუწოდოთ ისაუბრონ თამამად და არ მიაქციონ ყურადღება მათ მიერ დაშვებულ ენობრივ შეცდომებს
- ყურადღება უნდა გავამახვილებინოთ იმაზე, თუ რას ამბობენ და არა როგორ ამბობენ (შინაარსი და არა გრამატიკული ფორმები)
- მათ უნდა შევაფასებინოთ როგორ მოეწონებათ ასეთი ტიპის გაკვეთილი და გავითვალისწინოთ მათი კომენტარები.
- სასურველია, ვიდეოთი გადავიდოთ მათი მუშაობის ცალკეული ეტაპები და შემდეგ მოვაწყოთ ჯგუფური განხილვა, რაც მათ შეაძლებინებს საკუთარი აზრის თამამად დაფიქსირებას და, შესაბამისად, უცხო ენაზე კომუნიკაციას.

### დასკვნა და რეკომენდაციები

უცხო ენაზე საუბარი საკმაოდ რთულია, ვინაიდან ეფექტურ ზეპირ კომუნიკაციას სჭირდება ენის სოციალურ გარემოში შესაბამისად გამოყენების უნარი. გარდა ამისა, კომუნიკაციის დროს გამოიყენება არა მარტო ვერბალური/ლინგვისტური ელემენტები, არამედ აქ ვხვდებით გესტებს, სხეულის ენას, სახის მიმიკას, რაც თან სდევს საუბარს და გვეხმარება შეტყობინების ეფექტურად გადმოცემაში. ამას ემატება სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელთა მიერ სხვადასხვა შესტების განსხვავებულად აღქმა, რამაც შესაძლოა გაუგებრობაც კი წარმოშვას.

იმის გამო, რომ უცხო ენის ზრდასრულ შემსწავლელებს რეალურ გარემოში ენის გამოყენების საშუალება არ ეძლევათ, ისინი შედარებით ნაკლებად

ხარისხიანად საუბრობენ უცხო ენაზე, ვერ აკონტროლებენ იდიომატურ გამოთქმებს, არ ესმით კულტურული პრაგმატიკა. ძალიან რთულია ისე დახვეწო უცხო ენა, რომ დაემსგავსო მის ბუნებრივად მატარებელს.

ამდენად, იმისათვის, რომ უკეთესი შედეგები მიიღოს, უცხო ენის მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

•რა ახდენს ზრდასრულთა მიერ უცხო ენაზე ზეპირად კომუნიკაციაზე ზეგავლენას

•რა ხდის საუბარს ეფექტურს

•როგორ უნდა გაააუმჯობესოს ზეპირი საკომუნიკაციო უნარები, რათა შემსწავლელს კარგად ასწავლოს უცხო ენაზე მეტყველება და მოამზადოს იგი რეალური საკომუნიკაციო გარემოსათვის

ფაქტორები, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ უცხო ენის შესწავლისას საკომუნიკაციო უნარების განვითარებასა და წარმატებაზე, შემდეგია:

**ასაკი და მოწიფებულობა:** უცხო ენის შემსწავლელთა ინტერაქტიულ ქცევაზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ასაკი, რაც განსაზღვრავს მათ წარმატებასა თუ წარუმატებლობას. კრაშენი (1982) მიიჩნევს, რომ ის ენის შემსწავლელი, რომელიც მეორე ენის სწავლას იწყებს ადრეულ ასაკში/ბავშვობაში, ენას უკეთესად სწავლობს და აღწევს შესაბამის შედეგს, ვიდრე ისინი, რომლებიც ზრდასრულ ასაკში ეუფლებიან მას. სხვადასხვა კვლევებით ასევე დადასტურებულია, რომ მრავალი ზრდასრული ასევე ვერ აღწევს მაქსიმალურ დონეს, რომელიც ენის ბუნებრივად მატარებლის დონეს უდრის. მათი პროგრესი, როგორც ჩანს, გარკვეულ ეტაპზე ჩერდება. ამ მოვლენას “ფოსილიზაცია - გაქვავება” ეწოდება. იგი გვიჩვენებს, რომ ასაკის მომატებას სერიოზული ზეგავლენა აქვს ზრდასრული შემსწავლელის ათვისების უნარზე.

**მოსმენა და აღქმა:** კარგი მოსმენითი უნარი ავითარებს სასაუბრო უნარს. საუბრისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს ყოველი მოსაუბრე ორმაგ როლს თამაშობს – მოსაუბრისა და მსმენელის. მოსმენის დროს, შემსწავლელმა უნდა გაიგოს ტექსტი მეხსიერებაში ინფორმაციის დამახსოვრებით, დაუკავშიროს იგი შემდეგ ნაწილს და მუდმივად აწარმოოს გაგონილის დაკავშირება იმასთან, რაც აქამდე იცოდა. თუ შემსწავლელს არ ესმის ის, რაც თქვა, მას არც პასუხის გაცემა არ შეეძლება. ამდენად, საუბარი მჭიდრო კავშირშია მოსმენასთან, რაც ძირითადი მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც ხდება ენის წესების გააზრება.

**სოციალურ-კულტურული ფაქტორები:** ენის მრავალი კულტურული თვისება ზეგავლენას ახდენს უცხო ენის შესწავლაზე. პრაგმატული თვალსაზრისით, ენა სოციალური ქმედების ფორმაა, ვინაიდან ლინგვისტური კომუნიკაცია მიმდინარეობს სტრუქტურული ინტერაქტურისთვის გაცვლა-გამოცვლის კონტექსტში და, შესაბამისად, მნიშვნელობა სოციალურად დარეგულირებულია. ამდენად, იმისათვის, რომ ადამიანმა შეძლოს უცხო ენაზე საუბარი, მან უნდა იცოდეს, თუ როგორ გამოიყენება ენა სოციალურ კონტექსტში. ცნობილია, რომ თითოეულ ენას მისი საკუთარი წესები გააჩნია. სხვადასხვა კულტურული ნორმების ზეგავლენის ან ჩარევის გამო მათ, ვისთვისაც ენა უცხო ენაა, უჭირთ იმ ფორმების ამორჩევა, რომლებიც შეეფერება კონკრეტულ სიტუაციებს.

ზეპირი კომუნიკაცია მოიცავს საკმაოდ მძლავრ არა-ვერბალურ საკომუნიკაციო სისტემას, რომელიც ზოგჯერ ეწინააღმდეგება ვერბალური მოსმენითი/მოსასმენი არხის საშუალებით მიწოდებულ შეტყობინებებს. სამიზნე ენის არა-ვერბალური საკომუნიკაციო სისტემის საკმარისად კარგად არ ცოდნის გამო, უცხო ენის შემსწავლელი ჩვეულებრივ ვერ ახერხებს არა-ვერბალური ელემენტების გამოყენებას. შედეგად, არა-ვერბალური შეტყობინების იგნორირებას მივყავართ გაუგებრობამდე.

**ემოციური ფაქტორები:** ემოციური ფაქტორები, რომლებიც უცხო ენის შესწავლისას იჩენს თავს, არის სხვადასხვა ემოციები, თვით-პატივისცემა, ემფატია, შფოთი, დამოკიდებულება და მოტივაცია. უცხო ენის შესწავლა საკმაოდ რთული ამოცანაა,

რაც უკავშირდება უხერხულობის, იმედ- გაცრუების, მერყეობისა და იგნორირების გრძნობებს. უცხო ენაზე საუბარი საჯაროდ, განსაკუთრებით, ენის ბუნებრივ მატარებლებთან ხშირად იწვევს შფოთს. ის კიდევ უფრო მძაფრდება, როდესაც შემსწავლელს ენა ებმის ან ებორკება მოულოდნელ სიტუაციებში, რაც მის იმედგაცრუებას და მარცხის განცდას იწვევს. ზრდასრულები, ბავშვებისაგან განსხვავებით, დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ როგორ აფასებენ და განსჯიან მათ. ისინი შეცდომების დაშვების მიმართ ძალიან მგრძნობიარე არიან, რადგან კომპლექსდებიან და, ამიტომ, ურჩევნიათ გაჩუმდნენ და საერთოდ არ ისაუბრონ.

### **ეფექტური საუბრის განმსაზღვრელი კომპონენტები**

უცხო ენაზე მაქსიმალური დონის მიღწევა საკმად რთულია და მას დიდი დრო სჭირდება. უცხო ენის შემსწავლელი უნდა ფლობდეს სხვადასხვა გზებს იმისათვის, რომ მოახერხოს კომუნიკაციის დამყარება სხვადასხვა ადამიანებთან სხვადასხვა სიტუაციებში. ჰაიმსის (1972) კომუნიკაციური კომპეტენციის თეორია შედგება გრამატიკული, ფსიქოლინგვისტური, სოციალურ-ლინგვისტური და ალბათობითი ენობრივი კომპონენტებისაგან. ჰაიმსის თეორიაზე დაყრდნობით, კანალი და სუანი (1980) მიიჩნევენ, რომ კომუნიკაციური კომპეტენცია შეიცავს გრამატიკულ, დისკურსულ, სოციალურ-ლინგვისტურ და სტრატეგიულ კომპონენტებს, რომლებიც ასახავენ ლინგვისტური სისტემის გამოყენებას და კომუნიკაციის ფუნქციურ ასპექტებს.

**გრამატიკული კომპეტენცია:** იგი საშუალებას აძლევს მოსაუბრეს გამოიყენოს და გაიგოს უცხო ენის სტრუქტურები ზუსტად და, შესაბამისად თავისუფლად ისაუბროს ამ ენაზე.

**დისკურსული კომპეტენცია:** იგი ხელს უწყობს აზრიან კომუნიკაციას.

**სოციალურ-ლინგვისტური კომპეტენცია:** მხოლოდ უცხო ენის ცოდნა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ უცხო ენის შემსწავლელი მზად იყოს სამიზნე ენის გამოსაყენებლად. მან ასევე უნდა ისწავლოს ის წესები და ნორმები, რომლებიც მის საუბარს უფრო ეფექტურს გახდის.

**სტრატეგიული კომპეტენცია ხელს უწყობს უკეთეს საუბარს.**

სხვადასხვა აქტივობებისა და საგარჯიშოების მომზადებისას პედაგოგმა უკელა უნარ-ჩვევა უნდა გაითვალისწინოს. კარგი ინტერაქტიული აქტივობები უნდა იყოს მანიპულაციური, აზრიანი და კომუნიკაციური და ჩართოს შემსწავლელი სხვადასხვა საკომუნიკაციო სიტუაციებში. ისინი უნდა ემყარებოდეს რეალურ მასალებს, შეაძლებინოს შემსწავლელს აგარჯიშოს ენის კონკრეტული ასპექტები და საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები კლასში, რომლებიც მას დასჭირდება რეალურ გარემოში და გააქტიუროს სწავლის ფსიქოლინგვისტური პროცესი.

ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, საჭიროა საკლასო აქტივობები და საგარჯიშოები შესაბამისად მომზადდეს, დაიგეგმოს და დამუშავდეს. მაგალითად, შემსწავლელს ასმენინებენ ჩაწერილ დიალოგის ან მოკლე მონათხოვებს. შემდეგ მათ ევალებათ მცირე ჯგუფებში შეაგსონ გამოტოვებული ადგილები ამ დიალოგში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით. გარდა ამისა, ისინი ჯგუფის სხვა წევრებთან ამოწმებენ რამდენად სწორად გააკეთეს ეს. შედეგი კი ის არის, რომ ისინი მოტივირებულნი არიან ისაუბრონ და ერთმანეთს აზრები თავისუფლად გაუზიარონ.

ვინაიდან უცხო ენის გაკვეთილზე არ არის უცხო ენის ბუნებრივად მატარებლებთან საუბრის დიდი შესაძლებლობა, საკმაოდ აუცილებელი და მნიშვნელოვანია შემსწავლელს შევუქმნათ რეალური სიტუაციები, სცენები და მოვასმენინოთ სხვადასხვა გამოთქმები. ამ საჭიროების დაკმაყოფილება შეიძლება აუდიო-ვიზუალური მასალებით, ფილმებით და სერიალებით. მათი მეშვეობით შემსწავლელს საშუალება ეძლევა მოისმინოს რეალური საუბრები, ინტონაცია, მახვილები და ენა, რაც შესწავლის პროცესს უფრო მეტ ინტერესსა და სიამოვნებას მატებს.

უურებისა და მოსმენის დროს შემსწავლელები უკვირდებიან, თუ რა არის უფრო მეტად და ნაკლებად მნიშვნელოვანი ამათუიმ სიტუაციაში, მიაქციონ უურადღება თუ რა არა-გერბალური საშუალებები გამოიყენება კომუნიკაციაში

აზრის უკეთესად გადმოსაცემად. ასევე, როგორ იწყებენ და აგრძელებენ საუბარს ადამიანები და ბოლოს ივარჯიშონ იგივე ხერხები როლებში, წყვილებად ან ჯგუფურად. ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის ყურება და დაკვირვება მათ თანდათან მიაჩვენს დაამყარონ ეფექტური ბუნებრივი კომუნიკაცია.

კულტურას დიდ მნიშვნელობა აქვს შემსწავლელთა ზეპირი საკომუნიკაციო უნარების განვითარებაში, რაც უავშირდება ენის შესაბამის გამოყენებას. როგორც წესი, ამას განაპირობებს საერთო სოციალური და კულტურული კონტექსტი. ამდენად, მნიშვნელოვანია შემსწავლელმა იცოდეს რა წესები მუშაობს კომუნიკაციაში. ის აქტივობები, რომლებშიც კულტურა შესაბამისადაა მოცემული და აზრიანია, უფრო მეტად განაწყობს შემსწავლელს სწავლისადმი.

ენობრივი ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებული აქტივობები შემსწავლელს საუბრის უნარს კიდევ უფრო უგითარებს. ასეთი აქტივობების მოქნილობა და მათი ადაპტირება აუცილებელია იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს შემსწავლელთა საკომუნიკაციო საჭიროებები. ამ ლიმიტირებულ დროში, რომელიც შემსწავლელს ეძლევა გაპეტილზე, აუცილებელია მათ გაკეთებინოთ რეალური სავარჯიშოები, დიალოგები და როლური თამაშები იმისათვის, რომ მივცეთ ენის რეალურ გარემოში გამოყენების საშუალება.

ამრიგად, საუბარი კომუნიკაციის ერთ-ერთი ცენტრალური ელემენტია და მის განვითარებას სჭრიდება განსაკუთრებული ყურადღება და გამომუშავება. უცხო ენის მასწავლებელმა დაკვირვებით უნდა გამოიკვლიოს ის ფაქტორები, რომლებიც საფუძვლად უდევს საუბრის ეფექტურობას. ამას ემატება შესაბამისი ენობრივი მასალის მიწოდება და ენობრივი ამოცანების დაკვირვებით დაგეგმვა. შედეგად კი მივიღებთ თავისუფლად მოსაუბრე და საგუთარ თავში დარწმუნებულ შემსწავლელს.

ჩვენს მიერ ზემოთ IV თავში ნახსენები მიდგომა **PPP** (პრეზენტაცია, პრაქტიკა, პროდუქცია) შემსწავლელს საშუალებას აძლევს ახსნილი მასალა გაიგოს, ივარჯიშოს და თავისუფალ საუბარში გამოიყენოს. ეს მეთოდი ქართულ

რეალობაში შედარებით ახალია და, შესაბამისად, წარმატებული, რაც განაპირობებს ზრდასრულთა უცხო ენაზე საუბრის ეფექტურობას.

მასწავლებელმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ლინგვისტური კომპეტენცია კომუნიკაციური კომპეტენციის განუყოფელი ნაწილია. თუ ადამიანს არ გააჩნია კარგი ლინგვისტური ბაზა და უნარი, მას არც კომუნიკაცია არ შეუძლია.

მას შემდეგ, რაც გამოვიყენებთ შესაბამის მეთოდსა თუ აქტივობას ზეპირი საკომუნიკაციო უნარების განვითარებისათვის, კარგად დავინახავთ თუ რომელია უფრო მეტად ეფექტური ზრდასრული შემსწავლელისათვის. მათი მრავალჯერ გამოყენება უკეთეს წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოვახდინოთ მათი ადაპტირება და მორგება ჩვენს კონკრეტულ ჯგუფსა თუ შემსწავლელზე. გარდა ამისა, კომუნიკაციური კომპეტენციის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან შესაბამისი სტრატეგიის განვითარებით შემსწავლელს ვაჩვევთ რეალურ უცხო ენოვან გარემოში წარმატებით ფუნქციონირებას.

ეფექტური ზეპირი კომუნიკაცია მოიცავს

- მახვილების, რითმისა და ინტონაციის სწორად გამოყენებას
- მოკლე და გრძელი საუბრების წარმართვის უნარს
- ინტერაქციის მართვას
- საუბრისას ეფექტური აქტიური მოსმენისა და შესაბამისი რეაგირების უნარს

## სასარგებლო რეკომენდაციები:

შეარჩიეთ შესაბამისი დრო კომუნიკაციური აქტივობების გამოყენებისათვის: უცხო ენის სწავლების პროცესში არის გარკვეული პერიოდები, როდესაც საჭიროა შემსწავლელისათვის შეირჩეს ზუსტი და მისაღები დრო იმისათვის, რომ მან ამათუიმ მეთოდით ენა უკეთესად შეისწავლოს. მაგალითად, როდესაც მას უჭირს რაიმე გრამატიკული მასალის გაგება, მას სჭირდება მეტი პრაქტიკა და საკუთარ თავზე მუშაობა, რათა ესათუის გრამატიკული, ლექსიკური თუ იდიომატური მასალა უკეთესად აითვისოს. ამდენად, თუ მოხდება აღნიშნული საკითხების გათვალისწინება, ენის შესსწავლის პროცესიც შედარებით გაადვილდება.

**მიზნები ნათლად განსაზღვრეთ:** ზრდასრულებობას ამათუიმ მეთოდის მკაფიოდ და ნათლად გააზრებით და, შესაბამისად შერჩევით, ხელს შევუწყობთ ჩვენი მსმენელების ენობრივი უნარების განვითარებას. ინტერაქტიკული საგარჯიშოები უნდა ერგებოდნენ გაძვეთილის საერთო შინაარსს და კურსისს თუ გაძვეთილის მიზნებს.

**მიაქციეთ ყურადღება რას ანიჭებენ უპირატესობას შემსწავლელები:** უსმინეთ მათ, დაინტრესდით მათი საჭიროებებითა და მოთხოვნებით. ეს მოითხოვს მასწავლებლის მხრიდან გარკვეულ მოქნილობას, რაც საბოლოო ჯამში დადებითი შედეგის მომტანია.

**მოარგეთ ენობრივი ამოცანები ამათუიმ კულტურის წარმომადგებლებს:** მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ შემსწავლელები თავს კომფორტულად უნდა გრძნობდნენ ამა-თუ-იმ აქტივობის შესრულებისას. როლური თამაშები, სიმულაციები თუ წყვილებად და ჯგუფებში მუშაობა მათ დისკომფორტს არ უნდა უქმნიდეს.

**ხელი შეუყვეთ შემსწავლელთა კრეატიულობას:** მას შემდეგ, რაც თქვენ მათთან მოსინჯავთ სხვადასხვა სახის ენობრივ აქტივობებს და საგარჯიშოებს, მიეცით მათ შანსი მოიგონონ ან შექმნან საკუთარი ვერსიები. თუ ჩათვლით, რომ მათი

შემოთავაზებები საგულისხმოა, ნუ უგულვებელყობო, იქნებ ეს მათ უკეთესი შედეგების მიღწევაში დაეხმაროს.

## დანართები

### დანართი 1

ენობრივი ამოცანის კითხვარი შემსწავლელთათვის

(გამოკითხვა ანონიმურია)

ასაკი:

სქესი:

თარიღი:

#### ჯგუფის დასახელება:

1) უცხო ენის შესწავლისას ზოგადად რა მნიშვნელოვან პრობლემას გამოყოფით პირველ რიგში? აღნიშნეთ შესაბამისად.

— სიტყვების დამახსოვრება

— აზრის გამართულად დაგმოცემა

— გრამატიკის გაგება

— სიტყვების გამოთქმა

— კომუნიკაცია

— სხვა (მიუთითოთ)

2) იყენებს თუ არა თქვენი მასწავლებელი ე.წ. ენობრივ ამოცანაზე ორიენტირებულ მიღებობას? დადებითი პასუხის შემთხვევაში მიუთითოთ დაწვრილებითი ინფორმაცია.

3) როგორ ფიქრობთ, ასეთი მეთოდი უფრო გიადვილებთ უცხო ენაზე კომუნიკაციას? ახსენით პასუხი.

4) აისახება თუ არა აღნიშნული მეთოდით შესწავლილი უცხო ენა თქვენს წარმატებაზე? როგორ?

5) იწვევს თუ არა აღნიშნული მეთოდი თქვენში რაიმე დისკომურობსა და უხერხეულობას? მოითითეთ.

6) დამატებითი ინფორმაცია

## დანართი 2

ენობრივი ამოცანის კითხვარი მასწავლებლებისათვის

(გამოკითხვა ანონიმურია)

ასაკი:

სქესი:

თარიღი:

სამუშაო ადგილი:

სწავლების გამოცდილება:

- 
- 1) უცხო ენის სწავლებისას ზოგადად რა მნიშვნელოვან პრობლემას გამოყოფით პირველ რიგში? აღნიშნეთ შესაბამისად.
- სიტყვების დამახსოვრება ----- აზრის გამართულად გადმოცემა
- გრამატიკის გაგება ----- სიტყვების გამოთქმა
- კომუნიკაცია ----- სხვა (მიუთითოთ)
- 2) იყენებთ თუ არა ე.წ. ენობრივი ამოცანის შესრულებაზე ორიენტირებულ მიღებას (როდესაც სტუდენტებს გაკვეთილზე ეძლევათ რაიმე დავალება, რომელიც გულისხმობს მის შესრულებას და საბოლოო შედეგის მიღწევას). დადგებითი პასუხის შემთხვევაში, მიუთითოთ დაწვრილებითი ინფორმაცია.
- 3) როგორ ფიქრობთ, ასეთი მეთოდი უფრო უადვილებს თქვენს სტუდენტებს უცხო ენაზე კომუნიკაციას? ახსენით პასუხი.
- 4) აისახება თუ არა აღნიშნული მეთოდით შესწავლილი უცხო ენა თქვენი სტუდენტების წარმატებაზე? როგორ?
- 5) მიუთითოთ და ახსენით იწვევს თუ არა აღნიშნული მეთოდი თქვენს სტუდენტებში რაიმე დისკომფორტსა და უხერხულობას.
- 6) დამატებითი ინფორმაცია.

## ბიბლიოგრაფია

1. Bachman, L.F. Fundamental Considerations in Language Testing. Oxford. OUP. 1990.
2. Barkley, E.F, Cross, K.P. and Major, C.H. Collaborative Learning Techniques: A Handbook for College Faculty. San-Francisco: Jossey-Bass. 2005.
3. Berns, M.S. Functional Approaches to Language and Language Teaching: Another Look. In S.Savingnon and M.S. Berns (Eds). "Initiatives in Common Language Teaching. A book of readings. 1984.
4. Bialystok, E. Communication Strategies. A Psychological Analysis of Second Language Use. Oxford. OUP. 1990.
5. Bialystok, E., & Hakuta, K. In Other Words: The Language and Psychology of Second Language Acquisition. New York: Basic Books. 1994.
6. Boehrer, J., and Linsky, M. Teaching with Cases: Learning to Question. In M.D. Svinski (ed), The Changing Face of College Teaching. New Direction for Teaching and Learning. No. 42. San Franscisco: Jossey-Bass, 1990.
7. Brookfield, Stephen D. Understanding and Facilitating Adult Learning. San Francisco. Jossey-Bass Publishers.1986.
8. Brown, R. Groupwork, Task Difference and Second Language Acquisition. Applied Linguistics. 21:1-12. 1991.
9. Brown, H. D. Teaching by Principles: An Interactive Approach to Language Pedagogy. 2nd ed. White Plains, NY: Longman. 2000.
10. Brown, G. Speakers, listeners, and Communication. New York. Cambridge University Press. 1995.

11. Brumfit, Christopher. *Communicative Methodology in Language Teaching*. Cambridge: CUP. 1984.
12. Brundage, D.H., and McKeracher, D. *Adult Learning Principles and Their Application to Program Planning*. Toronto. Canada: Ontario Institute for Studies in Education. 1980.
13. Canale, M. and M.Swain. *Theoretical Bases of Communicative Approaches to Second Language Teaching and Testing*. *Applied Linguistics*. 1980.
14. Carroll, J. B. *Human Cognitive Abilities*. Cambridge. Cambridge University Press. 1993
15. Celce-Murcia, M., ed. *Teaching English as a Second or Foreign Language*. 3rd ed. Boston: Heinle & Heinle. 2001.
16. Chomsky Noam. *Aspects of the Theory of Syntax*. Cambridge. M.I.T. Press. 1965.
17. Clarke, M. and S. Silberstein. *Toward a Realization of Psycholinguistic Principles in the Reading Class*. *Language Learning*, 27 (1). 1977.
18. Christenza, C.R. *Teaching by the Case Method* – Boston: Harvard Business School. 1981.
19. Christison, M. A. *Multiple Intelligences and Language Learning: A Guidebook of Theory, Activities, Inventories and Resources*. Burlingame, CA. Alta Book Center. 2002.
20. Cohen, A. D. *Strategies in Learning and Using a Second Language*. New York. Longman. 1998.
21. Cross, D. *A Pratical Handbook of Language Teaching*. London. Prentice Hall. 1992.
22. Cross, P. *Adults as Learners*, San Francisco: Jossey-Bass. 1981.
23. Davenport, Joseph, III; Davenport, Judith A. "Knowles or LInderman: Would the Real Father of American Andragogy Please Stand Up". *Life Long Learning*. V9n3, 1985.
24. Dobbs, J. *Using the Board in the Language Classroom*. New York. Cambridge University Press. 2001.
25. Doff, A. *Teach English: A Training Course for Teachers*. Cambridge. CUP. 1988.
26. Dornyei, Z. *Teaching and Researching Motivation*. New York: Longman. 2001.

27. Draves, William A. How to Teach Adults. Kansas: The Learning Resources Network. 1984.
28. Duff, P. "Another Look at Interlanguage Talk: Taking Task to Task" in R. Day (ed) 1986.
29. Edwards, Richard and Robin Usher. University Adult Education in the Postmodern Moment: Trends and Challenges. *Adult Education Quarterly*, Vol. 47, No. 1. (1996).
30. Easton, G. Learning from Case Studies. Englewood Cliffs, N.J: Prentice Hall Regents. 1982.
31. Ellis, G. and Sinclair, B. Learning to Learn English. Cambridge: CUP. 1989.
32. Ellis, R. Second Language Acquisition. New York: Oxford University Press. 1997.
33. Faerch, C. and G. Kasper. Processes in Foreign Language Learning and Communication. *Interlanguage Studies Bulletin*. 1980.
34. Gass, S. and L. Selinker. Second Language Acquisition: An Introductory Course. Hillsdale, NJ: Lawrence Erlbaum. 1994.
35. Gill, C.S. 1996. Using Drama Techniques to Encourage Oral Interaction. *The English Teacher*. 25(October): 72-86.
36. Graves, K., ed. Teachers as Course Developers. New York: Cambridge University Press. 1996.
37. Graves, K. Designing Language Courses: A Guide for Teachers. Boston: Heinle & Heinle. 2000.
38. Harmer, Jeremy. The Practice of English Language Teaching. Longman. 1991.
39. Hatch, E (ed). "Discourse Analysis and Second Language Acquisition" in Hatch (ed). 1978a
40. Hedge, T. Teaching and Learning in the Language Classroom. OUP. 2000.
41. Hendrick, J. and Butler, M. Interaction Activities in ESL. 2nd ed. Ann Arbor, MI: University of Michigan Press. 1995.
42. Hess, N. Teaching Large Multilevel Classes. New York: Cambridge University Press. 2001.

43. Howatt, A. *A History of English Language Teaching*. Oxford: OUP.1984.
44. Hughes, R. *Teaching and Researching Speaking*. New York: Longman. 2002.
45. Hymes, D.H. "On Communicative Competence" in J.B. Pride and J. Hones (eds): *Sociolinguistics*. Harmondsworth: Penguin. 1972.
46. Klein, W. 1995. Language Acquisition At Different Ages. In D. Magnusson, (Ed.), *The lifespan development of individuals: Behavioral, neurobiological, and psychosocial perspectives. A synthesis* (pp. 244-274). New York: Cambridge University Press.
47. Knowles. M.S. *The Modern Practice of Adult Education. Andragogy Versus Pedagogy*. Englewood Cliffs. Prentice Hall Cambridge. 1980.
48. Krall, T. *Teacher Development*. English Teaching Forum. 1989-1993.
49. Larsen-Freeman, D. *Techniques and Principles in Language Teaching*. 2nd ed. New York: Oxford University Press. 2000.
50. Lightbown, P. M. and N. Spada. *How Languages are Learned*. Revised ed. New York: Oxford University Press. 1999.
51. Littlewood. W. *Communicative Language Teaching*. New York: Cambridge Univeristy Press. 1981.
52. Lynch. T. *Communication in the Language Classroom*. New York: Oxford University Press. 1996.
53. McCarthy, M. *Spoken Language and Applied Linguistics*. Cambridge. Cambridge University Press. 1998.
54. McClure, K. *Putting it Together: A Conversation Management Text*. New York: Pearson ESL. 1995.
55. Mitchell, R. and F. Myles. *Second Language Learning Theories*. London: Arnold. 1998.
56. Norman, David, ULF Levihn, Jan Anders Ledenguist. *Communicative Ideas, language teaching publication*. 1986.
57. Nunan, D. *Designing Tasks for the Communication Classroom*. Cambridge. CUP. 1989.

58. Nunan, D. *Atlas: Learning-centered Communication*. Level 3. Boston: Heinle & Heinle. 1995.
59. Obler, L. and K. Gjerlow. *Language and the Brain*. New York: Cambridge University Press. 1999.
60. Oxford, R. *Language Learning Strategies: What Every Teacher Should Know*, Rowley, MA: Newbury House. 1990.
61. Pouuisse, N. *The Use of Compensatory Strategies by Dutch Learners of English*. Berlin. 1990.
62. Pouuisse, N. 1997. "Compensatory Strategies and the Principles of Clarity and Economy" in G.Kasper and Kellerman (eds.)
63. Reid, J., ed. *Understanding Learning Styles in the Second Language Classroom*. New York: Longman. 1998.
64. Richards, J. and Rogers. T. *Approaches and Methods in Language Teaching*. Cambridge: CUP. 1986.
65. Richards, J. C. *Curriculum Development in Language Teaching*. New York: Cambridge University Press. 2001.
66. Richards, J. C. and T. S. Rodgers. *Approaches and Methods in Language Teaching*. 2nd ed. New York: Cambridge University Press. 2001.
67. Robbie, S., T. Ruggirello, and Warren. B. *Using Drama to Bring Language to Life: Ideas, Games and Activities for Teachers of Languages and Language Arts*. Ontario: Captus Press. 2001.
68. Robinson, P. *Task Complexity and Second Language Narrative Discourse*. *Language Learning*. 1995 b. 45:99-140
69. Robinson, P., *Cognition and Second Language Instruction*. New York: Cambridge University Press. ed. 2001.
70. Selinker, L. "Interlanguage". *International Review of Applied Linguistics*. 10 (3). 1972.
71. Scovel, T. *Learning New Languages: A Guide to Second Language Acquisition*. Boston: Heinle & Heinle. 2001.

72. Shareman, J. *Using Authentic Video in the Language Classroom*. Cambridge. CUP. 2003.
73. Sharpe, P.J. *Talking with Americans: Conversation and Friendhsip Strategies for Learners of English*. Boston: Little, Brown and Co. 1984.
74. Skehan, P. "A Framework for the Implementation of Task-based Instructon." *Applied Linguistics*. 1996.17/1:38-62
75. Skehan, P. *A Cognitive Approach to Language Learning*. New York: Oxford University Press. 1998.
76. Spada, N. and M. Frohlich. *COLT: Communicative Orientation of Language Teaching Observation Scheme. Coding Conventions and Applications*. Sydney: National Centre for English Language Teaching and Research. 1995.
77. Stempleski, S. and Temalin, B. *Video in Action: Recipes for Using Video in Language Teaching*. New York: Prentice Hall.1990.
78. Krashen S. *Principles and Practice in Second Language Acquisition*. CUP. 1982.
79. Stern, H.H. *Fundamental Concepts of Language Teaching*. Oxford. OUP. 1983.
80. Swan, M and C. Walter. *The New Cambridge English Course 1. Teacher's Book*. Cambrudge: CUP.1990.
81. Swan, M. "A Critical Look at the Communicative Approach (1)". 1985 a. *ELT H=Journal 39/I: 2-12.*
82. Taylor, K. and Marienau C., *Bridging Practice and Theory. New Directions for Adult and Continuing Education*, No. 65. Spring. 1995.
83. Tarone, E. "Communicative Strategies, Foreigner Talk and Repair in Interlanguage". *Language Learning*. 30:417-31.1980.
84. Tong-Fredericks, C. "Types of Oral Communication Activities and the Language they Generate: a comparison". 1984. *System 12*: 133-4.

85. Tuchman, B.W and M.A. C. Jensen. "Stages of Small Group Development". *Group and Organizational Studies*. 1977.2/4: 4/9-27.
86. Ur. Penny. *A Course in Language Teaching: Practice and Theory*. Cambridge: CUP. 1996.
87. Varadi, Tamas. "Strategies of Target Language Learner Communication: Message Adjustment". *International Review of Applied Linguistics* 18:59-72. 1973.
88. Wall, A.P. *Say it Naturally! Verbal Strategies for Authentic Communication*. New York: CBS College Publishing. 1987.
89. Weinstein, N. *Whaddaya Say? Guided Practice in Relaxed Speech*, 2nd ed. White Plains, NY: Longman. 2000.
90. Widdowson, H.G. "The Roles of Teacher and Learner". *ELT Journal*. 41/2:83-8. 1987.
91. Widdowson, H.G. *Aspects of Language Teaching*. Oxford: Oxford University Press. 1990.
92. Willis, J. *A Framework for Task-Based Learning*. New York. Longman. 1996.
93. Willing, K. *Learning Styles in Adult Migrant Education*. Adelaide: National Curriculum Resource Center. 1988.
94. Yule, G. *Referential Communication Tasks*. Mahwah, N.J: Lawrence Erlbaum.1996.
95. Yule, G. *The Study of Language*. 2nd ed. New York: Cambridge University Press. 1996.
96. Zelman, N. *Conversation inspirations*. 2nd ed. Brattleboro, VT: Pro Lingua. 1996.
97. ევროპული საბჭო, ლისაბონი, 23-25 მარტი. 2000 წელი. დასკვნები:  
<http://ue.eu.int/ueDocs/cms-Data/docs/pressData/en/ec/00100-rl.enO.htm>
98. ოქმურ ჯაგოდნიშვილი, ივანე ჯაგოდნიშვილი. "ვერბალური კომუნიკაციები". საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბილისი. 2009.

99. “სტრატეგია ზრდასრულთა განათლება მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონტექსტში”. თბილისი. 2009. საქართველოს ზრდასრულთა განათლების ასოციაცია.
100. “საკვანძო კომპეტენციები მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის”. ევროპული ჩარჩო. ევროპარლამენტისა და ევრო საბჭოს რეკომენდაციები. ტრენინგისა და კონსულტაციების ცენტრი. 2006. თბილისი.